

მეზა

№3(136) 16/1.-22/1.
ფასი 60 თ.


ბელი კასისა — რამ აქვს რეზიდენსტი მაგაოდ

F1224
2003

ელექტროენერგეტიკის ახალი ტარიფი — ვითი თუ რეალობა



რატომ უმაღლავს
ვერიკო ტურაშვილი
„არტ-იგედს“
გათხოვების
ამბავს



დატო ტურაშვილი
„ტიტანიკა“
იდეებით დასუნძულა



გულიკო ჭანტურია:
„... უარს რომ ვეზოდით, აცუდაბოდა
ღანძვან-გინება... ხმა გაეპარდა:
რახტორანები ქალი რომ მღერის,
ფულს არ იღებსო... მოაწყდა ხალხი...“

მინიატურები	
მოსალინა მემფრავ-ასტროლოგი	3
ერთი კითხვა	4, 7
პროგნოზი	
შალვა ნათელაშვილი: „შემოვიღა „ეი-ი-ესი“, ღაგვალო ხარკი და ამ ხარკის მეთვალყურედ ღანიშნა სემეკი...“	5
გაფი კახილა	
გზა საქნებიდან – სანთელ-საკმეულაგდე	8
ჭორ-მართალი	
რატომ გვლავს ვერიკო ტურაშვილი ბათსოვების აგავს	11
პროფანია	
მოდის ბიზნესს ექიმი ქეთი ღარსაველიძე შეემატა	11
საზოგადოება	
„სასჯელმა კი არა – უსამართლობამ ღაგვალა!“	12
კრიტიკული	
„ჩემი შვილის სისხლით წლების მანკილზე ვაჭრობდნენ“ → რას ემსხვერპლა 17 წლის თემური?	14
გამოსაუკრავი	
ვინ კაზინოში თამაშობს, ვინ კიდე – სარეზის მანქანასთან...	17
ანტიდარსიანი	
ინფორმაციულ-შეგნებათითი კოლაჟი გოჩა ღვალის შუბის წიგნაკიდან	18
გზავრული	
„ყველა კერძი ერთ ღარად...“	18
საუნჯე	
ცეკვა მუხეუმი არ არის, ანუ სიასლუბი ქორეოგრაფიაში	20
სახელოსნო	
ხელოვნებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გავაკეთეო – ვერასოღეს იტყვი...	23
ღიზინური	
„უხსნამელი ჩემთვის თვალაგზე უფრო მტყყველია!“	24
ფიგურა	
ვენეციელები ბონაპარტს სასამართლოში უჩივიან	25
პატრიოტი	
„ბთსოვთ, ბოლნისის სიონის ეგოში ღამასაულავოთ“	26
აგალა	
ურანკლინით მოსიბლული ქალბატონი	28
შეგონებით თქვენი მოღვა	
ტესტი ერუდისიაზე	30
მოხალა	
პრეზიდენტის მიწვევის შედეგ, მოვლენები ღალი მოროშკინასთვის სრულიად მოულოდნელად განვითარდა	31
გავვითა საყვარო	
ოთახი, რომელმაც ბინაღართან ერთად უნდა „იგარღოს“...	32

რატომ გვლავსნაულოგი ნათლისღებას



მართლმადიდებლური ეკლესია
თორმეტ საუფლო ღღესასწაულს ად-
ნიშნავს. მათ შორის ერთ-ერთია ნა-
თლისღების ღღესასწაული, რომელ-
იც 19 იანვარს აღინიშნება... რა უნდა
ვიცოდეთ ნათლისღების ღღესასწა-
ულზე ნაკურთხ წყალთან დაკავში-
რებით? გვესაუბრება ღეკანოზი ბუ-
რაბ ზეინკლიშვილი.

34


ვინ კაზინოში თამაშობს, ვინ კიდე – სარეზის მანქანასთან...

რემო ამაშუკელი:
– თქვენც გაგიმართლათ: რა-
ღგან ახალი წელია, საჩუქრად
მომიძღვნია ჩემი ინტერვიუ, თო-
რუმ ისე, ვისაც ჩემი ინტერვიუ
სჭირდება, ვიდრე ათას ღოღარს
არ გაღამიხდის, მანამღე არ შევხ-
ვდები...



17

„ჩემი შვილის სისხლით წლების მანკილზე ვაჭრობდნენ“



17 წლის თემურ ფეიქრიშვილი
გიორგი ჭუჭულაშვილის ხელიდან,
პისგოლეგიდან გასროლილმა გყვი-
ამ მოკლა. გყვია თემურს თავში
მოხვდა. იგი მაშინვე ძირს დავარ-
და. მუბლიდან სისხლი რომ წასკდა,
დაჭრილთან საშველად იმავე წუთს
მიცვივდნენ, მაგრამ ამაოღ.

14

„ყველა კერძი ერთ ღარად...“

– 18 წელი რა ადრეა, ქალბატონო?! მე-8 კლასიდან მიწლოღა
ცოლის შეროვა, მაგრამ მათემატიკის
მასწავლებელი მიშლიღა – სუ-
სტი ხარ გამრავლებამოი... ამ სიგყ-
ვებმა ისე გამაბრაზა, სკოლის ღა-
მთავრებისთანავე ვითხოვე ცოლი
ღა აგერ, უკვე 25 წელია, ინგენსი-
ურად ვმუშაობ გამრავლებამე.



18

ტაპარი	
რატომ ვლდესასწაულოთ ნათლისღებას	34
მეუხერგული	
როგორ მივაღწიოთ უკვდავებას	35
ფაქტობრივი	
დიდი „მეგობრების“ საოცარი მიღწევები	36
პარსკვლავი	
ამერიკელი მოგარდების კერძი - კერძი ფიშერი	39
ტესტი	
ერთგული მკითხველი	41
რომანი	
რუსულან გერიკა, ქალური ინტუიცი ანუ ზიარების ფრთები (ბაბრეკელია)	42
მანისიკაშიის ფორმულა	
„ფორმულა-1“-ის გოლიდის სარკის ქალი კვლავ მიუჯდა და მნებათაღელვებს განახლდა	46
უკანს მიღმა	
იღუბლებით მოცული დენიელ დეი-ლუისი	48
ორკულაბი	
მადამ ტიუსოს 2002 წლის ყველაზე პოპულარული ქესპონატი	49
კატაკლიზმები	
ბალაქტიკაში გაღამებული საფრთხე	49
ავტო	50
მოგზაურის დღიურები	
ამერიკული პრობლემებიდან - რუსი დიასახლისის „თავმჯდომარე“	51
იქითური	54
ჯანმრთელობა	
● სიარული სასარგებლოა	56
● არ შეუძინდეთ კლიმაქს!	56
● თუ ყნოსვა დაგიჭვითდათ	57
● ქრონიკული დაღლილობა	57
● ინვალიდი ბავშვები	58
● მოერიეთ განივებას უნაელოდ	59
● იოლის ღვიფისის პრობლემა	59
● მკურნალობა მარლით	59
საორტული მოზაიკა	60
სკანდორდი	61
ჰოროსკოპი	
კვირის (20-26 იანვარი) ასტროლოგიური პრობლემა	62
ტესტი	
ხართ თუ არა საქმიანი ალაშიანი?	63
კალენდრული	
ჰრელ-ჰრელი ამბები	64

გარეკანზე: გიორგი შურნაღის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნაღი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გზაზე „კვირის კალიტრის“ დამატება შურნაღი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე რედაქტორი: გონა ტყემლაშვილი მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32 შურნაღი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნებვა მუხეუმი არ არის, ანუ სიასლები ქორეოგრაფიაში



ბაგონმა ილიკომ კულისებში მითხრა: დღეს შენ ნინოსთან ერთად „ქართულს“ იცეკვებო. იმის გააზრება ვერც მოვასწარი, რა ხდებოდა. მესმის, წამყვანის ხმა აცხადებს, რომ შემდეგი ცეკვა „ქართული“ იქნება... ამ დროს, დოლის ხმა გაისმა. გავმალე ხელები და...

20

„ბოსოვო, გოლნისის სიონის ეზოში დაბასაფლაკოთ“

უკრაინა სიმბრებშილა დამრჩა... ჩემი ქმარი, ვიცი, რომ მაკაგიებს, მან მშვენივრად უწყის ეს ყველაფერი. ოღონდ, შენც დაწერე და მე უფრო მშვიდად ვიქნები, რომ მთელ საქართველოს ეცოდინება ჩემი უკანასკნელი ნება. ხომ მართლა დაწერ?



26

მადამ ტიუსოს მუხეუმის 2002 წლის ყველაზე პოპულარული ქესპონატი



მოკლე კაბაში გამოწყობილი მინოგის ფიგურა ოთხზე ღვას და როგორც კი რომელიმე დამთვალიერებელი მისი „მხედველობის არეში“ მოხვდება, რაღაც უცნაურად იწყებს სუნთქვას. ბუნებრივია, რომ ამ საოცრების სანახავად კაილის ორეულის ირგვლივ, მულმივად აეიოტაჟიან.

49


ქართული ინჟინერია ახალ ჯიშის თვითობი

ამასობაში ამწე მანქანა გზის პირას ამოიგანა და ნინის კინაღამ გული გაუჩერდა: ბაგირებზე დაკიდული, საფუძვლიანად დაჭეკვილი, წითელი, ხოჭოსავით მანქანა, ჰაერში მოკონწიალე, ფრთაგაშლილ ჭიამაიას მიაგავდა... თავმარდაცემული ნინი თვალებით ისევ უცნობი მამაკაცის ბურგს „ჩააფრინდა“.



42

მოხალისე მშვიდრავ-ასწროლოგი



გადაიარა, როგორც იქნა, ამ საახალწლო ზარ-ზეიმმა და ახლა, საქმისთვისაც მოიცილის კაცი. ფხიზელი ვინებით, ხელში კალმითა და არა 5-ლატრიანი ყანწით. ახალ წელს თუ ახალი გატაცებით შეხვდები, ამას რაღა სჯობს?! ჰოდა, მეც ასე გადავწყვეტე — „პროვოკატორობა“ კი მაძლევს საიმისო დროს, რომ შოგადამეგ, ამ საქმიანობას სხვა რაღაცებიც შევუთავსო.

ნახალწლევს გამოსული ქართული ჟურნალ-გაზეთები აჭრელეულია ათასნაირი ჰოროსკოპით. საინტერესო რამეა ეს ჰოროსკოპი, სახალისო და მეც ჩაუვჯდები და ესხლისობ ხოლმე. თანაც, ამ ხალის-ხალისში, ისე შეუცდომლად ვჭკვრეტ წლეულს მოსახლენებს, რომ მერე, შემძლია არხეინად ვიყო — მაინც წინდაწინ ვიცი, სად, რა და როდის მოხდება და რაღაზე ვიშალო წერებები? მოკლედ, მოხალისე მეჰოროსკოპე, ამომსხნელ-გამშიფრავის ხელობამ გამიტაცა ეს დღეები და ნახეთ, რა გამომივიდა.

ჯერ ვნახით საქარეველოს 2003 წლის ინტიმჰოროსკოპი. გავერკვეთ, რა ინტიმური ამბები დატრიალდება ჩვენს ქვეყანაში, როგორი კურკური და სასიყვარულო ვნებები გაველიძებათ ჩვენებურებს.

ჰოროსკოპი გვეუბნება: „უპირველეს ყოვლისა, ეს არის დიდი სიყვარულის წელიწადი. იმიტომ, რომ დიდი პლანეტები — იუპიტერი, სატურნი, ურანი და პლუტონი საინტერესო კონფიგურაციაში ქნინან ცის კაბადონზე. მთავარი ამ პლანეტებიდან — იუპიტერი, ლომის ზოდიაქოში იმყოფება, ლომი კი სიყვარულის მართავს“. აქ ყველაფერი დღესავით ნათელია: 2003 წელს, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

იციცხლეთ, ამ დროს გაუცხოველდებათ ჩვენს პოლიტარტიებს ერთმანეთის სიყვარული. იქნება დიდი ხვევნა-პროშნა და ერთმანეთის გადაპატიუებ-გადმოპატიუება, დიდი შერიგება და დიდი გარიგებები. განსაკუთრებით მწველი სიყვარული დიდ პლანეტებს დაუდებათ, — ხომ ამბობს ჰოროსკოპი და ვერც იქნება — ამ საპარლამენტო არჩევნებში საერთო ენას უთუოდ გამონახვენ „მოქკავშირი“, „სოციალისტები“, „მემარჯვენეები“ და „მრეწველები“. ესეც ოთხი დიდი პლანეტა. მათგან მთავარი, „მოქკავშირი“ ანუ იუპიტერი, პრეზიდენტის სრული გავლენის ანუ ლომის ზოდიაქოს გავლენის სფეროში იქნება. ეტყობა, ამ სიყვარულობანას ლომი და იუპიტერი დაიწყებენ და მერე, სხვებსაც ჩაითრევენ.

„წლეულს განვითარდება ვაჭრობა, კომერცია, ბიზნესი, მაგრამ ფულის უყარათოდ ხარჯვის ტენდენციაც იძლავრებს“ — გვიწინასწარმეტყველებენ პლანეტები. ოღონდაც, რომ ყველაფერი ეგრე იქნება. პარლამენტს გარეთ დარჩენილი უიმუნიტეტო დეპუტატები ბიზნესმენებად გადაიქცევიან, იმ ფულისა და ქონების გათვითრებას მიჰყოფენ ხელს, რაც დეპუტატობისას უშოვიათ, ცოლებისა და სიდედრების სახელებზე გაფორმებულ ფორმებს გადამოფორმებენ და ატყდება დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა. ეს ერთი და მეორესაც მოგახსენებთ: საარჩევნოდ, დეპუტატობის მოსურნე ბიზნესმენებიც დიდ ვაჭრობას გააჩაღებენ, აქა-იქ ხალხს (ხმებს) იყიდინან, ზოგან შაქარს. დაარიგებენ და ზოგან — ბაღლინჯოიან ფქვილს. ბევრის ხელგამლილობა წყალში გადაიყრება: პარლამენტში ყველა ხომ ვერ მოხდება — ესეც შენი უყარათობა...

„შესაძლოა, ბევრმა სკამიც დაკარგოს. სერიოზული ცვლილებები მოხდება მთავრობაში, მალე, ბევრ მინისტრს მოხსნიან“ — რა არის, აბა, აქ გაუგებარი? პრეზიდენტი არაერთ მინისტრს გაწირავს,

საარჩევნოდ, ხალხისა და ოპოზიციის საამებლად. არჩევნების შემდეგ კი, მთავრობა ხელახლა დაკომპლექტდება.

„მაისში მზისა და მთვარის დაბნელება გველის“ — აი, ეს კი მართლა შემაშფოთებელია! ჩვენს ისედაც დაბნელებულ ქვეყანას კიდევ მზისა და მთვარის დაბნელება უნდა?! ეი, ამ დროს, მე-9 ენერგობლოკი ისე განედება, ენერჯისზე ავარია მოხდება, „იტერა“ კი საქართველოს გაზს აღარ მოაწვდის დავალიანების გამო?... ესეც შენი მზისა და მთვარის დაბნელება.

„ფულის მოპარვის ტენდენცია იძლავრებს“ — ჩვენს ბიუჯეტს კიდევ მოპარვა უნდა? — მაგრამ პლანეტათა გავლენასა და ჩვენი ჩინოსნების მადას სად გაექცევი?! სახელისუფლებო პარტიების საარჩევნო კამპანია ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ხალხის პენსია-ხელფასებს ისევე „გაყინავენ“ და დავალიანებები ერთი-ორად გაიზრდება...

„სასიყვარულო ფრონტი კი საკმაოდ ბობოქარი და მრავალფეროვანია, მაგრამ არც საფანჯები და ინტრიგებია გამოირიცხული“ — გვაფრთხილებს ჰოროსკოპი, მაგრამ ჩვენს პოლიტკურ კაბადონზე ინტრიგებისა და საფანჯების ოსტატები რომ გვეყავს, „მთლად თავიდან“ მოყოლებული, ნიჭსა და უნარს უჭმად ხომ ვერ გააჩერებენ?!



აი, ასე, ხომ არის დღესავით ნათელი ჩემთვის (უკვე თქვენთვისაც) ყველაფერი? ხომ გადაგიშალეთ ხელის გულზე 2003 წლის საქვეწო ამბები? ახლა, პატარას, საკუთარ ჰოროსკოპში ჩავინედავ, ვნახავ, მე თვითონ რა მელის და მერე, მართლა მექნება მხარ-თუქზე წამოსაწოლად საქმე.

დაილოცოს, ასტროლოგია! ნერვი არ გამოიტოკდება, ისე ვიცხოვრებ გაის ამ დრომდე...

P.S. ხომ ვარ ნოსტრადამუსზე მაგარი წინასწარმეტყველი, მაგრამ გული მეთანაღრება მაინც. ასე იცის — ხალხი შემოგეპარება, მერე, რაღაც ჭია შეგიჩნდება მაინც და დაგაკარგვინებს ამ ხალხის. ის ანეკდოტი ხომ იცით, ოსი ვალოდია ოშში რომ წავიდა მოხალისედ? „გაუშვეს ფრონტის წინა ხაზზე. ატყდა ათაქაბუთქი და ვაი-უშველებელი. იგრძნო ნაღდი დენტის სუნი ვალოდიამ, ჩაძვრა სანგარში და ცოცხალი თავით ველარ გამოყვით იქიდან.

— მოხალისე კოკოვეო, გამოძვერი სანგრიდან და გადადი შეტევაზე! — უბრძანებს მეთაური ვალოდიას.

— ხალხის დაშეკარგა, სენი წილიმე, ახლა სახლსი მინდა! — ცხვირი არ გამოყო, ისე უბასუსხა ვალოდიამ.“

ასეა ჩემი საქმეც. კაცმა არ იცის, წელს რა ორომტრიალის მოწმენი გავხდებით: არჩევნების წელია და იქნებ, ისე წავიდეს საქმე, დედაპ შვილი არ აიყვანოს ხელში. მიდი მერე და უშტკიცე ამ ჩვენს უშიშროება-პოლიციას, რომ მოხალისე მეჰოროსკოპე ხარ და არა უცხო ქვეყნის აგენტი, ან კიდევ, რომელიმე პოლიტპარტიას არ ჰყავხარ ნაყიდი...

პროვოკატორი

„იბერა“ დიქტატორია, ჩვენი მთავრობა კი – არაკვალიფიციური...“

— ბუნებრივი აირის შეწყვეტის საფრთხის წინაშე თბილისი კიდევ ერთხელ იდგა, მაგრამ მოლაპარაკება „იტერასთან“ წარმატებით დასრულდა, თქვენ კი იქამდე აცხადებდით, რომ სიტუაციას ვერც ენერგეტიკის მინისტრის, დავით მირცხულავას და „თბილგაზის“ გენერალური დირექტორის, ვახტანგ ცაავას მოსკოვში გამგზავრება შეცვლიდა. ახლანა აზრის ხართ?

რომან გოცირიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი:

— როგორც იცით, თბილისმა დეკემბერში 9 მლნ ლარის ბუნებრივი აირი მოიხმარა, ქსელის მუნიციპალიტეტი კი ამ თანხის გადახდაზე უარს აცხადებს. თბილისის მთავრობას არც ახალი სესხის აღების სურვილი აქვს და არც საშუალება. მით უმეტეს, რომ მუნიციპალური ბიუჯეტი ჯერ დამტკიცებული არ არის. დეკემბერში გაირკვა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პარლამენტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, 31 მილიონი ლარი გადახარჯა. აქედან 10 მილიონი პრეზიდენტის ფონდის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა კულტურულ აქციაზე დაიხარჯა. მოკლედ მუნიციპალიტეტს სხვა გზა არ ჰქონდა და დეკემბერში „თბილგაზის“ დავალიანება გადაიხდა. მართალია, ბიუჯეტი ჯერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ხელისუფლებას ყოველთვის უფლება აქვს. იანვრიდან, ცენტრალური ბიუჯეტი თანხების უქონლობას ვეღარ მოიძიებებს. ჯერ ისიც გასარკვევია, ბო-



ლოს და ბოლოს, ვისია „თბილგაზი“? „თბილგაზის“ აქციათა 100%-ის მფლობელი ქონების მართვის სამინისტროა. კანონი პრივატიზაციის შესახებ, რომელიმე უწყებაზე მართვის უფლების იძულებით გადაცემას გამოიცხადებს. „თბილგაზის“ მართვის უფლების მოსაპოვებლად, ტენდერი უნდა გამოცხადდეს, მაგრამ მხოლოდ მმართველობის შეცვლა ამ უწყებაში შექმნილ პრობლემებს ნამდვილად ვერ მოაგვარებს. ვიდრე „თბილგაზში“ ინკასატორების ინსტიტუტს არ გააუქმებენ და აბონენტთა აღრიცხვას არ მოაწესრიგებენ, სიტუაცია არ შეიცვლება. საქართველოს მთავრობასა და „იტერას“ შორის მოლაპარაკების იმედი არა მაქვს, იმიტომ, რომ „იტერა“ დიქტატორია, ჩვენი მთავრობა კი – არაკვალიფიციური. ეს დაადასტურა „იტერას“ დირექტორის შარშანდელმა ვიზიტმა თბილისში. მაშინ ვითომ ყველაფერზე მოილაპარაკეს, მაგრამ წაიდა თუ არა „იტერას“ დირექტორი საქართველოდან, განის მიწოდებაც მაშინვე შეგვიწყვიტეს. ასე რომ, ვფიქრობ, კვლავ გაურკვეველი დარჩება, ექნება თუ არა თბილისს გაზი... ■

„ჩვენ აღვიღს პოლიტიკაში ყოველთვის ვიპოვი!“

— რა განდა ასლან აბაშიძესთან თქვენი დაპირისპირების რეალური მიზეზი და რატომ გიკეთებთ იგნორირებას „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელი ცოტნე ბაკურია?

გიორგი თარბამაძე, პარლამენტარი:

— რაც „აღორძინების“ თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელად ცოტნე ბაკურია მოვიდა, ჩვენი გუნდის იგნორ-

ირება მოხდა! აქ ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ რაღაც შეხვედრაზე არ მიგვიწვიეს. ისე წარმოაჩინეს ყველაფერი, თითქოს „აღორძინების“ გადამრჩენები სწორედ თვითონ არიან და სხვას არასდროს არაფერი გაუკეთებია პარტიისთვის. კი, ბატონო, არჩევანის უფლება ყველას აქვს და ამ ხალხმაც გააკეთა თავისი არჩევანი. რაც შეეხება, ასლან აბაშიძესთან დაპირისპირებას, მეც და ჩემი გუნდის წევრებსაც კარგი ურთიერთობა გვაქვს ბატონ ასლანთან, მაგრამ

ურთიერთობა იმ ხალხთან, ვინც დღესდღეობით „აღორძინებაში“ ახალი სახეები არიან, გამოიცხვლია! არის ბევრი რამ, რაც მათთვის მისაღებია, ჩვენთვის კი, აბსოლუტურად მიუღებელი. მით უმეტეს, როცა მათი მხრიდან თანამშრომლობის არანაირი სურვილი არ იგრძნობა. რაღაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება მაინც მომიწევს, მაგრამ ასე იქნება თუ ისე, ჩემს ადგილს პოლიტიკაში ყოველთვის ვიპოვი! ■

„ამგვარი ხერხით ჩვენ მოშორებასაც აპირებენ...“

— რის საფუძველზე აცხადებთ, რომ „პატრიოტთა კავშირის“ ლიდერის — ბადრი ზარანდიას მკვლელობა შეკვეთილი იყო და რომ ერთ-ერთი მათგანი, ვისაც ამგვარივე მეთოდით მომავალში გაუსწორდებიან, თქვენც ხართ?

თეიმურ ხაჩიშვილი, პოლიტიკური გაერთიანება „დათვის“ ლიდერი:

— ქვეყანაში, რომლის პრეზიდენტზეც ორჯერ განხორციელდა ტერაქტი, წარ-

მოუდგენელი და მოულოდნელი აღარაფერია! პრეზიდენტზე უკეთესად დაცული ვინდა იქნება?! ქართულ პოლიტიკაში შეკვეთილი მკვლელობები უკვე ჩვეულებრივ ამაღ იქცა და ვითარება მანამდე არ შეიცვლება, სანამ პოლიტიკოსები არ მიხვდებიან, რომ მკვლელობებით ოპონენტების ჩამოცილება დაუშვებელია! უტყუარი ინფორმაცია მაქვს იმის შესახებ, რომ ბადრი ზარანდიას მკვლელობა, სამწუხაროდ, უკანასკნელი არ იქნება და რომ მათ რიგში, ვის ჩამოშორებასაც ამგვარი

ხერხით აპირებენ, მეც ვარ! დიას, გარკვეული ძალები ამ საკითხზე ძალზედ აქტიურად მუშაობენ. ვიცი, მათი გეგმების შესახებ, ვიცი, რაზეც საუბრობენ და მათი ვინაობაც ცნობილია ჩემთვის, მაგრამ ჯერჯერობით, დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ამის დროც მოვა, მათ კი ვურჩევ, რომ ხელი აიღონ ასეთ ავანტიურაზე და ბოლოს და ბოლოს, შეივონ, რომ ფულითა და იარაღით ქვეყანაში პრობლემების მოგვარება გამოიცხვლია! ■

„შეშორდა „ეი-ი-ესი“, დაგვადო ხარკი და ამ ხარკის მითვალყურედ დანიშნა სეპეკი...“



თამაზ შორქოლიანი

— ბატონო შალვა, მარტივად და დეტალურად აგვიხსენით — რაში ედავებოდით „ეი-ი-ეს თელასს“ და რას მიაღნიეთ კონსტიტუციურ სასამართლოში?

— ჩვენ „ეი-ი-ესს“ არ ვედავებოდით — ჩვენ ვედავებოდით საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს, რომლებმაც დაარღვიეს კონსტიტუცია და ენერგეტიკის სტრატეგიული ობიექტები გაუშვეს გაყიდვაში, რაც ქვეყნის ძირითადი კანონით აკრძალულია. შემდეგ — ვედავებოდით ხელისუფლებას და სემეკს, ტარიფების არაადამიანური გაძვირების გამო და ელექტროენერჯის ფიქსირებული გადასახადის უკანონობის გამო. სასამართლომ პირველი მოთხოვნა არ განიხილა, არ ჩავთვალა უფლებამოსილ სუბიექტებად, თუმცა კი შეეძლო, რომ ამ საკითხზეც ემსჯელა. სამაგიეროდ, მეორე და მესამე საკითხებში, მოსახლეობის იმედები გავამართლეთ. როგორც იურისტი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: 2002 წლის 30 დეკემბრის 18 საათიდან, საქართველოში აღარ არსებობს ელექტროენერჯის ტარიფი; პირველ მარტამდე, უნდა დადგინდეს მისი გათვალისწინებული ფასი, რომლის მიხედვით

მოსახლეობა დაბნეულია: ერთნი ამბობენ — ლეიბორისტული პარტიის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში მოგებული პროცესის შემდეგ, ელექტროენერჯის გაძვირებული ტარიფი გაუქმებულია და გადახდა შეგვიძლია შევწყვიტოთ, მეორენი — ამ გადაწყვეტილებას ჯერ იურიდიული ძალა არ გააჩნია და გადაუხდელობის შემთხვევაში, ენერჯის მონოდებას შეგვიწყვიტენო... კომენტარი, ამ პროცესის ინიციატორს, ლეიბორისტული პარტიის ლიდერს, შალვა ნათელაშვილს ვთხოვეთ.

თაც გადავიხდით იანვარსა და თებერვალში დახარჯული ენერჯის საფასურს. ეს, პრაქტიკულად, არის ხავერდოვანი რევოლუცია, რომელიც ჩვენ მოვხდინეთ საკონსტიტუციო სასამართლოს დარბაზში. ეს არის ჩვენი ხალხისთვის ეროვნული თავმოყვარეობის დაბრუნების დასაწყისი, რომელიც შელახული იყო იმ ხარკით, რომელსაც „ეი-ი-ესი“ და სემეკი გვახდევინებდა. ასევე გაუქმებულია ბინების ფართის მიხედვით, ოჯახებზე ე.წ. მოჭრით დაკისრებული დავალიანებები. აი, ეს არის ამ მოვლენის მთელი ალფა და ომეგა.

— ციფრების ენაზე რომ გადავიყვანოთ თქვენი ნათქვამი, რა სურათს მივიღებთ?

— ტარიფით, თბილისში ერთი კილოვატი-საათი ღირდა 13,7 თეთრი, თბილისის გარეთ კი — 8 თეთრი, ეს მაშინ, როცა ელექტროენერჯის გამოძენა ხდებოდა ზაფხულში, თითო კილოვატ-საათში 1,5 თეთრი, ხოლო ზამთარში — 4 თეთრამდე უჯდებოდა, ე.ი. ტარიფი 4 თეთრზე მეტი არ შეიძლება იყოს. დანარჩენი, ყველაფერი ენერგომედიის ჯიბეში მიდის.

— „ეი-ი-ეს თელასსაც“ კორუფციაში სდებთ ბრალს?

— „ეი-ი-ესი“ არის ერთი თაღლითი კომპანია, რომელიც იყენებს დიდ

დემოკრატიული ქვეყნის, ჩვენი მეგობრის — ამერიკის სახელს. იგი ვირჯინიის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაშია დარეგისტრირებული, 1.000-დოლარიანი საწესდებო კაპიტალით... მაგრამ თაღლითია აგრეთვე ჩვენი ხელისუფლება, რომელმაც თავისნაირი თაღლითი მოძებნა. ამერიკაში არსებობენ სერიოზული ენერგოკომპანიები, ისინი რატომ არ მოიწვიეს? შეიძლება, 1.000-დოლარიანი საწესდებო კაპიტალის მქონე კომპანიას 300 მილიონის ქონება ანდო?!.

— პრაქტიკულად რა უნდა მოჰყვეს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას? აღსრულება როდიდან დაიწყება?

— როგორც გითხარით, ტარიფები — უკლებლივ ყველა, ძველიც და ახალიც — გაუქმებულია 30 დეკემბრის 18 საათიდან! აღსრულება, ანუ გადასახადის გადახდა უნდა დაიწყოს მაშინ, როცა ახალი, დაბალი ტარიფები დადგინდება, ანუ ამა წლის პირველ მარტამდე. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ამას გულისხმობს და არა იმას, რასაც „თელასის“ ლობისტები ამბობენ — პირველ მარტამდე ძველი ტარიფით უნდა გადაიხადოთ. აღარ არსებობს ძველი! კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილების პირველ და მეორე პუნქტებში გარკვევით წერია: ძალადაკარგულად ჩაითვალოს დადგენილებები ტარიფების დადგენის შესახებ, ე.ი. ისინი ბათილი და ძალადაკარგულია, მაშასადამე, ის მოვალეობებსა და ვალდებულებებს აღარ ითვალისწინებს — აქ მოქმედებს რომაული სამართლიდან მოყოლებული, უცვლელი სამართლებრივი პრინციპი და თუ „ეი-ი-ესს“, გარდა ძალად ტარიფებისა, ჩვენში ახალი სამართლებრივი პრინციპების დანერგვა უნდა, ეს მოვლენა უკვე ფსიქიატრიის სფეროს განეკუთვნება...

— ლონდონში, საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილს ვაპირებთო, აცხადებენ...

— სამარცხვინოდ წააგებენ! მე წავალ პირადად იმ საარბიტრაჟო სასამართლოში. დარწმუნებული ვარ, მოვიგებთ,

იმითომ, რომ მათ დაარღვიეს ხელშეკრულება, არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები — თუნდაც, მრიცხველების 12-18 თვეში დაყენება, — დაარღვიეს ქვეყნის კონსტიტუცია და, რაც ყველაზე მთავარია, დაარღვიეს სოციალური სამართლიანობის პრინციპი, როცა მოსახლეობას ხელფასი და პენსია, სულ 15 ლარი აქვს და მას ამერიკულ ხელფასებსა და პენსიებზე გათვლილი დენის ტარიფი დაუწესეს... სხვათა შორის, ბრიტანეთი გაერთიანებულია ევროპის სოციალური დაცვის ქარტიში, რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქვეყანაში დაწესებული გადასახადები უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის საარსებო მინიმუმს.

— არსებობს თუ არა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც, თუ ხელშეკრულება კაბალურია — ე.ი. თუ მასში წინასწარვე, განზრახ არის ჩადებული ისეთი პირობები, რომელიც ერთერთ მხარეს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს, — ის გაუქმდება და მონინალმდევგ მხარეს დაეკისრება ზარალის ანაზღაურება?

— თუ მსგავსი რამ, ორ სახელმწიფოს შორის — ე.ი. საერთაშორისო სამართლის ორ თანაბარ სუბიექტს შორის მოხდა, რა თქმა უნდა, ასეთი ხელშეკ-

რულება ბათილად ჩაითვლება მისი გაფორმების დღიდან. მაგრამ ამ შემთხვევაში, ეშმაკობასთან გვაქვს საქმე: აქ სახელმწიფომ გაუფორმა ხელშეკრულება კერძო სამართლის სუბიექტს, კერძო ფირმას — „ეი-ი-ეს“. აქედან გამომდინარე, კონტრაქტი საერთაშორისო სამართლის დოკუმენტს არ წარმოადგენს. ამიტომ, როგორც და შავა ჩვენმა სახელმწიფომ, თვითონვე უნდა გამოასწოროს საკუთარი შეცდომა: დააბრუნოს ენერგეტიკა სახელმწიფო გამგებლობაში და აღადგინოს კონსტიტუციური სამართლიანობა. თუ ეს არ მოხდება 6-7 თვეში, გპირდებით, რომ ამას ჩვენ გავაკეთებთ პარლამენტში, ამა წლის ოქტომბერში.

— სემეკის მესვეურთა აზრით, „ეი-ი-ეს თელასთან“ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ტარიფის შეცვლა შეუძლებელია...

— ამიტომაცაა ეს ხელშეკრულება გასაუქმებელი და ამიტომ ვაყენებდით ამ საკითხს კონსტიტუციურ სასამართლოში. გარდა ამისა, სემეკის მიმართ, ელიზბარ ერისთავის მიმართ ოთხი საქმეა აღძრული პროკურატურაში, იმ სისულელეების გამო, რასაც იგი ამბობს. რას ჰქვია, შეუძლებელია?! საკონსტიტუციო სასამართლომ მათ პირდაპირ დაავალა, რომ დაადგინონ მოსახლეობის სოციალური პირობების შესაბამისი ტარიფი. მე კი მათ ვურჩევ — არასოდეს იფიქრონ დენის გაძვირებაზე ან ძველი ტარიფის დაბრუნებაზე. მოვა დრო და ყველა კანონის წინაშე აგებს პასუხს. პასუხი მოეთხოვებათ აგრეთვე, პრივატიზაციის კანონზე ხელის მოწერ პრეზიდენტს და მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარესაც, რადგან კონსტიტუცია დაარღვიეს და პრივატიზაციის კანონში, სტრატეგიული ობიექტებიც შეიტანეს გასაყიდი ობიექტების ნუსხაში.

— მიუხედავად იმისა, რომ „სემეკი“ ერთ-ერთი ყველაზე „პოპულარული“ სიტყვაა ჩვენს მოსახლეობაში, უმრავლესობისათვის მაინც გაუგებარია მისი ფუნქცია და დანიშნულება. თქვენ რა აზრისა ხართ ამ უწყებაზე?

— მოგესხენებათ, „სემეკი“ ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, თუმცა, არაფერი ეროვნული მათ არ გააჩნიათ

და არც ერისთავს აქვს რაიმე ერისთავური. „თელასის“ გაყიდვით, სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობა მოსახლეობის ენერგომომარაგებაზე და ეს საქმე გადააბარა კერძო ინვესტორს და ახლა გვეუბნება: თუ დენი არ გაქვთ, რა ჩემი საქმეა? — მიაკითხეთ აგერ „ეი-ი-ეს თელასსო“. ეს უკანასკნელი კი — რა თქმა უნდა, არასწორად! — გააიგივეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამიტომაცაა, რომ მათ ვერაფერ ვერაფერს უბედავს, ზოგიერთები რომ ვაკეში სახლის საძირკველს მიადგენ და დაანგრევენ, რა თქმა უნდა, ესეც სამართლიანობისთვისაა, მაგრამ მისდგომოდნენ „ეი-ი-ესს“... არა, ემინათ, გრანტები არ დაგვარგოთ, ვინმე არ გავანაწყინოთ... სემეკი შეიქმნა იმისთვის, რომ პარლამენტს არ დაჰკისრებოდა ტარიფის დადგენა და ამომრჩეველი მათ არ მისდგომოდა პასუხისთვის. წამოიღვინეთ — ჩვენი პარლამენტი განსაზღვრავს ტუალეტის ქალაღის საბაჟო და საგადასახადო გადასახადებს, სალექტი რეზინის ტარიფს, კბილის პასტის ტარიფს და ელექტროენერგია თურმე, პარლამენტის საქმე არ ყოფილა.

— გამოდის, რომ ეს, უფრო მეტად მიეკუთვნება სტრატეგიული დანიშნულების საკითხთა წრეს, ვიდრე ენერგია...

— რა თქმა უნდა — სალექტი რეზინი, ტუალეტის ქალაღი და ასე შემდეგ, ძალიან ბევრი პარლამენტარისთვის სტრატეგიულია, რადგან დიდი ფული მოაქვს მათთვის.

— სემეკზე ვსაუბრობდით...

— პრაქტიკულად, სემეკი არის სახელმწიფო სახელმწიფოში. გარდა იმისა, რომ იგი ადგენს ტარიფებს, იძლევა ვაზისა და ელექტროენერგიის გამოძუშაგებისა და რეალიზაციის ლიცენზიებს, მას აქვს კანონის მიღების უფლება, აკელაციის უფლება, სასამართლოს უფლება, დამსჯელი ორგანოს უფლება — მაშინ, როდესაც ხელისუფლების განაწილების არც ერთ შტოში არ არის მოქცეული — არც მთავრობაა, არც პარლამენტი, არც სასამართლო და პრაქტიკულად, წარმოადგენს რაღაც ოკუპანტურ ინსტიტუტს. რას აკეობდა დამპყრობელი საქართველოში? ხარკს ადებდა ქვეყანას, ხომ? „ეი-ი-ესიც“ ასე იქცევა — შემოვიდა, დაგვადო ხარკი და ამ ხარკის მეთვალყურედ დანიშნა სემეკი...



„გაუყალბებელი არჩევნების პირობებში, 7%-იანი ბარიერის გადალახვა ყველას გაუჭირდება“

— ენ. „დემარშისტების“ გაერთიანების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზურაბ ჟვანიას გუნდის, „ქრისტიან-დემოკრატების“, „ახლების“ და „ნაციონალების“ გაერთიანების მიღმა, ბადრი პატარკაციშვილი დგას. ამან პოლიტიკური სპექტრი გვარიანად შეაშფოთა. აღშფოთება ვერ დაფარა პრეზიდენტმა შევარდნაძემაც და პატარკაციშვილს მეგობრულად ურჩია — აქტიურ პოლიტიკაში არ ჩაერთო. როგორ იქნება თქვენი კომენტარი ამ მოვლენებზე?

ვიპ ნოღია, ექსპერტი:

— როგორ გითხრათ, აბსოლუტურად არაპროგნოზირებადი დღევანდელი პოლი-

ტიკური ვითარება, თუმცა, ახლაც შეიძლება ითქვას, რომ წლეულს, მეტარჯვენობა-მე-მარცხენეობისა და იდეების მიხედვით, ძალები არ განაწილდებიან. როგორც იცით, წინ არის საპარლამენტო არჩევნები და გადამწყვეტი იქნება, ვინ ეტყვის სიმართლეს ამომრჩეველს და ვინ — არა. ამ ეტაპზე კი, პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტიები და პოლიტიკური ძალები, ფაქტობრივად, უკვე გამოიკვეთა. ვეულისნობი „მოქალაქეთა კავშირს“ და „სოციალისტებს“. არ გამოვიცხავ, რომ მათ რიგებში აღმოჩნდნენ „ქრისტიან-დემოკრატებიც“ და „მრეწველებიც“. თუმცა, „მრეწველები“ ვერ კიდევ ფიქრობენ... რაც შეიძლება, გოგი თოფაძის საპრეზიდენტო ამბიციებითაც აიხსნას. პრინციპში, დღეს მინც არავინ იცის, არჩევნების დროს, ვინ რა პოზი-



ციას დაიკავებს. როგორც ყოველთვის, მაშინაც დიდი ვაჭრობა და გადაჯგუფება-გადმოჯგუფება დაიწყება, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, „მოქალაქეთა კავშირი“ 7%-იანი ბარიერის გადალახვას ნებისმიერ შემთხვევაში შეძლებს! გაუყალბებელი არჩევნების ჩატარების პირობებში კი, ყველამ კარგად იცის, რომ ეს ძალიან გაუჭირდება... ■



„ერთი რამეა მაქვს გასარკვევი — კონკრეტულად, ვინ შეასრულა მკვლევრობა...“

ონი“, ამიტომ ხართ განანწყენებული მასზე თუ მართლაც გაქვთ უტყუარი მტკიცებულებები „ნაციონალების“ წინააღმდეგ?

ჯაბა იოსელიანი, „მხედრონიის“ ლიდერი:

— როგორ, რა — ტყვილს ვიკადრებდი ამხელა კაცი?! შეიძლება, რომ გაბრძნობისთვის ჩემ მიერ გადაცემულ მასალებს შესაბამისი იურიდიული „გაფორმება“ აკლია, მაგრამ სამხილები უტყუარია! არანაირი წყენა და ბოღმა სააკაშვილის მიმართ არ მალაპარაკებს. თუმცა, დაზუსტებით არც იმის თქმა შემიძლია, იყო თუ არა საქმის კურსში თვითონ სააკაშვილი, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ზარანდიას მკვლელობა სწორედ „ნაციონალური

მოდრაობის“ აქტივისტების ჩადენილია. თუ ხელისუფლება ჩემს მასალებზე დაყრდნობით გამოძიებას სწორი გზით არ წაიყვანს, მაშინ ვიფიქრებ, რომ ეს მკვლელობა „ნაციონალების“ და ხელისუფლების ერთობლივი ნამოღვაწარია. ყველაფერი კარგად ვიცი, რაც მოხდა და მალე ვიტყვი იმ ყველაფერსაც...

ეს ვერსიის დონეზე კი არ ვიცი — ყველაფერი დამტკიცებული მაქვს. ერთი რამეა მაქვს გასარკვევი — კონკრეტულად, ვინ შეასრულა მკვლევრობა. თუმცა, დაახლოებით ვიცი, სად უნდა ვებძო ის პიროვნება. სხვათა შორის, ნარჩემამშვილსა და გაბრძნობის ისიც ვუთხარი, რომ თუ არ დაიწყებენ გამოძიებას, მე თვითონ დავიწყებ გამოძიებას... ■

— როგორც განაცხადეთ, საბუთები, რომელიც გენერალურ პროკურორს გადაეცით, ცხადყოფს ბადრი ზარანდიას მკვლევრობაში „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტთა მონაწილეობას. თავის დროზე სააკაშვილმა რეგისტრაციაში რომ არ გაატარა „მხედრო-

„თუ ვინმე უნდა გვეხმარ, ეს ედვარდ სურამანიძე იყო...“

— ბატონო ჯემალ, რას იტყვით მავანთა მიერ თქვენი ტერორისტად შერაცხვის შესახებ? ჯაიანის საცემრად მართლა დაიქრავთ ოსები და ჩეჩნები?

ჯემალ გოგიტიძე, „აღორძინების“ ლიდერი:

— ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „აღორძინება“ შავ ძალად წარმოაჩინოს. ახლა იმას მატარავენ, თითქოს ხალხი დავიქრავ და დიმა

ჯაიანი მე ვაცემინე. ჯაიანი გულზე არასდროს მეხატებოდა, მაგრამ ის, რასაც ამბობენ, უბრალოდ, აბსურდია და მეტი არაფერი. თურმე ორი ჩეჩენი და ორი ოსი დავიქრავ. კი, მაგრამ მინც რატომ დავიქრავებდი ორ ოსსა და ორ ჩეჩენს? თუ დავიქრავებდი ან მთლიანად ოსებს დავიქრავებდი, ან ჩეჩნებს. ისე კი, ჩეჩნები და ოსები ერთმანეთს ვერ იტანენ. თანაც, თვითონ ჯაიანის ცოლმა განაცხადა — ჩემი ქმარი ორმა კაცმა სცემაო. ჩვენ შორის

უთანხმოებაც იყო, კამათიც ბევრჯერ ყოფილა, მაგრამ მისთვის უკადრებელი არასდროს მიკადრებია. თუ ვინმე უნდა გვეცემა, ეს ედვარდ სურამანიძე იყო — „აღორძინების“ წყლობით რომ გახდა პარლამენტარი, მერე კი, მერკანტილური ინტერესების გამო, სხვა ძალას მიეკედლა. აბა, იკითხეთ, ოდესმე გვიცემია სურამანიძე?! არა! ჯაიანი თავად ხელისუფლებამ გაალაზვინა, რათა ეს ამბავი მერე ჩვენთვის დაებრალეხინა... ■

„როცა ადამიანი ეკლესიისკენ სულ პატარა ნაბიჯს მიაჩნდგამს, მას ღმერთი აუცილებლად ეხმარება. ღვთის ნება რომ არ ყოფილიყო, ჯიმა შაკაია დღეს, მამა ანთიმოზი ვერ გახდებოდა“, — მითხრა ჩემმა რესპონდენტმა. ჯიმა შაკაია ბევრისთვის მიუღებელი ცხოვრებით ცხოვრობდა. ბევრის თვალში კი — დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და ვაჟკაცი კაცის სახელი შქონდა. მთაწმინდაზე, დამოუკიდებლად გაზრდილი ბიჭისთვის, არც ციხე და დამნაშავეთა სამყარო აღმოჩნდა უცხო. ხუთჯერ ნასამართლევი ჯიმა შაკაია, ორი შვილის მამა გახლდათ. დღეს არც ერთი აღარ ჰყავს — გიორგიც მოუკლეს და ზურიკოც ბატონ ჯიმას... ცხოვრება მკაცრი აღმოჩნდა მის მიმართ. ვინ იცის — იქნებ, სწორედ წარსული ცხოვრებისთვის მიეზლო მას ასე მწარედ...



ჯიმა შაკაია

გზა სკანაბიდან — სანთელ-საკმეველამდე



მამა ანთიმოზი

უკვე მათე წელია, ბატონი ჯიმა ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობს. დღეს ის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ბერი ანთიმოზია. მის ოთახში, ტყვიანაწილისა და ღვთის სუნის ნაცვლად, სანთელ-საკმეველის სურნელი ტრიალებს. როგორ გაიარა ცხოვრების ეკლიანი გზა და როგორ მოვიდა აქამდე — მამა ანთიმოზი თავად გვიამბობს.

ნიმუ მკვლევარი

— ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობდი. ისე, როგორც სამამულო ომის შემდგომი პერიოდის სხვა მოზარდები. მშობლები მუშაობდნენ და ჩემთვის თითქმის არ ეცალათ. დამოუკიდებლად ვიზრდებოდი ქუჩაში. კი ამბობენ — ქუჩა ქუჩააო, მაგრამ თბილისის ქუჩა, მაინც უპრეტენდენტოა მთელ მსოფლიოში. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე იყო. 16-17 წლის ბიჭები ვიყავით. ტერიტორიებს ვიყოფდით. პლენანოველი ჩვენთან ვერ მოვიდოდა, ჩვენ პლენანოვზე ვერ ჩავდიოდით — ჩხუბი მოგვდიოდა ერთმანეთთან.

რა მოგვითქვამს ქუჩაში? როგორ ფიქრობთ — აუცილებელია, მამაკაცმა ქუჩის სკოლა გაიაროს?

— ამის მომხრე არა ვარ. არც მაშინ იყო საჯარო სკოლა, მაგრამ თვითონ ცხოვრებამ მოიტანა ასე. „ბირჟები“ იყო უბანში. იქ ვიდექით. ცოტა სხვანაირად ჟღერს თვითონ სიტყვა — „ქუჩა“, თორემ, ვაჟკაცობის მაგალითს ბევრი იქიდან იღებს. დაუშვავთ, ქუჩაში საცოლესთან ერთად მოდიხარ და შეურაცხყოფა მიაყენებს შენს რჩეულს. ბოდიშს ხომ არ მოიხდი —

ქუჩის სკოლა არ გამივლია და პასუხს ვერ გავცემო?.. თუმცა, ვაჟკაცობა, პირველ რიგში, ადამიანობიდან მომდინარეობს. შეიძლება, სულ არ მდგარხარ „ბირჟაზე“, მაგრამ ვაჟკაცი ბიჭის სახელი გქონდეს.

უბანში თუ გიცნობდნენ, თქვენს თანმხლებ გოგოსაც არ მიაყენებდნენ შეურაცხყოფას — ეს გინდათ თქვამთ?..

— ეს საკითხი უმაღლეს ღონეზე იყო აყვანილი. ასეთი შეცდომა, თითქმის სამშობლოს ღალატს უდრიდა. წარმოიდგინეთ, ჩვენი უბნელი გოგონას წყალობით, მისი შეყვარებული ჩვენიანი ხდებოდა. ძალიან თბილი და ოჯახური ურთიერთობა გქონდა უბნელებს... შემდეგ წამოვიზარდეთ. ყველაფერმა გადაიარა, მაგრამ ჩხუბის ჟინი მაინც შემომჩნა: ვიღაც შეურაცხყოფას მოგაყენებს, ვერ მოითმენ, იჩხუბებ. მერე, იმას პატრონი გამოუჩნდება... მოკლედ, ასეთი რამის გამო მოვხვედი პირველად ციხეში. ციხეს, მოგეხსენებათ, თავისი წესები აქვს — დაუწერელი კანონები. შენც არ გინდა, პოზიციები დათმო. არადა, უფრო დიდ სიძნელებს აწყდები. პატიოსან და ვაჟკაც კაცს იქაც სცემენ პატივს. ამიტომ უმეტესად, უფროსებს ვბაძავდი. ციხეში რას ვისწავლიდი (ან ახლა რას სწავლობენ), კარგად მოგეხსენებათ. რომ გამოვედი, ქუჩაში ჩემდამი პატივისცემას ვგრძნობდი. რადგან იქიდან გამოსული, პრესტიჟული პიროვნება ხდები.

როგორ ფიქრობთ, თუნდაც საკუთარი გამოცდილებიდან — რას აძლევს ციხე ადამიანს? და კიდევ — რით იმსახურებს ციხეში ნაჯდომი კაცი გარშემომყოფთა პატივისცემას?

— ცალკეულ ადამიანში არის საწყისი სიკეთისა და ბოროტისა. პრინციპში, ციხეში თავისი პირობებით ბოროტებისკენ უფრო უნდა გადასძლიოს პიროვნება. თუმცა, მას ერთი დადებითი რამ ახასიათებს: ციხეში მობილიზებული ხარ, დამოუკიდებელი ხარ, დამაბული ხარ. იქ დახმარებას არსაიდან ელი. რომც კვებოდე, წამალსაც კი არავენ მოგცემს. „შიშველი“ რჩები, ყოველგვარ მზრუნველობას მოკლებული. დამოუკიდებლად ცხოვრებას სწავლობ — თან, იმისთანა საშინელ პირობებში, როგორი პირობებიც ციხეშია... არ არსებობს სიტუაცია, სადაც არ შეიძლება, ადამიანმა კარგიც ისწავლოს და ცუდიც. თვითონ პიროვნებაზე დამოკიდებული — როგორი ნებისყოფის, რა მსოფლმხედველობის ადამიან-

ია. როგორი ვაჟკაციც ხარ, ისე მოიქცევი ყველა სიტუაციაში. რაც ჭარბობს შენში, იმას ამჟღავნებ განსაცდელის და გაჭირვების ჟამს. არ არის სწორი მიდგომა, რომ ციხე ავაჟკაცებს აღამიანს. არიან პიროვნებები, რომლებსაც მოუპარავთ, მოუკლავთ კიდევ, მაგრამ ციხეში არ მჯდარან. რაც შეეხება იმას, თუ რატომ სცემენ პატივს ციხიდან გამოსულ აღამიანს – ეს იმის გამოა, რომ ამ პიროვნებამ სასჯელი მოიხადა, ტანჯვა გადაიტანა და თუ ძლიერი პიროვნებაა, დასკვნებიც თვითონ უნდა გააკეთოს...

— როგორც ვიცი, მამათქვენი მილიციაში მუშაობდა. არ დაგეხმარათ, არ უცდია ციხიდან თქვენი დახსნა?

— „ენ-კა-ვე-დე“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. — ავტ.) იყო მაშინ, იქ მუშაობდა მამა... დამიხსნიდა კი არა — საერთოდ დაანება სამსახურს თავი, პირველად რომ დამიჭირეს. ჩემი შვილი ვერ გამომიხსნობო და სხვისი როგორ გამოვასწორო?! — უთქვამს. სიკვდილამდე ხმა აღარ გაუცია ჩემთვის...

— სამართალდამცავებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით საინტერესო შემთხვევას ხომ ვერ გაიხსენებდით?

— წყობა იყო ისეთი — ან „გავარვარებულნი“ პარტიული უნდა ყოფილიყავი, ან მილიციასთან შეკრული. სხვანაირად არ გაგახარებდნენ... რა ურთიერთობა უნდა მქონოდა მათთან? წარმოიდგინეთ, მე ვიცი, რომ უნდა დამიჭირონ, იმათ იციან, რომ უნდა მდიონ... ამიტომ, მე სულ გავრბოდი, ისინი სულ მომდევდნენ. თუმცა, უხილავი ურთიერთობა და პატივისცემა ვაჟკაცი ბიჭების, მაინც იყო ორივე მხრიდან. მაშინ ხელს ვინ დაგარტყამდა? — გამორიცხული იყო. დაგარტყამდა და „აბრატკას“ აძლევდი (ხურდას უბრუნებდი) მაშინვე. დღეს აფექტში დედა რომ შეაგინო პოლიციელს, მოგკლავენ. განუკითხაობაა, მაშინ მილიციელების ას პროცენტს თუ არა, ორმოცდაათს მაინც სწამდა, რომ მისი მოვალეობა დამნაშავეს გამოსწორება იყო... აღამიანური ურთიერთობა გვქონდა მათთან. მილიციის უფროსთან ერთი ერთზეც მიჩნუბია მილიციაში, როგორც ვაჟკაცს, ვაჟკაცთან... ქუჩაში მთვრალეები შევხვდით ერთმანეთს. ძველი კონფლიქტები გავიხსენეთ (სახელსა და გვარს ვერ გეტყვით — დღესაც მუშაობს პოლიციაში). მითხრა — თუ ვაჟკაცი ხარ, წამოდი, ერთი ერთზე ვინუბოთო. მეც „ავვარდი“ და მილიციაში გავეყვი. იქ თანამ-

შრომლებმა წრე გააკეთეს და წავიდა მამაპაპური ჩხუბი. მე კარგად ვჩხუბობდი, მაგრამ არც ის იყო ჯაბანი. ეგონა, მოვერევი და ვცემო, რომ შეატყო, მაგრამ დაფუღექი და ბოლოს, პერანგიც შემოვახიე, ჩხუბი შეწყვიტა და დამსწრეთ მიუბრუნდა: ხომ ხედავთ — „საროჩკა“ დამიხიაო!.. ყველა იმშუშნებოდა, არავის უნდოდა, მოწმედ დამდგარიყო. მიხვდნენ რომ მათ აჭერინებდა ჩემს თავს. არავის უნდოდა ამ არაკაცურ საქმეში მონაწილეობა. ბოლოს, ეტყობა, მორიგეც ხედივთ ორგანოში დარეკა. ჩამოვიდნენ თემურ ზარანდია და ნუგზარ ფოფხაძე (კლათბურთელი), გვერდზე გაიყვანეს და მაგრად შეჯორეს. მაშინ მილიციელებს შორისაც იყვნენ ვაჟკაცები. დღეს, ნაკლებად თუ ნახავთ ასეთს. ფულით და სასამართლოთი წყდება ყველაფერი: „შენ მე რაღაც მაკადრე? წამოდი სასამართლოში, გადამიხადე ამდენი...“ ცუდად ხვდება ყურს. თან, ამ დროს, კაცობაზე ღებენ თავს...

— მაშინაც „ძალებს“ ეძახდნენ მილიციელებს?

— ჰო, ეძახდნენ და მე დღემდე მიკვირს, რატომ? განა, არსებობს ძაღლზე ერთგული არსება აღამიანისთვის?!

— ალბათ კანონიერ ქურდებს ციხეშიც პატივს სცემდნენ. რას ვერ გაუბედავდა მათ მილიციის თანამშრომელი?

— მილიცია მაინც სახელმწიფო იყო და ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა. ავტორიტეტი თითოეულ საკანში სიტუაციას აკონტროლებდა. იქ არ არსებობს ბარიერი ძლიერსა და სუსტს შორის. მაშინ მთავარი იყო, რომ ყოფილიყავი მართალი და პატიოსანი.

— ე.ი. მილიციას ხელს აძლევდა ის, რომ თითოეულ საკანში ერთი ავტორიტეტი მაინც ყოფილიყო?

— რა თქმა უნდა. როგორც ვეძი უკაბიტნოდ, ასევე ციხე უავტორიტეტოდ. არ არის აუცილებელი, ის კანონიერი ქურდი იყოს — მთავარია, მის სიტყვას ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ.

— რუსეთში როგორ იღებდნენ ქართველ პატიმრებს? იქ

„ამა ანთიმომმა შვილების მკვლელობაზე საუბარს თავი აარიდა“

ვინღა იცავდა მათ პატიოსნებას?

— მე არ ვყოფილვარ რუსეთში, 5 წელზე მეტი არ მოუსჯიათ ჩემთვის, მაგრამ ვისაც იქ ავზავინდნენ, ვიცი — კარგი დღე არ დაადგებოდათ; იქ როცა ხედავდნენ ქართველ პატიმარს, რომელიც კარგად გამოიყურებოდა, ყველანაირად უქმნიდნენ ДУХОТА-ს — ჰაერს უნუზობდნენ. ასეთ სიტუაციას თუ გაუძლებდა, ეს გმირობის ტოლფასი იყო. ვინც ვერ უძლებდა, იმათი ხდებოდა... ბიჭები, რომლებიც აქ უბრალო, ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, იქედან „კარგი ბიჭების“ სახელით ჩამოსულან (ან აღარ ჩამოსულან)... გამორიცხულია, რომ იქ ვინმეს საქართველო, თბილისი შეაგინებინო. გადაკრული ნათქვამიც არ უნდა აპატიო, იმიტომ, რომ ერთხელ თუ გაგიბედავენ, მეორედ უარესს გაკადრებენ...

— მომიყვით რაიმე ისეთი, ციხის ცხოვრებიდან, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებად შემორჩა თქვენს მეხსიერებას.

— პლენანოველი მეგობარი მყავდა, მიშკა კოლუა. თავიდან, კონფლიქტები გვქონდა, ტერიტორიების გამო. მერე დავახლოვდით... სამმართველოდან („კა-პე-ზე“-დან — წინასწარი დაკავების საკნიდან) თბილისის ციხეში გადამიყვანეს. მალე კარცერში მოვხვდი, მიშკა გვერდით საკანში იჯდა. აბა, იქ მეგობრის ნახვა როგორ უნდა გაგიხარდეს? მაგრამ ჩვენს სინარულს საზღვარი არ ჰქონდა, ერთმანეთი გვერდიგვერდ საკანში რომ აღმოვჩინეთ. ის ღამე თითქმის გავათენეთ. კედელი კი გვეყოფდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია. ვილაპარაკეთ დალამდე. „ახალი“ ვიყავი და ყველა სულგანაბრული მისმენდა. მეორე წელი იყო, მიშკა



სასამართლოს ელოდა, თხუთმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ, გათავისუფლდა. ორი თვეც არ გასულა, ისევ შეაბრუნეს ციხეში. წინ ისევ თხუთმეტს ელოდა: გარეთ გამოსული, ნაცნობებმა წაიყვანეს ვიღაც „ბობოლასთვის“ ფულის „დასაწერად“. მათ მიშკას სახელი უფრო სჭირდებოდათ. ბოლოს, ისე მოხდა, რომ ყველა გარეთ დარჩა, ის კი ციხეში აღმოჩნდა... ბევრი ვილაპარაკეთ. ყველაფერი დაწვრილებით მოუყვები... მეორე დღით, „აბედ!“ – დაიძახა ზედამხედველმა და მჭავე კომბოსტოს ბორშიის სუნი დატრიალდა. კარცერში ასეთი წესია – დღეგამოშვებით გაძლევენ საჭმელს. მე, როგორც წინა დღის მიყვანილს, არაფერი მერგებოდა... გვერდით მიშკას „კარმუშკა“ გაიღო. მისი ხმა მომესმა, თუმცა ზედამხედველს ხმადაბლა ელაპარაკებოდა: „საბირ! კაი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, რამდენი წელია, აქ ვტრიალებ, შენც კარგა ხანია, აქ მუშაობ. შენთვის არაფერი მითხოვია. გვერდით, ძმაკაცი მოიყვანეს, 12 დღე სამმართველოში ჰყავდათ. ვთხოვ, იყავი ადამიანი – ჩემი ულუფა მაგას მიუტანე, ოღონდ არ უთხრა, რომ ჩემია“. საბირამ უარი უთხრა. მიშკაც ადგა და ის თავისი ულუფა საბირას შეასხა. ატყდა ერთი ამბავი, მაგრამ რა უნდა ექნათ? – 15 წელს ელოდებოდა მიშკა. ამ მჭავე ბორშიისთვის ზომ ვერ დახვედრდნენ?! მეც სოლიდარობა გამოვუცხადე. სანამ მე იქ ვიყავი, არც მე და არც მიშკას საჭმელი არ აკვილია. სამი დღის შემდეგ, მიშკა გაიყვანეს კარცერიდან. მაფიცა: ჯიმა, ავდივარ, გამოართვი საჭმელი, თავი არ დაიაყადმყოფო. დავპირდი, მაგრამ პროტესტი ბოლომდე გავაგრძელე... რამდენიმე ხანში, გავთავისუფლდი. მიშკას აღარ შევხვედრივარ. გავიგე – 15 წელი მიუსჯიათ. ცოტა ხანში კი გარდაცვლილა. ჩემში, ახლაც გაოცებას იწვევს მისი, მართლაც რომ დიდი ბუნება. სულ ციხეებში იჯდა. გაჭირვებამ სულიერად ვერ გატეხა. მიშკა აკადმყოფობდა, ფილტვები აწუხებდა. ერთი ნაჭერი პურიც საქმე იყო მისთვის, მაგრამ ამჯობინა, რომ სხეული დაეთრუნა, ოღონდ მეგობრობაში არ ჩაჭრილიყო... მომხდარის შემდეგ ყოველნიუნანს ვუკვირდები. ვცდილობ, შეუცდომელი ვიყო ურთიერთობაში.

როგორ ფიქრობთ არიან დღეს კიდევ ასეთი ადამიანები? საითკენ შეიცვალა ჩვენი ცნობიერება?

– ერთ ამბავს მოგიყვებით: წელიწადში ერთხელ, მთავარანგელოზი მიქაელი (უფლის დაშვებით) ფრთას ჩაყოფს ხოლმე

ჯოჯოხეთში. ამ ფრთას ცოდვილნი დაეკიდებიან, ოხვრა-კენსით და იმედით, რადგან იმ დღეს, მთავარანგელოზს, მხოლოდ ერთი ცოდვილი აჰყავს სამოთხეში, – ალბათ ის, ვისაც ამქვეყნიდან შეწვენა აქვს, ვისთვისაც განუწყვეტილად ლოცულობენ მისიანები. ერთხელაც, ჩაყოფრთა ანგელოზმა, დაეკიდნენ ცოდვილები. ამოწვევისას მხოლოდ ერთი შერჩა, მაგრამ მერე, ანგელოზმა დაინახა, რომ მას მეორეც ჩასჭიდებოდა ფეხში... გადარჩენის სურვილი იმდენად დიდი იყო იმ მეორეში, რომ ანგელოზმა გადაწყვიტა, ორივე ამოეყვანა. მაგრამ რა მოხდა? – პირველმა მეორეს ფეხი ჰკრა და ისევ ქვესენელში გადაუძახა... ანგელოზი შეძრა ადამიანის სისასტიკემ, ფრთა დაიფერთხა და ისიც ჩავარდნილს მიაყოლა უკუენით... აი, ასე შეიცვალა ბევრი ცნობიერება. მარტო მეო – სხვას კი... ღმერთმა გვასწავლა რა არის ბოროტება და სიკეთე. ცნობიერებას ის წრე აყალიბებს, რომელშიც თვითონ პიროვნება ყალიბდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რადგან მე და მიშკამ მთელი ცხოვრება ციხეში გავატარეთ, ცნობიერება დაგვიმანინჯდა. თუმცა, საზოგადოებისთვის მიუღებლები ვიყავით.

რატომ? – თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოებრივ ნორმებს არ ვიცავდით. არ შეესაუფლავართ კომკავშირში, არ ვუსმენდით რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს, არ დავდიოდით „მარშიროვკებზე“ და ა.შ. ყველა ამბობდა ჩვენზე: ქუჩის ბიჭები არიან, მაგათი ბოლო ციხეაო...

– თქვენი ბოლო მაინც არ აღმოჩნდა ციხე. ასეთი ცხოვრების შემდეგ, რატომ გადაწყვიტეთ, ეკლესიისკენ აგელოთ გეზი?

– ბოლო პატიმრობიდან რომ გავთავისუფლდი, თბილისში არეულობა დაიწყო. ჩემს უბანში, ჩემ თვალწინ მოხდა 9 აპრილი, სამოქალაქო ომი... იქ შიმშილობდნენ ბავშვები. დიდ მონაწილეობას არ ვიღებდი, მაგრამ მიხაროდა, რომ „ადი-ალას“ მაინც ვუსწორებდი და „შვილოს“ მაინც ვეუბნებოდი იქ მოშიმშილე სტუდენტებს... ამ ეთფორიამ რომ ჩაიარა, თბილისში ისეთი რამეები ხდებოდა, მეც რომ გამიკვირდა. მე ვინ ვარ? პირველი დამნაშავე – ლაკი ლუჩიანო რომ ამდგარიყო საფლავიდან და ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა, თმა ყალბზე დაუდგებოდა. ერთმანეთის ჩახოცვა დაიწყეს ვიღაც-ვიღაცებმა. იქით ვხედავ – გუშინ „კარგი ბიჭი“ რომ მეგონა, დღეს ფორმა აცვია; ვიღაცამ ვიღაცას აწყენინა და ოჯახთან

ერთად ჩაცხრილეს; ვიღაც, მეზობელთან ერთად იღვა და ისიც მიაყოლეს... ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა ზოგიერთების საქციელი. ამან სულით ხორცამდე შეძრა. თბილისში ცხოვრება შემჯავრდა. მონასტერში წავედი ახლობელთან. მანამდე, ჩემი რელიგია სანთლის ანთება და საეკლესიო დღესასწაულზე ქეიფი იყო მხოლოდ. მაგრამ ადამიანი ნაბიჯს რომ დგამს, მით უფრო ამ მიმართულებით, ღმერთი ესმარება უთუოდ. ღვთის ნება რომ არ ყოფილიყო, დღეს ჯიმა შაკაია, მამა ანთი-მოზი ვერ გახდებოდა. მეათე წელი დაიწყო, რაც აქ ვარ.

– არ გაგიჭირდათ, დამნაშავეთა სამყაროდან, ეკლესიურ ცხოვრებაზე გადასვლა?

– როგორ არა? – მე ახლაც მიჭირს. ადამიანები უძლურები ვართ. 50 წელი ისე ვიცხოვრე და 8-9 წელში იმდენი რა უნდა შეცვლილიყო?! ბრძოლაა ეს ცხოვრება. არ არის ადვილი.

– მამაო, უცოდველი ადამიანი, არ არსებობს. თქვენ ყველაზე დიდი, რა ცოდვა ჩაგიდენიათ? რა განუხებთ ყველაზე მეტად?

– ბევრს, ყველაზე დიდი ცოდვა კაცის კვლა ან მეძაობა ჰგონია. ზოგიერთი ძველი ყჩაღი ან მეძავე, თავისი მონანიებით, წმინდანი გამხდარა. ყველაზე დიდი ცოდვა, ამპარტავნობაა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე მეათე წელია ეკლესიაში ვარ, ვერ ვიტყვი, რომ სრულყოფილი ბერი ვარ. მე უბრალოდ, ასეთი ცხოვრება ავირჩიე. რასაკვირველია, ბევრი ცოდვა მაწუხებს. უბრალოდ, დღეს ჩემს ცოდვებს მოძღვარს ვეუბნები. დღეს ფიქრიც ცოდვაა ჩემთვის. ერისკაცი რომ ვიყავი, ვის ეცალა ფიქრისთვის?! დღეს ვზივარ ამ ჩემს პატარა ოთახში და ფიქრიც არ შემიძლია...

P.S. მამა ანთიმოზმა შეიღების მკვლელობაზე საუბარს თავი აარიდა. მივხვდი, წარსულის განხილვას, დიდ ტკივილამდე მიჰყავდა ჩემი რესპონდენტი და აღარ ჩავაცვივდი. ერთი კი შევიტყვე: ზურიკო, გოგონას სიყვარულის მსხვერპლი გამხდარა, გიორგი კი, მის მეგობართან – ირაკლი ფირცხალაიშვილთან ერთად მოუკლავთ თბილისის ერთ-ერთ კაფეში 2000 წელს...

აი, ასეთია ჯიმა შაკაიას ცხოვრების გზა – ციხიდან ეკლესიამდე, გზა, ტყვიაწამლიდან – სანთელ-საკმეკლამდე, გზა ციხის საკნიდან – ეკლესიის სამრეკლომდე. გზა, ცოდვებითა და კეთილი საქმეებით სავსე...



6060 ჩაპახიშვილი

ჯერ კიდევ ორიოდე თვის წინ, ახალგაზრდა მოძღვრალი ვერიკო ტურაშვილი თამამად აცხადებდა: ეს გული უკვე დაპყრობილია, შეყვარებული ვარო. საერთოდ ემოციური მოძღვრალი, რომელსაც საკუთარ თავზე საუბარი თურმე მაინცდამაინც არ უყვარს, სიყვარულმა საოცრად შეცვალა და ალაპარაკა კიდევ: სიყვარული საოცარი გრძნობაა, მას შედეგ, რაც შემეყვარდა, ვატყობ, რომ სტუდიაში სულ სხვა განწყობით შევიღვარ და სიმღერებსაც სხვა განწყობით ვწერ; ყველაფერი შეიცვალა, მე და ჩემი გულისმპყრობელი სიყვარულის წყალობით ერთმანეთის ტყვეებად ვიქცეითო, - ამბობდა ახალი წლის დადგომამდე, რამდენიმე ხნით ადრე... ვერიკო იმასაც თავდაჯერებით აცხადებდა - ჯერ ოჯახის შექმნას არ ვაპირებ, სამისოდ მზად არა ვარო, - მაგრამ როგორც ჩანს, გადაიფიქრა - „ქმრის ტყვეობისთვის“ მაინც გაიმეტა თავი და 2003 წელს უკვე რჩეულთან ერთად შეხვდა... გაბედნიერებას კი, ახალი პროფესიული წარმატებაც დაერთო თან: ვერიკომ მიწვევა მიიღო და სულ მალე, ამერიკაში გაემგზავრება კონცერტების ჩასატარებლად. სწორედ ამ

რამა მალავს პირიკო ტურაშვილი გასულკაცის ანგავს

ამბებზე სასაუბროდ დაუუკავშირდით მოძღვრალს. ვერიკომ გათხოვების ამბავი შორს დაიჭირა, მეუღლის ვინაობაც დაგვიმალა, მაგრამ რალაც-რალაცების შეტყობა მაინც მოვახერხეთ... ჩვენი საუბარი კი ასე წარიმართა:

— ვერიკო, შობა-ახალწელთან ერთად, გაბედნიერებასაც გილოცავთ!

— არა, არა, ტყუილია! ახლო მომავალში ალბათ კიდევ დაგქორწინდებით, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერს გეტყვი, როდის მოხდება - დღეს თუ ხვალ. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გავთხოვილვარ.

— რატომ მალავს ამ ამბავს ასე საგულდაგულოდ? დანამდვილებით ვიცი, რომ უკვე დაქორწინდით, შენ კი რატომღაც, მაინც არ გსურს ამის გამჟღავნება, რაშია საქმე?

— შენ საიდან იცი?! ეს ამბავი ჯერ, „არტიმედში“ კი არ იციან...

— ვერ გაგიმხელ, ვინ მითხრა და როგორ გავიგე ისე კი, ჟურნალისტებმა ბევრი რამ იციან...

— კი, მაგრამ მაინც - საიდან?... მოკლედ, ახლა არ მინდა თქმა, ცოტა ხანში ვიტყვი, მაგრამ ახლა - არა...

— კარგი, მაშინ ასე დაგწერ, ...

რომ ჯერჯერობით, არ ამხელ გათხოვების ამბავს და არაფრის თქმა არ გსურს ამის შესახებ...

— კი, ბატონო...

— იქნებ ის მაინც მითხრა, ვინ არის შენი რჩეული, რას საქმიანობს?

— არა, ვერც ამას გეტყვი. თუ გინდა, მერე, პირველად - თქვენს ჟურნალს გაუშვებ, ვინც არის ჩემი მეუღლე, მაგრამ ახლა არაფერს გეტყვი (იცინის)...

— მაშინ, ამერიკაში გამგზავრების შესახებ მითხარი - ვისთან ერთად მიდიხარ, ვინ უკეთებს ორგანიზებას, რამდენი კონცერტი გექნება და ა.შ.

— ამერიკაში მე, აჩიკო მეფარძე, ლელა წურწუშია, რუსა მორჩილაძე და ოთარ ტატიშვილი მივიღვართ, სხვა კიდევ ვინ მოდის, დანამდვილებით არ ვიცი. სამი კვირის განმავლობაში, რამდენიმე ქალაქში გვექნება კონცერტები. სიმართლე რომ გითხრა, არც კი ვიცი, ვინ უკეთებს ამ ყველაფერს ორგანიზებას, მე თვითონ აჩიკომ მითხრა ამის შესახებ.

მართალია, ვერიკო ძალზე ასაიღუპლოებს გათხოვების ამბავსაც და მეუღლის ვინაობასაც, მაგრამ მაინც შევიტყვეთ, რომ სიძე „წარმოშობით“ ვერელი ვახლავთ, თუმცა ამჟამად, ახალდაქორწინებული წყვილი თურმე თბილისის სხვა უბანში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს. დაქორწინების ამბავს კი თურმე იმიტომ არ ამხელენ, რომ პირდაპირ გრანდიოზული ქორწილით სურთ ამ ამბის გახმაურება... მანამდე კი, ერთხელ კიდევ ვულოცავთ ახალდაქორწინებულებს და ბედნიერებას ვუსურვებთ!

პროფესია

modis bizness eqimi qeTi darsavelize Seemata

დღეს, საქართველოში ჟურნალისტიკა იმდენად პოპულარული სფეროა, რომ მას ბევრი პროფესიის ადამიანი მისდევს. ვის არ ნახავთ ჟურნალ-გაზეთებისა და ტელეკომპანიების კორესპონდენტებსა თუ რედაქტორებს შორის - ბიოლოგებს, ფსიქოლოგებს, ფიზიკოსებსა და მათემატიკოსებსაც კი. განათლებით ექიმი, ქეთი დარსაველიძესაც ეს ბაცილა შეეყარა და რამდენიმე წლის წინ, ჟურნალისტიკას მიჰყვა ხელი. მერე, ერთი ნაბიჯი თავისი ახლანდელი საქმიანობისკენ გადადგა (სხვათა შორის - „გზაში“): ფოტომოდელს ენმარებოდა ჟურნალის გარეკანისთვის განკუთვნილი ფოტოგადაღებისთვის მომზადებაში. და აი, ამ ცოტა ხნის წინ შევიტყვეთ, რომ ღიზანით ბავშვობიდანვე დაინტერესებულ ქეთის, საკუთარი ბუტიკი გაუხსნა და ამით დიდი ხნის ნატვრის - ქართული მოდის ბიზნესში აქტიურად ჩაბ

მის საქმეში, რომ იტყვიან პირველი აჯური დაუღვია. აქვე დავძენთ, რომ მას სხვაგანაც აქვს გახსნილი განყოფილება, სადაც წარმატებით იყიდება „D.K.“-ს მარკის სამოსი.

მოდელიერს საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს: ის აპირებს ახალგაზრდული, ხარისხიანი, პრაქტიკული სამოსის შექმნასა და სერიულ წარმოებაში მის ჩაშვებას. ქეთი დარსაველიძე რამდენიმე დღეა ერთად ქმნის მოდელებს. ის ცდილობს, რომ ტანსაცმელი პრაქტიკული და ბევრისთვის ხელმისაწვდომი იყოს. ყოველთვის მაინც ტერესდება ღიზანი, ძალიან პატარა ვიყავი, როცა თოჯინას ჩემ მიერ მოქსოვილი პირველი კაბა ჩავაცვი, სტუდენტობის პერიოდშიც მეგობრებს ვუქსოვდი, ვუკერავდი, შემდეგ კი, ჩემი ღიზანით საკუთარი ხელით გამიკეთება სხვადასხვა საოჯახო ნივთი - მაგალითად, აბაჯური, ღივანიო, - გვითხრა

საუბრისას ქეთიმ, რომელიც სხვა ქალაქშიც აპირებს მალაზიების გახსნას.

6060 მურღულია



„სასჯელმა კი არა – უსამართლობამ დაგვალა!..“

წლების მიჯნაზე, თავთავიანთ ოჯახებს 6 პატიმარი ქალი დაუბრუნდა, 39-ს კი, სსგადასახვადგარი შეღავათი შეეხო. სამწუხაროდ, კანონით გათვალისწინებული ეს ღონისძიება, არა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით, არამედ თვით პატიმართა ხმაურიანი ძალისხმევით — ავჭალის კოლონიაში მონყობილი საპროტესტო შიმშილობის შედეგად განხორციელდა.

მარი ჯაშარიძე



მეღვათავშავაძე

მეღვათავშავაძე, პატიმარი:

— აქციის მიზეზი ის უკანონობაა, რომელსაც წლების მანძილზე ვუყურებთ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვაწყდებით. 1994 წლიდან ვიხდი სასჯელს, ჩემ გვერდით უამრავი პატიმარი ყოფილა. ყველამ ვიცით, ვინ რა დანაშაულისთვის იხდის სასჯელს. უკანონოდ გათავისუფლებული პატიმარიც მინახავს და ისიც, ვისაც კანონით ეკუთვნის ვადაზე ადრე გათავისუფლება და მაინც აქ რჩება.

— ე.ი. მიგაჩნიათ, რომ არ გაძლევენ იმ შეღავათებს, რომელიც კანონით გეკუთვნით? მინელი ბაღენიძე, პატიმარი:

— დიას, კანონი ითვალისწინებს შეღავათებს იმ პატიმრებზე, რომელთაც მოხდილი აქვთ სასჯელის 2/3, ან ნახევარი. შეღავათები ვრცელდება გარკვეული კატეგორიის ავადმყოფ პატიმრებზეც. ეს კანონი ხომ ჩვენი — დამნაშავეების მიღებული არ არის? ყველა ღონე ვიხმარეთ, კუთვნილი შეღავათების მიღებისათვის რომ მიგვეღწია: მიგმართეთ პრეზიდენტს, პარლამენტს, ქალთა უფლებების დაცვის კომიტეტს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, სახალხო დამცველს, მაგრამ ვერანაირი შედეგი ვერ მივიღეთ. დავიღალეთ. სასჯელმა კი არა — უსამართლობამ დაგვალა!.. პირადად მე, ნარკოტიკების რეალიზაციისთვის ვიხდი სასჯელს. ნარკობარონები თავისუფლად დადიან, ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადადიან, ჩვენ კი 10-15 გრამის გულისთვის 10-11-წლიან სასჯელს ვიხდით...

— შეწყალების კომისიას ბევრი პატიმრის საკითხი დადებითად გადაუწყვეტია.

მეღვათავშავაძე:

— ყველამ კარგად ვიცით, დადებით გადაწყვეტილებას რის საფუძველზე იღებენ: თუ პატრონი გყავს, უკანონოდაც გაგიშვებენ. აქ, ჩემ გვერდით იჯდა პატიმარი, რომელსაც მძიმე დანაშაულისთვის 14 წელი ჰქონდა მისჯილი. ის თუ 4 წელიწადში გათავისუფლეს, ეს ჩვენი საქმე არ არის... რაც კანონით გვეკუთვნის, ჩვენ ის შეღავათი გავიწიონ. ქურდობისთვის სასჯელს იხდის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც 9 თვის ბავშვი ჰყავს. ეს ბავშვი კოლონიაში დაიბადა და აქ იზრდება. მისთვის შეღავათის გაწევა არ შეიძლებოდა?! გამოდის, რომ აუცილებლად „ტიტულუვანი“ პატიმარი უნდა იყო, რომ რამე გეშველოს...

ტაჭუმი გაჯიმიტოვა, პატიმარი:

— მე რუსეთის მოქალაქე ვარ. მივმართე ჩვენს საელჩოს თბილისში, მაგრამ არაფერი მიპასუხეს. ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, მაგრამ ვილაცამ ამ ჭაობიდან ხომ უნდა ამოგვიყვანოს? აგერ, ჩემ გვერდით ზის 57 წლის ქალი, 7 შვილის დედა, აზერბაიჯანის მოქალაქე. ქართული ამან არ იცის და რუსული. ვერავის ვერაფერს აგებინებს. ითხოვდა აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრას, მაგრამ უშედეგოდ...

ზაირა ფოცხვირია, პატიმარი:

— 63 წლის ქალი გულის იშემიით ვარ დაავადებული. სახელმწიფო ქონების თაღლითური გზით მითვისების

მუხლით, 5-წლიანი პატიმრობა მაქვს მოსჯილი. 390 ლარის გულისთვის ვიხდი სასჯელს. სამი წელი და 7 თვე მოვიხალა. შეწყალების კომისიამ სამჯერ მითხრა უარი კუთვნილ შეღავათზე. ახლა გეკითხებით თქვენც და ყველას: რატომ? რამდენმა სახელმწიფო მოხელემ შეჭამა მილიონები, მაგრამ დაჭერილი ჯერ არავინ გვინახავს. დავიჯერო, მე უფრო დიდი დამნაშავე ვარ?!

მეღვათავშავაძე:

— გაინტერესებთ, როგორ აღწევენ სხვა პატიმრები შეწყალების მიღებას? ერთ მაგალითს მოგიყვანთ და თქვენ თვითონ განსაჯეთ: ჩვენთან ერთად სასჯელს იხდის ახალგაზრდა გოგონა — თამრიკო თაბაგარი. ყაჩაღობისთვის დაიჭირეს. მასთან ერთად გაასამართლეს მისი თანამონაწილე, რომელმაც თამრიკო „საქმეზე“ წაიყვანა. ის გაუშვეს, თამრიკო კი ზის და რას ელოდება, თვითონაც არ იცის. ახლა, მე თქვენ გეკითხებით — რატომ?.. ყველამ კარგად ვიცით, რა ხდება შეწყალების კომისიაშიც და სხვაგანაც. ჯანდაბას უკანონო გადაწყვეტილებები, მაგრამ ზოგჯერ, კანონიერადაც მოიქცევენ და ყოველგვარი შიმშილობის გარეშე, კანონიერი გადაწყვეტილებებიც მიიღონ... იქნებ, ვინმემ ის მაინც იკითხოოს, რა მიზეზით მოეხვდით აქ? გაჭირვებამ ვაიბოლა, თორემ რომელი ნორმალური ადამიანი დაიწყებს ნარკოტიკებით ვაჭრობას?!

ნანა დვდარიანი, სახალხო დამცველი:

— იმ პატიმარი ქალების საქმე, რომელთა შეღავათსაც კანონი ითვალისწინებდა, გავიდა შეწყალების კომისიაზე. მათგან 39 საქმე დადებითად გადაწყდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი გაათავისუფლეს: შეწყალება ითვალისწინებს როგორც გათავისუფლებას, ისევე რაღაც ვადის ჩამოკლებას. იმ ქალებს, ვისაც მძიმე მუხლები ჰქონდათ მიყენებული, რაც ითვალისწინებს 10-12, 14 წლით თავისუფ-



ტაჭუმი გაჯიმიტოვა (მარცხნივ) სხვა პატიმრებთან ერთად

ფლებების აღკვეთას, ჩამოაკლდათ ზოგს — 1, ზოგს — 2 წელი. 6 პატიმარი კი გათავისუფლდა. მათ შედარებით მსუბუქი მუხლები ჰქონდათ. საერთოდ, შეწყველების კომისიაში პატიმარი ქალების მიმართ ძალიან „ხისტი“ დამოკიდებულება იყო. მე ორჯერ ჩამივარდა ეს საკითხი კომისიაზე გატანისას. პასუხი ასეთი იყო: ქალი ნარკოტიკებით ვაჭრობდა, ვადა როგორ ჩამოვაკლოთ?! მე ვუთხარი: პირველ რიგში, გამოვიდეთ იქიდან, რომ არც ერთი მსხვილი ნარკობარონი არ გვყავს დაჭერილი, გვყავს მხოლოდ წვრილი დილერები, ვინც დიდი პარტიის შემომტანია, როგორც ჩანს, რაღაც თანხას იხდის და თავს ამით ითავისუფლებს-მეთქი... და მეორე: სახელმწიფო ვალდებულია, ყველა ის პირობა შეუქმნას პატიმარს, რასაც საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს. როდესაც შენ ვერანაირ პირობას ვერ უქმნი პატიმარს და მისგან მკაცრად მოითხოვ პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის, ამ დროს, ელემენტარულად, სამართლიანობის ნორმებს არღვევ. მაგალითად, კანონში პირდაპირ წერია, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დედას კვირაში ერთხელ მიუყვანოს შვილი. ამას არავინ აკეთებს. პატიმართა შორის არიან დედები, რომელთაც ერთი შვილი ერთ ბავშვთან სახლში ჰყავთ, მეორე — მეორეში... ამას წინათ, ერთ ქალს, რომელიც უკვე 10 წელია ზის, მე თვითონ ჩამოუყვანე ბავშვი თელავიდან და ვაჩვენე-მეუღლე გარდაეცვალა, ბავშვი კი, ავადყოფი ბებიის ანაბარად არის დატოვებული. ბოლო სამი წლის მანძილზე, დედა-შვილს ერთმანეთი არ ენახათ, მაგრამ მე ხომ 130 პატიმარს ვერ გავწვდები! ეს სახელმწიფომ უნდა მოავკაროს. უკვე აღარაფერს ვამბობ ელემენტარულ, საყოფაცხოვრებო პირობებზე.

— შეწყვლების კომისიაში ნინაალმდეგობებს ახლაც წააწყდით?

— მეუბნებოდნენ, ამით თქვენ ურიგდებით ისეთ მძიმე დანაშაულებს, როგორიც ნარკოტიკებით ვაჭრობათ... მე ამას არ ვურიგდები, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანს უნდა მიეცეს ერთი შანსი, რომ წესიერ გზაზე დადგეს. სხვათა შორის, სტატისტიკის თანახმად, ბოლო წლებში სულ 2 შემთხვევა იყო, რომ შეწყვლებული ქალი ახალი სასჯელის გამო უკან, საპატიმროში დაბრუნდა. ეს ის კატეგორიაა, რომელსაც გარეთ არც სახლი, არც ოჯახი არ ელოდა. ისინი იძულებულნი შეიქნენ, რომ ისევ დანაშაული ჩაენიანათ.

ახსენებდით პირობებს, თქვენ კი, რა პირობებზეა, ან ახსენს...

თბილისში, ვაშლიჯვარში 1999 წლის 14 ოქტომბერს მომხდარ მკვლელობას საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა ხელმეორედ განიხილავს. რამდენიმე დღის წინ, ასეთი განკარგულება გასცა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. საქმე ეხება 28 წლის თბილისელი დავით ჯიბლაძის მიერ ჩადენილ მკვლელობას. მან თავისივე მეზობელი და მეგობარი — ირაკლი ვადაჭკორია მოკლა. დანაშაულის ჩადენისას, ჯიბლაძე 24 წლის ვახლდათ.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აწ გარდაცვლილის სხეულზე დაფიქსირებული ჭრილობა დანით ვახლდათ მიყენებული. თუმცა, თავად ბრალდებული ამას უარყოფს და აცხადებს, რომ არ ახსოვს, თუ რით ჩაიდინა მკვლელობა, დანა კი, იმ დღეს საერთოდ არ ჰქონია.

მკვლელობა, როგორც პროკურატურა გადმოგვცემს, ჯიბლაძესა და ვადაჭკორიას შორის შელაპარაკებას მოჰყვა. იმ დღეს, ჯიბლაძე თავის უბანში მეგობრებთან ერთად კარტს თამაშობდა, იქვე, „წყლის სოკოსთან“ კი, მათთვის უცნობი მუშები მუშაობდნენ. ამ დროს, ირაკლი ვადაჭკორია გამოჩნდა. იგი მუშებთან მივიდა და ჩხუბი დაუწყო მათ. ჯიბლაძემ ვადაჭკორიას დაუძახა: თავი დაანებე მაგ მუშებს, ნუ ივინებიო. ვადაჭკორია, რომელსაც ეს შენიშვნა არ მოეწონა, კარტით მოთამაშებებს მიუახლოვდა და გაბრაზებულმა, მაგიდა გადაუბრუნა მათ. ამის გამო, ჯიბლაძემ და ვადაჭკორიამ ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბისას, ჯიბლაძემ დანა ამოიღო და ვადაჭკორიას გულმკერდის არეში ჩაარტყა. ირაკლი ვადაჭკორია საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

აღსანიშნავია, რომ დავით ჯიბლაძე წარსულში, ორჯერ ვახლდათ ნასამართლევი: პირველად — ქურდობისთვის (მაშინ მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა), ხოლო მეორედ — ავტოავარიისთვის. პირველი ინსტანციის სასამართლომ ვადაჭკორიას მკვლელობისთვის ჯიბლაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ მოგვიანებით, ეს განაჩენი საოლქო სასამართ-

ლომ გააუქმა და მსჯავრდებულს სასჯელი შეუმსუბუქა: მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ჯიბლაძემ დანაშაული, არა განზრახ, არამედ ძლიერი სულიერი აღელვებისას ჩაიდინა. ამჯერად, საოლქო სასამართლოს განაჩენი უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა უკანონოდ და საქმე განსახილველად კვლავ სააპელაციო პალატას დაუბრუნა.

დავით ჯიბლაძე თავს დამნაშავედ არ ცნობს და დასძენს, რომ ჩხუბისას ვადაჭკორიამ მას თავში ბოთლი ჩაარტყა, ამის შემდეგ კი, თავად რა მოიმოქმედა, არ ახსოვს.

ყოფილი პოლიციელი აკაიონის განზრახ მკვლელობაში მისი დაინაშავედ

ახალი წლის წინ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ყოფილ პოლიციელს — კახა ჭიჭინაძეს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. კახა ჭიჭინაძეს 32 წლის თემურ სუქნიძის განზრახ მკვლელობა დაედო ბრალად. აღსანიშნავია, რომ იმავე ბრალდებით პროკურატურამ სასამართლოს კიდევ ოთხი პოლიციელი გადასცა, მაგრამ მოსამართლე ლობთბერტ კუპატაძემ ისინი გაამართლა.

მკვლელობა 2001 წლის 22 იანვარს, ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, იმ დღეს, თემურ სუქნიძე თანასოფლელებთან ერთად წვეულებაზე იმყოფებოდა. საღამოს, დაახლოებით 11 საათისთვის, ის წვეულებიდან შინისკენ საკუთარი ავტომანქანით წავიდა. გზაზე მდგომმა პოლიციელებმა მას ანიშნეს, რომ მანქანა გაეჩერებინა, მაგრამ მძღოლი მათ მოთხოვნას არ დაემორჩილა. მაშინ პოლიციელებმა მას, გაფრთხილების გარეშე, ცეცხლი გაუხსნეს. ერთ-ერთის — კახა ჭიჭინაძის იარაღიდან გასროლილმა ტყვიამ თემურ სუქნიძე სასიკვდილოდ დაჭრა და მისი სიცოცხლე შეიწირა.

კახა ჭიჭინაძეს უზენაესმა სასამართლომ დანაშაული დაუდასტურა, დანარჩენი განსასჯელები გაამართლა, თუმცა, სამსახურებრივი მოვალეობისდმი დაუდევარი მიდგომის გამო, ისინი თანამდებობებიდან გაათავისუფლეს.

მოამზავა მეზო ტანავაძე

„ჩემი შვილის სისხლით წლებს განვიღებ ვაჭრობდნენ“

რას ემსხვერპლა 17 წლის თემური?

მეგი სანავა

შემთხვევის ადგილას, მკვლელობის მომენტში, გიორგისა და თემურის გარდა, კიდევ 13 ადამიანი იმყოფებოდა. ეს ხალხი ჯერ პროკურატურამ, შემდეგ კი სასამართლომ არაერთგზის დაჰკითხა. თუმცა, რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს – გიორგი ჭუჭულაშვილმა თემური განზრახ მოკლა, შემთხვევით თუ მისგან თავდაცვის მომენტში? – სამართალდამცავებმა დღემდე ვერ გაარკვეეს. ამ საქმეს ისინი უკვე მერვე წელია იძიებენ. ჩადენილი დანაშაულის დეტალებს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო ამჟამად, მესამედ განიხილავს. ამის მიზეზი, როგორც მოსამართლეებმა დასძინეს, პროკურატურის მიერ გამოძიების არასრულყოფილად ჩატარება გახლავთ. დაზარალებულის მხარე – მოკლულის ნათესავები აცხადებენ, რომ ჭუჭულაშვილების ოჯახმა პროკურატურა მკვლელობის პირველივე დღეებში მოიხილა და ძიება ისეთი მიმართულებით წაიყვანა, როგორც თაც მას სურდა. პირველი საბრალდებო დასკვნა მართლაც, უარყოფდა გიორგი ჭუჭულაშვილის მიერ განზრახ დანაშაულის ჩადენას. პროკურატურა წერდა: „გ. ჭუჭულაშვილის მიერ ჩადენილია დანაშაული, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. ბრალდებულმა აჩვენა, რომ ის თავს იცავდა თ. ფეიქრიშვილისგან, წართვა მას „ტტ“ სისტიმის ცენტრალური იარაღი, რომელიც ჩხუბისას თავში ჩაარტყა ლულის მხრით და ტყვიაც ამ დროს, შემთხვევით გაგარდა“. ჭუჭულაშვილების მხარე გამოძიებისა და პროკურორის მოქმედების ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. სასამართლომ პროკურატურის პოზიცია არ გაიზიარა. ამის შემდეგ, საქმე დამატებით გამოსაძიებლად, ზედინჯდ ორჯერ დაბრუნეს. პროკურატურა დღეს, სრულიად საპირისპიროს ირწმუნება. ახალი ბრალდების თანახმად, პისტოლეტი „ტტ“, თემურ ფეიქრიშვილს კი არა, თავად გიორგი ჭუჭულაშვილს ჰქონდა. ასე რომ, თემური იარაღით მას არ დამუქრებია და არც გიორგის წაურთმევია მისთვის პისტოლეტი. როგორც საქმის ახალი გამოძიებელი დასძინს, „ტტ“,

1995 წლის 25 მაისს, თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე, ახალგაზრდებს შორის საქმის გარჩევას 17 წლის თემურ (თენგიზ) ფეიქრიშვილის სიცოცხლე ემსხვერპლა. ის, 21 წლის გიორგი ჭუჭულაშვილის ხელიდან, პისტოლეტიდან გასროლილმა ტყვიამ მოკლა. ტყვია თემურს თავში, კერძოდ — თნემ-კეფის არეში მოხვდა. იგი მაშინვე ძირს დავარდა. შუბლიდან სისხლი რომ წასკდა, დაჭრილთან საშველად იმავე წუთს მიცვივდნენ, მაგრამ ამაოდ: თემური საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა...



მოკლული თემურ (თენგიზ) ფეიქრიშვილი

გიორგი ჭუჭულაშვილმა დაუდგენელ ვითარებაში შეიძინა და მას უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. პროკურატურის ინფორმაციით, იმ დღეს, დაუდგენელი მარკის პისტოლეტი გიორგის ძმას – დათოსაც ჰქონდა. ეს უკანასკნელი, ჩხუბისას, თავის იარაღს თემურის დის ქმარს – დათო კეკელიძეს გულმკერდსა და თავში ურტყამდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, იმავე მომენტში, გიორგიმ ერთჯერადი გასროლით, წინასწარი განზრახვით, მისკენ ზურგით მყოფ ფეიქრიშვილს ჭრილობა მიაყენა. გამოძიებამ გიორგი ჭუჭულაშვილს 105-ე – განზრახ მკვლელობის მუხლი მიუყენა.

ანზორ ფეიქრიშვილი, მოკლულის მამა:

„...და ეს პროკურატურამ მკვლელობიდან მერვე წელს გაიგო? სინამდვილეში, თავიდანვე შესანიშნავად იცოდა ყველამ, რომ გიორგი ჭუჭულაშვილმა შეილი განზრახ მომიკლა, მაგრამ ამის დაფიქსირება, ქრთამით დაინტერესებულ პროკურატურას არ აძლევდა ხელს. სამართლიანობისთვის რომ მიმეღწია, წლები მანძილზე, სამართალდამცავებთან წარმოუდგენელი ბრძოლა და ჭიდილი დამჭირდა. ამას ვარდა, იმანაც მიშველა, რომ

ბოლოს, საქმეში თავიდან ჩართული გამოძიებლები პროკურატურიდან წავიდნენ. ისინი ახლებმა შეცვალეს, რომლებმაც მასალებში წამოტივტივებულ უტყუარ მტკიცებულებებს ვკერდი ვეღარ აუქციეს. თანაც, როგორც ჩანს, ბრალდებულის მხარისგან, ძველებთან შედარებით, ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულები... როცა ეს ამბავი მოხდა, ჩემი შვილი 18 წლისაც არ იყო. სკოლა დაამთავრა თუ არა, იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. მოგესხნებათ, 1995 წელი იყო. იმ პერიოდში, სტუდენტები ნაკლებად იყვნენ სწავლით დატვირთულები, ლექციებზეც თითქმის არ დადიოდნენ. ჩემს შვილსაც ღრო ბევრი ჰქონდა და ერთ დღესაც, მთხოვა: მამა, იქნებ, მოვახერხოთ და ჩემთვის სამსახური ვიმოვოთ, სწავლასთან ერთად, ვიმუშავე კიდევო. ეს თვითონ მოიფიქრა, მე მისთვის მუშაობის შესახებ ადრე არაფერი მითქვამს. საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა? ვთხოვე ჩემს მეგობრებს, რომლებიც კრწანისის სავადასახალო ინსპექციაში მუშაობდნენ და მათაც, თემური ხელშეკრულებით აიყვანეს სამუშაოდ. დღის პირველ ნახევარში, უნივერსიტეტში მიდიოდა, მეორე ნახევარში – სამსახურში. მეც კმაყოფილი ვიყავი, რადგან ვიცოდი,

რომ ჩემი შვილი მთელი დღეები ქუჩაში არ იდგა უსაქმოდ. ნორმალური მეგობრები ჰყავდა და რაც მთავარია, არასოდეს მსმენია, რომ ვინმესთან ეჩხუბოს. კონფლიქტური და აგრესიული არასოდეს ყოფილა, თუმცა, 17 წლის ბიჭი იყო და როგორც ამ ასაკის ახალგაზრდებს, ყოჩობა და მამლაყინწობა მასაც ახასიათებდა. მიუხედავად ამისა, დანა ან ცეცხლსასროლი იარაღი მის ხელში არასოდეს დამინახავს. მისი ნაცნობები და მეგობრებიც იმავეს ამბობენ. სხვათა შორის, არც მის ძმაცკებში გახლდათ ვინმე შემჩნეული იარაღის ტარებაში. საერთოდ, ამ მიდრეკილების ბიჭები ისინი არ იყვნენ. ნუცუბიძის პლატოს პირველ მიკრორაიონში ცვსოვრობით. პოლიციის განყოფილება ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან სულ რაღაც 50 მეტრის მოშორებითაა. თემურს ან მის უბნულ ძმაცკებს რომ ოდესმე რაიმე დაემკვიდრებინათ, პირველ რიგში, იმ განყოფილებაში ეცოდინებოდათ. მაგრამ დანაშაულში არც ერთი მათგანი არ შეუნიშნავთ. 1995 წლის 20 მაისს, ჩემს სახლთან ძალიან ახლოს, ავტოავარია მოხდა. რა თქმა უნდა, შემთხვევის ადგილას ხალხმა მოიყარა თავი. ჩვენ – ოჯახის წევრები შინ ვიყავით. ამ დროს, ერთ-ერთი მეზობელი ამოვიდა და თემური წაიყვანა. წასვლისას თემურმა გვითხრა: ავარია ჩემს ერთ ახლობელს მოუხდა და ჩავალ, გაეიგებ, რაშია საქმეო. სინამდვილეში, თურმე ეს „ახლობელი“ – ჩვენი მეზობელი, დათო კეკელიძე ყოფილა. მას ჩემი ქალიშვილი უყვარდა, მასზე დაქორწინებაც უნდოდა, მაგრამ მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი გახლდით. მიუხედავად უარისა, მაინც წასულან და ყველასგან ძალუღალდ, ქორწინების სახლში ხელი მოუწერიათ. ავარია რომ შემთხვა, ეს ამბავი უკვე მომხდარი ყოფილა, თუმცა არც მე, არც ჩემს მეუღლემ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ქალიშვილი ჩვეულებრივად, ჩვენთან – ოჯახში ცხოვრობდა და თავისთავად, ვერაფერს ვიფიქრებდით. მხოლოდ თემურს სცოდნია ყველაფერი. ამიტომაც დამიძალა ავარიის დღეს, დათოს ვინაობა, იცოდა, რომ მასთან ურთიერთობის წინააღმდეგი ვიყავი და სიმართლის თქმას მოეროდა. დათო კეკელიძე, ჭუჭყულაშვილის მანქანას შესჯახებია. საჭესთან, როგორც გარკვევა, გიორგი ჭუჭყულაშვილი იჯდა, თუმცა, მის გარდა, მანქანაში სხვებიც – მისი ნათესავები და ერთი პოლიციის თანამშრომელი იხსნდნენ. ორივე ავტომანქანა დაზიანდა – ჭუჭყულაშვილების „ვაზ 2106“,

კეკელიძის კი – „ვაზ 2109“ იყო. კეკელიძესა და ჭუჭყულაშვილებს ერთმანეთთან შელაპარაკება მოუხდათ, ავარიას ერთმანეთს აბრალებდნენ თურმე. აქედან გამოდინარე, დავა მანქანის შეკეთების თაობაზე წარმოიშვა. როგორც შემდეგ შევითხვე, პოლიცია ამ საქმეში არ ჩარეულა. ამბობენ, რომ შემთხვევის ადგილას 15-20 კაცი მაინც იქნებოდა თავმოყრილი. მიუხედავად ამისა, გიორგი ჭუჭყულაშვილს, ისე, რომ ყურადღება არავისთვის მიუქცევია, თავისი მანქანისთვის „უქსირი“ გამოუბამს და იგი სხვა ავტომანქანით უნდა წაიყვანა, როცა ჩემი შვილი თურმე, წინ გადაუდგა. სად მიგყავს მანქანა – ჩვენსას ვინ შეაკეთებსო? – უკითხავს მისთვის. – ვინ და თქვენ უნდა გააკეთოთო, – უპასუხია ჭუჭყულაშვილს. მაშინ თემურს, ძალით, ჭუჭყულაშვილების ავტომანქანა წამოუყვანია და ჩვენი კორპუსის ეზოში დაუყენებია. თან უთქვამს: სანამ კეკელიძის მანქანას არ შეაკეთებთ, ამას აქედან ვერ წაიყვანთო. დათო იმ დროს, ფაქტობრივად, ჩვენი სიძე იყო, ამის შესახებ თემურმა იცოდა და ამიტომაც გამოეხარა მას. საბოლოოდ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, შეთანხმებულან და მანქანა ჭუჭყულაშვილებს თავიანთი ნებითვე დაუტოვებიათ. თუმცა დღეს, ჭუჭყულაშვილები ამას კატეგორიულად უარყოფენ, თემურმა ავტომანქანა წაგვართვაო, – ამბობენ. წარმოიდგინეთ, ამ ამბავს იმდენი ხალხი ესწრებოდა – იქვე იყო გიორგი ჭუჭყულაშვილის ბიძაც, სხვა ნათესავებიც – და თემური მანქანის წართმევას როგორ შეძლებდა?! ან ვინ შეარჩინდა, თუ თავად არ დატოვეს?! თანაც, პოლიციის განყოფილებაც იქვე იყო – ვერ აცნობეს პოლიციას, თუ მანქანა წაართვეს?.. სამი დღის შემდეგ – 23 მაისს, ჭუჭყულაშვილებმა კეკელიძეს ქურდების თანხლებით მიაკითხეს. საქმის გასარჩევად ორი ქურდი მიიყვანეს, მათგან ერთ-ერთი, მეტსახელად წრიპა გახლდათ. ჭუჭყულაშვილებმა თავიანთი მანქანა წაიყვანეს და ასეთი ინფორმაცია გავრცელდა: საქმეში „შავები“ ჩარიეს და მანქანა დაიბრუნესო... 25 მაისს, დათო კეკელიძემ ჩემს შვილს მიაკითხა. თემური იმ დღეს, თანამშრომლის დაბადების დღეზე იყო. დათო პირდაპირ იქ მისულა, ჩემი შვილისთვის უთქვამს: ჭუჭყულაშვილებთან უნდა მივიდეთო, – და ის დაბადების დღიდან წაუყვანია.“

საბრალოდ დასკვნის თანახმად, 1995 წლის 25 მაისს, დათო კეკელიძემ და ნასკამმა თემურ ფეიქრიშვილმა, კიდევ ოთხი

მეგობრის თანხლებით, გიორგი ჭუჭყულაშვილს ბიძის სახლში, ტაბიძის ქუჩაზე მიაკითხეს. ეზოში, თემური და გიორგი კვლავ შელაპარაკდნენ, დათო კეკელიძის მანქანის შეკეთების თაობაზე. კამათი მალე ჩხუბში გადაიზარდა. მასში დათო კეკელიძეც და გიორგი ჭუჭყულაშვილის ძმები – დათო და ირაკლიც ჩაერინენ. მოჩხუბრები ერთმანეთს აგინებდნენ, შემდეგ კი, ცემაზეც გადავიდნენ. გიორგი ჭუჭყულაშვილმა პისტოლეტი, რომელიც იმ მომენტში თან ჰქონდა, მისკენ გასამშველებლად წასულ დათო კეკელიძეს გულმკერდში ჩაარტყა და ასე მოიშორა იგი თავიდან. ამის შემდეგ, იარაღი კეკელიძეს გიორგის ძმამ – დათომ დაარტყა, პისტოლეტით მას თავისა და გულმკერდის არეში ურტყამდა, მეორე ძმა – ირაკლი კი, ხელებითა და ფეხებით სცემდა მას. პროკურატურის ინფორმაციით, გიორგი ჭუჭყულაშვილმა თემურ ფეიქრიშვილის მიმართულებით სწორედ ამ მომენტში გაისროლა.

ანზორ ფიქრიშვილი:

„მომხდარის შესახებ რომ შევიტყვეო, მაშინვე საავადმყოფოში წავედით. ყველანი იქ ვიყავით, ნათესავები და მეზობლებიც მოვიდნენ. ვერაფრით უშველეს... თემური რომ გარდაიცვალა, პროკურატურის და საავადმყოფოს თანამშრომლებმა მისი სხეულის გაკვეთასა და ექსპერტიზის ჩატარებაზე დაიწყეს საუბარი. გაკვეთა მორგში უნდა ჩატარებინათ. მაშინ ამაზე კატეგორიული უარი ვთქვი. როცა წარმოვიდგინე, რომ ჩემს შვილს სადაც სარდაფში დააწვენდნენ და იქ მთელი ღამე მარტო უნდა ყოფილიყო, საშინლად შემეცოდა. ამან შემზარა და საავადმყოფოში თემურის დატოვებაზე უარი ვთქვი. ვერაფერი მომიხერხეს და თემურის სხეული სახლში გადავასვენეთ. იმ დროს, ისეთ დღეში ვიყავი, ფეიქრი და აზროვნება არ შემიძლო, მაგრამ ალბათ რაღაც ზებუნებრივმა ძალამ გამახსენა ჩემი შვილის ტანსაცმელი. ვერ კიდევ საავადმყოფოს ეზოში ვიყავით, როცა თემურის ტანისამოსი მოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ თან არ წამოგვიღია და ექიმებთან გაგებუნდით. მაშინ, საგამოძიებო მოქმედებებში გარკვეული არ გახლდით და არ ვიცოდი, მოკლულის ტანსაცმელი საავადმყოფოში უნდა დამეტოვებინა თუ არა, უბრალოდ, ვიფიქრე – რაც ჩემს შვილს ეკუთვნის, აქ რატომ უნდა დარჩეს-მეთქი?! როგორც ვითხარით, საავადმყოფოში ჩვენს ახლობლებს, მეგობრებსა და მეზობლებს მოეყარათ თავი. 40 კაცი მაინც იქნებოდა. ტანსაცმლის ამბავი ყველამ გაიგო“.

ერთ-ერთი მოწმის – **ლ. მალა-კალიძის** ჩვენებიდან: „...საავადმყოფოში მიცვალებულის დედას გაახსენდა, რომ ტანსაცმელი არ ჰქონდა წამოღებული, იკვილა. გარდაცვლილის მამა მიბრუნდა ექიმებთან და რამდენიმე წუთში, ტანსაცმელი ჩამოიტანა... გარდაცვლილის დედას, შვილის ტანისამოსი გულში ჰქონდა ჩახუტებული და ისე დადიოდა მთელი დღეები“.

ანზორ ფაიქრიშვილი:

„გარკვეული დროის შემდეგ, პროკურატურაში მივედი და გამოძიების მასალებს ვავეცანი. მათი კითხვისას, კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნას წავაწყდი. დასკვნის მიხედვით, ჩემი შვილის ტანსაცმელზე ექსპერტიზა გახლდათ ჩატარებული. გავოცდი, რადგან თემურის ტანისამოსი, რომელიც მას მკვლელობის დღეს ეცვა, პირველივე დღიდან, სახლში მქონდა და იგი არავის მოუკითხავს, არც ექსპერტიზაზე წაუღია ვინმეს... დასკვნაში ისიც ეწერა, რომ ექსპერტებისთვის გამოძიების მიერ წარდგენილ, გარდაცვლილის ტანსაცმელზე – კერძოდ, შარვლის მარჯვენა მხარეს, უკან, საქამრესთან, რკინის „მეტალიზაციის კვალი“ აღმოჩნდა, რომელიც რკინის შემცველი მეტალის კონტაქტითაა გამოწვეული აღნიშნულ ზედაპირზე, – რაც იმას ნიშნავდა, რომ დასკვნა ადასტურებდა გიორგი ჭუჭულაშვილის ჩვენებას იმის თაობაზე, თითქოს პისტოლეტი თემურს ჰქონდა. ვაოგნებულმა, იმავე ექსპერტიზის დასკვნაში ტანსაცმლის აღწერილობის ნაწილი წავკითხე

და მაშინ, საერთოდ დავკარგე წონასწორობა: ექსპერტები სულ სხვა პერანგსა და შარვალს აღწერდნენ, ჩემს შვილს კი იმ დღეს, სრულიად განსხვავებული ტანსაცმელი ეცვა. მაშინ მივხვდი, რა სიყალბესთანაც მქონდა საქმე. აშკარა იყო, რომ პროკურატურა გამოძიების ტენდენციურად წარმართვას აპირებდა. თუმცა, ფარ-ხმალი არ დამიყრია. ღვთის მადლით, თემურის ტანსაცმელი სახლში მქონდა, გარდა ამისა, საავადმყოფოში შედგენილი აქტიც და მოწმეთა, მათ შორის – გიორგი ჭუჭულაშვილის მამის ჩვენებებიც არსებობდა, სადაც ზუსტად არის აღწერილი, რა ეცვა დაჭრილ ფეიქრიშვილს. მიუხედავად ამისა, იმის დასამტკიცებლად, რომ ექსპერტიზა სხვა, სრულიად უცნობი ადამიანის ტანსაცმელზე იყო ჩატარებული, ზუსტად ორწელიწად-ნახევარი დამჭირდა“.

1997 წლის 29 ივლისის დადგენილებაში, პროკურატურის ორგანოებში გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორმა დააღიქვა დაადასტურა, რომ გამოძიების მიერ 1995 წლის 2 აგვისტოს საავადმყოფოში ამოღებული, თითქოს თ. ფეიქრიშვილის ტანსაცმელი სრულებით არ ემთხვევა ამავე საავადმყოფოს ექიმების მიერ 1995 წლის 25 მაისს შედგენილ აქტში მოყვანილ აღწერილობას. ეს დარღვევა მოგვიანებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამაც აღიარა.

ანზორ ფაიქრიშვილი:

„ორწელიწად-ნახევრის შემდეგ ამის აღიარება პროკურატურის მხრიდან ნამდ-

ვილი ცინიზმი იყო, რადგან გარდა ამ ყალბი დასკვნისა, საქმეში ბევრი სერიოზული დარღვევაც გახლდათ. მათ შორის, გარდაცვლილის სისხლის ჯგუფის დასადგენად ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც კიდევ სხვა – ამჯერად, სრულიად განსხვავებული ტანსაცმელი იყო აღწერილი. აშკარა გახლდათ, რომ ჩემი შვილის სისხლზე, პროკურატურაში აღებ-მიცემობა გამართეს, ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული და ამისთვის პასუხი არავის უვია...“

ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში ამ მკვლელობასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. განსასჯელს – გიორგი ჭუჭულაშვილს ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილი აქვს დაწერილი და ის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ის თავს დამნაშავედ არ ცნობს, ამჟამად, ღუმილის უფლებას იყენებს, თუმცა, აქამდე მიცემულ ჩვენებებში წერს: „...დათო კეკელიძე სხვებთან ერთად, ბიძის სახლში მომივარდა. მათთან ერთად იყო მთვრალი ფეიქრიშვილიც, რომელიც ცინიკურად იქცეოდა. ის უცნაურ სიტყვებით შეურაცხყოფას აყენებდა მამაჩემს. ამ დროს, შარვლის უკანა ჯიბიდან იარაღი ამოიღო. მე წავართვი... გასროლა მოულოდნელად მოხდა...“

სასამართლო პროცესზე მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს. განსასჯელის მხარემ კომენტარისგან თავი შეიკავა, გიორგი ჭუჭულაშვილის ადვოკატმა ჩვენთან საუბარზე უარი განაცხადა. ■

პატიმრებზე სახალწლოდ სინიდან გაქცევა გადაწყვიტა

13 იანვარს, ძველით ახალი წლის დადგომამდე, თბილისის №5 საპრობოლიდან სამმა პატიმარმა – კახა თურქაძემ, გელა ცერცვაძემ და ირაკლი კვინიკაძემ გაქცევა დააპირეს. თუმცა, ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა არ დასცალდათ, რადგან ციხის თანამშრომლებმა ისინი ადგილზევე დააკავეს. როგორც სამართალდამცავები იუწყებიან, პატიმრებს 53-ე საკნის ვისოსები უხმაუროდ გადაუჭრიათ და საკნიდან გაუღწევიათ კიდევ, მაგრამ ციხის თანამშრომლებს ისინი მალევე შეუნიშნავთ. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი პატიმრისთვის – გელა ცერცვაძისთვის ეს, გაქცევის პირველი მცდელობა არ ყოფილა. ის სამჯერ განლაგეთ ნასამართლევი და სასჯელთაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევაშიც არაერთხელაა მხილებული. რაც შეეხება კახა თურქაძესა და ირაკლი კვინიკაძეს – ისინი ყაჩაღობასა და იარაღის უკანონო ტარებაში არიან ეჭვმიტანილები. გელა ცერცვაძე კი ციხეში ამჯერად, ნარკოტიკების

უკანონო მოხმარება-შენახვისათვის ზის. ციხის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სამივე პატიმარი ამჟამად კარცერშია გადაყვანილი. ■

ბინების გაქურდვაში 16 წლის ქართველი ბოგონაა ეჭვმიტანილი

6 იანვარს, პოლიციის თანამშრომლებმა 16 წლის გოგონა – ჟანა ყალიჩავა და 18 წლის გონა ბენდელიანი დააკავეს. სამართალდამცავთა ცნობით, ისინი თბილისში საცხოვრებელი ბინების გაქურდვაში არიან ეჭვმიტანილები. მათთან ერთად, ჩადენილ დანაშაულებში თბილისელ ბესიკ რობაქიძეზეც მიაქვთ ეჭვი. ეს უკანასკნელი დღემდე იმალება, მასზე ძებნაა გამოცხადებული. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, ჟანა ყალიჩავამ და გონა ბენდელიანმა სწორედ ბესიკ რობაქიძესთან ერთად გაქურდეს ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ნიკოლოზ აბაშიძის და ნანა შარანდიას საცხოვრებელი ბინები. ■



„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ ინტერვიუ ქალთან, რომელსაც 25 წლის ოჯახი ქმრისა და საკუთარი აზარტის გამო დაენგრა. შეგახსენებთ: მამაკაცმა ტოტალიზატორში თამაშის გამო დაგროვილი ვალის გასასტუმრებლად, ბინა და მანქანა ბანკში დააგირავა, ცოლმა კი, 4.500 დოლარი კაზინოში წააგო...
 კაზინო, ტოტალიზატორი, ლატარია, თამაში, აზარტი იმდენად ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ყოფაში, რომ ბევრი ადამიანის ცხოვრებას დაასვა დალი. ბუნებრივია, დამოკიდებულებაც ამ მოვლენებისადმი არაერთგვაროვანია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, საზოგადოებრიობის ორი წარმომადგენლის პოზიცია გაგვერკვია:

უნ ქაზინოში თამაშობს, უნ კიდეც - სირეცხის მანქანასთან..

მარი ჯაფარიძე

თიანურ მღვდარბილი, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური:

— მე, ახალგაზრდობისას უფრო აზარტული ვიყავი. ახლა, არც ფინანსები და არც სამსახური არ მაძლევს საშუალებას, რომ კაზინოში ვიარო. ჩემი მეუღლე კი, მთელი აზარტითა და შემართებით, მშვენივრად თამაშობს და ერთობა სარეცხის მანქანასთან. ამიტომ ჩემს ოჯახს, ამის გამო დანგრევა არ ეშუქება.

— **მიგაჩნიათ თუ არა, რომ აზარტულობა ადამიანისთვის დამღუპველი თვისებაა?**

— რა თქმა უნდა, დამღუპველია! არ უნდა აჰყვე ამ გრძნობას. ერთი თუ ჩავითრია — მორჩა... მე, კიდეც კარგი, ვერ ვიცლი, თორემ... ახლაც, ამწუთას, რუსთაველზე ვიმყოფები, წესრიგის დამყარების მიზნით.

— **თქვენ თუ იცნობთ ისეთ ადამიანებს, რომლებიც აზარტმა დაღუბა?**

— რას ლაპარაკობ, კაცო? მე ასეთ ადამიანებთან არ ვმეგობრობ! არასოდეს არ ვიამხანაგებ ისეთ ხალხთან, ვინც კაზინოში დადის.

— **როგორ დაგიჯერო, რომ „ჯოკერიც“ კი არ გითამაშიათ მეგობართა წრეში?**

— არა, კაცო, როგორ არ მითამაშია? სადმე საქეიფოდ რომ მივიღვარ, ვიდრე სუფრას გამზლიან, კარტიც მითამაშია და ნარდიც, მაგრამ ეს აზარტულობა არ არის და ამით ადამიანი არ დაიღუპება. კაზინოები კი, ცეცხლსაც დაუწვია, სულაც არ

მინტერესებს. ვისაც ბევრი ფული აქვს, კაზინოში იმან იაროს...

რაზო აბაშუკაილი, პოეტი:

— მე საკმაოდ აზარტული ვარ, კაზინოშიც ძალიან სშირად ვყოფილვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველა კაზინო უნდა დაიხუროს. ჩემი ნება რომ იყოს, სწორედ ასე მოვიქცეოდი. სიმათლე რომ გითხრათ, კაზინოში სიარული მაშინ უფრო მხიბლავდა, როცა ეს ახალი ხილი იყო. მშვენივრად ვერთობოდი... ისეთი სულები მე არა ვარ, რომ ჩემი ბიუჯეტისთვის ამით ზიანი მიმეყენებინა...

— **როგორ ფიქრობთ — რამდენად მისაღებია კაზინოში სიარული ქალისთვის?**

— არავითარ შემთხვევაში! მე ქართველი კაცი ვარ და მიმაჩნია, რომ ქალი უნდა ცხოვრობდეს კდემამოსილად და ისეთი ცხოვრების წესით, როგორც ქართული ოჯახის შვილს შეჰყვრის და არ არის აუცილებელი, ისმინოს ის უწმაწური სიტყვები, რომელიც ხანდახან, წაგებულს წამოსცდება ხოლმე კაზინოში. რაც შეეხება მამაკაცებს — მათაც ვურჩევდი, რომ სუფრასთან დასხდნენ, ერთმანეთს მიეფერონ და ტკბილად ილიდინონ... კაზინოში სიარული კარგს არაფერს მოუტანს არც ქალს და არც მამაკაცს...

— **სომ არ დაგვისახელებთ მაქსიმალურ თანხას, რომელიც წაგიგიათ?**

— ბევრი არა — ყველაზე მეტი ასე, სამასი ლარი თუ წამიგია...

— **გული დაგწყდათ?**

— რა თქმა უნდა! მაგრამ — უფრო მეტი მომიგია...

— **თუ საიდუმლო არ არის,**

რამდენი?


— ეგ ჩემი საიდუმლოა, ვერ გაგიმხელთ, რადგან შესაძლოა, შემდეგ, პანკისშიც გამიტაცონ...

— **ტოტალიზატორში თუ თამაშობთ?**

— ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მაგრამ ტოტალიზატორში არ ვთამაშობ, თუმცა ვიცი, რომ ეს უკვე მსოფლიო „დაავადება“ იქცა.

— **სშირად გიღიმიოთ ფორტუნა?**

— სიმათლე რომ გითხრათ, მიმაჩნია, რომ საკმაოდ იღბლიანი ადამიანი ვარ. სხვათა შორის, თქვენც გაგიმართლათ: რადგან ახალი წელია, საჩუქრად მომიძღვნია ჩემი მცირე ინტერვიუ, თორემ ისე, დაფიცებული მაქვს — არც ერთ ჟურნალისტს აღარ გავესაუბრები. ვისაც ჩემი ინტერვიუ სჭირდება, ვიდრე ათას დოლარს არ გადამიხდის, მანამდე არ შევხვდები...



ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ყანის ჭლეტი სარეველა მცენარეა.
2. ლისის ტბის მასპინძელი სიღრმე 4 მეტრია.
3. მალალ ადამიანებში ხშირია სუსტი მხედველობა.
4. ერთ-ერთ უღელტეხილს ლეჩხუმის ქელზე მატყუარა ჰქვია.
5. 1950 წლამდე ახლო აღმოსავლეთში ფეხბურთი აკრძალული იყო.
6. ბოტსვანას სახელმწიფოს გერბს ამშვენებს წარწერა: „დაე, იყოს წყალი“.
7. ემიგრანტულ ცხოვრებასა და სიღუბნეში კარლ მარქსს 4 შვილი დაეღუბა.
8. მაშრევი არაბულად აღმოსავლეთის ქვეყნებს ნიშნავს, მადრიბი – დასავლეთისას.
9. ელიზავეტგარდი, ქერჩი, ბაქო, ტაშკენტი, აშხაბადი, ტულა, ლუგანსკი, ვიატკა – ყველა ამ ქალაქში მუშაობდა კოტე მარჯანიშვილი.
10. აკადემიური მოსწრების მიხედვით, ალექსანდრ პუშკინს ლიცეუმში 29 თანაკლასელს შორის 26-ე ადგილი ეკავა.
11. „ყოველდღე უნდა მოისმინო თუნდაც ერთი სიმღერა, შეხედო კარგ სურათს, წაიკითხო ერთი ბრძნული აზრი მაინც“, – წერდა გოეთე.
12. თავისი პირველი მოთხრობა, „ბავშვობა“, ტოლსტოიმ თბილისში დაწერა. ამ მოთხრობამ შემდგომში, „ყრმობასა“ და „სიჭაბუკესთან“ ერთად, ტრილოგია შეადგინა.
13. როდესაც ერთმა ფრანგულმა ფირმამ საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისთვის პირში ჩიბუხგაჩრილი, გამხდარი ძროხის სურათი გამოაქვეყნა, გამოჩენილმა მოგზაურმა და გამოგონებელმა ფან-ივ კუსტომ ეს ნახატი საკუთარი თავის კარიკატურად ჩათვალა და ფირმას სასამართლოში უჩივლა.
14. „ყველა, ვინც არ შევა პომპეუსის არმაში, მისი მტერია“, – ეწერა პომპეუსის მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში. „ყველა, ვინც არ შევა პომპეუსის არმაში, კეისრის მეგობარია“, – ეწერა კეისრის მიერ გამოქვეყნებულ მანიფესტში.
15. კომპოზიტორ ნიკიტა ბოგოსლოვსკის ახლახან, 85 წელი შეუსრულდა. შესაშურია ის სიმხნევე, ოპტიმიზმი და იუმორის გრძობა, რომელიც ამ ადამიანმა დღემდე შეინარჩუნა. საკუთარ საიუმბილეო საღამოზე მან ასეთი ფრაზა წარმოთქვა: „ლიუბლოუ დებტი, ნო სამ პროცეს მილეე“.
16. ბურგუნდიის დედაქალაქი დიჟონია, ნორმანდიის – რუანი, შამპანის – ტრუა, პროვანსის – ეკსი, გასკონიის – ბორდო.
17. „იერუსალიმი 1808“, „მინსკი 1075“,



„ყველა ხერძი ერთი ღარიდან...“ ავთო მარგველაშვილი

დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთისაკენ ერთ-ერთი მგზავრობისას, სამეგრელოდან თბილისში მომავალ მიკროავტობუსში მოგვხვდა. რადგან მგზავრობა რაოდენობა „კვორუმს“ არ შეადგენდა, მძღოლი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აჩერებდა და სამ ლარადაც კი იხვეწებოდა, თბილისში წაგვიყვანათო. მორიგი გაჩერებისას სალონში ახალგაზრდა ბიჭმა შემოყო თავი.

- 5 ლარად ორ კაცს წაგვიყვან?
- მაგ ფასად, ტროლეიბუსს გაჰყვით, – მანქანა უმაღლ დაძრა შეურაცხყოფილმა მძღოლმა და რომ არა იმ ბიჭის ელვისებური რეაქცია, შეიძლებოდა, „უთავო მხედრის“ პერსონაჟს დამსგავსებოდა.
- 5 ლარად ორი კაციო, – სირცხვილი არაა? – მძღოლს მხარი აუბა მკვეთრი მეგრული აქცენტით მოსაუბრე მამაკაცმა, რომელსაც თავი „ნულზე“ ჰქონდა გადაპარსული. – ორლარ-ნახევარზე მეტი თუ არ მაქვს „ჯიბში“, მეზობელთან არ გავდივარ ისე. რა უნდა უფულოდ დედაქალაქში?
- რა უნდა და იქურდებს, იმამადალებს და შენზე მეტ ფულს იშოვის, – კრიმინალისტური აღლო გამოიჩინა იმერელმა.
- ახლანდელ ახალგაზრდებს „ეპაზორებათ“ მუშაობა, – საუბარში თუთიყუშის ფერებად თმაშეღებილი ქალიც ჩაერთო.
- აი, მე 18 წლის რომ ვიყავი, სამსახურიც მქონდა და ცოლ-შვილსაც ვარჩენდი, – თავი შეიქო მეგრელმა.
- ასე ადრე დაქორწინდით?
- 18 წელი რა ადრეა, ქალბატონო?! მე-8 კლასიდან მიხლოდა ცოლის შერთვა, მაგრამ

მათემატიკის მასწავლებელი მიშლიდა – სუსტი ხარ გამრავლებაშიო... ამ სიტყვებმა ისე გამაბრაზა, სკოლის დამთავრებისთანავე ვითხოვე ცოლი და ავერ, უკვე 25 წელია, ინტენსიურად ვმუშაობ გამრავლებაზე.

- ჩვენი შვილების თაობას, მგონი, ესეც ეზარება...

- მაგნებს გამრავლება არ უნდათ, თორემ, პროცესი კი მოსწონთ ნამეტანი. ხომ ხედავთ, რა ხდება უკანა „სილენიაზე“? სულ გაბოზდნენ! აბა, ჩვენ დროს, სად იყო ამდენი „სპიდები“?!

- სწორედ მაგიტომ ვერიდები ფოთში ჩასვლას – თქვენთან ხომ უამრავი კოლა! ამბობენ, შიღის კოლოს კენითაც გადადისო.

- ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ჩვენი კოლოები პრეზერვატივებით იკბინებიან, – გადაიხარხარა უკანა სკამზე მოკალათებულმა ფოთელმა ბიჭმა, რომელსაც ალბათ სციოდა და ბეჭებამდე იყო ჩამძვრალი გვერდით მჯდომი გოგონას სვიტერში...

- ა, ასე ფუჭდებიან ახალგაზრდები. ამ ტელევიზორმა ხომ მთლად გადარია, რა რეკლამებს არ უჩვენებენ!..

- გუმინ, მაგალითად, ისეთი ფილმი უჩვენეს, ჩემს ძალს შერცხვა და გარეთ გავიდა. პორნოგრაფიას რომ ეძახიან, იმაზე უარესი იყო კიდევ!

- რა ერქვა სათაური?

- ალბათ „ჭრიჭინა“.

- „ჭრიჭინა“?

- რა ვიცი, საწოლის „ჭრიჭინის“ მეტი, არაფერი ისმოდა!..

- დენი თუ გაქვთ და ტელევიზორს უყურებთ, კიდევ რა გიჭირთ! სიძე-ქალიშვილთან ვიყავი ახლა სტუმრად საშურში და ისეთი სუსტი დენი იყო, „პოეზიის ორი წუთი“ საათ-ნახევარი გაგრძელდა.

– ჩემთან პირიქით: ისეთი ძლიერი დენი მოვარდა, რომ ტელევიზორმა სვავლინდელი პროგრამაც ჩაარჩინა.

– შუქის საქმე მალე გამოსწორდებაო, დაგვირდნენ.

– დაპირებები კარგი იციან. თქვენ ჯვარი გწერიათ, ქალბატონო, და ჩემმა ბიჭმა სიდ-დერი ჩააბარა მოხუცებულთა სახლში. კარგი პირობები გვაქვსო, სამჯერადი კვებითო, – უთქვამს დირექტორს. მართლა სამჯერადი კვება ყოფილა: ახალ წელს, აღდგომას და პირველ სექტემბერს...

– სიდდერი როგორ გაიმეტა ჩასაბარებლად? – გულში წყენა ჩაიდო ხაშურელ სიძეზე „ფერადმა“ სიდდერმა.

– აბა, რა ექნა? როდემდე უნდა ჰქონოდა ჭიშკარზე წარწერა: „ეზოში ავი ძაღლია“? – უჭირდა ოჯახს...

– ეჰ, გაჭირდა ცხოვრება! ჩაცმა-დახურვას ვინდა დაეძვინა? – პურის ფულიც ვერ უშოვია ხალხს.

– ჰოდა, ალბათ მალე დავიწყებთ, ადამ და ევასავით, ლეღვის ფოთლებით სიარულს.

– სადაა მერე ამდენი ლეღვი? ლეღვი გვეყოფა ჩვენ?! – წამოწითლდა მეგრელი.

– ასე ტრამპანობთ კაცები, თორემ, სინამდვილეში, ბევრს ქინძის ფოთოლიც ეყოფა... – წელანდელზე შური იძია თუთიყუშის-ფერმა ქალბატონმა.

– რასაა, რომ გვაკადრებთ, თქვენ? არ გრცხვენიათ?! ა, ამაზე ნათქვამი – თავი არ უნდა გაუყადრო, თორემ, ტილს ფეხზე რომ დაისვამ, თავზე აგაცოცდებაო! – ძველი სიბრძნე გაიხსენა მელიტმა მეგრელმა.

– თქვენ თავზე ნამდვილად არ აგაცოცდებათ, სადმე შუაში გაჩერდება, – ბოლო მოუღო ქალმა.

– მიტომ მეჯავრება ქალები!

– რა გესმით ქალის? ქალი წიგნივითაა – წაკითხვა უნდა შეგებლოთ.

– ქალი თუ წიგნია, შაჰ-აბასი ბიბლიოთეკარი ყოფილა, – კაცის მხარე დაიჭირა იმერელმა. – ზოგი ქალი მართლაც წიგნია. აი, თქვენ კი, უფრო, ბროშურას მაგონებთ.

– რა გაყვირებთ, მაცადეთ „წიგნის კითხვა“!!! – გოგოს სვიტერის საყელოდან მეორე თავი გამოჩნდა და მძლოლმა შიშისგან დააბუნრუკვა, – ახლა ვარ საინტერესო ადგილას... – ბიჭმა ისევ „ჩაყვინთა“.

– ა, საქართველოს მომავალი! მე რომ მაგის ხნის ვიყავი, ხალხში ჭამაც მრცხვენოდა.

– თქვენ ხომ არ დაგპატიჟოთ? – გაისმა სვიტერის შიგნიდან.

– ჭამაზე გამახსენდა – ხომ არ წაგვეხემსა სადმე? იმერული სამზარეულო თუ

შეგხვდეს, გააჩერე!

– რატომ იმერული? მეგრული სასადილო მეგულება ახლოს.

აზრთა სხვადასხვაობა არც გამკვირვებია, რადგან გემოვნებაზე არ დაობენ. მძლოლმაც ჭკუა იხმარა და ისეთ სასაუბრესთან გააჩერა, რომელსაც ზოგადად – „ნაციონალური კერძები“ ეწერა. არჩევანი მეგრულსაც მოეწონა და იმერულსაც. დანარჩენი მგზავრები კი, მეორე წარწერამ – „ყველა კერძი 1 ლარად“ მოხიბლა და ისინიც გადმოვიდნენ.

ასე აღმოვჩნდით პატარა, უცნაურ(!) სამკუთხა დარბაზში, რომლის შიგა კუთხეების ჯამი, რატომღაც არ უდრის 180 გრადუსს.

– რა გაქვთ საჭმელი? – იკითხა მძლოლმა.

– „ოსტრი“, „სოუზი“, „სალიანკა“, ჩაშუშული, ქათამი, – ვეფხისტყაოსნის“ საზეპიროსავით ჩაასხაპუნა მზარეულმა, რომელიც ხანვს ჭრიდა და ცხარე ცრემლებით ტიროდა. მგზავრებმა სხვადასხვა კერძი შეუკვეთეს და ოფიციატის წყალობით, მალევე მიიღეს.

– ეს ქვაბი ჯადოსნურია? – ვიკითხე გახჭურაზე მოთუხთუხე ერთადერთ ქვაბზე.

– რატომ უნდა იყოს ჯადოსნური? – გული ამოუჯდა მოტირალ მზარეულს.

– ოთხი დასახელების კერძი ამოდის და იმიტომ.

– აბა, 1 ლარად რას ითხოვ?! – დაჭრილი ხანვი ქვაბში ჩაუძახა, დანა ოდესღაც თეთრ ხალათზე შეიწმინდა და ისე გამოძვინდა. ლარიანი წინასწარ გადავუხადე და „ჩაშუშულისებრთა ოჯახის“ „ოსტრის“ მსგავსი „სალიანკით“ ხელში, კუთხეში მივიკუნჭე.

მძლოლებს თურმე უფასოდ უმასპინძლდებიან და მანაც ქათამი მოითხოვა ტყემლით.

– ამ ქათამს შეწვა ხომ არ აკლია? – მოკრძალებულად იკითხა მძლოლმა და მოზრდილი ბუმბული მოიცვალა ტუჩიდან.

– რაზე ატყობ? – გაიკვირვა მზარეულმა.

– რა შეტყობა უნდა, შე კაცო?! – რაც ომბალო იყო ტყემალში, სულ ამოკენკა!..

სიცელი ველარ შევიკავე და გარეთ გამოვვარდი. თითო ლარად „დანაყრებული“ მგზავრებიც მალე შემომიერთდნენ და გზა შედარებით თბილ ატმოსფეროში განვაგრძეთ:

– გემრიელი „სოუზი“ იყო!..

– არც „ოსტრით“ დაგრჩი უკმაყოფილო 1 ლარის პირობაზე...

„ნაციონალური კერძების“ შთაბეჭდილებები თბილისამდე ჩაგვეყვას...

ინფორმაციული-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკედან:

„ომსკი 1855“ – ეს, კომპიუტერულ ვირუსთა ჩამონათვალია.

18. პიკასოს სახელგანთქმულ ნახატზე – „გერნიკა“ ესპანელი ფაშისტების მიერ ქალაქ გერნიკას დაბომბვა გამოხატულია. P.S. პრადოს მუზეუმში გამოფენის შემდეგ, ფრანკისტების შიშით, ეს ნახატი 14 წლის განმავლობაში დაჯავშნული მინით იყო დაცული.

19. ლოსები ადვილად შინაურდებიან და ტყვეობაში თავს მშვენივრად გრძობენ. სულ ადვილია მარნილში ლოსის შებამ და მისი შემეფობით საკმაოდ მძიმე ტვირთის გადატანა. თითქოსდა იდეალური ცხოველია მოსამინაურებლად, მაგრამ არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც ამას ერიდებიან. ერთი მიზეზი ის არის, რომ ლოსები ვერ იტანენ სიცხეს და არ შეუძლიათ ზაფხულში მუშაობა, მეორეც, სამინელი ღორბუცელები არიან – ისინი წელიწადში 7 ტონა საკვებს მიირთმევენ.

20. 1956 წლის საბჭოთა კავშირის გეოგრაფიულ ატლასში შეტანილი ობიექტების დიდი ნაწილი სხვადასხვა გამოჩენილი პიროვნების სახელს ატარებდა. ამ „რეიტინგში“ პირველი ადგილი ლენინს ეკავა, მეორე – კიროვს, მესამე – სტალინს, მეოთხე ადგილს კი, კალინინი და კუბიშევი ინაწილებდნენ.

21. ბულგარული ფულის ახალ კუბიურებზე გამოსახული ყველა პიროვნება ბულგარული ვახლავით, გარდა 50.000-ლევანზე გამოსახული, წმინდა კონსტანტინის, რომელიც ეროვნებით ბერძენია.

22. უწინ, რუსეთში გვარები მხოლოდ „ჩინაზებსა“ და ბოიარებს ჰქონდათ. უბრალო გლეხი მხოლოდ სახელს და მამის სახელს ატარებდა.

23. ლონდონის ქუჩებში სამი მეტრის სიმაღლის ბობებზე დამატებულია ყუთები, რომელშიც ყვავილები იზრდება.

ეს ყვავილები იმ ადამიანების ესთეტიკური ტკობისთვის არის განკუთვნილი, ვინც ლონდონში ორსართულიანი ობიბუსების მეორე სართულზე მგზავრობს.

24. „ამ ჩვენს საცოდავ პროზას, თუ გამოვაკლებთ „ოზას“ და დავუმატებთ „უწუნს“, მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს“ – ამ სტრიქონების ავტორი გალაკტიონ ტაბიძე ვახლავთ.



თენგიზ უთმელიძე „სუხიშვილების“ ანსამბლის ცოცხალი მემკვიდრეა. ბევრს უცვკვია ამ ლეგენდარულ ანსამბლში, მაგრამ ბატონი თენგიზი მათგან მაინც გამოორჩეულია. ერთი, რომ ის თვით ნინო რამიშვილის მეწყვილე გახლდათ სცენაზე და, სხვათა შორის, უკანასკნელი პარტნიორი — 4 წელი იცვლება ბატონმა თენგიზმა ნინო რამიშვილთან და ამასობაში, ქართული ცეკვის დედოფალმა სცენა მიატოვა. მეორეც, თენგიზ უთმელიძე ანსამბლის ერთადერთი მოყვარული ფოტორეპორტიორი იყო. პროფესიით ჟურნალისტი, წლების მანძილზე, უამრავ პუბლიკაციას აქვეყნებდა ქართულ პრესაში და ფოტოაპარატით აღწესდებოდა თავისი კოლეგებისა და მეგობრების ყველა მნიშვნელოვან ნაბიჯს სხვადასხვა ქვეყანაში. თენგიზ უთმელიძემ არაერთი გამოფენა მოაწყო და წლების მანძილზე რუდუნებით შექმნილი ფოტომატიანე დიდი ქართული ანსამბლისა, საზოგადოებასაც გააცნო და შთამომავლობასაც შემოუნახა.

ჩაბა ლომიძე

— ბატონო თენგიზ, როდის და როგორ გახდით ნინო რამიშვილის პარტნიორი?

— ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლში 2 წლის მისული ვიყავი. თავად ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა შემომთავაზეს თავიანთი ანსამბლის წევრობა. სხვათა შორის, პირველად, უარი ვუთხარი, მაგრამ მერე, ბატონმა ილიკომ დამიყოლია. მანამდე,



თენგიზ უთმელიძე



გასტროლები აშშ-ში, ჯორჯ ბალანჩინთან ერთად

სეკვა მუზეუმი არ არის, ანუ სიახლეები ქორეოგრაფიაში

„ქართული“, მეწყვილესთან ერთად არასდროს შემისრულებია სცენაზე. დამოუკიდებლად, პარტნიორის გარეშე გავდიოდი რეპეტიციებს. 1959 წელს, ანსამბლი დიდ ბრიტანეთს ეწვია. მასსოვს, ლონდონში ჩავედით და იქ მითხრა ილიკო სუხიშვილმა: თენგიზ, სიურპრიზს გიმზადებ და მზად იყავი, ნუ დაიბნევი... რამდენიმე კონცერტი გავმართეთ, ყველაფერი თბილისში ჩამოყალიბებული გეგმის მიხედვით მიდიოდა. მორიგი კონცერტი შოტლანდიაში — გლაზგოს სამეფო თეატრში გექონდა. წუთები აკლდა კონცერტის დაწყებას, რომ ბატონმა ილიკომ კულისებში მითხრა: დღეს შენ ნინოსთან ერთად „ქართულს“ იცეკვებო. სიმართლე გითხრათ, იმის გააზრება ვერც მოვასწარი, რა ხდებოდა. დრო უცებ გავიდა, მესმის, წამყვანის ხმა აცხადებს, რომ შემდეგი ცეკვა „ქართული“ იქნება... ამ დროს, დოლის ხმაც გაისმა. გავშალე ხელები და გავედი სცენაზე. სცენის მეორე მხრიდან ნინო რამიშვილი მონარნარებდა. რომ დამინახა, უცებ სახე შეეცვალა — გაკვირვებული მიცქერდა. თურმე ბატონ ილიკოს მისთვის არც უთქვამს, რომ „ქართულს“ მე ვიცეკვებდი, ის კი თავად ილიკოს ელოდა. მოკვლევ, სიურპრიზი ნინო რამიშვილს უფრო გაუკეთა ბატონმა ილიკომ, ვიდრე მე... რა თქმა უნდა, ნინო რამიშვილის პარტნიორობა ჩემი თაობის ყველა მოცეკვავე ვაჟის ოცნება იყო, აუხდენელი ოცნება. მხოლოდ სამად სამი პარტნიორი ჰყოლია ნინო რამიშვილს —

ილიკო სუხიშვილი, ზურაბ ქველაძე და მე. საოცარი მოცეკვავე იყო, ცეკვის დროს, შეცდომას ვერ გამოაპარებდი. თუ შემეშლებოდა, ყველასთვის შეუმჩნევლად, ისე, რომ ტუჩებს არც ამოდრავებდა, გამოცრია: „თენგიზ, ნელა მოძრაობ! თენგიზ, ჩქარობ!“ მთელი შთაგონებით ცეკვავდა, მაგრამ ეტყობა, ტანით გრძნობდა სხვის მოძრაობებს.

— თქვენ უამრავი პარტნიორი გყოლიათ სცენაზე. ნინო რამიშვილი სრულიად განცალკევებით და ყველაზე მალლა დგას. დანარჩენებისგან, ვის გამოარჩევდით?

— დიდებულ ქალბატონებთან მომიწია სცენაზე ყოფნა — მარინა მხეიძესთან, ლატავრა ფოჩინთან, იაშუე დოლაბერიძესთან, მანანა აბაზაძესთან, ნინო კირვალიძესთან... ამ თანავარსკვლავედში, მიჭირს ვინმეს გამოარჩევა...

— ამბობენ, ნინო რამიშვილი იმდენად მკაცრი იყო, რეპეტიციების დროს ბიჭებს სახაზავითა და ნკვბლით კანჭებში ურტყამდა, თუ რამე შეშლებოდათ...

— ქალბატონი ნინო მეტიისმეტად მკაცრი და მომთხონე იყო. მისი რეპეტიციები ხელოვნების გაკვეთილად შეიძლება ჩაითვალოს. ყველა საცეკვაო ილეთს, სირთულის მიუხედავად, ჩვენთან ერთად ასრულებდა და შემდეგ, გვაპეორებინებდა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროდ მიაჩნდა. რა თქმა უნდა, ყველას და ყოველთვის არ მოგვწონდა ყოველდღიური მრავალ-

საათიანი მომქანცველი ვარჯიშები, მაგრამ იმასაც თვალნათლივ ვხედავდით, რომ ჩვენი ბრწყინვალე წარმატებები ხანგრძლივი გასტროლების დროს, სწორედ ამ რეპეტიციების შედეგი იყო. ნინო რამიშვილისა ჩვენ არ გვეშინოდა. მისი დამი განსაკუთრებულ მოწიწებას, თავანისცემას ვგრძნობდით. ამის შედეგი იყო ის საოცარი წესრიგი, რომელიც ანსამბლში იყო დამკვიდრებული. კაი დედის შვილი იყავი და წვერგაუპარსავი, ან დაგვიანებით მისულიყავი რეპეტიციაზე!.. ქალბატონ ნინოს სახაზავი და წკებლა არ სჭირდებოდა წესრიგის დასამყარებლად — უსიტყვოდ გვესმოდა მისი, რადგან ანსამბლში ყველამ თავისი საქმე და საკეთებელი იცოდა.

— **კომუნისტურ ხანაში, საქართველოდან პირველად, თქვენ მოგინიათ ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრა. მწერალი გრიგოლ რობაქიძე დადსნრო შვეიცარიაში თქვენს კონცერტს. როგორ გხვდებოდნენ ემიგრანტები?**

— ანსამბლში ჩემი მისვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ, 1957 წლის ნოემბრის ბოლოს, ანსამბლი საფრანგეთში მიიწვიეს. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო გასტროლები იყო, რადგან მას უნდა გადაეწყვიტა ანსამბლის შემდგომი ბედი. საბედნიეროდ, ქართულმა ცეკვებმა ფურორი მოახდინა პარიზში. შემდეგ, საფრანგეთის ყველა დიდი ქალაქი ტრიუმფით მოვიარეთ. სწორედ ამ გასტროლების მერე დაიწყო ჩვენი ანსამბლის ხანგრძლივი ტრიუმფალური სვლა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში. ანსამბლთან ერთად 65-ზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. გზადავ ვხვდებოდით სამშობლოდან გადახვეწილ ქართველებს. ისინი უფრო მეტად, საფრანგეთსა და ამერიკაში იყვნენ. პარიზში პირველად ყოფნისას, მხოლოდ გავიცანით ჩვენი ემიგრანტები. მერე, მესამე ჩასვლაზე კი დაუახლოვდით და ოჯახებშიც მიგვიწვიეს. კარგად დამამახსოვრდნენ სერგი წულაძე, ვიქტორ ხომერიკი, ტარიელ ჟღენტი, ვალიკო წილოსანი. ამერიკაში გავიცანი იმ დროისთვის ცნობილი მოჭიდავე, კოლია ქვარიანი, ასევე — თავადი თენგიზ დაღუმქელიანი. პარიზში, ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში ჩვენს კონცერტებს არ აცდნენ იქაური ქართველები. მაშინ, გრიგოლ რობაქიძის ხსენებაც კი აკრძალული იყო საბჭოთა საქართველოში. 1962 წელს, ჟენევაში გვქონდა გასტროლები. გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა თურმე ჩვენს კონცერტს, მაგრამ ეს არავინ იცოდა. კონცერტი დასრულდა, ფორმა გამოვიცვალეთ და თეატრიდან

გამოვედით. ქუჩაში ვდგავართ. მოგვიანლოვდა ხმელ-ხმელი, სიმპათიური კაცი, თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. „გენიალური იყო, გენიალური!“ — ეს გვითხრა, მიტრიალდა და ხალხს შეეჩია. ჩვენს ოთხივე კონცერტს დასწრები. მერე, ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილსაც შეხვდა, რა თქმა უნდა, ანსამბლი, გარჯა შეუქო და მადლობა გადაუხადა. იქვე გადასცა თავისი ცნობილი ესსე — „ქართული გენია როკით განფენილი“, რომელიც იმავე დღეებში დაეწერა... მაშინ ამ გენიალური წერილის გახმაურება როგორ იქნებოდა?! ბატონმა ილიკომ და ქალბატონმა ნინომ ფარულად ჩამოიტანეს საქართველოში. ჩვენ, ანსამბლის წევრებიც ჩუმ-ჩუმად ვიწერდით ამ ქმნილებას ჩვენთვის და ჩუმაღვე ვკითხულობდით.

— **მილანის „ლა სკალაში“ 14-ჯერ გამოგიძახეს ბისზე. ამით თქვენმა ანსამბლმა მარია კალასის რეკორდი მოხსნა, რომელმაც მანამდე, 12-ჯერ იმღერა ბისზე...**

— ეს მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა იყო ჩვენი ანსამბლის ისტორიაში. სახელგანთქმულ „ლა სკალაში“ ჩვენამდე, არც ერთი ფოლკლორულ-ქორეოგრაფიული ანსამბლი არ გამოსულა. რატომღაც, იტალიაში ჩასულებს სკეპტიკურად შეგვხვდნენ იქაური ჟურნალისტები, კრიტიკოსები. ისინი „ლა სკალაში“ ჩავარდნას გვიწინასწარმეტყველებდნენ. ამან „ლა სკალას“ გენერალური დირექტორი ანტონიო გირინგელიც შეაშფოთა და ილიკო სუხიშვილი გააფრთხილა: იცოდეთ — თუ „ლა სკალაში“ ღირსეულად ვერ გამოხვალთ, ჩათვალეთ, რომ ეს თქვენი დასასრულის დასაწყისი იქნებაო. ილიკო სუხიშვილმა მოკლედ მოუჭრა: „კონცერტის ბოლოს, 10-ჯერ აიხლება ფარდა!“ მის სიტყვებზე გირინგელმა ირონიულად გაიღიმა და დაგეშორდა. გუშინდელი დღესავით მახსოვს — 1967 წლის 29 ოქტომბერი იყო. ეს იყო ქართული ცეკვის ტრიუმფი. „ლა სკალა“ — მრავლისმომსწრე საოპერო ხელოვნების ციტადელი — ბღაოდა, კიოდა, ჭკუიდან იყო გადასული. კონცერტის ბოლო აკორდის შემდეგ, 14-ჯერ გამოგვიძახეს მაყურებლებმა, ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ამ ისტორიული გამარჯვების თვითმხილველია ბატონი ზურაბ



ნინო რამიშვილი და თენგიზ უთმელიძე

სოტკილავა, რომელიც იმ დროს, „ლა სკალას“ სტაფიორი იყო... კიდევ ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. 1963 წელს, პირველად გავემზავრეთ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. იმის მიუხედავად, რომ კარგი რეკლამა გვქონდა და პრესაშიც წინასწარ დაიბეჭდა მრავალი საქებარი წერილი, ჩვენი ავსტრალიელი იმპრესარიო, ერიკ ეჯლი, ზედმეტი სიფრთხილით შეგვხვდა. კონცერტები კომერციული იყო, ეჯლი კი — ბიზნესმენი, ამიტომ, არ გარისკა — სიდნეიში წინასწარ 14 კონცერტი დაგეგმა და ესეც ებეკრებოდა. ილიკო სუხიშვილმა მას 30 კონცერტი შესთავაზა. არ დამავიწყდება, როგორ გაასავსავა ხელები ბატონმა ეჯლიმ. მოკლედ გეტყვი: მარტო სიდნეიში 40-მდე კონცერტი გავმართეთ. ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ შაბათ-კვირას, ორ-ორ, ზოგჯერ — სამ კონცერტსაც ვმართავდით ხოლმე. საერთო ჯამში კი, ამ გასტროლების დროს, ასზე მეტი კონცერტი გვქონდა.

— **ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ტრადიციებს დღეს ილიკო სუხიშვილი-უმცროსი განაგრძობს. მან ბევრი რამ შეცვალა ქართულ ქორეოგრაფიაში, ფოლკლორში სიახლეები შეიტანა. ზოგი იმასაც ამბობს, ილიკო სუხიშვილი-უმცროსი ირლანდიურ ხალხურ ცეკვას — „რივერდანსსაც“ ჰბაძავსო. თქვენ როგორ შეაფასებდით მის ექსპერიმენტებს?**

– ნინო რამიშვილს უყვარდა თქმა – ანსამბლი, ცეკვა, მუზეუმი არ არის, საჭიროა სიანხლის მუდმივი ძიებაო. დიას, კულტურას ერთ ადგილზე ვერ გააჩერებ, ის მუდმივად და შეუჩერებლად ვითარდება. უმცროსი ილიკო სუხიშვილი ნიჭიერი ქორეოგრაფი, თავისი საქმის პროფესიონალია. ის ახლა, ძიების პროცესშია, ბევრი სიანხლე შეიტანა ქართულ ცეკვებში. მთავარია, ქართული სული, ქართული ფოლკლორი არ დაიკარგოს. მას აბრალებენ, რომ ცეკვებისადმი ახლებური მიდგომის შედეგად, ქართველი ქალის კლემანოსილება იკარგებაო... ილიკომ ქალის მოძრაობა უფრო მკვეთრი, ძლიერი გახდა. ჯერ-ჯერობით, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ ილიკო სუხიშვილი-უმცროსის შემოქმედებაში. გნებავთ – ექსპერიმენტები დავარკვავთ ამას. ერთადერთი, რაზეც მივანიშნებდი, ეს არის ქართული ხალხური ინსტრუმენტების როლის გაძლიერების აუცილებლობა. ქართულ მუსიკას არაფერი სჭირს სხვისი მისაბაძი, როგორც გაძლიერებთ საქსოფონისა და ბას-გიტარის გარეშე, როცა გვაქვს ჩვენი ეროვნული: ჭიბონი, ჭუნირი, დუღუკი, ფანდური, სალამური, ჩონგური და სხვა მრავალი. რაც შეეხება „რივერდანსთან“ ქართული ცეკვების მსგავსებას – ესეც არასწორი მინიშნებაა. ილიკო ნამდვილად არ ჰბაძავს ირლანდიელებს. ის საკუთარი გზის ძიებაშია.

— ბოლო ხანს, ბევრს საუბრობენ ანსამბლებს — „ერიჰონისა“ და „სუხიშვილების“ დაპირისპირებაზე. მართლა თუ არსებობს ეს დაპირისპირება და საერთოდ, მაინტერესებს, რა აზრის ბრძანდებით „ერიჰონზე“?

– როგორც მოგახსენეთ, არის მცდელობები ქართულ ქორეოგრაფიაში სიანხლების დანერგვისა. ამ მიმართულებით მუშაობს „სუხიშვილების“ ნაციონალური ბალეტი, აგრეთვე – ანსამბლი „ერუსთავი“

ილიკო სუხიშვილი პელესთან ერთად. სანგოსი, ბრაზილია



და სხვა ქორეოგრაფიული კოლექტივებიც. „ერიჰონისა“ შეიტანა ცვლილებები თავის პროგრამაში. მათი ახალი ნამუშევარი, როგორც ამბობენ, ქართულ ფოლკლორზე აგებული „მოუპროგრამა“, დიდ სცენაზე მე არ მინახავს და მილიანობაში რას წარმოადგენს, ამჯერად ვერ გეტყვით. ვიცი, რომ დიდი წარმატებები აქვს ევროპაში და ეს ძალზედ სასიხარულოა. რაც შეეხება ორი ანსამბლის დაპირისპირებას – ეს საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ მოგონილი მგონია. ჯანსაღი კონკურენცია კი, საქმისთვის სასარგებლოც კია. ქართული კულტურის ნებისმიერი წარმომადგენლის წარმატება ყველას ერთნაირად უნდა გვახარებდეს. ვიტყვი იმასაც, რომ „სუხიშვილების“ ანსამბლის დაჩრდილვა ღელეს, შეუძლებლად მიმაჩნია. ჩვენ გვიცეკვია მსოფლიოს ისეთ სახელგანთქმულ თეატრებში, რომელში გამოსვლასაც ვერავინ დაიტრაბახებს. ესენია: მილანის „ლა სკალა“, ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენ-ოპერა“ და „მედისონ სქვერ გარდენი“, ლონდონის „კოვენტ გარდენი“ და „როიალ ალბერტ ჰოლი“, პარიზის „გრანდ-ოპერა“, ნეაპოლის „სან-კარლო“ და ვენეციის „ლა ფენიჩე“. აღარაფერს ვამბობ ევროპის, ამერიკის, ავსტრალიისა და სხვა მრავალი ქვეყნის სამეფო თეატრებსა და პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზებზე... „სუხიშვილები“ თავიან-

„სუხიშვილების“ მოცეკვავეები კარუმოს საფლავთან



თი უზადო ხელოვნებით კვლავ აცვიფრებენ ჩვენი პლანეტის ჭეშმარიტი ხელოვნების მოყვარულთ. ამის ნათელი დასტურია ანსამბლის მიერ სულ ახლახან გამართული სამთვენახევრიანი ტრიუმფალური გასტროლები ამერიკის შეერთებულ შტატებში. 50-ზე მეტ ქალაქში მათ მიერ წარმოდგენილმა პროგრამამ, როგორც ანსამბლის ტრადიციული და მდიდარი რეპერტუარიდან, ასევე უდავოდ ნიჭიერი ქორეოგრაფის – ილიკო სუხიშვილი-უმცროსის მიერ მაღალროფესიულად დადგმულმა ახალმა ცეკვებმა, რომელმაც ერთი მთლიანი განყოფილება შეადგინა, ამერიკელთა აღტაცება გამოიწვია და ადგილობრივ პროფესიონალ კრიტიკოსთა მაღალი შეფასება მიიღო (აქვე ვიტყვი, რომ სამწუხაროდ, ჩვენთან ღელეს არ არსებობს ქართული ქორეოგრაფიის პროფესიული კრიტიკა, რაც დამაფიქრებელია). რაც შეეხება „სუხიშვილების“ მიერ, ბოლო დროს ქართულ ქორეოგრაფიაში დანერგილი სიანხლების მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ჩვენში – ძირითადად იგი დადებითია, თუმცა, ზოგ შემთხვევაში – ან ტენდენციური, ან მავანთა მხრიდან უსამართლოდ ღვარძლიანიც კი. ამასთან დაკავშირებით, ჩემს მეგობარს – თენგიზ სუხიშვილს, ნინო და ილიკო სუხიშვილებს, მათ თანამოაზრეთ, ქართული ნაციონალური ბალეტის მთელ შემადგენლობას მინდა შევახსენო გენიალური ფრანგი მოქანდაკის – ოგიუსტ როდენის სიტყვები:


„ნუ შეგამინებთ უმართებულო კრიტიკა. თუ ნიჭიერი ხართ და სიანხლეს ამკვიდრებთ, უფრო მეტი მტერი გეყოლებაო, ვიდრე მომხრე-მიმდევარი, მაგრამ სულით ნუ დაეცემით: მომხრენი გაიმარჯვებენ, რადგან მომხრეებმა იციან, რატომ უყვარხართ, მტრები კი, არც ფიქრობენ, თუ რატომ სძულხართ...“

თენგიზ უთმელიძე და ჯავაპარლალ ნერუ



ნათია თენიშვილი

შემოქმედი ადამიანისთვის ყოველი წელი ალბათ განსაკუთრებული საზომით იზომება: რა შევქმენი? აქედან გამომდინარე, ახალი ჩანაფიქრიც იბადება და სორცს ისხამს. დღეს, ორ მწერალს ვთხოვეთ მიღწეულის შეჯამება და დასახულის ჩვენთვის გაზიარება. თავდაპირველად შეგახსენებთ: შარშან, პოეტ დათო მალრაძის ლექსების კრებული „ნიკალა“ გამოვიდა, რომელმაც რიგით მეოთხე, თბილისის წიგნის ფესტივალზე გაიმარჯვა და აღინიშნა პრიზით „საუკეთესო ლექსების კრებულისათვის“. მწერალმა დათო ტურაშვილმა კი გამოსცა რომანი — „ჩაძირული ქალაქის ღამე“, რომლის პრეზენტაციაზეც ავტორი და მისი მეგობრები ქართულ, ეროვნულ ტანსაცმელში, ჩოხა-ახალუხში გამონყოფილები წარდგნენ საზოგადოების წინაშე.



დათო ტურაშვილი

სელოვნებაჲს და სასოგადოებრივ საქმიანობაჲს, გავაკეთეო — ვერასდროს იტყვი...

— რას დანერ მომავალში? ახლა თუ მუშაობ რაიმე წიგნზე?

— ახლა ვწერ რომანს ქართველი ქალის შესახებ, რომელიც XIII საუკუნეში სელჩუკების სულთნის ცოლი გახლდათ და იყო მთავარი მუზა მსოფლიოს უდიდესი პოეტისა — მევლანა ჯელალედინ რუმისა. მომავალ წიგნს ჰქვია „გურჯი-ხათუნი“ — როგორც მას იცნობს მთელი აღმოსავლეთი. მისი ცხოვრება და თავგადასავალი იმდენად საინტერესოა, რომ ძალიან მინდა, მისი სახელი დაუბრუნდეს ქართულ ლიტერატურულ სივრცეს.

„როგორი იყო 2002 წელი ჩემთვის, ჩემმა მკითხველმა შეაფასოს 2003 წელს“ — მითხრა პოეტმა დათო მალრაძემ. იმ წელს გამოვიდა ჩემი წიგნი „ნიკალა“, სადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსებია შესული, კარგია თუ ცუდი — ამას მკითხველი გადაწყვეტს.

— გარდა პოეზიისა, თქვენ საზოგადოებრივი საქმიანობითაც ხართ დაკავებული. როგორც ვიცი, საკრებულოსთანაც თანამშრომლობთ.

— მე ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის — „კავშირი — ძველი თბილისი“ წევრი. თუ რიმეს შეგვეკითხება საკრებულო, მერია თუ საზოგადოება, ჩვენ, ჩვენს პოზიციას ვაფიქსირებთ. რომც არ შეგვეკითხონ, მაინც დავაფიქსირებთ ამ პოზიციას. სულ ეს არის, თორემ არანაირ


თანამდებობაზე არ დავნიშნულვარ და არც ვაპირებ, რომ სადმე დავინიშნო. ამ ხელისუფლების სტრუქტურებში მუშაობას, რომც შემომთავაზონ, არ ვაპირებ.

— ჯერ იყო „მანდლის ასული“, „მეფური ნაკლი“, „ნიკალა“... ახლა თუ მუშაობთ რამეზე?

— ვმუშაობ ლექსებზე, არ ვიცი, როგორი გამოვივა. შეიძლება, ვერც მოვასწრო ამ წელიწადში გამოცემა. არც ვჩქარობ. ჩემი თვითმიზანი არ არის, რომ ყოველ წელიწადს წიგნი გამოვცე. თუ მოგროვდება ლექსები, გამოვცემ, თუ არა და...

— საზოგადოებრივი საქმიანობის სფეროში რა გექვთ დაგეგმილი?

— დაგეგმილი არ ვიცი. ისე, ვფიქრობ იმაზე, რაზეც 2000-ში, 2001-ში და 2002-ში ვფიქრობდი. ძალიან მინდა და ალბათ მოვიწადინებ, რომ ჩვენი საზოგადოების გაჯანსაღებაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო. ეს ისეთი საქმეა, რომელიც სულ უნდა აკეთო. როგორც ხელოვანი იხარჯება ბოლომდე თავის ხელოვნებაში, მაგრამ რაღაც, სულ მიუღწეველი რჩება, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაშიც: გავაკეთეო — ვერასდროს იტყვი. შეიძლება, რაღაცნაირად ქალაქს შევწვიო, მაგრამ სულ რჩება გადაუჭრელი საკითხები. აქედან გამომდინარე, შენი სწრაფვაც მარადიულია. როგორი მორწმუნეც არ უნდა იყოს ადამიანი — ღმერთი ვერასდროს გახდება, მასთან უსასრულო მიახლოებაშია ადამიანის ვნების სიძაფრე, მისი განზრახვა და ცხოვრების წესი. ასეთია ის საქმეც, რასაც ვეცდები, რომ არა მხოლოდ 2003-ში, არამედ სულ ვეცდესა ხურო...



დათო მალრაძე

დათო ტურაშვილი:

— 2002 წელს, ძალიან ბევრი წიგნი წავიკითხე და ამ მხრივ, ძალიან კარგი წელი იყო ჩემთვის. მართალია, წერისთვის არ მქონდა ბევრი დრო და არც პირობები, მაგრამ მაინც ვცდილობდი, რომ რაღაც დავეწერა. დავწერე კიდევ რაღაც, მაგრამ კმაყოფილი ამის გამო, რა თქმა უნდა, არა ვარ.

— პირობები არა მაქვს წერისთვისო, — თქვი...

— ჰო, სამწუხაროდ, არა მაქვს საკუთარი ოთახი, სადაც ჩავეკეტებოდი და წერის ან კითხვის დროს, არავინ შემამწუხებდა... 2002 წელს, დაიბეჭდა ჩემი ახალი რომანი — „ჩაძირული ქალაქის ღამე“ და ჩემთვის ეს მოვლენა იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ბევრი ახალი წიგნის იდეა მომიტანა „ტიტანიკმა“. გასულ წელს, რამდენიმე კარგი ფაქტი, მიუხედავად საყოველთაო კრიზისისა, მაინც მოხდა. ძალიან ბედნიერი დღე იყო, როცა ჩვენმა მორაგებებმა დაამარცხეს რუსეთის ნაკრები, რისთვისაც მათ უდიდეს მადლობას ვუხდით.

— ე.ი. 2002 წლით კმაყოფილი ხართ?

— კმაყოფილი, რა თქმა უნდა, არა ვარ, არც შარშანდელი წლით და არც რომელიმე წლით, რომელიც გასულია, რადგან კმაყოფილი შეიძლება ვიყო მხოლოდ იმ წიგნებით, რომელიც ჯერ არ დამიწერია და მომავალში დავწერ...

„ზენკას“ დიზაინით შეკერილ ფეხსაცმელს, ვინც ჩვენს მოდის სამყაროს კარგად იცნობს, ერთი შეხედვით ცნობს. ნინო ზენკლიშვილის მოდელების თავისებურებაა ის, რომ ფეხსაცმელი — ნაგრძელებული ან ბუთქუნა ცხვირებით, ზომაზე ოდნავ დიდ ფეხს აჩენს. როგორი იქნება 2003 წლის მოდა? როგორც ნინო ამბობს, ახალი წლიდან მოგვძო ფორმები მოდიდან გამოვს და ფეხსაცმლის სიგრძე ფეხის სიგრძეს გაუტოლდება. რაც შეეხება აქსესუარებს, რომელიც ფეხსაცმელს უნდა შეესაბამებოდეს, მაგალითად, ქამარს ან ჩანთას — ქამარი ვიწროვდება, ჩანთა კი პატარავდება. როგორც დიზაინერები ამბობენ, იმის მიხედვით, თუ როგორი ფეხსაცმელი მოგვწონს ან გვაცვია, ადამიანის ხასიათის დადგენაცაა შესაძლებელი. აი, რას გვეუბნება ნინო ზინკალიშვილი.

ნანა ქიბიშაური

— მე შემიძლია ადამიანს მხოლოდ ფეხსაცმელზე დავხედო და მივხვდები, ვისთან მაქვს საქმე. ფეხსაცმლით მხოლოდ მაშინ არ დავინტერესებულვარ, როცა სამხატვრო აკადემიაში ტყავ-გალანტირების სპეციალობაზე დავიწყე სწავლა. ბავშვობიდანვე, თვალებზე უფრო მეტყველი, სწორედ ფეხსაცმელი იყო ჩემთვის. შეყვარებულესაც იმის მიხედვით ვარჩევდი, თუ ვის რა ეცვა ფეხზე...

— არადა ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ მამაკაცი იწყებს ქალის შეფასებას ფეხებიდან, ქალი კი — ზემოდან ქვემოთ შეისწავლის დაკვირვების ობიექტს...

— იმას არა აქვს მნიშვნელობა, თუ საიდან დაიწყებ. მთავარია, გესმოდეს ფეხსაცმლის ენა. ეს საკმარისია იმისათვის, რომ სწორად შეაფასო მამაკაცის გემოვნება, ხასიათი და ინტელექტი. თუკი მას შეუძლია ერთმანეთისგან გაარჩიოს კარგი და ცუდი და არა მხოლოდ გაარჩიოს კარგი, არამედ ჩაიცვას კიდეც — ე.ი. ეს ადამიანი პატივს სცემს საკუთარ თავს და ის, ვინც ფეხსაცმლის არჩევანში არ ცდება, არც სხვა არჩევანში შეცდება.

— რომელია, თქვენი აზრით, კარგი ფეხსაცმელი? ის, რომელიც მოდაშია, ფეხზე კარგადაა მორგებული, თუ ის, რომელიც ძვირი ღირს?



„ზენკალი ჩანთის თქვენზე უფრო მსუხველია!“

— კარგი ფეხსაცმელი სამივე ამ მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს უნდა გაითვალისწინოს მყიდველმა. მოდელიერი კი, ახალი მოდელის შექმნისას, ამის გარდა, კიდევ ბევრ სხვა დეტალს აქცევს ყურადღებას. სწორედ ეს დეტალები განაპირობებს იმას, რომ თუ კარგი ფეხსაცმელი გაცვია, როგორი ტანსაცმელიც არ უნდა გეცვას, მაინც კარგად გამოიყურები.

— როგორც ვიცი, თქვენს სალონში სერიულად არ უშვებთ ფეხსაცმელს...

— ეს ჩემი მთავარი პრინციპია. იმას, რაც ჩემს სალონშია შეკერილი, ანალოგი არ გააჩნია. თვეში 200-მდე წყვილს ვკერავთ. ჩემს მოდელს შორის უმეტესად, შავი ფერი დომინირებს. შავი ფეხსაცმელი მხოლოდ ჩემს სალონში და მოსკოვში იყიდება. დამკვეთს მე თვითონ ვემსახურები. ზოგჯერ ხდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მისი სტილი და სიარულის მანერა ძალიან განსხვავდება მის მიერ შერჩეული, მისთვის სასურველი მოდელისგან. ამას წინათ მოვიდა ერთი ჩოგბურთელი გოგონა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, მძივებით დაქარგული მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის შეძენა. ფეხსაცმელი კი შეუუკერეთ, მაგრამ სხვა დანმარების გაწევაც მოგვიხდა: ორი საათის განმავლობაში, ქუჩაში ვავარჯიშებდით, ვასწავლიდით, როგორ უნდა ევლო

ასეთი ფეხსაცმლით.

— ფეხსაცმლის შეკერვას დიდი დრო სჭირდება?

— 3-4- დღე. ერთი დღე-ღამის განმავლობაში, კალაპოტზე უნდა იყოს გადაჭიმული და ასე გაშრეს, სასურველი ფორმა რომ მიიღოს.

— როგორც სხვა დიზაინერები ამბობენ, თქვენი მოდელები თქვენ გგავთ. ასეთი რამ შესაძლებელია?

— შეიძლება, ისინი არ ცდებიან. მე ყოველთვის ყველაფერი ჩემს ზომასთან შედარებით დიდი მეცვა. ქუჩური, დაუღევარი და თავისუფალი სტილი უფრო მომწონს. სტილი, რომელიც ტინეიჯერებმა აიტაცეს — ბლავი ფორმები, ბუთქუნაცხვირიანი ფეხსაცმელი, ქულები დიდი პომპონებით... მოკლედ, — ის, რასაც ყოველდღიურად ვხვდებით ქუჩაში.

— საქორწინო ან გამოსასვლელი ფეხსაცმელი, რომელიც წვეულებაზე უნდა ჩავიცვათ, თქვენს სტილში არ ჯდება?

— ასეთ შეკვეთასაც საკმაოდ ბევრს ვიღებ. რა თქმა უნდა, ვითვალისწინებ იმას, თუ სად აპირებენ იმ ფეხსაცმლის ჩაცმას, რომელსაც მე მიკვებენ. ვცდილობ, საზეიმო ფეხსაცმლის შეკერვისას, შავ ფერს „გავექცე“ და ფერადი, მოქარგული და ორიგინალური მოდელი შევთავაზო დამკვეთს.

— ახლა კი, რჩევები: ვის როგორი ფეხსაცმლის ტარებას ურჩევდით?

— ყოველდღიური ფეხსაცმელი, მათთვის, ვინც ოფისში მუშაობს, სამსახურის შესაფერისი უნდა იყოს. მას ვინც ხშირად ატარებს პიჯაკს და ვიწრო ქვედაბოლოს, აუცილებელია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. მათ, ვისაც ხშირად უწევს ფეხით სიარული — პრაქტიკულ, მოხერხებულ და დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ვურჩევ. არ არის აუცილებელი, ტანდაბალი ადამიანი მაინცდამაინც „ტანკეტკებზე“ დადგეს. ის ვიზუალურად, უფრო ამოკლებს ფეხის სიგრძეს. ამას სჯობს, ისევე ჩვეულებრივი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვას. ახლა, ძალიან მოდაშია შუა წვივზე „გაჩერებული“ ჩექმა. მაგრამ ბევრს აქვს ფეხის ისეთი ფორმა, რომ ასეთი მოდელი არ უხდება. მაგალითად, ქალს, რომელსაც დაკუნთული ფეხი აქვს, შუა წვივზე გაჩერებულ ჩექმას არ ვურჩევ: ძალიან ცუდი სანახავია შუაზე „გაყოფილი“ კუნთი. ასეთი ჩექმა მუხლს ქვემოთ „გაღუნულ“ ფეხსაც არ უხდება. უნდა ჩავიცვათ ისეთი ფეხსაცმელი, რომელიც ფეხის ნაკლს დაფარავს. მაგალითად, მან, ვისაც მოკლე ფეხი აქვს, სჯობს, მუხლამდე ჩექმა ატაროს. ასეთი მოდელი ვიზუალურად ზრდის ფეხის სიგრძეს. ბრტყელი ფეხის შემთხვევაში ვცდილობ, ფეხსაცმელს სუპინატორი ჩავუდო. მათი ფეხსაცმელი, ვისაც ძალიან „პადიომი“ აქვთ, უფრო ლამაზი გამოდის. აპრეხილწვერიანი ფეხსაცმელი, სჯობს, „კოლტიტაფეხიანმა“ ქალბატონებმა მოირგონ, იმიტომ, რომ ის აგრძელებს ფეხის ფორმას.

— რა მასალას იყენებთ?

— ფეხსაცმელი ძირითადად, ხბოს, კამეჩისა და თხის ტყავისაგან იკერება. ყველაზე ძვირად ღირებულია ირმის ტყავისგან შეკერილი მოდელები. იშვიათი და ძალზედ ძვირად ღირებულია გველის, კენგურუსა და ნიანგის ტყავისგან შეკერილი ფეხსაცმელი. საუკეთესო მასალაა ირმის ზამში და ეწ. შვედო, რომელიც თხის ტყავისგან კეთდება. შემოტანილი მქონდა ბეწვი, რომელსაც ზებრის ზოლები ჰქონდა. ესეც საკმაოდ ძვირად ღირებული მასალაა. მოვიდა ჩემთან ერთი ბუნების დამკველი და ამიშარდა: რას ერჩი, გოგო, ამ ზებრებს? ან, აქ რომ გამოგიფენია, ლიცენზია თუ გაქვსო?... ტყავების გამოყვანა ჩვენთანაც ხდება, მაგრამ საკმაოდ დაბალი ხარისხის მასალა გამოდის და მირჩევნია, ისევე თურქეთიდან და იტალიიდან შემოტანილი მასალით ვიმუშაო.

ფინანსთა და სოციალური პოლიტიკის სამსახურის უმაღლესი ურჩივნა



ვენეციის მოქალაქეთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტს სასამართლოში უჩივლოს. ისინი იმპერატორს მარცხსა და არქიტექტურული ძეგლების განადგურებაში ადანაშაულებენ. ამ საქმის ინიციატორად ვენეციელებს მარიო დ'ელაია მოეკლნათ. იგი მიიჩნევს, რომ სასამართლო პროცესი იმ კამპანიის დასაწყისი იქნება, რომელიც მიმართულია იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის ქანდაკების ქალაქის ცენტრალურ — წმინდა მარკოზის მოედანზე მდებარე მუზეუმში გამოფენის წინააღმდეგ. „ღიან, ნაპოლეონმა თავისი როლი შეასრულა ქალაქის ისტორიაში, ისევე როგორც მუსოლინი! ამ პრინციპით, მუსოლინის სკულპტურაც ხომ არ უნდა დადგათ მუზეუმში?“ — აცხადებს დ'ელაია. დავის საგანს წარმოადგენს სკულპტორ დომენიკო ბანტის მიერ შექმნილი ბონაპარტის 2,5-მეტრიანი მარმარილოს ქანდაკება. იგი წმინდა მარკოზის მოედანზე 1811-14 წლებში იდგა; ვენეციაში ავსტრიელების შესვლის შემდეგ კი, სკულპტურა კუნთულ სანჯორჯო მაჯორეზე გადაიტანეს. მარმარილოს ქანდაკებას დიდი ხნის მანძილზე, დაკარგულად მიიჩნევდნენ, მაგრამ შარშან, იგი „სოთხის“ აუქციონზე გამ-

ოიტანეს, სადაც ვენეციის ბანკმა და ფრანგულმა ასოციაციამ, რომელიც ვენეციის კულტურის ძეგლებისათვის ფულს აგროვებს, ერთობლივი ძალებით შეიძინეს. ამ ასოციაციის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი ჟურომ ზიზენი აცხადებს, რომ დ'ელაიას ბევრი ვენეციელი არ უჭერს მხარს. ისტორიკოსის თქმით, ვენეციელი სკულპტორის მიერ შექმნილი ქანდაკების წმინდა მარკოზის მოედანზე დაბრუნება, საკვებით გამართლებულია.

დ'ელაია კი ამბობს, რომ ვენეციაში ნაპოლეონის ქანდაკების დადგმა იგივე იქნებოდა, რაც ლუვერში ადმირალ ნელსონის სკულპტურის გამოფენა, რომელმაც ფრანგებს არაერთი მარცხი აგება. იმპერატორთან ისტორიული პრეტენზიების გარდა, დ'ელაიას ესთეტიკური ხასიათის პრეტენზიებიც აქვს: იგი ბონაპარტის ქანდაკებას საკმაოდ უშნოდ მიიჩნევს. ■

ჯეონეტი ახალი ტექნოლოგიები

GEONET

საინჟინერო და კონსტრუქციული სამსახური

- მოსახლეობის ინფორმაციის მართვა - 1020 მარტი
- ინჟინერული პროექტების დაგეგმვა - 771 772
- საინჟინერო სამსახური (საინჟინერო სამსახური)

საინჟინერო სამსახური

საინჟინერო სამსახური

საინჟინერო სამსახური

საინჟინერო სამსახური

• ახალი ტექნოლოგიები - 0.43 მარტი

საინჟინერო სამსახური

www.geonet.ge

ეს ერთადერთი ნატვრალა ასულდგმულებს 80 წლის უკრაინელ მოხუცს ევგენია (ჟენია) ვაგილივიჩის, რომელიც თითქმის 60 წელია საქართველოში ცხოვრობს და თითქმის მთელი ცხოვრება ბოლნისის უნიკალური ტაძრის — სიონის მოვლა-პატრონობას შეაღია. ქალბატონი ჟენია სოფელ ზემო ბოლნისში ცხოვრობს. მოგესენებათ, სიონი სოფლის შუაგულშია აღმართული. ტაძრის პირდაპირ კი, ძალიან პატარა, ოროთახიან სახლში ორი მოხუცი ცხოვრობს, ევგენია ვაგილივიჩი და მისი აზერბაიჯანელი მეუღლე. მოხუცებს შინ ვესტუმრე. დაინახა თუ არა ფოტოაპარატი, ქალბატონმა ჟენიამ, მაშინვე თავსაფარი გამოიცვალა და ავადმყოფობის მიუხედავად, მკვირცხლად ალაპარაკდა.



უკრაინა სიმბრეშოდა ღამრჩა...

„გთხოვთ, ბოლნისის სიონის ორბოში დამასაფლავოთ“

მაია კახიძე

— ქალბატონო ჟენია, როგორ აღმოჩნდით საქართველოში?

— უკრაინაში დაეიბადე, ოდესასთან ახლოს, ქალაქ ვოხნენსკში. სკოლაც იქ დავემთავრე და სამედიცინო სასწავლებელიც. ძალიან კარგი მშობლები მყავდა. დედა ულამაზესი ქალი იყო, მამა რკინიგზის უფროსად მუშაობდა, არაფერი გვაკლდა, ბედნიერი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ჰიტლერის ომმა გაანადგურა ჩემი ოჯახი. დედაც და მამაც დახვრიტეს, ჩემი დამა კი გადარჩენენ, მაგრამ იმხელა არეულობაში სხვა ქალაქებში დაიქსაქსენ. ცრემლი არ მაშრებოდა თვალზე, მაგრამ როგორღაც ხომ უნდა მეცხოვრა? ჰოსპიტალში დავიწყე მუშაობა ექთანად. უმძიმესი წლები გადავიტანე. რამდენმა პირტიტველა ბიჭმა დალია სული ჩემს ხელში, ვინ მოთვლის?! ჩემი მომავალი მეუღლეს — ნადიერი — იმ ჰოსპიტალში გავიცანი. რასაკვირველია, დაჭრილი მოიყვანეს და ძალღონე არ დამიშურებია მის გადასარჩენად. ომი რომ დამთავრდა, მოვიდა და მითხრა: შენით მიდგას სული და ცოლად გამომიყვები ბარემო. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, დავთანხმდი, რადგან სრულიად მარტო ვიყავი დარჩენილი. ჩავკიდეთ ერთმანეთს ხელი და რის ვაივავალხით დავბ

რუნდით საქართველოში. ნადირმა ამ სოფელში მომიყვანა, თავისიანებთან და მას შემდეგ, აქ ვცხოვრობ.

— როგორ მიგიღეს უკრაინელი რძალი აზერბაიჯანელებმა?

— ნორმალურად. მაშინ ისეთი გაჭირვება იყო, ვის ეცალა ამისთვის? თანაც, ნადირმა, ყველაფერი უამბო ნათესავებს, მაგრამ მე სხვა რამ მაწუხებდა. კერძოდ ის, რომ სოფელი ზემო ბოლნისი მთლიანად აზერბაიჯანელებით იყო და არის დასახლებული. უკრაინული ენა საიდან ეცოდინებოდათ, რუსულადაც ვერ ლაპარაკობდნენ და, ფაქტობრივად, ვერაფერს ვაგებინებდით ერთმანეთს.

— თქვენ თუ ისწავლეთ აზერბაიჯანული?

— რა თქმა უნდა, თანდათან ვისწავლე და ჩემს ქმარს სახელიც გამოვუცვალე — ნიკოლაის ვეძახი. შენ კი, ბებია დამიძახე, ქალბატონი — არ მომწონს, ყველა, ბებიას მეძახის — თუმცა, საკუთარი შვილიშვილები არ მყავს, იმიტომ, რომ მე და ნიკოლაის შვილი არ შეგვეძინა და ამის გამო, გული ძალიან მტკივა, მაგრამ რას ვიზამთ, ასეთ ვარსკვლავზე დაეიბადე ალბათ, და საერთოდ, ჩვენ რომ შვილი არ გვყავს, ესეც ომის ბრალია...

— ჟენია ბებო, სარწმუნოების შეცვლა არასოდეს უთხოვიათ თქვენს

მეუღლეს ან მის ნათესავებს?

— არა და კატეგორიულადაც რომ დაესვათ საკითხი, ვერაფრით დამითანხმებდნენ.

— თქვენზე მითხრეს, მთელი ცხოვრება სიონის მოვლა-პატრონობას შესწირაო...

— მართალი უთქვამთ. 1946 წელს პირველად შევაბიჯე ტაძარში. არაჩვეულებრივი მეცნიერი — გიორგი ჩუბინაშვილი აწარმოებდა მაშინ არქეოლოგიურ გათხრებს და სწორედ მან დამიძახა. საოცარი აღამიანი იყო სულკუთხეული, გვერდიგვერდ ვმუშაობდით დიდხანს, საქართველოს ისტორიასაც მან მაზიარა და ქართულ ადათ-წესებსაც. ბოლნისის სიონი ყველაფერია ჩემთვის (ატირდა)... ნებისმიერი რანგის სპეციალისტი მოვიდეს და გამესაუბროს — ჩემზე უკეთ მაინც არ ეცოდინება. არა, შეურაცხყოფას კი არ ვაყენებ ქართველ ისტორიკოსებს და არქეოლოგებს, მაგრამ აქ თითოეული ქვა, კუნჭული თუ ბალახი, ჩემი მოვლილია. მრავალი წლის განმავლობაში, მუხლჩაუხრელად ვმრობობდი, ვუვლიდი სიონს, ცოცხი და ტილო ხელიდან არ გამიგლია. რაც არ უნდა იყოს, ტაძარში ყოველთვის გრილია. ჰოდა, მეც სახსრები დამიავადდა, მაგრამ ვამაყობ, რომ სიონის მოვლის გამო მტკივა. ამ წლებში იცით, რამდენი სტუმარი მოსულა? მე ვმასპინძლობდი ყველას. უცხოელებისაგან დღემდე ვიღებ მოსალოც ბარათებს, უწმიდესმა და უნეტარესმაც კარგად იცის, რამდენი ვიშრომე. დიდი ხანია, აღარ მინახავს და თუ უარს არ მეტყვი, გთხოვთ, დაბეჭდოთ, რომ როცა ამ ქვეყანას განვმორღებ, სიონის ეზოში დამასაფლავონ. უზარმაზარი ეზოა და ერთი მეტრი, იქნება, არ დაინახონ ჩემთვის, სიბერემ ისედაც ძალიან დამაპატარავა... მოკლეა, ეს არის ჩემი სანუკვარი ოცნება.

— ჟენია ბებო, სიკვდილზე ფიქრს და ლაპარაკს თავი დაანებეთ და ისევ სიონზე ვისაუბროთ. მეუღლეს არ ეკორძალავდათ სანთლის ანთებას?

— რატომ უნდა ამიკრძალოს? თავადაც, მთელი ცხოვრება სიონს დარაჯობდა.

ჩვენს საუბარში ჟენია ბებოს მეუღლეს ჩართო:

— შვილო, ვინც ომშია ნამყოფი, ყველა მორწმუნეა. ბოლო წლებია, აზერბაიჯანელი ბავშვებიც მოჰყავთ სიონის დასათვალიერებლად, სანთლებსაც ანთებენ. თავიდან, ჩემი ცოლი, ცოტა ღელავდა ამის გამო, მაგრამ მერე მოძღვარმა უთხრა — ნუ

ნერვიულობ, თუკი თავისი ნებით მოდიან და სანთელს ანთებენ, ეს ხომ მშვენიერიაო, და დაწყნარდა. მეც ხომ მრავალი წლის წინ შევდგი ფეხი ტაძარში? სანამ შემქმნლო, ვდარავჯობდი, ახლა კი, თვალისჩინი აღარ მივარგა, შვილო.

— ერთი ეს მითხარით, უკრაინულ კერძებს თუ გიმზადებთ თქვენი მუუღლე?

— როგორ არა? სანამ ამის შესაძლებლობა გვქონდა, უკრაინულ გემრიელ ბორშნს და პელმენს არ მაკლებდა, მაგრამ დიდი ხანია, აღარ მოუშადავია. საიდან, რით მოამზადოს, როცა მეც 14 ლარი მაქვს პენსია და ჟენიასაც. თითოეულს, 50 თეთრს პენსიის მოტანაში გვიქვითავენ. 27 ლარით კიდევ, რა მოვახერხოთ?!

— ჟენია ბებო, სულ არავინ გეხმარებათ?

— ერთხელ, ძალიან ავად გავხდი და ბოლნისის საავადმყოფოში დამაწვიენეს, მაღლობის მეტი რა მეტქმის? — ექიმებმა უფასოდ მიმკურნალეს, წამლებიც უფასოდ მომცეს, გამგებელმაც მომაქცია ყურადღება... მერიდება — მე ის აღამიანი არა ვარ, უფროსები შევაწუხო, მაგრამ შეიძლება, ერთხელ კი, მივიღე: იქნებ, ცოტა შემით დაგვეხმარონ, თორემ, ძალიან ცივი ზამთარია და ორმა მოსუცმა რა ვქნათ?!

— თქვენი და-ძმის ამბავი ომის შემდეგ მაინც თუ გაარკვეით?

— რა თქმა უნდა, ვიპოვე ორივე. ჩემს დედამამიშვილებს ოჯახები აქვთ. ძმა გარდაამცვალა, შესანიშნავი დისშვილები და ძმისშვილი მყავს. უკანასკნელად 10 წლის წინ ვიყავი უკრაინაში. წერილებსაც ველარ ვწერო ერთმანეთს, არც იქიდან მოდის რაზე და ვერც აქედან ვაგზავნი. რა ვიცი — სამამულო ომის დროს აღწევდა სამკუთხა წერილები და დღეს რა ხდება, ვერ გამიგია.

— მშობლიური უკრაინული გახსოვთ?

— ძალიან კარგად.

— მე სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ თქვენ აღნიშნეთ, რომ ფაქტობრივად, უდიდლომო ისტორიკოსი ბრძანდებით. თუ შეიძლება, ცოტად დენი რამ გვითხარით ბოლნისის სიონზე...

— არ გვერა, შვილო? კარგი, მაგრამ მე იმდენი ვიცი, შენს ინტერვიუში ვერ დატევ: ბოლნისის სიონი V საუკუნის ძეგლია. იგი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას. საქართველოში არცთუ ისე ბევრი ძეგლია, რომელმაც ამდენი ეპი-

გრაფიკული მასალა შემოინახა. ბოლნისის სიონის წარწერების მიხედვით გაირკვა, რომ ტაძარი აგებულია 478/9-493/4 წლებში, მშენებლობის მოთავე დავით ეპისკოპოსი იყო. ბოლნისის სიონი, თავისი არქიტექტურითაც, ორნამენტებითაც, რელიეფური ქანდაკებებით, ერთ-ერთი პირველი ნაგებობაა საქართველოში, რომელმაც ქართულ ხუროთმოძღვრებას თავისი ღირსეული ადგილი დაუშკვიდრა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში...

— ჟენია ბებო, აღფრთოვანებული ვარ თქვენით. როგორ არ მჯერა, მაგრამ რა ვიცი, ვიფიქრე, მკითხველიც დაინტერესდება-მეთქი... ხომ არ გენყინათ?

— არა, რატომ უნდა მეწყინოს? შენ შენს საქმეს აკეთებ. რომ იცოდე, რა არის ჩემთვის სიონი...

— ვხედავ, კიდევ რაღაცას იწახავთ გულში.

— სიონი ჩემი სამშობლოა, სამშობლო... აბა, წარმოიდგინე, 19-20 წლის გოგო, რომელიც უცხო მიწაზე, უცხო ხალხში მოხვდა, ენას ვერავის აგებინებდა, რა უნდა ექნა?! სიმშვიდეს მხოლოდ ტაძარში ვპოულობდი. ტაძარი იყო ჩემი დედ-მამა, და-ძმა, უკრაინა, მონატრება... იმიტომაც ვამბობ, სიონი ჩემი სამშობლოა-მეთქი. ვამაყობ სიონით, ვამაყობ ჩემი გარჯით, რომელმაც უკვალოდ არ ჩაიარა. ასეთი ტაძრებს დიდი მოვლა-პატრონობა და ყურადღება ესაჭიროება. რამდენი წელი არ მოქმედებდა ტაძარი, იცით?! დღეს ნათლობაც იმართება, ჯვრისწერაც და ეს ძალიან მიხარია. ტაძარმა გამზარდა, ტაძარმა გამაძლებინა,

ტაძარი მეხმარებოდა ყოველთვის იმაში, რომ მარტოობა დამეძლია.

— რომ მოგეცეთ საშუალება, ნახვალთ საქართველოდან უკრაინაში?

— მხოლოდ სტუმრად. მე, უკრაინელმა ქალმა, აქ გავატარე ჩემი წუთისოფელი და აქ უნდა დავიმარხო. უკრაინა სიზმრებშია დამრჩა... სიონის გარეშე ჩემი ძვლებიც ვერ მოისვენებენ სხვაგან — ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ერთმა ისიც მითხრა: შენ, ქრისტიანი, მუსლიმანს რომ გაჰყვიე ცოლად, თან მთელი ცხოვრება ტაძრის დარაჯად ამუშავე ქმარი, შვილი იმიტომ არ მოგცათ ღმერთმაო... მას ეგონა, გულს მატკენდა ამით. გული კი მეტკინა, მაგრამ მეტკინა იმის გამო, რომ ასეთი უვიცი კიდევ მრავალადაა. მე მართალი ცხოვრებით ვიდექი უფლის სამსახურში, წესიერი გზიდან არასოდეს გადამიხვევია, არ დამირღვევია ათი მცნება. არადა, უფლის სიყვარული გადარჩენს, რომ იცოდეთ, საქართველოს ყველამ დღეში ერთი-ორი წუთი მაინც რომ იფიქროს უფალზე, განა ასე ძნელია?! ცოდვილმა ხალხმა ძალიან დაამძიმა საქართველოს მიწა და იმიტომაც ტრიალებს ამდენი უბედურება.

— არასოდეს გიფიქრიათ იმაზე, რომ შეიძლება, თქვენი სურვილი — ბოლნისის სიონის ეზოში დასაფლავება — არ აღსრულდეს?

— კი, მიფიქრია, შვილო, მაგრამ ერთი წუთითაც არ მინდა ასეთი რამ დაუშუგა, ჩემს უკანასკნელ ნებას აუცილებლად შემიხსრულებენ.

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეთ თქვენ და თქვენს მუუღლეს, მაგრამ გამოდის, რომ ის სოფლის სასაფლაოზე დაიკრძალება, თქვენ კი...

— რა ვქნა, ასე გადაწყვიტე. კიდევ ვიძიებ, სიონი ყველაფერია ჩემთვის, ჩემი სამშობლოა და მე ჩემს სამშობლოში მინდა დავიკრძალო. ჩემი ქმარი, ვიცი, რომ მაპატიებს, მან მშვენიერად უწყის ეს ყველაფერი. ჩემს ქმართან პრობლემა არ მაქვს, ბოლნისშიც იციან ამის შესახებ და მოძღვარმაც იცის, რასაკვირველია. ოღონდ, შენც დაწერე და მე უფრო მშვიდად ვიქნები, რომ მთელ საქართველოს ეკოლინება ჩემი უკანასკნელი ნება. ხომ მართლა დაწერ?

P.S. მართლა დაწერე-მეთქი, — პირობა მივეცი ხანდაზმულ ქალბატონს. სოფელ ბოლნისიდან წამოსული კი, სულ იმის ფიქრში ვარ, შეშის გარეშე როგორ გაუძლებენ ზამთარს?! ვფიქრობ, ვვგენა ვავილევიჩი ნამდვილად იმსახურებს სიობოს...



ჩემი ქმარი, ვიცი, რომ მაპატიებს, მან მშვენიერად უწყის ეს ყველაფერი



ფრანკლინდო

მონიჭებული ქალბატონი

ლელა ჭანკოტაძე

— ქალბატონო გულიკო, მუსიკას ბავშვობიდან დაუკავშირეთ ცხოვრება?

— ჩემი მშობლები ძალიან უბრალო ადამიანები იყვნენ. მამაჩემს, დანიელ ტეცოშვილს ხელოვნებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ნაღდი თბილისელი კაცი იყო. საერთოდ, მე ნაღდი თბილისელი ვარ, რაც ძალიან მემამყება. ძველ უბანში — ვერაზე ვცხოვრობდით. მე ტყუპისცალი ძმა მყავს, გურამი. მთელი ცხოვრება, გვერდში მიდგას და რომ არა მისი თანადგომა, ვერაფერს მივადწევდი. დედა მღეროდა შოთა მილორაგას დედასთან ერთად, ხალხური თვითშემოქმედების გუნდში, მაგრამ გათხოვების შემდეგ, საკუთარი თავი მთლიანად ჩვენ მოგვიძვანა. ნამდვილ თბილისურ ოჯახში გავიზარდე. მამას უყვარდა ქეიფი, დროს ტარება, ჩვენი სახლიდან სულ დოლისა და გარმონის ხმა გამოდიოდა. მიუხედავად ხელმოკლეობისა, ჩვენთან ხშირად იკვლებოდა ბატკანი. აი, ასეთ გარემოში გავიზარდეთ.

— ეი. მშობლებმა დაგაკავშირეს ხელოვნებასთან? მამისეულ სახლში შეიყვარეთ სიმღერა?

— მშობლებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ხელოვნებისკენ მიმავალ გზას დავედგომოდით. სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი. ვაი-უუთ დავამთავრე. ჩემი ძმა უკეთესად სწავლობდა. ჩვენდა საბედნიეროდ, იმ წელს, თბილისში საესტრადო-საცირო სსსწავლებელი გაიხსნა, რომელიც საბჭოთა კავშირის მასშტაბით მეორე იყო — მანამდე, მხოლოდ მოსკოვში არსებობდა. თბილისში ამ საოცარი სსსწავლებლის დამაარსებელი გახლდათ გაიოზ ქართველიშვილი — რეჟისორი, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მოგვცა. გამოცდა თავად ბატონ გაიოზს და კომპოზიტორ გოგი ცაბაძეს ჩავაბარეთ. რომელიცაც ბერძნული სიმღერა ვიმღერეთ. პირველ წელსვე შეიქმნა საკმაოდ ცნობილი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „აისი“. ძალიან საინტერესო ცხოვრება გექონდა. ჩემთვის ყოველი დღე განსაკუთრებული იყო, რადგან მკაცრად გეზრდიდნენ მშობლები. მოულოდნელად კი, ხუთთვიან „პაეზდკაში“ წავიდით; ხან რომელ სასტუმროში დაგვადგებოდა ხოლმე მამა, ხან — რომელში.

— რას გულისხმობთ მკაცრ აღზრდაში?

ჩემი ქმარიც საესტრადო-საცირო სსსწავლებელში სწავლობდა

ჯახის დედოფლად წოდებული გულნიკო ჯანტურიანი არაორდინარული ადამიანი, პირველი ქართველი მომღერალი ქალია, ვინც გაბედა და რესტორანში სიმღერას დათანხმდა. თუმცა ეს პერიოდი მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სულაც არ არის. ქალბატონმა გულიკომ ურთულესი გზა განვლო და უამრავ წარმატებასაც მიიღწია. ფილარმონიის სცენა მისთვის ყოველთვის მშობლიური იყო — ამ სცენაზე აიდგა მან ფეხი. ახლა, ფილარმონიაში ვინლა შემეშვებს — თუმცა, ამაზე გული არც მწყდებაო, — მითხრა. მისი თაყვანისმცემლები და ნამდვილი ჯახმენები გულიკო ჭანტურიას მოსასმენად ახვტედიანის ქუჩაზე დადიან.

— სკოლიდან ხუთი წუთიც რომ დაგვეგვიანა, მთელი ჯანაშიას ქუჩა სკოლაში იყო. მახსოვს, ერთხელ, მე და ჩემი ძმა წიგნების მალაზიაში შევედით და შინ მისვლა დავაგვიანეთ. დედაჩემმა საშინლად გვეცმია... მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, დედაც და მამაც საოცრად პატიოსნები იყვნენ და ჩვენც ასე გაგვზარდეს. დღესაც, სადმე რომ ვარ, მესმის დედაჩემის ხმა — დღემდე მისგან გაკონტროლებას ვგრძნობ... თუმცა, „გაკონტროლება“ ალბათ არ არის სწორი სიტყვა — უბრალოდ, ძალიან ნერვიულობდნენ ჩვენ გამო და ამიტომ გვაძაბავდნენ ასე ხშირ-



ხშირად. თან, ბევრს ვმუშაობდით, კონცერტები სისტემატურად გვქონდა. კარგადაც გვიხდებოდა. მე და ჩემმა ძმამ ჩვენი სახლის სახურავი მაშინ რომ შევაკეთეთ, დღემდე არ გაფუჭებულა.

— მაშინაც ჯაზს მღეროდით?

— არა, ხალხური სიმღერებიდან გადავედით ესტრადაზე. ძალიან დიდი და კარგი კომპოზიტორები გვყავდნენ და გვყავს — ვაჟა აზარაშვილი, ბიძინა კვერნაძე, ღავით (გუგული) თორაძე, შოთა მილორაჯა, გოგი ცაბაძე, ძმები გიგაურები და ა.შ. მაშინ დასარტყამ ინსტრუმენტებზეც ვუკრავდი, კონცერტებიც მიმყავდა. ჩემს ანსამბლს რომ დავშორდი, გადავწყვიტე რაღაც ახალი გამეკეთებინა, მაგრამ არ ვიცოდი, რა ... მერე, მოულოდნელად, ჩემმა მეუღლემ, არეტა ფრანკლინის ჩანაწერი მომასმენინა. გადავირე. შემდეგ გავეცანი ელა ფიტცჯერალდის შემოქმედებას, რომელიც ნუგზარ ედილაშვილმა მომასმენინა, დღემდე მასსოვს მაშინდელი რეაქცია. მეგონა, თითქოს ეს მუსიკა ოდესღაც, ჩემი იყო, დამავიწყდა და უცხად აღმიდგა მენსიერებაში. თავიდან ჯაზის სიმღერა კობირებით დავიწყე. ვერ ვიტყვი, კარგად გამომიღოდა-მეთქი, რადგან ბუნებით ზარმაცა ვარ და არ შემიძლია, ზუსტად ისე გავიმეორო, როგორც არის მოცემული.

— მეუღლე ახსენეთ... როგორ გათხოვდით? ისევე ორიგინალურად ხომ არა, როგორც ყველაფერი მოხდა თქვენს ცხოვრებაში?

— ძალიან ორიგინალურად გავთხოვდი. ვამაყობ იმით, რომ ცხოვრებაში სხვა არავინ მყვარებია. მაღლობა ღმერთს იმისთვის, რომ მომცა ერთი კაცის სიყვარულის ნიჭი, რაც ბევრს არა აქვს. მთელი ცხოვრების მანძილზე, მხოლოდ ერთი კაცი მიყვარდა და მიყვარს. ჩემი ქმარიც საესტრადო-საცირკო სასწავლებელში სწავლობდა. ის ჩემზე ორი წლით უფროსია. მან ჩამოაყალიბა ჯგუფი „რერა“ და მე ამ ჯგუფთან ერთად მთელი საქართველო შემოვიარე. მაშინ უკვე უცხოურ სიმღერებს „ვეპოტინებოდი“. უფრო მეტი კონცერტი და მეტი გასაქანი გვექნებოდა, თუ გავზღვებოდი რომელიმე რაიონის ანსამბლი. ასე იქცა „რერა“ „აბა, რერად“ თან ზუგდიდის ანსამბლი გახდა. მეგრულ სიმღერებსაც ვმღეროდი. მეგრული ბიჭების უმეტესობა ჩემზე იყო შეყვარებული. მეც განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა მქონდა ამ ხალხის, თანაც — მეგრულ სიმღერებში ძალიან დიდი სიღრმეა. ღმერთმაც მეგრული ქმარი გამომიგზავნა, კაცური კაცის თვისებებით. ძალიან მიყვარს ჩემი მეუღლე



ხალხური სიმღერებიდან გადავედით ესტრადაზე

— ამას ხმამაღლა ვაცხადებ. ის ძალიან კარგი მუსიკოსიცაა. მისგან დიდი ხელშეწყობა მაქვს. თუ ოდესმე გავთხოვდებოდი, არავის ეგონა, რადგან მამაკაცი ბუნება მქონდა და უზომოდ ამაყი ვიყავი. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ვინმე შემეყვარდებოდა.

— რა გააკეთა თქვენმა მეუღლემ ისეთი, თავი ასე ძალიან რომ შეგაყვარათ?

— ვაფასებ მამაკაცს, რომელსაც სიგიჟემდე უყვარს ქალი, მაგრამ იქცევა ისე, თითქოს არ უყვარს... ასეთ დროს, ქალმა შეიძლება, თავი ჩამოიხრჩოს. მართლა სიგიჟემდე შემეყვარდა. ოცდარვა წელია, მისი მეუღლე ვარ და ყოველდღე მგონია, რომ იმ დღეს აღმოვაჩინე და შევიყვარე.

— სიყვარული როგორ აგინხსნათ?

— ავთო ჭანტურიას მეგობარმა ამიხსნა სიყვარული მის მაგივრად. მერე დადგა დრო, როცა თავად ჭანტურიასაც უნდა ეთქვა რაღაც და, როგორც იქნა, ამიხსნა სიყვარული. ძალიან ეშინოდა, იმიტომ, რომ ცუდი ბუნების ქალი ვარ. მოკვდა, სანამ მითხრა, რაში იყო საქმე. ბოლოს მითხრა: მეგონა, თავს გამიტყენავდით... ხუთი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ ვუთხარი: „ჩქარა მომიყვანე ცოლად, თორემ მოგკლავ!“ აი, ასე შეუღლდით. უფრო სწორად — გადავწყვიტეთ, ნიშნობაც გვქონოდა და ქორწილიც. მაშინ უკვე ფილარმონიის ანსამბლი ვიყავით. „ორეამ“ ვერ მოახერხა გემით — „შოთა რუსთაველით“ სამოგზაუროდ წასვლა და ჩემს მეუღლეს და ჩემს ძმას შესთავაზეს, მის მაგივრად წასულიყვნენ. ნიშნობამდე ერთი თვით წავიდნენ შავ ზღვაზე. მეც წავეყვი. გემის კაპიტანი იყო ნაზარენკო, რომელმაც რომ

მომისმინა, გადაირია და მითხრა: მოდით, გავიქცეთ ავსტრალიაშიო, — ისე, თითქოს ბორჩალოში მეპატიებოდა. ნიშნობის გამო, უარი ვუთხარი. დაკვირვებით მე და ჭანტურია. სამი თვის ფენხმძიმე ვიყავი, გემით — „შოთა რუსთაველი“, დედამიწის გარშემო კრუიზში რომ წავიდა. დღემდე ვერ ვივიწყებ. იქიდან რომ ჩამოვიდა, ბავშვები ოთხთვე-ნახევრის დახვდა.

— ტყუბი შეგეძინათ?

— ტყუბი გოგონა, თანაც — შეიღოვიანები. ასე რომ, ყველაფერი მართლაც არაჩვეულებრივი მაქვს. საოცრება ის იყო, რომ ჩემი მეუღლე კრუიზში თურმე გააფთრებით ეტებდა ჯინსის შარვლებს. დარწმუნებული იყო — ტყუბი ბიჭი შემეძინებოდა. ფენხმძიმობის პირველი დღიდანვე ვიცოდი, რომ ტყუბი მეყოლებოდა, ისეთ სიხმრებს ვხედავდი, ისიც ვიცოდი, რომ გოგონები იქნებოდნენ. მესიხმრებოდა, თითქოს მაღაზიაში შევდიოდი და ყვავილებიან, თეთრ ქულებს ვყიდულობდი. რადიოგრამა რომ მიიღო — ტყუბი გოგო შეგეძინათ, — თურმე კაიუტაში ჩაიკეტა და ჭერში თოკი ჩამოვიდა... აქვე ერთი საოცრებაც უნდა გითხრათ. ჩემი ძმაც ხომ ჩემი ტყუბის ცალია. თურმე ის ორი ღამე, როცა სამშობიაროში ვიწვექი, ჩემმა ძმამ თეთრად გაათენა, დამაწყნარებლებს აძლევდნენ, ისეთი ალგუნებელი იყო. დღემდე მაქვს შენახული ყველა ქვეყნიდან გამოგზავნილი რადიოგრამები, რომელსაც ჩემი ძმა და ქმარი მიგზავნიდნენ... შვილები რომ შეგვეძინა, მე მთლიანად მათი მოვლით ვიყავი დაკავებული, ავთომ კი სულ რვა წელიწადი „იცურა“. ხომ უნდოდა ამას გაძლება?! ამ რვა წლის მანძილზე, სულ რამდენჯერმე ვნახე. ჩემი შშობლები რომ არა, ალბათ ბავშვებს ვერც გავზრდიდი. ბინაც

ტესტი ერუდიციისაზე

1. რა განსაზღვრავს კუს კვერცხებიდან გამოჩეკილი კატარეგის სქესს?



- ა) წელიწადის დრო;
- ბ) გარემოს ტემპერატურა;
- გ) ჩასახვის პერიოდი.

2. მას, ვინაც საიდუმლო სენახვა არ შეუძლია, ეძახიან:



- ა) ბოცნეს;
- ბ) დონდლოს;
- გ) ლოლრიალას.

3. სადაურიბა კახა ცისკარიძე წარმოშობით?



- ა) ბათუმელი;
- ბ) ქუთაისელი;
- გ) თბილისელი.

4. რისი ფოტოა (შიში) აქვს არნოლდ შვარცენებერს?



- ა) გასუქების;
- ბ) მარტოობის;
- გ) თვითმფრინავით მგზავრობის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

კი არ გეჭონდა.

— რამდენი წელი გაატარეთ სტენისა და მსმენელის გარეშე?

— ისე მიჭირდა სახლში ჯდომა, რომ ხშირად, „სასწრაფო დახმარებაც“ კი მჭირდებოდა. ასეთ მძიმე დროს მითხრა ჩემმა მეგობარმა, რომელიც თამაზ ყურაშვილთან ახლოს იყო: მიიტანე მასთან ჩანაწერები. თამაზი ტელევიზიის ორკესტრში უკრავდა. მომისმინა თუ არა, მაშინვე სოლისტად ამიყვანა. რამდენიმე წელი ვიმუშავე. ვერ ვეგუები არაადამიანებს (ეს თამაზ ყურაშვილს არ ეხება). ამიტომ ვარ დღემდე ცალკე. სიბინძურეში ცხოვრება არ მინდა. წამოვედი ტელევიზიიდან და ოთარ მალრაძის რჩევით დავიწყე ჯაზის სიმღერა. მაშინ ჯაზი არც ვიცოდი, რა იყო. ჩამოვაყალიბეთ ჯაზ-ტრიო, მერე ჩემი ძმაც შემოგვიერთდა. მთელი საბჭოთა კავშირი მოვიარეთ. ამასობაში სასტუმრო „აჭარაში“ გაიხსნა რესტორანი „მესეფი“, რომელიც სულ მალე, იქცა პირველ ჯაზ-კლუბად. „მესეფს“ გემის ფორმა ჰქონდა. ჩვენი მსმენელები ძირითადად, უცხოელები იყვნენ. დიდი წარმატებით გამოვდიოდით, მაგრამ ბევრი გულისტკივილიც მასწავს. წარმოიდგინეთ, რა ამბავი იქნებოდა თბილისში, ქალი რომ რესტორანში იმღერებდა! იყო შემთხვევა, როცა ვიღაც გვთხოვდა: რა ჯაზი, რის ჯაზი, — რომელიმე ქალაქური სიმღერა იმღერეთო... გვთავაზობდნენ ფულს. უარს რომ ვეტყვოდით, ატყდებოდა ლანძღვა-გინება... ხმა გავარდა: რესტორანში ქალი რომ მღერის, ფულს არ იღებსო... მოაწყდა ხალხი. ბევრჯერ, ატირებული მივსულვარ შინ. რესტორნიდან ასჯერ მაინც გამოვვარდნილვარ ტირილით. ქართველ მამაკაცებს, სამწუხაროდ, სიმთვრალეში ქართველობა ავიწყდებათ.


— ქმრისგან არ აგიღიათ ნებართვა, „მესეფში“ სიმღერა

რომ გადამწყვიტეთ?

— არა. ჩემმა ქმარმა იცოდა, რომ აუცილებლად უნდა მეძღვრა და ჩემი გაჩერება არ შეიძლებოდა. წინააღმდეგობა მამიდების მხრიდან შემხვდა. ორი წელი მაინც ვიმღერე. ახლაც, რესტორანში ხალხი მუსიკის მოსასმენად უფრო მოდის, ვიდრე საჭმელად. ამ მხრივ, ძალიან დიდი პროგრესი შემიძინა.

— შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი ყველაზე დიდი წარმატება?

— დონეცკში გაიმართა ჯაზ-ფესტივალი, რომელზეც გამოდიოდა ყველაზე ძლიერი ვოკალი ფაბერიკ ოგანესიანი. ერთად გამოვსვლა მოგვიწია. რა თქმა უნდა, შიში დამეუფლა, ასეთი დიდი მოძღვრის გვერდით რომ უნდა მეძღვრა, თანაც — ურთულესი თემები. ერთ-ერთი ურთულესი თემა რომ ვიმღერე, დარბაზს რეაქცია არ გამოუვლენია. ორი-სამი წუთის განმავლობაში, სამარისებური სიჩუმე სუფევდა. მეგონა, მოკვდებოდი, მაგრამ უცბად, ივრიალა ტაშმა. თურმე ეს წუთიერი სიჩუმე მსმენელის გაოგნების შედეგი იყო... კონცერტიდან რომ გამოვედი, ორგანიზატორმა მითხრა: შეხედე, ფაბერიკ ოგანესიანს ხელი უკანკალებს, ისე ეწევა სიგარეტსო... ეს უდიდესი წარმატება გახლდათ. მე ძალიან ძლიერი ვოკალისტი ავაღელვე ჩემი სიმღერით... მეორე დიდი წარმატება მოსკოვში მქონდა. ერთი საათის განმავლობაში ვმღეროდი. დარბაზში ისხდნენ მსოფლიოს წამყვანი დიპლომატები, პირდაპირი ტრანსლაცია ხდებოდა გერმანიის ტელევიზიით და ეს კონცერტი სრულად გააშუქა ამერიკის რადიომაც. მაშინაც, ურთულესი პროგრამით წარვდექი მსმენელის წინაშე. სამწუხაროდ, ეს წარმატებები საქართველოში აღარ ახსოვთ. უფრო სწორად — უნდათ, რომ არ ახსოვდეთ, მაგრამ ჩემთვის მთავარია, რომ ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში იყო...



ფილარმონიაში ვინაა შემომეგებს — თუმცა, ამაზე გული არც მწყდება

ეკა ლომიძე

— როცა ტელევიზიიდან წასვლის შესახებ გვაუწყებ, მაშინ თქვით, რომ პოლიტიკაში წასვლას აპირებდით. დღევანდელი გადასახედიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მაშინ, გადაწყვეტილება პოლიტიკური ძალების მიერ შემოთავაზებული რაღაც სერიოზული წინადადების საფუძველზე მიიღეთ...

— ტელევიზიიდან წამოსვლას საკვებით ბუნებრივი მიზეზი ჰქონდა: პროგრამა „ვესტნიკის“ ფორმატში, ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. მეტი გაკეთების სურვილი გამიჩნდა. ამიტომაც გადავწყვიტე, შექმენა არასამთავრობო ორგანიზაცია — „ჩემი საქართველო“. რატომ? ჩემ ირგვლივ, არაქართული წარმოშობის უამრავი ადამიანი იმყოფება, რომელსაც დღეს, ბევრი პრობლემა აქვს — თუნდაც იმიტომ, რომ ქართული ენა არ იცის. თანაც, ეს არა მარტო მათი, არამედ სახელმწიფოს პრობლემაცაა. დახმარება სჭირდება ამ ხალხს, დახმარება სჭირდება ქართველებს და ამის გაკეთებას ვცდილობ ამ საზოგადოების მეშვეობით დღემდე. თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა ჩემი საბოლოო მიზანი ნამდვილად არ იყო.

— გინდათ თქვათ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მისვლას გეგმავდით? თავიდან, დადიოდა ხმები, თითქოს რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან ალიანსში შეიძლებოდა გვეხილა „ჩემი საქართველო“?

— იყო შემოთავაზებები სხვადასხვა პარტიიდან, მაგრამ ეს იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდა. ამიტომაც ვთქვი უარი: მერჩინა, ჩემს ორგანიზაციას მართლა რაღაც საქმე ეკეთებინა და არა ის, რომ გამხდარიყო რომელიმე პოლიტიკური დაჯგუფების დანამატი. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლა კი, ნამდვილად არ მქონდა გამიზნული. დღემდე, ის მაწუხებს, რომ ყველა არაქართველმა კარგად გაიაზროს, რომ საქართველოში ცხოვრობს...

— ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ საქართველოში ცხოვრობს?

— სამცხე-ჯავახეთში ყოფნისას, ეს აშკარად დავინახე. ხალხმა არ იცის, რომ ჯავახეთი საქართველოს რეგიონია და სახელმწიფო ენა ქართულია. უკვირთ

წარსულში „პირველი არხის“ პროგრამა „ვესტნიკის“ წამყვანის, ლალი მოროშკინას აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლამ საზოგადოების დიდი ნაწილის გაოცება გამოიწვია. დღემდე, ბევრს უკვირს — როგორ მოხედა ყოფილი ტელეწამყვანი განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს აპარატის უფროსის (რომელიც მინისტრის მოადგილის რანგს უტოლდება) სავარძელში. რა დამსახურების საფუძველზე ჩააბარეს არაპოლიტიკური წარსულისა და რუსული გვარის მქონე ქალბატონს საპასუხისმგებლო თანამდებობა და ხომ არ წარმოადგენს ეს ჩვენი ხელისუფლების რევერანსს, რომელიც საქართველოში რუსეთის ელჩის თანამდებობაზე ქართული წარმოშობის დიპლომატის დანიშვნის საპასუხოდ გაკეთდა.



პრეზიდენტის მიწვევის შემდეგ, მოვლენები ლალი მოროშკინასთვის სრულიად მოულოდნელად განვითარდა

— რატომ უწყვეტ ქართულ ენაზე დაბეჭდილი დოკუმენტების და ბლანკების შეგება, რასაც ვერც კი ახერხებენ. ახალციხეში სომხურმა მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, რომ ქართული ენის მასწავლებლები გაიგზავნონ რეგიონში... დღეს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, საკუთარ თავსაც ვალდებულებად ვუყენებ ჯავახეთისა და საერთოდ, სხვა საზღვრისპირა რეგიონებზე ზრუნვას. თუ ასე არ მოვიქცევით, ისედაც პრობლემათა დაძვინტვით დაძვინტვულ საქართველოს თავადვე შევუქმნით უდიდეს საფრთხეს.

— თქვენი თანამდებობაზე დანიშნა როგორ მოხდა?


— ჯავახეთიდან დაბრუნების შემდეგ, პრეზიდენტმა შევარდნაძემ ისურვა ჩემთან შეხვედრა და მოვლენები არა მარტო საზოგადოებისთვის, არამედ ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელად განვითარდა.

— თუმცა, როგორც ჩანს, მოულოდნელობის ეიფორიას მალე დაადნით თავი და ენ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტს, კოკოითსაც კი შეხვდით. თანაც — მგონი, თავად მიგიწვიათ, არა?

— განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტროს ეგიდით მოწყობილ, ქართველი და რუსი ჟურნალისტების შეხვედრის შემდეგ, ცხინვალში იმდენი სითბო ჩავიდა თბილისიდან „გატანებულ“¹, რომ კოკოითმა მადლობის ნიშნად, თავისთან მიგვიწვია და ქართველი პატიმრების გათავისუფლებით, საჩუქარიც კი მოგვიძღვნა...

— როგორ ფიქრობთ — ენ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია?

— ჩემი აზრით, ავხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემების შედარება არც კი შეიძლება. კოკოითმა სიამოვნება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველი და ოსი ჟურნალისტების შეხვედრაში „მესამე“ არავინ მონაწილეობდა. ცხადია, რომ დღეს, კონფლიქტების დარეგულირებაში არასამთავრობო სექტორის ჩართვა უფრო დიდ შედეგს მოგვითმის, ვიდრე რომელიმე მესამე სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება. ჩვენ თვითონ, ორივე მხარემ უნდა გადავდგათ ერთმანეთისკენ შემხვედრი ნაბიჯები.



მ თ ა ს ი ,

ჩემთვის ბინა და ხიზარ „იზახროს“...

ფერი და ფორმა

თუ თქვენ ჯერ, მხოლოდ ელოდებით ბავშვის დაბადებას, გახსოვდეთ, რომ ჩვილის მხედველობა, მოზრდილი ადამიანისაზე გაცილებით სუსტია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საგნები მისი მხედველობის არეში ხვდებოდეს. ოთახი ნათელი და მიმზიდველი უნდა იყოს. ბავშვი ვერ მიიღებს დადებით ემოციებს, თუ ის ე.წ. ჰომოგენურ გარემოში მოხვდება – ე.ი. მის ირგვლივ, მხოლოდ ცარიელი კედლები, სწორი, უსახური ჭერი, გაპრიალებული პარკეტი იქნება და მამასადამე, ვერაფერს ნახავს ისეთს, რამაც შეიძლება, თვალი

მოსტაცოს. გაავსეთ ოთახი სათამაშოებით, საგანგებოდ შერჩეული საბავშვო ჭურჭლით, „მორთეთ“ ჭყეტელა ლაქებით – თუნდაც, მოხატული შპალერით, ნოხებითა და გადასაფარებლებით. მისი მხერა, ერთი ნივთიდან მეორეზე უნდა „მოგზაურობდეს“ – სწორედ ასე ეცნობა პატარა, სამყაროს. ფერი და ფორმები, რომელსაც საბავშვო ოთახის მოწყობისას გამოიყენებთ, მნიშვნელოვან ფსიქოემოციურ დატვირთვას ატარებს. მაგალითად, ცისფერი ან ბაცი მწვანე ამშვიდებს, მაგრამ ბავშვთა სამყაროსთვის რამდენადმე მოსაწყენია. ყვითე-

ბევრს სმენია პატარა გოგონას – სონიას ცხოვრების ამბავი, რომელსაც მშობლებმა (ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა) ოთახის ყედლებზე, შპალერის ნაცვლად, მათემატიკის ძველი სახელმძღვანელოს ფურცლები გაუკრეს. პატარა სონია გაიზარდა და გამოჩენილ მათემატიკოსად – სოფია ჯოვალევსკაიად მოეწვინა ქვეყანას... ექიმები, ფსიქონალიტიკოსები, დიზაინერები, მხატვრები, ეკოლოგები და პედაგოგები ერთსულოვანი არიან იმაში, რომ გარემო, რომელშიც ადამიანი ბავშვობიდანვე იმყოფება, პირდაპირ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებაზე. ის, თუ რა ატმოსფეროს შეუქმნით პატარას, თქვენს სურვილსა და ფანტაზიას და მოკიდებული. მაგრამ არსებობს რამდენიმე წესი, რომელიც ბავშვის ვიზუალური აღქმის სპეციფიკაზეა დამოკიდებული.

ლი ხალისიან და მხიარულ განწყობას უწყობს ხელს; ყვითელი ჭეშმარიტად ფავორიტი „საბავშვო“ ფერებს შორის წითელი, გონების მოღუწების საშუალებას არ აძლევს ადამიანს, ასევე სიხალისე მატებს და შემოქმედებით შესაძლებლობებს აღვივებს. მაგრამ ნურც სიფრთხილე დაივიწყებთ: წითელი, საკმაოდ ვერაფერია – მისი სიჭარბე მოზარდში აგრესიას იწვევს.

ძალზედ ფრთხილად უნდა გამოიყენოთ ერთგვაროვანი ელემენტები რომელიც თვალს აჭრელებს. ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ჟალუზები, ზოლიანი ან კობლებიანი შპალ-

ევროპასა და ამერიკას ყოფს ... ოკეანე	შექსპირის „ჰამლეტის“ ერთ-ერთი პერსონაჟი	ზღვას შუა ბეჭდის მქონე	ვაზის გადახურული საჩრდილობელი	მდინარე იტალიაში	რა იმომება საათით	ნათელმხილველი
გიტანი, რომელსაც მხრებით უკირავს ცის თალი	გლეხობით დასახლებული ადგილი	არგერია, რომელიც გულიდან გამოდის	ვაშლის ნოტი	კაგა ... შესწვდა ძეხვსაო...	ადგილი, სადაც ცხენები წრებზე დარბიან	მიმართვა იაპონელი ისაღმი



ჩამოკონწილებულ-
ელი ელექტროსად-
ენი ბავშვს მაგნი-
ტივით იზიდავს!

**ოთახმა რომ
„იბარდოს“...**

საბავშვო ოთა-
ხისთვის განკუთვ-
ნილი ავეჯი ძალ-
ზედ მოსახერხებე-
ლი და პრაქტიკუ-
ლი უნდა იყოს. ოთახი იმგვარად უნდა მოაწყოს, რომ ადვილად მოხერხდეს ცვლილებების შეტანა, როცა ბავშვი გაიზრდება.

ჩვილის საწოლი დიდხანს არ დაგჭირდებათ, მაგრამ სხვა საგნები შეიძლება იმგვარად შეარჩიოთ, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე გაჰყვეს თქვენს შვილს. საამისოდ, იდეალურია ე.წ. მოდულის ტიპის ავეჯი: ტუმბოების, პატარა კარადებისა და თაროების ნაკრები, რომელიც „ლეგოს“ კონსტრუქტორს მოგვაგონებს: ჩვილის საცვლებისთვის განკუთვნილ, უჯრებიან კარადას რამდენიმე წუთში, მოზარდისთვის განკუთვნილ საწერ მაგიდად აქცევთ, რომელზეც მოხერხებულად მოთავსდება კომპიუტერი და მუსიკალური ცენტრი, უჯრებში კი - რვეულები და კომპაქტდისკები.

მოზარდის სათამაშოები ძალიან მალე, ვეღარ მოთავსდება უჯრებში. სა-

ამისოდ გირჩევთ, გამოიყენოთ ისეთი ყუთები, რომელიც ამავე დროს, დასაჯდომადაც გამოადგება პატარას.

ბუნებრივია, თავიდანვე უნდა ვიზრუნოთ ბავშვის შემოქმედებითი უნარჩვევების განვითარებაზე. თუ მის ოთახში დაფას მოათავსებთ, იმისგან დაიხლვეთ თავს, რომ წარამარა ცვალოთ შპალერი ან ღებოთ კედლები. თუმცა, ისეც ხდება ხოლმე, რომ ამისგან თავს მაინც ვერ იხლვევენ, რადგან ნორჩი „მხატვარი“ მაინც „ემბტერება“ კედლებს. ასეთ შემთხვევაში, გაყავით კედელი ჰორიზონტალური დეკორატიული ბორდიურით და მხოლოდ მისი ქვედა ნაწილის განახლება მოგიწევთ ხოლმე.

დაბოლოს: გირჩევთ, თავისებურ ზონებად დაყოთ ოთახი, რათა თქვენმა პატარამ ისწავლოს, გასართობი და „სამუშაო“ სივრცის ერთიმეორისაგან გარჩევა. საამისოდ, შეგიძლიათ ოთახში ბაგირი გაჭიმოთ, ან ცოცხალი ყვავილები, ჩიტის გალია თუ აკვარიუმი გამოიყენოთ.

ერი თუ ფარდები, პარკეტის ფიცრები და დატიხრული ჭერის ფილები - ეს ჩამონათვალი შესაძლოა, საკმაოდ აგრესიული გარემოს შექმნელი აღმოჩნდეს. ასეთ ოთახში პატარა, შეიძლება, ძალზედ ხშირად, სრულიად უმიზეზოდ ტიროდეს... ყველაზე მეტად ბავშვს ის ფერები და იმგვარი ფორმები იზიდავს, რომელიც ბუნებისას მოგვაგონებს.

შუქრდილები

საბავშვო ოთახის განათება - სრულიად განსაკუთრებული საკითხია. თუ თქვენს ბინაში არის რამდენიმეფანჯრიანი ოთახი, დაუფიქრებლად, სწორედ ის დაუთმეთ ბავშვს: რაც უფრო მეტი შუქი შეაღწევს მის „საუფლოში“, მით უკეთესი იქნება მისი გუნება-განწყობა და თვითშეგრძნება. საღამოობით, ოთახის გასანათებლად გამოიყენეთ სხვადასხვაგვარი ლამპა, აბაჟური, თანაც ისეთი, რომელიც ჩვეულებრივ, ტექსტილისა ან პლასტიკატისაგან არის დამზადებული: ისინი არ ხურდება და მოუსვენარი ბავშვიც ვერ „მოახერხებს“ ხელის დაწვას. კიდევ ერთი რჩევა: „მიმოაბნით“ ოთახში სინათლის პატარა პატარა „კუნძულები“, თუმცა, ნურც უსაფრთხოების პრობლემას დაივიწყებთ. გახსოვდეთ, რომ შესაძინე ადგილზე



რდადაუთმავ- ებელი ქათამი	1202 წელს ქართველებსა და რუქნ ადინს შორის გაიმართა ... ბრძოლა	იგივეა, რაც ჩინარი	პირიდან გაღმონადენი ნერწყვი	კვერცხის თეთრი ნაწილი	საბჭოთა საგვითო ავტომობილი	სამხრეთ კორეის დედაქალაქი
ე	1587-1629 წლებში ირანს მართავდა შაჰ ...	ქართული ანბანის პირველი ასო	ესპანელი მხატვარი ... დალი	სწრაფად გათა- მაშებული ჭადრაკის პარტია	დარეჯან თათქარიძის მოახლე გოგო	

მართლმადიდებლური ეკლესია თორმეტ საუფლო დღესასწაულს აღნიშნავს. მათ შორის ერთ-ერთია ნათლისღების დღესასწაული, რომელიც 19 იანვარს აღინიშნება... რატომ ვდღესასწაულობთ ნათლისღებას? რა უნდა ვიცოდეთ ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხ წყალთან დაკავშირებით? აღესრულება თუ არა ამ დღესასწაულზე ნათლობის საიდუმლო? აუცილებელია თუ არა ნათლისღებას ნათლულის ნათლიასთან სტუმრობა? — ამ და სხვა კითხვებთან დაკავშირებით გვესაუბრება ზემო ბეთლემის ტაძრის მოძღვარი, დიპანოზი ზურაბ ზინცალიშვილი.



რატომ ვდღესასწაულობთ ნათლისღებას

შორენა მერკვილაძე

— რატომ ვდღესასწაულობთ ნათლისღებას?

— ნათლისღების დღესასწაულით, მართლმადიდებლური ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უფალ იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრებიდან — იესო ქრისტეს ნათლისღებას. ამასთანავე, გვიჩვენებს ნათლობის საიდუმლოს აუცილებლობას.

— ეკლესიური სწავლებით, ნათლობით ადამიანი ცოდვებისგან განიწმინდება. ბუნებრივია, იესო ქრისტე განწმენდას არ საჭიროებდა. მაშინ რატომ მოინათლა მაცხოვარი?

— იესო ქრისტე იმიტომ კი არ მოინათლა, რომ თვითონ სჭირდებოდა განწმენდა, არამედ იმიტომ, რომ ადამიანებისთვის ნათლისღების სახე ეჩვენებინა, მაგალითი მიეცა და „წყლის ბუნება“ განენათლებინა.

„სახარების“ მიხედვით, იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემლისგან მოინათლა, რომელიც იყო შვილი მღვდელი ზაქარიასი და მისი ცოლის, ელისაბედისა. მათ შვილი სასწაულებრივად გაუჩნდათ (მოხუცებულობის დროს). ღვთისმსახურების დროს, ზაქარიას გამოეცხადა მთავარ-

ანგელოზი და აუწყა, რომ შეეძინებოდა ვაჟი და დაარქმევდა მას იოანეს, მაგრამ ზაქარიამ არ დაიჯერა, რისთვისაც დაისჯა (დამუნჯდა). მთავარანგელოზის თქმით, ზაქარია მანამდე იქნებოდა დამუნჯებული, ვიდრე მისი წინასწარმეტყველება არ აღსრულდებოდა. მართლაც ასე მოხდა. როდესაც მისმა ცოლმა ვაჟი შვა, ყრმის წინადაცვითის დღეს, ზაქარიამ ფიცარზე დაწერა სახელი „იოანე“, რომელიც ყრმისთვის უნდა დაერქმიათ. დამუნჯებული ზაქარია კვლავ ამეტყველდა. მან სულიწმინდის შთავონებით ჩვილის მიმართ წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „და შენ ყრმად დაგერქმევა უზენაესის წინასწარმეტყველი, ვინაიდან წინ წახვალ უფლის წინაშე მის გზათა გასამზადებლად“ (ლუკა 1,76). ზაქარია ჰეროდეს მეფობის დროს მოკლეს ტაძარში, ხოლო ელისაბედი, იოანესთან ერთად უდაბნოში გაიხიზნა, სადაც აღესრულა კიდევ. უდაბნოში გახიზნული ყრმის მფარველობა, ერთ-ერთ ანგელოზს დაევალა. იოანე უდაბნოში მკაცრ პირობებში ცხოვრობდა. იმსებოდა აქლემის ტყავისგან დამზადებული სამოსით. კვებით კი, მკალითა და გარეული თაფლით იკვებებოდა. როდესაც დაჭაბუკდა, უდაბნოდან გამოვიდა და სულიწმინდის შთავონებით ქადაგებდა სინანულს. ვინც ცოდვებს აღიარებდა, მდინარე იორდანეში ნათლავდა. იოანე

ქადაგებდა: „შეინანეთ, რადგან მოახლოებულია ცათა სასუფეველი“.

— რატომ დასჭირდა მაცხოვარს იოანე ნათლისმცემლისგან ნათლისღება?

— როდესაც იოანე ნათლისმცემელი მდინარე იორდანეში ხალხს ნათლავდა, განკაცებულ მაცხოვარს ოცდაათი წელი შეუსრულდა. იესო ქრისტეც მივიდა იოანესთან, რათა მონათლულიყო. იოანე არ თვლიდა თავს ღირსად, რომ მოენათლა იგი და უთხრა: „მე უნდა მოენათლო შენგან, შენ კი ჩემთან მოდიხარ?“ (მათე 3,14) უფალმა კი მიუგო: „ასე იყოს, ვინაიდან ასე გემართებს ჩვენ მთელი სიმართლის აღსრულება“ (ე.ი. ესე არს ნება ღვთისა და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ მას). მაშინ, იოანე ნათლისმცემელი დამორჩილდა და წყლით ნათელი სცა ქრისტეს. მართალია, იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემლის მიერ მოინათლა, მაგრამ ეს მოხდა ხილულად (ხალხს რომ დაენახა). უხილავად კი, იოანე ნათლისმცემელი თვითონ იესო ქრისტემ მონათლა.

— რატომ ეწოდება ნათლისღების დღესასწაულს განცხადება?

— როდესაც იესო ქრისტე მოინათლა და წყლიდან ამოვიდა, ცა გაიხსნა, სული-

ხოგოხ მიეაწიოთ უეცრებს

„მზის ქამრები“ — პირობითად, ასე უნოდებენ ადამიანებს, რომლებიც პრაქტიკულად, უსაკვებოდ არსებობენ. ასეთი, თურმე ათასობითაა დედამიწაზე. მეცნიერთა თქმით, მათი ორგანიზმი გარემოდან იღებს ენერგიას, რომელსაც უჯრედოვან დონეზე ითვისებს. სრულიად უნიკალურ შემთხვევას წარმოადგენს რუსი ქალის — ვინმე ზინაიდას შემთხვევა, რომლის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა გაზეთმა მოუთხრო თავის მკითხველს.

წმიდა მტრედის სახით გარდამოხდა ზეციით და დააღვა იესოს მხარზე. ციდან კი მოისმა ხმა მამა ღმერთისა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნო ვყავ“ (მათე 1,76). ე.ი. ნათლისღების დღეს, ადამიანებს ერთარსება ღმერთის სამგვამოვნება განეცხადა, ანუ ღმერთმა ინება და კაცობრიობას განუცხადა, რომ ღმერთი ერთია, მაგრამ სამგვამოვანი.

— ნათლისღების დღესასწაულზე ხდება წყლის კურთხევა, ანუ დიდი აიაზმა, რომელიც მხოლოდ ნათლისღებას აღესრულება. რა უნდა ვიცოდეთ ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხ წყალთან დაკავშირებით?

— ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში უხრწნელად ინახება. ხშირად, ორი ან სამი წლის შემდეგაც ისეთივეა, როგორც ახალი აღებული. ნათლისღების დღესასწაულის დღეს, ყველა წყალი ნაკურთხია (მდინარეების, ტბების და სხვა), რომელიც შეგვიძლია მივიღოთ და ისევე გამოვიყენოთ, როგორც ღვთისმსახურის მიერ ნაკურთხი წყალი. ნაკურთხ წყალს უდიდესი ძალა აქვს. მისი სხურებით იკურთხება ტაძრები, საცხოვრებელი სახლები და ქრისტიანის ყველა ნივთი. ამასთანავე, მას გააჩნია მაკურნებელი ძალა.

— განსხვავდება თუ არა ნათლისღების დღეს ნაკურთხი წყალი, ყოველი თვის დასაწყისში ნაკურთხი წყლისგან?

— ყველა ნაკურთხ წყალს აქვს ერთნაირი ძალა, მთავარია, მას რწმენით მივეახლოთ.

— აღესრულება თუ არა ნათლისღების დღესასწაულზე ნათლობის საიდუმლო და თუ აღესრულება, აქვს თუ არა მას რაიმე განსაკუთრებული მადლი?

— ნათლისღების დღესასწაულზე ნათლობის საიდუმლო აღესრულება, თუმცა მას არანაირი განსაკუთრებული ძალა და მადლი არ გააჩნია.

— არსებობს აზრი, რომ ნათლისღებას აუცილებელია ნათლულის ნათლიასთან სტუმრობა. რამდენად გამართლებულია ეს ეკლესიური სწავლებით?

— ნათლისღებას ნათლულის ნათლიასთან სტუმრობა აუცილებლობას არ წარმოადგენს.

ორიოდე წლის წინ, ზინაიდამ გაიცნობიერა (როგორც თავად აღნიშნავს, მას ხმა ჩაესმა), რომ შეუძლია, საერთოდ არ მიიღოს საკვები. ორი კვირა არაფერი უჭამია. ამის შემდგომ, ეცადა, წყალიც არ დაეღია. ნახევარი თვე ტანჯვის პერიოდი ჰქონდა, როგორც მედიკოსები ამბობენ — ამ დროს, მისი ორგანიზმის გარდაქმნა მიმდინარეობდა. კანზე მკვრივი წარმონაქმნები გაუჩნდა — ისეთი, როგორიც კოლოს ნაკბენებისგან ჩნდება ხოლმე (როგორც ჩანს, ორგანიზმი ცდილობდა, ჰაერისგან „გამოეწურა“ სინოტივე); ჰქონდა შარდის და ლორწოვანის უმნიშვნელო გამოყოფის შემთხვევები. დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, ყველაფერი მოუწესრიგდა. მეცნიერთა თქმით, ეს ე.წ. დაღმავალი ევოლუციური ენერგიის შედეგად მოხდა.

საოცრად საინტერესო შედეგები უჩვენა ზინაიდას სამედიცინო გამოკვლევებმა, რომელიც მას 2 მეთოდით ჩაუტარეს. პირველი, ტრადიციული იყო — ორგანიზმის ელექტროპოტენციალის დადგენა. დიაგნოსტიკამ უჩვენა, რომ ორგანიზმი დათრგუნვილი იყო და შეინიშნებოდა სხვადასხვა პათოლოგია. მეორე მეთოდი, ე.წ. ატომურ-რეზონანსულია, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ძალზედ სრულყოფილად დაადგინო ორგანიზმის მოქმედება. ამ მეთოდით ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ყველა

სისტემა 18 წლის ადამიანის მსგავსად ფუნქციონირებს — არადა, ქალი 65 წლისაა! ამასთანავე, კლასიკური მედიცინის თვალსაზრისით, ქალის რეპროდუქციული ორგანოები დათრგუნვილია, ალტერნატიული მეთოდის შედეგად კი დადგინდა, რომ საშვილოსნო სავსებით მზადაა ნაყოფის კვლავ წარმოებისათვის...

სპეციალისტთა თქმით, არანაირ წინააღმდეგობას ადვილი არა აქვს — უბრალოდ, ქალი არსებობის პრინციპულად სხვა — ე.წ. ვიბრაციულ დონეზე გადავიდა. კლასიკურ მედიცინას კი, ამის დაფიქსირება არ ძალუძს. მის ყველა ორგანოს ვიბრაციული ორეული გაუჩნდა. ამის შედეგად, ზინაიდა პრინციპულად ახალ არსებად გადაიქცა. აუტოთროპული (თვითსაკმარი) ადამიანი — ეს ჩვენი ევოლუციისთვის მომდევნო ეტაპის ახალი სახეობაა, — ამბობენ ექიმი-ფსიქოფიზიოლოგები და დასძენენ: იმისათვის, რათა „პრინციპულად ახალ არსებად“ გადაიქცე, უპირველესად საჭიროა გავაცნობიეროთ, თუ რა გვიშლის ხელს. უმთავრესად კი, გვიშლის „გონების ხელთაილი“ — ფიქრების, სურვილებისა და მესხიერების ფრაგმენტების გამუდმებით ცვლა. XX საუკუნის ერთ-ერთ გურუდ აღიარებული შრი აურობინდო ამბობდა: „ფიქრის უნარი — საუცხოო თვისებაა, მაგრამ იმის უნარი, რომ არ იფიქრო — გაცილებით დიდი თვისებაა...“

გაქვით სარკილი გამოიყურებოდეთ ლამაზად?!

გთავაზობთ!!!

ნონაში დაქვებან კომპოზიციული მეთოდით 5-დან 12კგ.-მდე ყოველგვარი ჰარჯონისა და ზიზვილის გარეშე.

მისი მდგომარეობა ქალთმკურნალობის საშუალებაა

ტელ.: 890-20-33-76
მკიპაბი 76-66-04
ბ-მ. შუბა



დიდი «მემარცხენეების» საოცარი მიღწევები

... იულიუს კეისარი, ნაპოლეონ I, ალექსანდრე მაკედონელი, მიქელანჯელო, ლეონარდო და ვინჩი, ჰერბერტ უელსი, მარკ ტვენი, ლუის კეროლი, ტომ კრუზი, სილვესტერ სტალონე, რობერტ დე ნირო, დემი მური, ნიკოლ კიდმანი, მერილინ მონრო, ჩარლი ჩაპლინი, ბილ გეიტსი, ნიკოლო პაგანინი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი, პოლ მაკარტნი, რინგო სტარი, ჯიმი ჰენდრიქსი, რობერტ პლანტი, კურტ კობეინი, რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში-უფროსი, ბილ კლინტონი, ფრიდრიხ ნიცშე — ამ საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობდნენ, ერთი რამ აერთიანებთ: ყოველი მათგანი ცაყია, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დღემდე, „მემარჯვენეთან“ შედარებით, რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ „მემარცხენეთა“ პერსონალი, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნებების დეფიციტს, კაცობრიობის განვითარების არც ერთ პერიოდში არ განიცდიდა. ამ მხრივ, ცაყიები სპორტშიც გამოირჩეოდნენ. საკმარისია, გავისხენოთ თუნდაც მხოლოდ ჯიმი კონორსი, ჯონ მაკინროი, მარტინა ნაფრატილოვა ან აირტონ სენა, რომლებმაც უდიდეს გამარჯვებებს მიაღწიეს. „მემარცხენეები“ „მემარჯვენეებს“ არც ფეხბურთში ჩამოუვარდებიან და სპორტის ამ სახეობას, თავიანთი არაორდინარული სათამაშო მანერის წყალობით, განსაკუთრებულ მიმზიდველობასა და ინტრიგას სძენენ.

ღმერთი თუ ემმაყი?

მეოცე საუკუნემ მსოფლიო ფეხბურთს არაერთი ცაყია ვარსკვლავი აჩუქა, რომელთა შორისაც, ცხადია, განსაკუთრებული ადგილი დიეგო მარადონას უკავია. თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, „საფეხბურთო ტახტის“ მფლობელმა არგენტინელმა დიდოსტატმა დაამტკიცა, რომ მის პიროვნებაში თავი მოუყრია ყველა იმ დადებით თუ უარყოფით თვისებას, რომლითაც ცაყია ადამიანები გამოირჩევიან. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დონ დიეგოს ფეერიული საფეხბურთო ნიჭი უნდა გამოვყოთ, რომლის წყალობითაც მოედანზე მართლაც სასწაულებს ახდენდა. მარადონამ ორჯერ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა — ერთხელ ახალგაზრდულ ნაკრებთან ერთად, ერთხელაც — ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ამავე დროს, მან „ბარსელონასთან“ ერთად ესპანეთის თასი აიღო, „ნაპოლის“ შემადგენლობაში კი — ორჯერ „სკუდეტო“ მოიგო, ხოლო თითოჯერ — იტალიის თასი, სუპერთასი და უეფას თასი. მიუხედავად ასეთი ფენომენალური სპორტული მიღწევებისა, დიეგოს ყოველთვის ბევრი პრობლემა ექმნებოდა პირად ცხოვრებაში. ნარკოტიკების მოხმარების გამო, მარადონა გამუდმებით დიდ სკანდალებში



ეხვეოდა, რის გამოც ის დისკვალიფიცირებულიც კი ყოფილა. 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, არგენტინელ ვარსკვლავს დისკვალიფიკაცია დოპინგ-პრეპარატის გამოყენებისათვის მიუსაჯეს. ამის შემდეგ, ის საერთოდ გამოეთხოვა დიდ ფეხ-

ბურთს. დიეგოს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა მასმედიის წარმომადგენლებთან და ერთხელ, ფოტოკორესპონდენტს ტირის თოფით ხელშიც დაესხა თავს, რის გამოც გამართული სასამართლო პროცესიც რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. წლების წინ, მარადონას, ურთიერთობა გაურთულდა იტალიის საგადასახადო სამსახურთან. მისი სკანდალური ცხოვრების კულმინაციად კი, კლაუდიო კანიჯას ცოლის მოულოდნელი განცხადება იქცა — სინიორა მარიანა ნანიმ რამდენიმე წლის წინ, მთელ მსოფლიოს ამცნო, რომ პლანეტის მილიონობით ადამიანის სათაყვანებელ დიეგოს სქესობრივი კავშირი ჰქონდა მის ქმართან. ცხადია, ეს ფაქტი მარადონას არაერთი თავყვანისმცემლისათვის გამაოგნებელი აღმოჩნდა, მაგრამ თუ ბოლოდროინდელი სამედიცინო კვლევების შედეგად მიღებულ სტატისტიკას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ დონ დიეგოს გატაცება თავისივე სქესის წარმომადგენლებით, პარადოქსული მოვლენა სულაც არ უნდა იყოს. თურმე ნუ იტყვით და, ცაყიათა საერთო რაოდენობის 30% ჰომოსექსუალიზმისადმი ყოფილა მიდრეკილი. ამ „ფატალურ“ მოვლენას ვერც არგენტინელი სუპერვარსკლავი გაექცა (ისევე, როგორც მარტინა ნაფრატილოვა) და ამის გამო, კიდევ ერთხელ მოექცა უტიფარი ფოტომონადირეების ყურადღების ცენტრში. მარინებანი გაბრუებული დონ დიეგო, კლაუდიო კანიჯასთან ერთად, ფოტორეპორტიორებმა ერთ-ერთ გეი-კლუბში დააფიქსირეს.

თუ მარადონას წინააღმდეგობით სავსე პიროვნებაზე ვლავარაკობთ, არ შეიძლება, გვერდი ავუაროთ მის დადებით თვისებებსაც. არგენტინელთა კერპის ნაცნობები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ფეხბურთის ვარსკვლავი გულჩვილი, ფაქიზი სულის ადამიანი და მოსიყვარულე მამაა. ხოლო თუ როგორი თავგამოდებით იცავს დიეგო ღარიბ-ღატაკთა ინტერესებს, ამის შესახებ მისმა ნებისმიერმა ქომაგმა კარგად იცის. ამას წინათ კი, არგენტინელმა ვარსკვლავმა ექვსი სიმღე-

რისაგან შემდგარი კომპაქტ-დისკიც გამოსცა. „დისკი საქველმოქმედო მიზნით ჩავეწერე, – ამბობს დიეგო მარადონა, – მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში მყოფი ბუენოს-აირესის საბავშვო ჰოსპიტლის, „პეტროელისალდე“ დასახმარებლად. ალბომის პრეზენტაცია სწორედ იმ დღეს მოეწყო, როდესაც ჰოსპიტალი თავისი დაარსებიდან 223-ე წლისთავს ზეიმობდა, სახელიც შესაფერისი დავარქვი – „ბავშვთა ჰოსპიტალი“. რამდენიმე სიმღერის ტექსტი მე თვითონ დავწერე, სიმღერა „კუკუ-რიტას“ მუსიკა კი, მე მეკუთვნის. ალბომი კუბაში ჩაიწერა, სადაც დღემდე გავდივარ სარეაბილიტაციო კურსს. მის ჩაწერაში ადგილობრივი პოპ-მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. პროექტში ჩაბმულნი იყვნენ აგრეთვე ჩემი ქალიშვილები – დალმა და ჯანინა, რომლებმაც ერთ-ერთი სიმღერა შეასრულეს. მას „სიყვარულის ღამე, მშვიდობის დღე“ ჰქვია. ვერ დავმაღავ, რომ ნამუშევრით მთლად კმაყოფილი არა ვარ, თუმცა, ეს გარემოება ნაკლებად მაღელვებს. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ მე როგორ ვმღერი – კარგად თუ ცუდად; მთავარი ის არის, რომ ამას ბავშვები-სთვის ვაკეთებ და იმედი მაქვს, ჩემი სიმღერებით ვინმეს გამოჯანმრთელებაში დავეხმარები. ამასთანავე, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რამხელა ბედნიერებაა, როდესაც საკუთარ სიმღერას ასრულებს, ეს ხომ ისეთივე სასიამოვნოა, როგორც გოლის გატანა“.


ცაცია არგენტინელის ორიგინალობაზე მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი ფაქტი მეტყველებს. ქორწინებიდან მუთუ ვწუხს, დონ დიეგომ თავის მეუღლეს (რომლისთვისაც მას არაერთხელ უღალატია) გრანდიოზული ქორწილი მოუწყო, რომელშიც ორი მილიონი დოლარი დახარჯა. წვეულებაზე მან ათასზე მეტი სტუმარი მიიპატიჟა. მარადონას არაერთგვაროვანი ბუნების შესახებ კი, მსოფლიო საზოგადოებრიობამ პირველად, მექსიკის 1986 წლის ჩემპიონატზე შეიტყო, როდესაც არგენტინელთა ლეგენდარულმა მეთაურმა ინგლისელთა კარში ჯერ ხელით შეაგდო ბურთი და თავისი ნამოქმედარი ისე იხეიმა, თითქოს დიდი სპორტსმენისათვის მიუღებელი არაფერი გაეკეთებინოს... შემდეგ, თითქმის მთელი გუნდი მოატყუა, მეკარე პიტერ შილტონიც პირში ჩალაგამოვლებული დატოვა და ბრიტანელებს მეორე, ულ-

ამაზესი გოლი გაუტანა. სხვათა შორის, დღემდე, არაერთგვაროვანია თავად ფეხბურთის გულშემატკივართა დამოკიდებულებაც არგენტინელი ვარსკვლავისადმი: ერთნი დიეგოს აღმერთებენ, ხოლო სხვებს მისი სახელის გაგონებაც კი არ სურთ. თუნდაც ის რად ღირს, რომ 2002 წლის მუნდიალის მსვლელობისას, მარადონას დიდი გარჯა დასჭირდა, რათა იაპონიის ხელისუფლებისაგან ამომავალი მზის ქვეყანაში სტუმრობის უფლება მიეღო. ტურნირის მასპინძლებს არ სურდათ, რომ წარსულში ცნობილი ნარკომანი, ფეხბურთის სუპერვარსკვლავი თავიანთ სამშობლოში ეხილათ.

დონ დიეგოს ნიჭის თავყვანისმცემლებისათვის საინტერესო იქნება კიდევ ერთი ფაქტი: თავისი საფეხბურთო კარიერის მანძილზე, ოფიციალურ მატჩებში მარადონამ 353 გოლის გატანა შეძლო. აქედან, მარჯვენა ფეხით მან მხოლოდ ექვსჯერ შეაგდო ბურთი მოწინააღმდეგის კარში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დონ დიეგო ძალიან იშვიათად თამაშობდა თავით, შეიძლება დავასკვნათ: მსოფლიო ფეხბურთის „მონარქის ტახტზე“ ის, თავისი სასწაულმოქმედი ცაცია ფეხის წყალობით ავიდა...

„ფეხმრუდი იხვი“, რომელსაც „ოქროს“ ცაცია აქვს

თანამედროვეობის ერთ-ერთმა ბრწყინვალე ფეხბურთელმა, რივალდომ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ დაამტკიცა, რომ ცაცია მოთამაშეები არტისტიზმს მოკლებულნი ნამდვილად არ არიან არა მარტო საფეხბურთო თვალსაზრისით, არამედ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც. მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ საუბარი გვაქვს ბრაზილიელი ვარსკვლავის „სამუნდიალო ოინბაზობაზე“, როდესაც კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, თურქეთის ნაკრებთან ჩატარებულ მატჩში მან მსაჯი გააბრიყვა და მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშე დაუმსახურებლად გააძევებინა მოედნიდან. ნიშანდობლივია, რომ მანამდე, რივალდოს მსგავსი არაფერი ჩაუდენია და ყოველთვის ითვლებოდა ერთ-ერთ ყველაზე სამართლიან მოთამაშედ, თუმცა, თავისი ოსტატობისა და საფეხბურთო ინტელექტის წყალობით, ყოველ-



რივალდო

თვის ახერხებდა მეტოქე ფეხბურთელების გაბრიყვებას. ისე კი, უნდა ითქვას რომ რივალდოს საფეხბურთო-სადებიუტო გზა ია-ვარდით მოფენილი ნამდვილად არ ყოფილა. მას დიდ მომავალს არავინ უწინასწარმეტყველებდა და ხან „ფეხმრუდი იხვს“ ეძახდნენ და ხანაც – „ხის-ფეხას“. აბა, მაშინ, ვინ იფიქრებდა, რომ გავიღოდა დრო და რივალდო თავისი მარცხენა ფეხის წყალობით, ყველაზე მაღალ საფეხბურთო მწვერვალებს დაიპყრობდა, რის გამოც, მას კიდევ ერთ მეტსახელს – „ოქროს ცაციას“ შეარქმევდნენ!

მტერს მოხვდა მაგის დარცემული...

თუ რა შესაძლებლობების მქონე ფეხბურთელია რობერტო კარლოსი, ეს სპორტის ამ სახეობის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ. ისევე, როგორც ყველა „მემარცხენე“ ფეხბურთელისათვის, კარლოსისთვისაც უმთავრეს



რობერტო კარლოსი

იარაღს საფეხბურთო მინდორზე თავისი ცაცია ფეხი წარმოადგენს. უფრო მეტიც, მარცხენა ფეხით დარტყმული ბურთის სიძლიერის მიხედვით, ბრაზილიელი მცველი ნებისმიერ თავის „მემარცხენე“ თუ „მემარჯვენე“ კოლეგას მნიშვნელოვნად სჯაბნის. მისი „ავისომასწავლებელი“ მარცხენა ფეხის შესახებ, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთესად თავად ფეხბურთელებმა იციან, რის ბრწყინვალე მაგალითად საჯარიმო დარტყმების ეპიზოდებიც გამოდგება, როდესაც „ცოცხალ კედელში“ მდგომი ყველა ფეხბურთელი, ბურთთან მისული რობერტო კარლოსის დანახვაზე, შეშინებული ერთიმეორეს ეკვრის და გულში ალბათ ლოცულობს კიდევ, რომ მის მიერ დარტყმულ ბურთს გადაურჩეს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბრაზილიაში თამაშის პერიოდში, კარლოსის დარტყმისგან დაშავებული მოწინააღმდეგე საავადმყოფოშიც წაუყვანიათ... ბრაზილიისა და მადრიდის „რეალის“ „სუპერცაციას“, არაერთი ულაპაჯესი გოლი აქვს გატანილი, მაგრამ საგანგებო აღნიშვნის ღირსია, 1997 წელს, საფრანგეთში გამართულ „ოთხთა ტურნირზე“ მასპინძელთა კარში გატანილი ბურთი, რომელსაც შეიძლება „ანომალიურიც“ კი უწოდოთ. მაშინ, საჯარიმოდან კარლოსის მიერ დარტყმულმა ბურთმა საოცარი ტრაექტორიით აუარა გვერდი „ცოცხალ კედელს“ და ბარტყის კარში შეფრინდა. „მე რომ ასეთი დარტყმის გამოერება მეცადა,

ალბათ ფეხს მოვიტეხდი“, – უთქვამს კარლოსის მიერ გატანილი გოლის შესახებ სტანდარტული სიტუაციების „მემარჯვენე“ ოსტატს – დევიდ ბექჰემს.

დიდების დარბაზში თუ
ჯოჯონზე?

ცნობილია, რომ ცაციები წინა საუკუნეებში დიდ დისკრიმინაციას განიცდიდნენ სახელმწიფო ინსტიტუტების, სასულიერო პირებისა თუ „მემარჯვენე“ საზოგადოების მხრიდან. შუა საუკუნეების ღვთისმეტყველი თვით სატანას მიიჩნევდნენ ცაციად და აცხადებდნენ, რომ ყოველი ცაცია ადამიანი ეშმაკისეული იყო. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ჟანა დ'არკისთვის განაჩენის გამოტანისას, მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა ეჭვმიტანილის ცაციაობამ. მუსლიმანურ აღმოსავლეთში მიაჩნიათ, რომ დაუშვებელია საჩუქრების მირთმევა მარცხენა ხელით. სხვათა შორის, დღესაც, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ცაციები ოსტრაკიზმით ისჯებიან. კელტური რწმენის თანახმად კი, ადამიანის სხეულის მარცხენა ნაწილს იმქვეყნიური ძალები არიან დაუფლებულნი. ერთი სიტყვით, ყოველგვარ „მემარცხენეობას“ უძველესი დროიდან, ადამიანები ეჭვის თვალით უყურებდნენ. ეს ტენდენცია კი, ზღაპრებშიც შეინიშნება: „მარჯვნივ წახვალ – ბედს ეწვევი, მარცხნივ წახვალ – თავს დაკარგავ...“

სხვათა შორის, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდეც მედიკოსთა გარკვეულ ნაწილში გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის თანახმადაც ცაციაობა პათოლოგიად ითვლებოდა (საზოგადოებაში კი, სიტყვა „მარცხენას“ დღემდე, ნეგატიური დატვირთვა აქვს). მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის მიწურულს, მეცნიერებმა რადიკალურად შეიცვალეს შეხედულება ცაციათა მიმართ და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამქვეყნად ადამიანის ცაციად მოვლინება მომავალში, დიდ პიროვნებად მისი ჩამოყალიბებისა და გენიალობის ნიშანია. მედიკოსთა ამ შეხედულებებს, იმ გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა სახელები ადასტურებს, რომლებიც ცაციები იყვნენ. აი, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: თანამედროვე მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მომავალში, „მემარცხენეები“ რიცხობრივად გადააჭარბებენ „მემარჯვენეებს“ (დღეისათვის, მათი თანაფარდობა დაახლოებით – ერთი ათზეა). ხოლო თუ მართლაც გადააჭარბებს ცაციებმა რაოდენობით დანარჩენ მსოფლიოს, მაშინ, კაცობრიობას თავისი ყოველგვარი ნამოღვაწის (საგნების, ავტომობილების, აპარატურისა და ა.შ.) „მემარცხენეთათვის“ გადაკეთება მოუწევს. ცაცია ადამიანები დღემდე, სწორედ იმის გამო ხდებიან ყველაზე ხშირად უბედურ შემთხვევათა მსხვერპლნი, რომ ადამიანის მიერ შექმნილი ყოველი საგანი თუ ხელსაწყო, „მემარჯვენეთათვის“ არის განკუთვნილი. ისე კი, ცაციებს საამაყო მართლაც ბევრია აქვთ, რაზეც XX საუკუნის არაერთი დიდი ფეხბურთელის სახელიც მეტყველებს: ფერსონი, ტოსტაო, რიველინი (სამივე, ყველა დროის საუკეთესო გუნდად აღიარებულ, ბრაზილიის 1970 წლის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა), რივალდო, რობერტო კარლოსი, მარადონა, ლიზარაზუ, გიგზი, ოვერმარსი, მეტცელდერი, ბლოხინი, მესხი...

გარდა ამისა, საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლეგენდარულმა ამერიკელმა ასტრონავტმა – ნილ არმსტრონგმა პირველად მთვარეზე, სწორედ მარცხენა ფეხი დააბიჯა. ალბათ მხოლოდ ეს ფაქტიც ეყოფათ საამაყოდ მსოფლიოს ცაციებს, რომლებსაც თავიანთ საერთაშორისო დღედ „თარსი“ რიცხვი – 13 აგვისტო დაუწესებიათ...

მარტივი ჯოჯობი ძალადობის წინააღმდეგ
სამბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბბ

სამბბ მადრიდულმა კლუბმა – „რეალმა“, „ატლეტიკომ“ და „რაიო ვალეკანომ“, – რომლებიც ესპანეთის პრიმერადივიზიონში ასპარეზობენ, დედაქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად, საფეხბურთო ექსტრემიზმთან სერიოზული ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა. მათ მიერ ხელმოწერილი კონვენცია ითვალისწინებს მოხალისე გულშემატკივრებისა და სამოქალაქო პირებისაგან სპეციალური კორპუსის შექმნას, რომელიც წინ აღუდგება სტადიონებზე ძალადობასა და აღვირახსნილობის გამოვლინებას. ღოკუმენტს ხელი მოაწერეს: მადრიდის მთავრობის თავკაცმა, ალბერტო რუის გალიარდონმა, „რეალის“ პრეზიდენტმა, ფლორენტინო პერესმა, „ატლეტიკოს“ პრეზიდენტმა, ხესუს ზილმა და „რაიო ვალეკანოს“ პრეზიდენტმა, მარიე ტერეს რივერომ. მომავალში, კლუბები სხვადასხვა შეჯიბრების, ზეიმის მონაწილეებსა და ახალგაზრდობასთან შეხვედრების გამართვას აპირებენ, რაც მათი აზრით, ფეხბურთში თავშეუკავებლობისა და აგრესიის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. „ჩვენი ძალისხმევა სტადიონებზე სასიამოვნო გარემოს შექმნისაკენ არის მიმართული, – ამბობს ფლორენტინო პერესი, – ეს ინიციატივა პოზიტიურია და ჩვენ ენერჯის არ დავიშურებთ საიმისოდ, რათა მიზანს მივაღწიოთ. ეს წამოწყება ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდასაც შეუწყობს ხელს – როგორც საზოგადოებაში, ასევე სპორტში“.

აქტიური მოზარდის ქეჩი

ყერი თქვენი

„ვარსკვლავური ომების“ ახალ სერიებში ჯერი ფიშერი ჯადოს მღერა დარჩა. მსახიობი, რომელიც პირველ სამ სერიებში ქალის მთავარ როლს ასრულებდა, ამჯერად პროექტში „სვენარის ექიმის“ სტატუსით მონაწილეობდა. „სვენარის ექიმი ან სვენარის მედლა“ თავად ფიშერი ასე უწოდებს საკუთარ თავს. მის სპეციალიზაციას ეი, ქალთა როლები წარმოადგენს, უფრო სწორად, ცუდად დაწერილი ქალთა როლები. იგი პერსონაჟებს შთამბეჭდავი რეჟივებით, ეფექტური ვინიეტებითა თუ თავშესაქცევი დიალოგებით ამარაგებს, რომელიც საბოლოო ჯამში, უფრო მეტად მეტყველებს გმირის ბუნებაზე, ვიდრე გრძელი, დაუსრულებელი მონოლოგები მათი წარსულის შესახებ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სვენარის ექიმს საკმაოდ მაღალი ანაზღაურებაც აქვს, მისი შემოსავალი რამდენიმე ასეულ ათასს აღწევს ჯვირის განმავლობაში. ჯერის საყვარელ საქმიანობას ეი, სატირული ხასიათის რომანების წერა წარმოადგენს, რომლებიც საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.

ჯერი ფიშერი უნიკალური ბედ-იღბლის ადამიანია: მართლაც, იშვიათია შემთხვევა, სუპერვარსკვლავი, სვენარისტი გამხდარიყოს. იგი არასოდეს ელტვოდა დიდებას, მაგრამ დიდება თავად ეწვია მას. „ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე, ყურადღების ცენტრში მოვექცეოდი, — ამბობდა ის კინოსპარეზზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ. — ვიცოდი, რომ ნებისმიერი კომპანიის გამხიარულების უნარი მქონდა, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, რომ ესტრადის იუმორისტობა ასე კარგად გამოვივიდოდა. ვარსკვლავი რომ გახდე, სარკეში ყურება მაინც უნდა გიყვარდეს, მე კი, არც ლამაზი ვიყავი და სარკეში საკუთარი თავის ცქერაც დიდად არასოდეს მხიბლავდა“.

დიდებისადმი ჯერი ფიშერის ასეთი დამოკიდებულება ბავშვობის წლებიდანვე შოუბიზნესის სამყაროსთან მისმა მჭიდრო ურთიერთობამ განაპირობა. ამ მშვენიერი სამყაროს მოჩვენებითი ბრწყინვალეების მიღმა არსებული ინტრიგებისა და დაუნდობლობის შესახებაც ბევრი რამ იყო მისთვის ცნობილი. ჯერი ფრენსის ფიშერი 1956 წლის 21 ოქტომბერს შოუბიზნესის დედაქალაქად წოდებულ ლოს-ანჯელესში დაიბადა. მისი მამა — ედი ფიშერი, მომღერალი გახლდათ, დედა — დები რეინოლდსი, მსახიობი და მომღერალი იყო. გოგონას დაბადებით აღფრთოვანებული მამა გვერდიდან არ შორდებოდა მას, მაგრამ სულ მალე, მას საშუალო ნიუ-იორკში მოუხდა გადასვლა. დები რეინოლდსი არ გაჰყვა ქმარს, რადგან მიიჩნია, რომ მისი კარიერისათვის პოლიფუდში ცხოვრება ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო. ცოლ-ქმარი ერთ-მანეთს ორ-სამ თვეში ერთხელ თუ ხვდებოდა. ამასობაში ჯერის მამა — ტოლიც დაიბადა. დები სერიოზულად ფიქრობდა კინოკარიერისათვის თავის დაწებებასა და ნიუ-იორკში გადასვლაზე, მაგრამ სრულიად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: წლების მანძილზე, ედი და დები ელიზაბეტ ტეილორთან და მის ქმართან — მილიარდერ კინომანგანტ მაიკლ ტოდთან მეგობრობდნენ. სწორედ იმხანად, ტოლი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ედი ფიშერი მეგობრის გვერდით გაჩნდა და სასოწარკვეთილი ქვრივის დაწინაურებას ცდილობდა. მის მიერ გამოვლენილმა თანაგრძნობამ და თანადგომამ გარშემოცოფთა გულწრფელი აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ყველაფერმა სულ სხვა მიმართულება მიიღო... ედიმ ამ უდიდესი ტრაგედიის ჟამს ელიზაბეტის თანადგომა თავის ვალდებულებად მიიჩნია და ოჯახი მიატოვა. იმხანად, ჯერი ორი წლის იყო. ედი და ელიზაბეტი ისევე სწრაფად გაიყარნენ, როგორც იქორწინეს. თუმცა ედი ოჯახს მაინც აღარ დაჰბრუნებია. იგი ბავშვებს აღარც ნახულობდა, აღარც ურეკავდა და არც საჩუქრებს უგზავნიდა. დები ყოველწლიურად ცდილობდა, უმამოა არ ეგრძნობინებინა თავისი პატარებისათვის და ზოგჯერ ტყუილსაც მიმართავდა



ხოლმე. იგი ბავშვებს დროდადრო უუბნებოდა, რომ მამამ დარეკა და მათი ამბავი იკითხა. პატარები კი გაკვირვებულნი იყვნენ: როგორ ახერხებდა მამა ყოველთვის ისეთ დროს დარეკვას, როცა ისინი შინ არ იყვნენ?! ყოველ შობას, ნაძვის ხის ქვეშ სხვა საჩუქრებთან ერთად, და-ძმას მამის საჩუქრებიც ხვდებოდა, რომელსაც ბარათიც ახლდა ხოლმე წარწერით — „სიყვარულით მამიკოსაგან!“ პატარა ჯერიმ მალევე დააფიქსირა, რომ მამის ხელწერა, საოცრად ჰგავდა დედისას. ამის შემდეგ, „მამის“ საჩუქრებს ყოველთვის სტანდარტულწარწერა იანი ღია ბარათები ახლდა ხოლმე თან.

ჯერი ბავშვობიდანვე საზრიანობით გამოირჩეოდა, იგი ბევრ ისეთ რამეს აფიქსირებდა, რაზეც მის თანატოლებს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ. შოუბიზნესი მას არ მოსწონდა, რადგან იქ გამეფებული ხელოვნურობა და სიყალბე მისთვის მიუღებელი იყო. იგი ხედავდა, რომ დედამისი ჯადოსნური ხმით უმღეროდა მას ეკრანიდან, შინ კი, როდესაც ერთხელ, ჯერის სამზარეულოდან მისი სიმღერის ხმა შემოესმა... „იმ მომენტში ალბათ ძალზედ სასტიკად მოვექეცი დედას, — იხსენებდა ჯერი. — მე ვთხოვე მას: „დედა, იქნებ ისევ ფირფიტა დაგელო!“ ჯერი 12 წლის იყო, როცა დები მეორედ გათხოვდა. იგი ფეხსაცმლის მწარმოებელ მაგნატს, გარი კარლს გაჰყვა ცოლად. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად აეწყო. გარი ცდილობდა, კარგი მამობა გაეწია ჯერისა და ტოდისათვის და მათ ნებისმიერ კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებდა. მაგრამ ბანქოს თამაშის სიყვარულმა და აზარტულობამ ყველაფერი

გააფუჭა: გარემო თავისი ფენსაცმლის იმპერია გააკოტრა, შემდეგ კი დების ბრილიანტებსაც მიაღება. თუმცა, ეს ყველაფერი მოგვიანებით მოხდა. იმხანად – 60-იან წლებში, დები რეინოლდსი პოპულარული ვარსკვლავი იყო, გარი – მდიდარი მეცენატი. პოლიუფდის საზოგადოებაში კერი ყოველთვის თან ახლდა ხოლმე დედას, სადაც მას მხოლოდ დები რეინოლდსის ქალიშვილად აღიქვამდნენ, რაც გოგონას საოცრად აღიზიანებდა. როცა ოჯახი გაკოტრების საფრთხის წინაშე აღდგა, დედამ საზაფხულო არდადეგებზე, კერი ბოისკაუტთა ბანაკში გაგზავნა. კერის, ბანაკში ყოფნა არ მოეწონა, რადგან იქ ყველაფერში ვიდაცის ბრძანებას უნდა დამორჩილებოდა. მაგრამ დედა ცდილობდა, რაც შეიძლება ხშირად ყოფილიყო კერი ამ გარემოში, რადგან უკვე ხვდებოდა, რომ გოგონას ცხოვრებაში თავად მოუწევდა ადგილის დამკვიდრება და ამისათვის ამზადებდა მას. დედა-შვილს საოცრად მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. კერი ყოველთვის ცდილობდა, გაემხნეებინა გაჭირვებაში ჩავარდნილი დედა და მისი ცხოვრება გაეხალისებინა. როცა უფულობის გამო, დები იძულებული გახდა, ლას-ვეგასის კაზინოებში ემღერა, კერი მის გვერდით იყო და ჩაცმასა თუ გრემის გაკეთებაში ეხმარებოდა მას; ამასთანავე, კორდელაუტში ცეკვაც დაიწყო, რათა ცოტა ფული თავადაც ეშოვა. ასე რომ, გოგონა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, მანც შოუბიზნესში მოხვდა. კერი 17 წლის იყო, როცა დედამისს ბროდვეის სცენაზე მოუზიკლში – „აირინი“, შესთავაზეს როლი. ნიუ-იორკში გადავიდა და შვილებიც თან წაიყვანა, გარი ლოს-ანჯელესში დარჩა. „მეჩვენებოდა, რომ სცენაზე საოცარი, განუყოფელი მამაკაცები გავიცანი, – სიცილით იხსენებს ფიშერი. – მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ყველანი გეები აღმოჩნდნენ!“ გარკვეული ხნის შემდეგ, კერის, ლონდონის ცენტრალურ დრამატულ სკოლაში სწავლის გაგრძელება შესთავაზეს. მან ამ წინადადებაზე უარი თქვა, რადგან დედის მართო დატოვება არ უნდოდა. მაგრამ რეინოლდსმა სიმტკიცე გამოიჩინა და განუცხადა, რომ იგი მთელი ცხოვრება, დედამისის გაღია ვერ იქნებოდა, საკუთარი გზა და ქვეყანა უნდა ენახა.

კერი ფიშერი კურსზე ერთადერთი ამერიკელი იყო. სწავლის ორმა წელმა მხიარულად და საოცრად სწრაფად გაიზარა. იგი ლონდონიდან ბევრად უფრო თავდაჯერებული დაბრუნდა და იმედი ჰქონ-



„ვარსკვლავური ომები“

და, რომ ტელეწამყვანის ან ტელეერეპორტიორის სამუშაოს მიიღებდა, მაგრამ ბედმა სხვაგვარად განსაჯა და პოლიუფდის ცნობილმა ლოველასმა, უორენ ბიტმ სატირული ჟანრის ფილმში – „მამპუნი“ მიიწვია. ასე რომ, 19 წლის ფიშერის კინოდებიუტი 1975 წლის ყველაზე გახმაურებულ ფილმში შედგა. ამის შემდეგ, მან ორიოდე სატელევიზიო სურათში ითამაშა, რასაც მისი ცხოვრების უმთავრესი ფილმი – „ვარსკვლავური ომები“ მოჰყვა. დღესდღეობით, გავრცელებულია უამრავი ვერსია იმისა, თუ როგორ მოხვდა კერი ფიშერი მამაცი პრინცესა ლეიას როლზე. აი, რას ჰყვება თავად მსახიობი ამის შესახებ: „ჯორჯ ლუკასმა და ბრაიან დე პალმამ თავიანთი ფილმებისთვის მსახიობების შესარჩევი სინჯები ერთად მოაწყვეს. მე ბრაიან დე პალმას, „კერის“ სინჯებში მონაწილეობა მსურდა. ბრაიან დე პალმას მსახიობებთან ლაპარაკი ეხერხებოდა, ჯორჯს კი ეს საკმაოდ ცუდად გამოსდიოდა. ასე რომ, მსახიობების შერჩევას ჯორჯის ნაცვლადაც, ბრაიანი აწარმოებდა. იგი რაღაცებს გვეკითხებოდა, შემდეგ კი ტექსტს გვაძლევდა წასაკითხად. ჯორჯი ამ დროს მის ზურგს უკან იჯდა და თვალს აფარებდა. მასხოვს, დიალოგი რაღაცნაირი სიურრეალისტური იყო, სიტყვების რახარუხისა და ნაბოღვარის შთაბეჭდილებას ახდენდა“. ფიშერი ამ როლის მიღებით დიდად დაინტერესებული არ იყო და ამიტომ, საკმაოდ თავისუფლად და გამოშვებულად კი იქცეოდა. ლონდონის დრამატული სკოლის კურსდამთავრებულს ფსევდომეცნიერული ფრაზების თავისუფლად წაკითხვა სულაც არ გასჭირვებია. კითხვის დამთავრების შემდეგ კი იკითხა: „ბატონებო, იქნებ ამისხნათ, რა ენაზეა ეს ტექსტი დაწერილი? და საერთოდ, რას ვკითხულობდი ახლახან?“ ლუკასი და დე პალმა ამ

რეპლიკამ ისე გაამხიარულა, რომ ხუთი წუთის განმავლობაში, სიცილისაგან იგუდებოდნენ. ლუკასი და დე პალმა კერი ფიშერის ქცევით მოიხიბლნენ და იგი სინჯების შემდგომ ტურზე დაიბარეს. გოგონა დარწმუნებული იყო, რომ დე პალმა მას აიყვანდა, რადგან მის სცენარში უამრავი ქალის როლი იყო, აი, ლუკასის იმედი კი ნამდვილად არ ჰქონდა, რადგან მის „ვარსკვლავურ ომებში“ ერთადერთი მთავარი გმირი ქალი და ისიც – პრინცესა ფიშერივით იყო. „როცა მითხრეს, რომ როლზე ლუკასმა ამიყვანა, ძალიან გამეკვირდა, – ამბობს იგი. – საკუთარ თავს ყოველთვის პუტკუნა, მოკლეფეხება გოგონად აღვიქვამდი, ფილმში კი „მშვენიერი პრინცესას“ როლი უნდა განმესახიერებინა“. შემდეგ, ჯორჯმა კერის განუძარტა: „თავდაპირველად, ჩვენ ამ როლისათვის ან ულამაზესი გოგონას პოვნა გვსურდა, ან მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მსახიობისა. მერე გადავწყვიტეთ, რომ მკვეთრი ინდივიდუალობის მქონე მსახიობი უფრო გვჭირდებოდა“. ფიშერმა, ლუკასს „ქაინ-აურისათვის“ მადლობა ირონიული ტონით გადაუხადა, თუმცა, ჯერ კიდევ არ იცოდა, წინ რა ელოდა. გადაღებები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. თავიდან, ჯგუფი ტუნისში მუშაობდა. ისეთი სიცხე იდგა, რომ ფირი ლღვებოდა, მსახიობები კი, კონსოლურ კომბინეზონებში იყვნენ გამოწყობილნი. შემდეგ, გადაღებები ლონდონის მანკობლად მდებარე სტუდიაში გადაიტანეს. ზამთარი იდგა, სიფრიფანა კაბაში გამოწყობილ კერის კი, უკმაყოფილო პავილიონში უწევდა მთელი დღე ყოფნა. რეჟისორმა წონის დაკლებაც (ასე, ხუთი კილოსი) მოსთხოვა და გადაღებების დამთავრებისთვის, ფიშერი ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. სამსახიობო ოსტატობის გამოვლენაც სირთულესთან იყო დაკავშირებული: იღებდნენ ტრავიკულ სცენას, როცა პრინცესას თვალწინ მისი პლანეტა ილუპება, ამ დროს კი, ფიშერის თვალწინ, რაღაც უღიმღამო დაფა ეჭირათ... ლუკასის მიერ დაწერილი დიალოგებიც საკმაოდ რთული და მოსაწყენი გახლდათ, რადგან იგი საკმაოდ ამაღლებულ ტირადებს წერდა. კერი ფიშერის პარტნიორი, ჰარისონ ფორდი ამბობდა, რომ ამ სისუფლეს ქალაღიცი კი ძლივს იტანდა. პირველ სერიას ასეთივე მძიმე მეორე და მესამე სერიის გადაღებები მოჰყვა. ამ წვალბამ შედეგიც გამოიღო და ჯორჯ ლუკასის „ვარსკვლავური ომების“ სამმა სერიამ კერი ფიშერი სუპერვარსკვლავად

აქცია. „ამდენი წლის შემდეგ, დღემდე ვიჭერ ხოლმე ბავშვების გაოგნებულ მზერას, რომლებიც ჩემს დანახვაზე ლაპარაკის უნარსაც კი კარგავენ, — ამბობს მსახიობი. — რადგან მიიჩნევენ, რომ მე კოსმოსში უნდა ვცხოვრობდე“. ფილმმა მსახიობს ზღაპრული პოპულარობა მოუტანა, თუმცა, ცუდი სამსახურიც გაუწია: ფიშერმა უამრავი მცდელობის მიუხედავად, პრინცესა ლეიას აურას თავი ვეღარ დააღწია. მაშინ, კერიმ თეატრის სცენაზე გამოსვლა გადაწყვიტა. მან ბროდვეიზე „ღვთაებრივ აგნესაში“ მონაზვნის როლი, რომელიც საკუთარ შვილს კლავს, დიდი წარმატებითაც შეასრულა. თუმცა, სცენაზე მოპოვებულმა წარმატებამ მისი მსახიობური ამბიციები ვეღარ დააკმაყოფილა და იგი დებრესიაში ჩაეარდა.

„ვარსკვლავური ომების“ პირველი სერიის გამოსვლის შემდეგ, სუპერპოპულარული პრინცესა ოუპორისტულ შოუზე — „პირდაპირ ეთერში შაბათ საღამოს“ მიიწვიეს, სადაც იმ წლებში საოცრად ნიჭიერი კომიკოსი მსახიობები იკრიბებოდნენ ხოლმე. მათ კომპანიაში ყველაზე გამორჩეული, ჯონ ბელუში იყო, რომელიც განუყოფრებელი ოუპორისტობასთან ერთად, გამოუწვრებელი ნარკომანიც გახლდათ. ბელუში და ფიშერი დამეგობრდნენ და ჯონ ლენდისის ფილმში — „ძმები ბლუზები“ ერთადაც ითამაშეს. სამწუხაროდ, ამ ახლო მეგობრობის უარყოფითი შედეგი ის იყო, რომ ბელუშიმ ფიშერი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას მიაჩვია. ბელუში 1982 წელს, ნარკოტიკის დიდი დოზისაგან გარდაიცვალა. მისი სიკვდილი კერისათვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა. მან თავისი ცხოვრების გეზის შეცვლა სცადა და 1983 წელს, ცოლად გაჰყვა მომღერალ პოლ საიმონს, რომელსაც არარეგულარულად, ხუთი წლის მანძილზე ხვდებოდა.

კერი ქმარს გასტროლებზე დაჰყვებოდა და ბექ-ვოკალისტადაც გამოდიოდა სცენაზე. საიმონთან ქორწინების შემდეგ, ფიშერი კვლავ ნარკოტიკებს მიეძღვა.



მათი თანაცხოვრება ერთ წელსაც არ გაგრძელბულა, ისინი გაიყარნენ და კერიმ კვლავ სარეაბილიტაციო ცენტრში ამოყო თავი. კლინიკაში უსაქმურობით შეწუხებულმა ფიშერმა ავტობიოგრაფიული სასიათის რომანის წერას მიჰყო ხელი. თხზულებაში მან საკუთარი თავიცა და ნაცნობ-მეგობრებიც გამოგონილი სახელებით წარმოადგინა. 1987 წელს გამოსულმა წიგნმა — „ღია ბარათები უფსკრულის პირიდან“ შეძრა ჰოლივუდი. კრიტიკა წერდა, რომ ფიშერი ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თანამედროვე მწერალი იყო. ორ წელიწადში, რომანის ეკრანიზაცია განხორციელდა, მთავარი გმირის როლი კი, მერილ სტრიპმა ითამაშა. დები რეინოლდსს სურდა, რომ მთავარი გმირის დედის როლი თავად შეესრულებინა, მაგრამ რეჟისორმა მაიკ ნიკოლსმა გადააფიქრებინა, რადგან რეალობასა და გამოგონილს შორის მინიმალური დისტანციის შენარჩუნება არჩია. მან ამ როლზე შირლი მაკლეინი აიყვანა. ამ ფილმმა სენსაცია მოახდინა, რადგან აქამდე, ჰოლივუდის შიდასამზარეულო ასეთი პირდაპირობითა და სარკაზმით არავის გამოუმხეურებია. ამ როლისთვის მერილ სტრიპი „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

წიგნის წარმატებამ კერი ფიშერს ფრთები შეასხა და მან მეორე რომანი — „კაპიტულაცია ვარდისფრად“ დაწერა, სადაც აღწერა თავისი და საიმონის ურთიერთობები (რეალური პერსონაჟები კვლავაც გამოგონილი სახელებით გამოიყვანა). საიმონი ისეთი განრისხებული იყო, რომ პირად ცხოვრებაში ჩარევის ბრალდებით, სასამართლოში სარჩელის შეტანასაც კი აპირებდა, მაგრამ რომანში ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა და განზრახვაზე ხელი აიღო. 1990-1992 წლებში, ფიშერი მსახიობთა აგენტს — ბრაიან ლურდს ხვდებოდა. 1991 წელს, კერი დაორსულდა, გოგონას დაბადებიდან მოკლე ხანში კი, ბრაიანმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ მას ტოვებდა... და მამაკაცთან(!) მიდიოდა. მას შემდეგ, ფიშერი მარტოხელა დედაა და გიჟდება თავის პატარა ბილი კეტრინზე. 1993 წელს, მან თავისი მესამე რომანი — „ბებიის შეცდომები“ გამოსცა. მისი შემოსავლის ძირითადი წყარო კი, სცენარების „მკურნალობა“ სცენარისტთა წრეებში იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

ერთგული პიტიხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტექსტის კითხვებზე ვაგიჟირდებათ პასუხის გაცემა...

1. რომელ ძველანაში არსებობენ გიჟები?



- ა) ჩინეთში;
- ბ) იაპონიაში;
- გ) სამხრეთ კორეაში.

2. ვინ იყო დავით ყიფიანის კლანელი?



- ა) კოტე ყუბანეიშვილი;
- ბ) მანუჩარ მაჩაიძე;
- გ) რობერტ სტურუა.

3. რა ჰქვია კონდახს სხვანაირად?



- ა) ლუგლუვი;
- ბ) ღვარი;
- გ) ლოგმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-52, 1-2

მარის, ნინის სახლში პატარა ნიჭა და უცნობი სიმპათიური მამაკაცი დახვდებიან. მამაკაცი რეჟისორი ცოტნე ცოტაძე აღმოჩნდება, რომელმაც ნინი თავის პირველ ფილმში გადაიღო და მშობლების სახლის გამოსახსნელი ფულიც მისცა.

მეორე დღეს, ნინი მარის და ნიჭას, ცოტნეს ახალი ფილმის პრეზენტაციაზე წაიყვანს. პრეზენტაცია სასტუმრო „კინოში“ ჩატარდება. ფილმის ჩვენებისას ნინი ბავშვთან ერთად ბარში შევა, სადაც რეჟისორი გოგი გორგილაძე წაადგება თავზე. ბატონი გოგი იმასაც დაასვენს, რომ ეს ბავშვი მისი შვილია. ნინი უარზე დადგება. მაგრამ ბოლო ხანს რეჟისორობაში ხელმოცარულ გოგი გორგილაძეს მამობის პერსპექტივა იმდენად მოხიბლავს, რომ ნინის ყურს აღარ უგდებს.

ახალი ფილმის წარმატებული პრეზენტაციის შემდეგ, ნინი დასასვენებლად წასვლას შესთავაზებს მარის. საუბარში მარი იმასაც შეიტყობს, რომ ცოტნე ნინისთან ერთად ისეთად იხვეწება, რადაც მთელ თავისუფალ დროს, ან ახალი ფილმის სცენარის მოფიქრებაში, ანდა, უდროოდ გარდაცვლილი პირველი ცოლისგან დარჩენილ ორ პატარა ქალიშვილთან ატარებს.

დასასვენებლად წასვლამდე, ნინი შალვა ბიძიას მონახულებას გადაწყვეტს და თავისდა გასაოცრად შეიტყობს, რომ შალვა ბიძია გარდაცვლილა.

– მის ბინაში ვიყავი და ვიღაც უცხო ქალი დამხვდა... – გააწყვეტინა ნინი.

– ლტოლვილები არიან... შალვას მერე ბინა კარგა ხანს დაკეტილი იყო. მერე ერთ დღესაც მიცვიდნენ, კარი შეანგრიეს და... ისე, ბიძაშენმა ანდერძით ყველაფერი შენ დაგიტოვა და შეგიძლია ბინა უკან დაიბრუნო... ნივთები კი ჩემთან არის... როცა გინდა, მაშინ წაიღე...

– არა ნუცა, არც ბინა მინდა და არც ნივთები... მაგისტრის ნამდვილად არ მოვსულვარ... უბრალოდ მინდოდა, შალვა ბიძია ერთხელ კიდევ მენახა და ყველაფრისთვის მადლობა მეთქვა... იქნებ, დაგხმარებოდი... ახლა სომ ყველაფერი მაქვს...

– ვიცი... ვიცი, ჩემო კარგო. სახელოვანი ქალი გვაყვარ... ნიჭიერი... შენს ფილმებს ყველა სიამოვნებით ვუყურებ...

– შალვა ბიძიამ თუ ნახა რომელიმე?

– ვერ მოასწრო. არადა, როგორ გაიხარებდა... დამშვიდდებოდა...

– შენ? შენ როგორღა ხარ? მათე ბიძია როგორა გყავს?



რუსულან ბერიძე

ქალური ინსუიციის ახალი ჯიშის ოვროები

– ვართ რა... ვუძლებთ ამ ცხოვრებას... – ამოიხარა ნუცამ და თვალები ისევ ცრემლით ავესო.

– გრიმა რას შერება? შეუ-მზარეული...

– გრიმაც მოკვდა. გასოსვს, რამსისქე იყო? ამბობდნენ, ბევრი ჭამისგან არის ევეთიო. სინამდვილეში კი ნივთიერებათა ცვლა ჰქონია დარღვეული... ახლა აქ მთავარი მე ვარ...

– გილოცავ. აჩიკო როგორღა? იმ სასამართლოს მერე წელში თუ გასწორდა?

– აჩიკოც აღარ არის ჩვენთან.

– რა? ისიც მოკვდა?

– არა, არა, ცოცხალია! უბრალოდ, შერცხვა და უკან ვეღარ მობრუნდა. ისე, კალთები არც რესტორნის მეპატრონეებს დაუხვევიათ: ხომ იცი, ენას ძვალი არა აქვს; აჩიკო სასამართლომ კი გაამართლა, მაგრამ აქაურებმა მაინც, ათასი ჭკორი დაუყარეს...

– კარგი, ჩემო ნუცა, უკვე ჩემი წასვლის დროც მოვიდა. ნიჭამ, ალბათ, უჩემოდ უკვე მიიწივნა, – წასასვლელად მოემზადა ნინი.

– იქნებ, ბავშვი ერთხელ ჩემთვისაც გეჩვენებინა, – სოსოვა ნუცამ.

– აუცილებლად სვალ-ზვე დასასვენებლად მივედივარ. რომ დაგბრუნდებით, შემოვივლით. იცი, რა კარგი შვილი მყავს?!

ნინი ნუცას კიდევ ერთხელ გადაეხვია და გულდამხიბებულმა შინისკენ გამოსწია.

– რა ქენი, ნახე ბიძაშენი? – ჰკითხა შინ დაბრუნებულ ნინის მარიმ.

– არა. შალვა ბიძია აღარ დამხვდა...

– სვავან გადავიდა?

– არა. მოკვდა. – ამ სიტყვებზე ნინის ყელში რაღაცა ბურთივით გაეჩხირა და თვალები ცრემლით ავესო.

– რას მეუბნები? დიდი ხანია?..

– ზუსტად არც ვიცი... არ მიკითხავს...

– ძალიან საწყენია, ძალიან...

– თქვენ რაღას აკეთებდით უჩემოდ? – საუბრის თემის შეცვლა სცადა ნინიმ.

– ზღვაზე გასამგზავრებლად ვეშადებოდით და შენ გიცდიდით. ჰო, მართლა, ანის ველაპარაკე. სასტუმრო „კინოს“ მთელი ახალი ჭკორები გადმოიძლია.

– მაინც რა მოხდა?

– რომელი ერთი ვითხრა. ჰო, იცი, რომ თეო უნახავს, ცნობილი მსახიობი. შენ რომ მარგალიტისმძივანს ეპანდი... ძალიან დაბერებულია...

ნინის თეოსთან ბოლო შეხვედრა გაახსენდა. ცოტნეს მორიგი ფილმის ჩვენების შემდეგ, თეო ნინის თავად მიუახლოვდა და წასწურწულა:

– გილოცავ, ჩემო კარგო, ნამდვილად მიხარია, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა და ბედნიერი ხარ...

ნინი მაშინ ვერ მიხვდა, თეო „ყველაფერში“, მის წარმატებულ კარიერას და ცოტნესთან კავშირს გულისხმობდა თუ პატარა ნიჭას არსებობაც იცოდა...

დილით, სასადილო ოთახში ჩასულ მარის სუფრასთან მარტო ცოტნე და ნიჭა დახვდნენ, ნინი კი არსად ჩანდა... ცოტნე, ეტყობა, ნიჭას რაღაც ძალიან სასაცილოს უყვებოდა და ისიც გულიანად კისკისებდა. მარის დანახვისთანავე ცოტნე ფეხზე წამოხტა და სკამი გამოუწია, ნიჭა კი ისევ კისკისებდა:

– მარი, ცოტნემ ახალი ზღაპარი მოიგონა, – მახარა მან სუფრასთან მორიდებით ჩამომჯდარ მარის.

– მართლა? – გაოცებით შეხვდა მარიმ ცოტნეს – ზღაპრებსაც წერთ?

– წერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ნიტასთვის კვირაში ერთს მაინც ვიგონებ. პირობა მაქვს დადებული და ვერ დავარდვე... ხომ ასეა? – მოუბრუნდა ცოტნე ნიჭას.

– ჰო, – დაუდასტურა ნიჭამ.

– ნინი სად არის? – დაინტერესდა მარი.

– „კუპალნიკების“ და კიდევ რაღაც-რაღაც...

ცების საყვილად წავიდა. თქვენი გავლით ბაკ უნდოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა: ტყვილად დაიღვრა, ყველაფერს მე ვუყვილო... თუ თავდაც გინდოდათ რაიმეს შერჩევა?

— არა, არა... — თუარა მარამ. — საერთოდაც, რატომ წუხდებოდა? ცურვა მაინც არ ვიცი...

— არ მგონია, ურეკში ცურვა მაინცდამაინც აუცილებელი იყოს, — დაამშვიდა ცოტნემ. მარის უნდოდა ეთქვა, ჩვენ ურეკში კი არა, ქობულეთში მივდივართო, მაგრამ ენას კბილი დროზე დააჭირა. სუფრასთან ცოტა ხანს, უხერხული ღუმელი ჩამოვარდა.

— ბატონო ცოტნე, შეიძლება, რაღაც გკითხვოთ? — მორიდებით დაიწყო შემდეგ მარამ.

— მაინც, რა განიტერესებთ? — თავდაც დაინტერესდა ცოტნე.

ის იყო, მარამ რაღაცის სათქმელად პირი დაალო, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

— ვუპასუხო? — მოწაფესავით ნებართვა ითხოვა მარამ.

— დიას, დიას, რა თქმა უნდა.

მარი იქვე მდგარ ტელეფონის აპარატს ნელ-ნელა დასწვდა:

— გისმენთ. ვინ ბრძანდებით? დიას, დიას, გიცანით... გისმენთ, ბატონო გოგი...

ამის შემდეგ, მარის კარგა ხანს აღარ ამოუღია ხმა და სახეზე ნელ-ნელა გაოცება გამოეხატა.

— სამწუხაროდ, ვერ შეგპირდებით... იმიტომ, რომ ხვალ საღამოს, შეიძლება, უკვე ზღაპრულად ვიყო... არა, მარტო არა, ყველანი ერთად მივდივართ... არაფერია... რა შეწუხებაა?.. კარგად ბრძანდებოდეთ...

მარამ ყურმილი უხმაურად დადო:

— ბატონი გოგი იყო, გორგილაძე...

— მივხვდი. — გაეღიმა ცოტნეს, — პაემანი ხომ არ დაგინიშნათ?

— დაახლოებით... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მარამ.

— დაბერდა და თავისას მაინც რომ არ იმლის?... — ისევ ეშმაკურად გაეღიმა ცოტნეს. — ჰო, მართლა, მგონი, რაღაცის კითხვას აპირებდით და მაგ „ბაბნიკმა“ ხელი შეგვიშალა. — ისევ გულიწყურით ვისმენთ, მკითხვო, რა განიტერესებთ?..

— არა, ისეთი არაფერი, — კიდევ უფრო დაიბნა მარი. — უბრალოდ... მოდით, ეს საუბარი სხვა დროისთვის გადავდლოთ...

— კი, ბატონო, როგორც მიბრძანებთ, — დაეთანხმა ცოტნე და ფეხზე წამოდგა, — მაშინ, თქვენის ნებართვით, საღამომდე დაგტოვებთ... შენ კი, პატარავ, — მოუბრუნდა ის ნიტას, — მოემზადე: რომ დაბრუნდები, იმასაც მოგიყვები, ჩვენს ძილქუმას შემდეგ, რა დაემართა.

— კარგი, — თავი დაუქნია გაბადრულმა ნიტამ.

— ძილქუმს ჩვენი ახალი ზღაპრის მთავარი გმირია, — საქმის კურსში შეიყვანა ცოტნემ მარიც და ოთახიდან გავიდა.

საუზმის შემდეგ, მარამ ნიტას კარგა მოზრდილი, ლოყაწითელი ვაშლი მისცა და

ბაღში სასიეროდ გაიყვანა. ნიტა მაშინვე პეპლებს დაეღვრა, დაფიქრებული მარი კი იქვე, გრძელ სკამზე ჩამოჯდა. თავდაც პეპლასავით მოფარფატე ნიტას, მარი თვალს წამითაც არ აშორებდა, მისი ფიქრები კი, სულ სხვაგან ქროდა: „ნეტავ, მაინც, რა უნდა ჩემგან? შემიხვლი, რომ დაუქინია, რისთვის უნდა შევხვდე? სად მე და სად სახელგანთქმული გოგი გორგილაძე?!“

მარი ფიქრებიდან მუხრუჭების ხმამ გამოიყვანა. ჭიშკართან დაჩქარებული მანქანიდან შემოტეკცილ ჯინსის შარვალსა და ბრეტელეზიან მაისურში გამოწყობილი ნინი მკვირცხლად გადმოხტა, მძლივსა კი, უკანა სავარძელზე მოთავსებული ორი მოზრდილი ცელოფანის პარკი გადმოიღო.

— შოთა, დღეიდან თავისუფალი ხარ, შეგიძლია, ორი კვირა შენც დაისვენო, — უთხრა მას ნინიმ და პარკები ჩამოართვა. შოთამ ქალებს თავი მოწინებით დაუქრა, ნიტას ლოყაზე ხელი სიყვარულით მოუცაცუნა და წავიდა.

— დეე, რა მომიტანე? — გულში ჩაეკრა ნიტა ნინის.

მარამ კი ადგილიდან ფეხი ვეღარ მოიცივალა. ნინი მასთან თავად მივიდა და ერთ-ერთი პარკი მიაწოდა:

— მარი, აქ შენი და ნიტას ახალი „შმოტკება“. მე მთონი, მოგეწონებათ. ცოტას დავისვენებ და მერე, ყველაფერი ერთად მოვიზომოთ...

მარამ უხერხულად ჩამოართვა ნინის პარკი:

— რატომ წუხდებოდი?

— რა შეწუხებაა? ხომ იცი, ბაზრობაზე ყველაფერი კაბიკები ღირს... შენი წაყვანაც მინდოდა, მაგრამ ცოტნემ არ დამანება: დაიღვრა... იცი, როგორ გიფრთხილდება?... — ნინიმ მქორე პარკს წამოავლო ხელი და თავის საძინებელში ავიდა.

მარამ პარკი თავის ოთახში აიტანა და კუთხეში, იატაკზე დადო. ნიტა მაშინვე შიგ ჩაძვრა:

— მარი, ნახე, რა კარგი რამეებია! — სიხარულით შესძახა მან და პარკიდან მართლაც, საკმაოდ ლამაზი საბანაო კოსტიუმი ამოაძვინა და სასწრაფოდ მარის გაუწოდა: ეს შენია, — შემდეგ ისევ პარკში ჩაძვრა და ერთი ციდა, კონტა „სარაფანი“ ამოიღო, — ეს კი მე მიყვარს დელიკომ... ჩამაცვი, რა... — შეეხვეწა ნიტა მარის.

მარამ ნიტას ბრიჯები და მაისური გახადა, „სარაფანი“ ჩააცვა და შეატრიალ-შემოატრიალა:

— ზუსტად შენს ტანზე შეკერილი, პირდაპირ გხატავს, ჩემო ანგელოზო!

— დელიკოსაც უნდა ვაჩვენო! — მაშინვე ოთახიდან გავარდა ნიტა და მარიც იძულებული გახდა, უკან გაჰყოლოდა:

— ნიტა, ღელა ისვენებს, ჯერ ნუ შეაწუხებ. მაგრამ ამასობაში, ნიტამ ნინის საძინებელ-

ში შევარდნა მოასწრო.

— შემოდი, შემოდი! — გამოსძახა ნინიმ მარის, — არ მძინავს.

მარი ოთახში მაინც ფეხაკრეფით შევიდა და დაინახა, რომ ნინი სარკის წინ იდგა და ახალ საბანაო კოსტიუმს ირგებდა.

— ნახე, მარი, ვერ მოვიტომინე და სასწრაფოდ მოვიზომე. რას იტყვი, მგონი, ცუდად არ მდგას, ხომ?! — და ნინიმ საკუთარი უხადლო სხეული სარკეში ათვალიერა.

— მშვენიერია! — თავისთვის ჩაილაპარაკა მარამ.

— მე თუ „კუპალნიკი“? — გაეღიმა ნინის.

— ორივე! — მარამ ეს სიტყვა ისე წარმოთქვა, თითქოს, გულიც თან ამოაყოლო.

— არც შენი „კუპალნიკია“ ნაკლები, მიდი, რა, შენც მოიზომე. მაინტერესებს, როგორ გექნება... — შეეხვეწა ნინი.

— აბა, მე შენთან სად მოვალ: მკერდი მე არ მეტყობა და თეძო... — სევდიანად ჩაილაპარაკა მარამ.

— კარგი, ერთი, რაღაცას ნუ მოიგონებ ხოლმე: მკერდიც ადგილზე გაქვს და სხვა ყველაფერიც! — დაამშვიდა ნინიმ. — მაგრამ თუ აქ არ გინდა მოსინჯვა, არ გაძალებ... ჯერ შენთვის მოირგე სარკის წინ და მერე მე და ნიტასაც გვიჩვენე, კარგი?

— ჰო, ჩვენც გვიჩვენე! — ნინის კვერი დაუქრა ნიტამაც, რომელსაც ამასობაში საზაფხულო ფეხსაცმელიც მოეზომა, ხუჭუჭა თავზე ჭილის ლამაზი ქუდიც ჩამოეფხატა და სარკის წინ ასე კოაწიაობდა...

ცოტნე შინ გვიან საღამოს დაბრუნდა. ნინი და მარი მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგნენ და ცოტა ხანში, ყველანი სავსემოდ დასხდნენ. ცოტნე აშკარად რაღაცით გახარებული ჩანდა, ვანშაშვაც გემრიელად შეექცოდა და ენასაც წამით არ აჩერებდა: ნიტასთვის, ძილქუმას ახალ ამბებს იქვე, ექსპრომტად თხზავდა. ნიტაც გულიანად კისკისებდა და ძაღვ, ნინიც აყოლიეს... მშოლოდ მარი იჯდა უძრავად და თავდაც ვერაფრით მიმხვდარიყო, ამ ბუნდური სამეულის შემხედვარე, გულში ნელ-ნელა რატომ იბოღმებოდა...

მოგვიანებით, როცა აფორიაქებულმა ნიტამ, როგორც იქნა, ჩაიძინა და დანარჩენებიც თავიანთ ოთახებში განმარტოვდნენ, ცოტნემ ნინი ჯერ გულში ჩაიკრა, შემდეგ საწოლზე ჩამოსვა და თავდაც გვერდით მოუჯდა:

— ძალიან, ძალიან უნდა გავახარო... — დაიწყო მან.

— რა იყო, ჩვენთან ერთად ხომ არ მოდიხარ ქობულეთში? — სასწრაფოდ შეაგება კითხვა ნინიმ.

— ქობულეთში რატომ? — გაუკვირდა ცოტნეს, — ექიმმა ხომ ნიტასთვის ურეკი გირჩია?

— მირჩია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— შენ არ მითხარი, ურეკში ჩემი დედ-მამა

და ბავშვები ისვენებენო?

– მერე, ისინი შენ ხელს რაში შეგიშლიან?...

– პირიქით, მე შევეშლი... თანაც, შენც ხომ მათთან აბირებ ჩასვლას... – აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე, ერთმანეთს შემთხვევით რომ შეგხვდეთ, რა უნდა ვქნა? ვითომ არც კი გიცნობ, თვალი ისე აგარიდო?..

– ნუ აზვიადებ, რა, ნინი...

– მე ვაზვიადებ?

– ჰო, შენ! ჯერ ერთი, ურეკში მე ერთი-ორი დღით მოვასხერხებ ჩასვლას და მეორეც – მე შენთვის სულ სხვა რამის თქმა მინდოდა...

– გულისყურით გისმენ, – მშვიდად მიუგო ნინიმ, – მოხდა რამე?

– კი, მოხდა, თანაც – ძალიან სასიამოვნო რამე.

– მაინც?

– საფრანგეთში გეპატიებებიან.

– გეპატიებებიან თუ გეპატიებებიან?

– ჰო, კარგი, სიტყვებს ნულარ გამოვეკიდებით. მოწვევა მარტო ჩემს სახელზე მოვიდა, მაგრამ ხომ იცი, რომ უშენოდ მე არსად წავალ...

– საფრანგეთში რა ხდება? ვინ გეპატიებება?

– მეგობარი რეჟისორია. აქედან კომუნისტების დროს წავიდა. ახლა იქ, საკუთარი სტუდია აქვს გახსნილი... დღეს ტელევიზიით ველაპარაკე, საშუაოს მთავაზობს...

– უკვე დათანხმდი?

– აბა, რა!.. ხომ იცი, ახლა ჩვენთან რა დროა... ყოველ ახალ ფილმზე მუშაობა როგორ ჭირს... იქ კი, ყველა პირობას შეგვიქმნიან.

– შენ შეგვიქმნიან. მე რა შუაში ვარ?

– ნინი, მისმინე, – ამ სიტყვებზე ცოტნემ ნინის წინ ჩამოხსნა და თავი მის ხელებში ჩარგო. – ვიცი, რომ ჩემნაირ კაცთან ცხოვრება ადვილი არ არის, მაგრამ ძალიან გთხოვ, სათქმელი დამამთავრებინე; ოთარს შენზეც ველაპარაკე, უარი არ უთქვამს: რაკი საჭიროდ თვალი, აუცილებლად უნდა წამოიყვანო... ნინი, დამიჯერე, ასეთი მანსი ხელდიან არც ერთმა არ უნდა გაუშვათ...

– მერე ნიტა?.. მარი?.. შენი შვილები?.. ჩვენი მშობლები?.. – ამდენ ადამიანს რაღას უბირებ? ასე ბედის ანაბარად მივატოვოთ?! – წასვლამდე, მთელი ორი თვეა დარჩენილი. მანამდე, ცოტას დავისვენებთ, სულს მოვითქვამთ და ყველას და ყველაფერს თავთავის ადვილს მიუჩვენებ.

– რამდენი ხნით უნდა წავიდეთ? – როგორც იქნა, დაინტერესდა ნინიც.

– ერთი წლით მაინც.

– მე ნიტას გარეშე ერთ დღესაც კი ვეღარ გავძლებ.

– აქამდე, თვეები და წლებიც კი ძილებდი და ახლა რაღა მოგივიდა?

– ეს აქამდე იყო, ახლა, აღარ შემიძლია. უფრო სწორად – აღარ მინდა! მე ჩემს

შვილზე ძვირფასი ამქვეყნად არავინ მყავს...

– როგორ ფიქრობ – მე კი არ მიყვარს ჩემი შვილები?

– როგორ არ გიყვარს, მაგრამ კაცებს, ეტყობა, სიყვარულში მანძილი ხელს ნაკლებად გიშლით...

– კარგი, კარგი, ნულარ ვიკამთებთ... – ბოლოს, ისევ ცოტნემ დათმო პოზიციები. – წადი ზღვაზე, დაისვენე და ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე... რომ დაბრუნდები, საბოლოოდ, მაშინ გადავწყვიტოთ ყველაფერი...

– ოღონდ, შემპირდი, რომ მართლა იფიქრებ...

– გაბრუნდები, – მშვიდად მიუგო ნინიმ, შემდეგ წამოიღო და ცელლოფანის პარკიდან მამაკაცის ლამაზი მაისური ამოიღო:

– მოიზომე, შენ გიყიდე.

ცოტნემ ჯინსის პერანგი მაშინვე გაიძრო, მაისური გადაიცვა და სარკის წინ შეტრიალ-შემოტრიალდა:

– პირდაპირ ზედ არ დამაკვდა? ყოჩაღ, კარგად შეგირჩევია! – ბავშვით შეაქო მან ნინი. – შენთვის რაღა იყიდე?

– რა ვიცი, ათასი მსხვილმან-წვრილმანი: „კუპალნიკები“, „შლოპანცები“, „სარაფები“...

– „კუპალნიკი“ მაინტერესებს, ძიდი, რა, მოიზომე! – შეეხვეწა ცოტნე.

– უკვე მოვიზომე და შენი გულის გასახეთქად, მეც ზედ მაკვდება. რას მიყურებ? არ გჯერა? ახლავე გიჩვენებ!

ნინი საბაზანო ოთახში გავიდა და რამდენიმე წუთში, ოთახში ახალ საბაზანო კონტეინერში გამოწყობილი დაბრუნდა.

ცოტნემ ის ამკარად აღფრთოვანებით აათვალიერ-ჩაათვალიერა:

– არა, არა, შენი უცხოეთში წყავნა, მგონი, მართლა არ ღირს! ამ ფორმაში რომ გნახონ, ხომ მთელი პარიზი შენს ფერხით აღმოჩნდება და მერე, მე რაღა ვაკეთო?! – წამოიძახა მან, შემდეგ ნინის მოქილ წელზე ნახად მოხვია ხელი და საწილზე ნელ-ნელა დააწვინა...

მეორე დღით, ნინიმ მარი და ნიტა საკუთარ მანქანაში ჩასხა და გეზი ქობულეთისკენ აიღო. ცოტნემ ისინი მანქანაში ჩავლინამდე, რამდენჯერმე გადაკოცნა, ნინი ცოტა ხანს გულში ჩახუტებულიც ჰყავდა, შემდეგ კი ხელი ისე უცხად უშვა, თითქოს დენმა დაარტყაო.

ნინიმ მანქანა ნელ-ნელა დაძრა და მალე თვალსაც მიფარა. ბავშვით მხრებაწეული და დაბნეული ცოტნე კი ამის შემდეგაც კარგა ხანს, ჭიშკართან გაუძნრევლად იდგა...

– მგონი, მართლა ქვის გული გავიხდა, – უთხრა მარამ ნინის, როგორც კი სახლს გამოსცილდნენ.

– რა იყო? – გაუკვირდა ნინის.

– ვერ დანახე, ცოტნე რა დღეში იყო? როგორი სევდიანი თვალები ჰქონდა? ასე როგორ დატოვე? იქნებ, მაგასაც ჩვენთან ერთად უნდოდა წამოსვლა?

– მერე ვინ დაუმალა?

– ეს ძბოლო, რატომღა დაითხოვე? მაინც კაცია და ამხელა გზაზე იმედი იქნებოდა...

– კარგი, რა, მარი, შენ მაინც ნულარ დაიწყებ. შოთას გამო, ცოტნე კარგა ხანს მეკამათა: ამხელა გზაზე ორი ქალი, პატარა ბავშვით, ასე მარტო სად მიეხეტებოდა...

– მართალი უთქვამს, მართლაც – ეს რაღა ახირება იყო?

– იცი, საჭვესთან რამდენი ხანია, არ ვმჯღარვარ?.. თანაც, შოთას ცოლ-შვილი ჰყავს და ერთხელ, მათთან ერთადაც ხომ უნდა დაისვენოს...

– რაღაც არა მგონია, მიზეზი მხოლოდ ეგ იყოს.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა ნინი, – არის კიდევ ერთი და, თანაც, მთავარი მიზეზი.

– მართლა? რა-ა? – დაინტერესდა მარი.

– მინდა, გზად, სადღაც შევიარო და იქ, შოთას კი არა, ცოტნეს ადგილიც არ იქნება...

– ასეთი მაინც, რა ადვილია?

– ერთი-ორი საათი მოითმინე და შენ თვითონ ნახავ.

ამის შემდეგ, ნინისა და მარის კარგა ხანს აღარ ამოუღიათ ხმა. სამაგიეროდ, ქალაქს გასცდნენ თუ არა, ნიტა ჩაითო და ორივეს, კითხვების სეტყვაც დააყარა. მას ხომ – გზის პირებზე გაბნეული ათასფერი ყვავილებით დაწყებული და შემხვედრი მანქანებით დამთავრებული – ყველაფერი აინტერესებდა.

ნიტას ცნობისმოყვარეობას, უმეტესად, მარი აკმაყოფილებდა. ფიქრებში წასულ ნინის კი, ლაპარაკი ყურში კანტიკუნტად თუ ჩაესმოდა, თუმცა, ნიტას მხიარული ჟღერტულიცა და მარის დინჯი და გაწონასწორებული საუბარიც ამკარად სიამოვნებდა...

ამსობაში გზაც ნელ-ნელა ილეოდა. ნიტას გაუთავებელი კითხვებით გაბრუებულმა მარამ გვიანდა შენიშნა, რომ ნინის ცენტრალური გზიდან გადაეხვია. ცოტა ხანში, მანქანამ ერთმანეთის მივლოებით ჩამწყრივებულ ხის პატარა, კოპწია სახლებს ჩაუარა და ყველაზე დიდთან შეჩერდა. მარამ აბრას მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ რესტორანთან იდგნენ.

ნინი მანქანიდან უხმოდ გადავიდა, ირგვლივ ერთხელ კიდევ მიმოიხედა და მარის და ნიტას კარი გამოუღო:

– რაღას უსხედხართ? გადმოდით! ცოტა დავისვენოთ და რამე შეგვჭამოთ!

ნიტა მანქანიდან მაშინვე გადახტა, პაწია ხელი ნინის ჩასჭიდა და რესტორნისკენ გაჰყვა. ცოტა ხანში, დედა-შვილს მარიც უკან აუღვენა.

ნინიმ გეზი რესტორნის ღია აივნისკენ აიღო და ერთ-ერთ მაგიდასთან შედგა:

– აქ დავსხდეთ.

ნიტა მაშინვე სკამზე დასკუპდა, მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო, ხელისგულები ლოყე-



ბზე მიიჭირა და რალაცის მოლოდინში გაიტრუნა. მარმ ირგვლივ ერთი მიმოიხედა და ნიტას გვერდით, სკამზე ისე უხერხულად ჩამოჯდა, თითქოს სხვის ადგილს იკავებდა და წუთი წუთზე, ისევ უნდა ადგარიყო.

— ეს არის ის ადგილი? — ჰკითხა მან ნინის.

— კი, — მოკლედ მიუგო ნინიმ.

სწორედ იმწუთას, მაგიდას ოფიციალტიც მიუახლოვდა. ნინიმ მას სამი ულუფა ხბოს ხორცის ჩახოხბილი, ადენივე მარწყვისმურაბიანი ნაყინი, ერთი ბოთლი ღვინო და „ცივი ჩაი“ შეუკვეთა.

— დღეიდანვე, გაძლიერებულ კეებაზე ხომ არ გადავიდვართ? — იკითხა მარმი, როგორც კი ოფიციალტი მათ მაგიდას გაეცალა.

— აჰი გითხარი — დღეს განსაკუთრებული დღეა და განსაკუთრებულ ადგილზეც ვართ, — უპასუხა ნინიმ. — ასე რომ, შეგვიძლია, თავს წალორმუცელების ნებაც მივცეთ.

— მაინც, რითია ეს ადგილი განსაკუთრებული? — ირგვლივ გულგრილად მიმოიხედა მარმი.

— ბევრი რამით, — მიუგო ფიქრებში წასულმა ნინიმ, — მაგრამ ახლა ამას ვერაფრით ავიხსნი.

ამასობაში ოფიციალტი მათ სავსე ლანგრით მიუახლოვდა და ნელ-ნელა ყველაფერი მაგიდაზე გადასწყო. ბოთლები მოხერხებულად გახსნა, ნიტას „ცივი ჩაი“, ნინის და მარის კი — ღვინო ჩამოუსხა და იქაურობას უხმოდ გაეცალა. ნინიმ მამინევე ჭიჭის ასწია და მარის მოუჭასუნა:

— დღევანდელ დღეს გაუმარჯოს!

მარმ ღვინო სულ ოდნავ მოსვა, ნინიმ კი ბოლომდე დალია და ჩახოხბილსაც მადი-

ანად შეექცა. ნიტამაც მამინევე მას მიჰბაძა და თავი თეფშში ჩარგო, მარმ კი რამდენიმე ლუკმა ძლივს გადავლბა.

— რატომ არ ჭამ? არ მოგეწონა? — შეწუხდა ნინი.

— რას ამბობ? ძალიან გემრიელია, მაგრამ მეტი აღარ მინდა, ნაყინს დაველოდები...

— მეც! — სისხარულით შესძახა ნიტამ და ჩახოხბილის ჭამა იმანაც შეწყვიტა.

ნინიმ ოფიციალტს უხმო და ნაყინი მოატანინა. ნიტამ საკუთარი ულუფა წაშში ამოსვლი პა.

— კიდევ გინდა? — ჰკითხა მას ნინიმ.

ნიტამ, თანხმობის ნიშნად, თავი რამდენჯერმე დაუქნია.

— ნინი, ხომ არ დაგაიწივდა, რომ ნიტას სუსტი ყელი აქვს? — შეიცხადა მარმი. — მისთვის ადენი ნაყინი არ შეიძლება... გაცივდება...

— დღეს შეიძლება, დღეს არ გაცივდება... — უპასუხა ნინიმ და თავისი სანაყინეც ნიტას მიუჩოჩა: „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“

ნიტამ მორე სანაყინეც უცბად „დააშრო“ და წასვლის დროც მივიდა. მარმ და ნიტამ მამინევე მანქანისკენ გასწვიეს, ნინიმ ჯერ ოფიციალტს გადაუსხადა ფული, შემდეგ კი, ეზოში ჩამოსული, ერთხელ კიდევ შეჩერდა, ხის სახლებს თვალი სევდიანად ჩააყოლა და მზერა ბოლოზე შეაჩერა. ზუსტად იმ წუთში, სახლის კარი გაიღო და იქიდან მზეზე გარუჯული ახალგაზრდა წვეილი გამოვიდა. ბიჭმა გოგოს ხელი გადახვია და ყურში რალაც წასწორწულა, რაზეც გოგომ გულიანად გადაიკისკისა. ნინიმ მხიარულ წვეილს ცოტა ხანს კიდევ უცქერა, შემდეგ მანქანაში ჩავლა, ადგილს ფეოიანივით მოსწყვიტა და წაშში, ისევ ცენტრალურ გზაზე გაიყვანა.

ნინის და მარის კარგა ხანს არ ამოულიათ ხმა. ის კი არა და, ცოტა ხნით, ცელქობა და ჟღერტული ნიტამაც შეწყვიტა და გვერდით ჩავლილ მანქანებს უსიტყვოდ აკვირებოდა.

— მიხვდი... აქ შენ დიტოსთან ერთად იყავი... — მშვილად წარმოთქვა შემდეგ მარმი. გაოცებულ ნინის საჭე კინაღამ ხელიდან გაუსხლტა:

— როგორ მიხვდი?

— რა მიხვედრა უნდოდა? — სახზე გეწერა ყველაფერი...

— ჰო, ერთად ვიყავით... საბოლოოდაც აქ დავცილდით ერთმანეთს... ის სახლიც, საიდანაც ის ლამაზი წვეილი გამოვიდა, იმ დღეს ჩვენი იყო... — ამ სიტყვების შემდეგ, ნინი საჭეს ისე ნერვიულად ჩააფრინდა, თითქოს,

ვილაცა ხელიდან გამოვლევას უპირებდა... ცოტა ხანში, აღმართს შეუყვინენ.

— მალე, უღელტეხილზე ვიქნებით, — მშვილად წარმოთქვა ნინიმ და ისიც შენიშნა, მის წინ მიმავალი რამდენიმე მანქანა უცბად როგორ შედგა. მანქანებიდან რამდენიმე კაცი გადმოვიდა და ცოტათი წინ, პატარა ხრამის პირას მღვარ აჩოჩქოლებულ ათიოდე მგზავრს შეუერთდა. ყველანი დაბლა იყურებოდნენ და რალაცაზე გაცხოველებით ლაპარაკობდნენ.

— უტყობა, ავარიია, — ჩაილაპარაკა ნინიმ და მანქანის კარი გამოაღო. — გადავალ ერთი, ვნახავ, რა მოხდა. თქვენ კი მანქანიდან ფეხი არ მოიცვალოთ, მალე მოვბრუნდები!

სანამ მარი პასუხად რაიმის თქმას მოასწრებდა, ნინიმ უკვე კარი მიაჯახუნა და მანქანებს შორის გზის გაკვლევა დაიწყო.

გზის პირას მიმდგარი ამწე ხრამიდან რალაცას ნელ-ნელა ეწვიდა. ნინი კიდევ უფრო ახლოს მივიდა და ის იყო, ხრამში უნდა გადასხვდა, რომ წინ ვილაც მამაკაცის ფართო ზურგი აეფარა. მამაკაცი მობილურზე ლაპარაკობდა:

— დათო, გიორგი ვარ-მეთქი, გიორგი... მისმინე, ოღონდ, მანდ შენებური პანიკები არ ასწიო... დიტოს მანქანა ხრამში გადაიჩხა...

— ნაცნობი სახელის გავიხსენებ ნინი ისე შეტორტმანდა, რომ კინაღამ მის უკან მღვარ ვილაც უცნობს ზედ გადაეშხო, მაგრამ თავი შეიკავა და სმნად იქცა. უცნობი ისევ გაანაგრძობდა:

— რომელი დიტო და ჩვენი... რჩეულიმ-ვილი... არა, რიკითზე არა, იქ რომ გადაჩხილიყო, ძირამდე სული არ დაჰყვებოდა...

ცოტა აქეთ მოხდა... თანაც, მის ბედად, მანქანიდან გადმოხტომაც მოასწრო... ჩურჩხელების გამყიდველი პატარა ბიჭი გამოუხტა საიდანაც და იმას აარიდა... ცოცხალია-მეთქი, გუუბნები!... სურამის საავადმყოფოში მივიყვანეთ. ისე, საკმაოდ რთულადაა საქმე; ორივე ფეხი და მარჯვენა ხელი აქვს მოტეხილი... ექიმები კი ამბობენ, სამში არაფერი, მაგრამ მე, მაინც, დღესვე თბილისში მინდა გადმოვიყვანო... რა მე? ა-ა-ა? მე შემთხვევით გამოვიარე და მანქანა დავინახე. მაგის მანქანას ვინ არ იცნობს, ბიჭო?! რამდენი ვეჩინინე, ეგ ჯაბახანა მოცილე-მეთქი და არ დამიჯერა!... იმ დროს მანსენებს, ძალიან ბედნიერი რომ ვიყავო... ზოგიც ამის შემდეგ გაიხსენოს...

ამასობაში ამწემ მანქანა გზის პირას ამოიტანა და ნინის კინაღამ გულიც გაუჩერდა: ბაგირებზე დაკიდულ, საფუძვლიანად დაჭეკვილ, წითელ, ხოჭოსავით მანქანას, წინა ორივე კარი ღია დარჩენოდა და ჰაერში მოკონწიალე, ფრთავამლილ ჭიამამას მიაგავდა... თავზარდაცემული ნინი თვალებით ისევ უცნობი მამაკაცის ზურგს „ჩააფრინდა“.



„formula-1“-ის ბოლის საშეს გალი კვლავ მიუქდა

და ვნებათაღელვას განახლდა

აშშ-ში ინდიანაპოლისის ტრასაზე 2002 წლის შემოდგომაზე გამართულ „ფორმულა-1“-ის მორიგი ეტაპის როლაზე სენსაცია დაფიქსირდა: „ვესტ-მაკლარენ-მერსედის“ გუნდის შემადგენლობაში ქალი გამოჩნდა. 22 წლის ამერიკელი სარა ფიშერი ამქვეყნად ყველაზე მძლავრი მანქანის საჭეს მიუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ სარა ფიშერმა ავტოდრომზე ძირითადი როლის დაწყებამდე მხოლოდ სამი სადემონსტრაციო წრე გაირბინა, ამას მაინც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს, „ფორმულა-1“-ის ტრასაზე სუსტი სქესის წარმომადგენლის დამკვიდრების კიდევ ერთი მცდელობა გახლდათ.

მიუხედავად თავისი ახალგაზრდული ასაკისა, სარა სტაჟიანი პროფესიონალი მრბოლელია (იგი შეჯიბრებებში 1999 წლიდან მონაწილეობს) და აშშ-ის არაერთი მნიშვნელოვანი როლის პრიზიორია. „ფორმულა-1“-ის ბოლიდით სადემონსტრაციო გარბენის შემდეგ კი განაცხადა, რომ ვერაუთარ მიზეზს ვერ ხედავს იმისას, რომ ქალებმა ამ რბოლებში მონაწილეობა არ მიიღონ.

სარა ფიშერამდე „ფორმულა-1“-ის შეჯიბრებებში სუთი ქალბატონი მონაწილეობდა. „ფორმულა-1“-ის „ეკად“ კი, იტალიელ მარია ტერეზა დე ფილიპას


მიიწვევენ. 1958 წელს მან გრან-პრის სამი შეჯიბრში იასპარეზა. საუკეთესო შედეგი – მეათე ადგილი, მარია ტერეზამ ბელგიის ავტოდრომზე აჩვენა. დე ფილიპის შემდეგ, ქალები ოცი წლის მანძილზე აღარ გააკარებინან „ფორმულა-1“-ს. მხოლოდ 1975 წელს, კიდევ ერთი იტალიელი – ლელა ლომბარდი გამოჩნდა ტრასაზე. იგი დღემდე, ერთადერთი ქალია, რომელმაც არა მარტო იასპარეზა გრან-პრიზე, არამედ თავისი გუნდისთვის („მარჩი“) ქულების მოპოვებაც შეძლო. ესპანეთში გამართულ როლაზე ლელა ლომბარდი ფინიშთან მეექვსე მივიდა. ის „ფორმულა-1“-ის რბოლებში კიდევ ორი წლის მანძილზე გამოდიოდა, აქედან ერთი წელი – სახელგანთქმული „უილიამსის“ გუნდში. თუმცა, საკუთარი შედეგის გამოტოვება ან გაუმჯობესება ვეღარ შეძლო და 1976 წლის სეზონის დამთავრებისთანავე წავიდა სპორტიდან.

ქალთა შემდგომი მცდელობები „ფორმულა-1“-ის დასაურევლად, წარუმატებელი აღმოჩნდა. 1976 წელს, საავტომობილო ყველაზე პრესტიჟულ რბოლაში მონაწილეობა ყოფილმა მოთხილაბურემ, ინგლისელმა დივიან გალიშიამ სცადა, მაგრამ პირველივე

ორი რბოლის საკვალიფიკაციო გარბენი ვერ გაიარა და სპორტის ამ სახეობას გამოეთხოვა. სამხრეთაფრიკელი დეზირე უილსონის დებიუტიც, რომელიც 1980 წელს შედგა, წარუმატებელი აღმოჩნდა. დიდ ბრიტანეთში ვერც მან გაიარა საკვალიფიკაციო გარბენი. თუმცა, იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა ამ პრესტიჟულ სახეობაში დამკვიდრებისა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამართულ გრან-პრიზე ისევ მიუჯდა ბოლიდის საჭეს. ამჯერად მას თითქოს, ბედმა გაუღიმა და საკვალიფიკაციო გარბენი გაიარა, თუმცა მხოლოდ მეთექვსმეტე ადგილს დასჯერდა. დეზირეს ვერც „მშობლიურ კედლებში“ გამოსვლამ უშველა, უარესიც – იგი 51-ე წრეზე ავარიას ვერ გადაურჩა და „ფორმულა-1“-ის ახალდაწყებული კარიერა იქვე დაასრულა. ასევე სწრაფად დამთავრდა იტალიელი ჯოვანა ამატის კარიერაც, რომელმაც გალიშიას მსგავსად, საკვალიფიკაციო გარბენი ვერც ერთხელ ვერ დაძლია და იბუღებული გახდა, 1992 წლის შუა სეზონში საშუალოდ წასულიყო „ფორმულა-1“-იდან.

მას შემდეგ, სუსტი სქესის არც ერთ წარმომადგენელს აღარ უცდია ბოლიდში ჩაჯდომა. ოპონენტებმა საშუალოდ დასრულებულად მიიჩნიეს კამათი, იმის თაობაზე, შეუძლიათ თუ არა ქალებს მამაკაცების მსგავსად, ამ სახეობაში ასპარეზობა... მაგრამ ინდიანაპოლისში „მაკლარენის“ მანქანაში სარა ფიშერის გამოჩენას ბომბის აფეთქების ეფექტი მოჰყვა. პროფესიონალები და სპეციალისტები კვლავ შეიბნენ – ვნებათაღელვა განახლდა. ისინი სვამენ კითხვას: არის თუ არა ქალის ადგილი „ფორმულა-1“-ის ბოლიდში?

ამ სახეობაში ქალების არცთუ ისე წარმატებული გამოსვლები სკეპტიკოსებს,




ძირითადად მამაკაცებს, იმის საფუძველს აძლევს, რომ ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცენ. რბოლებში მონაწილე ხუთი ქალიდან მხოლოდ ერთი – ლელა ლომბარდი გამოვიდა, ასე თუ ისე, ასატანად. თვით რონ დენისი, „ვესტ-მაკლარენ-მერსედისის“ გუნდის ხელმძღვანელი, რომელმაც ფიშერს ინდიანაპოლისში ბოლიდით გამოსვლის უფლება მისცა, აცხადებს: „არა მგონია, რომ ქალებმა „ფორმულა-1“-ის რბოლებში სერიოზული მეტოქეობა გაუწიონ მამაკაცებს.“ მათი მთავარი არგუმენტი, ვინც ანალოგიურ მოსაზრებას იზიარებს, ისაა, რომ მამაკაცებთან შედარებით, ქალები ფიზიკურად სუსტები არიან. ედი ჯორდანი, ჯგუფ „ჯორდანი“ ბოსი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ეს შეუძლებელია: „როგორც კრივი არავინ არასოდეს გამოიყვანს ქალს მამაკაცის წინააღმდეგ, იმიტომ რომ ეს აბსურდი იქნება, ასევეა „ფორმულა-1“-შიც. ბოლოს და ბოლოს, ქალებმა შესაძლოა, „ფორმულის“ საკუთარ რბოლაში იასპარეზონ და ალბათ ეს სანახაობრივად თვალწარმტაცი რამ იქნება!“

ოპტიმისტები, ძირითადად ქალები, რადიკალურად განსხვავებულ მოსაზრებას ემხრობიან. „დაიხ, ამბობენ ისინი, მამაკაცები და ქალები ფიზიკური მონაცემებით მართლაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ განა სარბოლო ავტომობილის მართვისას, ასე აუცილებელია ფიზიკური ძალა? ისინი მიიჩნევენ, რომ აქ, აუცილებელია სულ სხვა, ცხოვრებისეული გამოცდილების გამოვლენა: ამტანობა, სიმტკიცე, მოთმინება. „შეხედეთ, „ფორმულა-1“-ის ნებისმიერ მრბოლელს, – ამბობს ფიზიოთერაპევტი მერი ო'კონორი, – ყოველი მათგანი, როგორც წესი, კარგი აღნაგობის, მაგრამ საკმაოდ ტანმორჩილი და მსუბუქი წონისაა. ვიზუალურადაც ისინი ამკარად არ გამოიყურებიან ღვევმიერებივით, რომლებსაც შიშის გადაბრუნება ძალუძთ!“ თავიანთი გარეგნობით, მრბოლელები მართლაც ბალეტის მოცეკვავეებს მოგვაგონებენ. უფრო მეტიც, ო'კონორის აზრით, ქალებს, მამაკაც მრბოლელებთან შედარებით, ფიზიკური უპირატესობაც აქვთ: „მათი სიმძიმის ცენტრი შედარებით დაბლაა განთავსებული, რასაც წონის გადანაწილების თვალსაზრისით, სარბოლო ავტომობილით მოძრაობისას, არსებითი მნიშვნელობა აქვს“. ო'კონორი ასევე მიიჩნევს, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო დისციპლინებულნი არიან და აქედან გამომდინარე, მათ იოლად შეუძლიათ ყურადღების კონცენტრირება და საკუთარი ემოციების კონტროლი. რაც შეეხება „ფორმულა-1“-ის რბოლებში ქალთა არასახარბიელო სტატისტიკას, აქაც არც-

თუ ისე ცუდად უნდა იყოს საქმე. თუ გადავხედავთ იმ მამაკაცთა რიგს, რომლებმაც ამ სახეობაში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწიეს და მათ შორის, ვერც საკვალიფიციო რბოლები დაძლიეს, საკმაოდ შთამბეჭდავ ციფრს მივიღებთ. ნახევარი საუკუნის მანძილზე ასეთების რაოდენობა რამდენიმე ათასი მაინც იქნება. ქალები კი მხოლოდ ხუთნი იყვნენ და, ბუნებრივია, რომ მათ, წარმატებას ვერ მიაღწიეს.

ბოლო დროს გაჩაღებული ცხარე დისკუსიებით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ ბევრი დრო გავა, ვიდრე იგივე სარა ფიშერი (ან სხვა მრბოლელი ქალი) სტარტზე მიხაელ შუმასერის წინააღმდეგ გამოვა. მაგრამ თავად შუმასერი სულგრძელად (არ არის გამორიცხული, დიპლომატიურობას იჩენდეს) აცხადებს, რომ მსგავსი მეტოქეობის წინააღმდეგი არ არის. ინდიანაპოლისში სარა ფიშერის სადემონსტრაციო გარბენის შემდეგ კი, როცა უურნაღისტებმა ჰკითხეს, თქვენ რას ფიქრობთ, „ფორმულა-1“-ის ასპარეზობაში ქალების მონაწილეობაზე? – შუმასერმა ორაზროვნად უპასუხა: საერთოდ, ქალებთან პრობლემები არასოდეს მქონიაო. შემდეგ კი დასძინა: „ჩემი აზრით, ქალებს შეუძლიათ ბოლიდებით



სარა ფიშერი

ასპარეზობა. ისინი, ვინც სხვაგვარად ფიქრობენ, ჩვეულებრივ, ქალების სისუსტეს უსვამენ ხოლმე ხაზს. მაგრამ არა მგონია, ეს სწორი შეხედულება იყოს. შეხედეთ, სპორტის სხვა სახეობებში რამდენი ძლიერი ქალია, რომელიც ფიზიკურად უდავოდ ბევრ ჩვენგანს სჯობს. მაშ, რატომ ვერ შეძლებენ ისინი ბოლიდთან გამკლავებას?“

ექიმ მარიაძის სამკურნალო კაბინეტი
კვლავ იწყებს პასიენტების მიღებას

ლიბერული კვანძები და ქისტოზური წარმონაქმნები
ნევროზი
თავის ტკივილი
უკილოვა
ოსტეოქონდროზი
რადიკულიტი
ნერვის ანთეზა
მარტილები
სახსრების
ენურაზი
ასთმური მოვლენები
ალერგია
მეფეფები და ა.შ.

და თუ თქვენს ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ და სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, დაუყოვნებლივ მიაკითხეთ **ექიმ თინათინ მარიაძის**. მისი განუმეორებელი უნიკალური სამკურნალო მეთოდები ჩვენს საზღვრებს გასცდა.

(გარდა ეპილეფსიისა და ტუბერკულოზისა)

მის: ნარათლის ბაზ. №71-ის მოპირდაპირად, ზვის მეორე მხარეს, X კორპ., II სად, I სართ.
☎ 35-18-68 (11-17 სთ-მდე); 899-58-69-47
ჩანერა წინასწარ, კონსულტაცია უფასოა



იქნადახით მოსული

ცენიელო ციე-ლოისი

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული მსახიობი 1957 წელს ლონდონის არისტოკრატიულ ოჯახში დაიბადა. მამამისი, სესილ დეი-ლუისი, პოეტია, დედა — მსახიობი, ჯილ ბოლკონი. დენიელ დეი-ლუისმა სამოცვარულო თეატრში მოღვაწეობა, ჯერ კიდევ კერძო სკოლაში სწავლისას დაიწყო. მოგვიანებით, სწავლა განაგრძო ბრისტოლის თეატრთან არსებულ „ოლდ უიქს“ სამსახიობო სკოლაში. 80-იან წლებში სახელი გაითქვა ლონდონის სცენაზე მოღვაწეობით. 1986 წელს კრიტიკოსები აალაპარაკა პანკი-გეის როლის შესრულებით ფილმში — „ჩემი მშვენიერი სამრეცხაო“, 1989 წელს, სურათში — „ჩემი მარცხენა ფეხი“ ნათამაშები ხეიბრის როლისათვის „ოსკარით“ დაჯილდოვდა; ამის შემდეგ, ზედიზედ, რომანტიკული უანრის რამდენიმე ფილმში („ოთახი ხედი“ — 1988, „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ — 1988 და — „უკანასკნელი მოპიკანი“ — 1992) შექმნილი სახით, დეი-ლუისი ქალების კერპად იქცა.



მსახიობი ითხოვდა, რომ მეგობრებს მისთვის ნამდვილი დარტყმები მიეყენებინათ

როცა მარტინ სკორსეხეს ჰკითხეს, თუ რატომ მიიწვია მაინცდამაინც დენიელ დეი-ლუისი, ყასაბი ბილის როლზე, მან განაცხადა: „იმიტომ, რომ მას კარგად ესმის მრისხანების ბუნება“. ასეთი გახლდათ პასუხი სახელგანთქმული რეჟისორისა, რომელმაც ეკრანებზე „მრისხანე მამაკაცების“ დაუვიწყარი გალერეა შექმნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობი ძალზედ განსხვავდება თავისი ექსტრემალური პერსონაჟისაგან, რომელიც სადისტურ „გმირობებს“ ხუმრობითა და იუმორით აზავებს. „მართალი გითხრათ, როცა სკორსეხემ „ნიუ-იორკის ბანდებში“ ამ როლზე მიმიწვია, ცოტა არ იყოს, შემეშინდა კიდევ, — ამბობს მსახიობი. — მაგრამ მარტინმა ჩემი დაყოლიება

შეძლო. იგი ისე მიყვებოდა ყასაბი ბილის შესახებ, თითქოს ბავშვობიდან იცნობდა მას“. როცა სკორსეხემ „ნიუ-იორკის ბანდების“ გადაღება გადაწყვიტა, დენიელ დეი-ლუისის უკანასკნელი ფილმის — „მოკრივის“ ეკრანებზე გამოვლიდან ხუთი წელი იყო გასული და ყველა დარწმუნებული გახლდათ, რომ მსახიობი სამუდამოდ გამოეშვეილა კინოს. „მოკრივის“ გადაღებების დროს, ორთაბრძოლები რეალისტური რომ გამოსულიყო, მსახიობი ითხოვდა, რომ რინგზე შერკინებისას, მეტოქეებს მისთვის ნამდვილი დარტყმები მიეყენებინათ. ერთ-ერთი ასეთი დარტყმის შედეგად მან ხერხედილის ტრავმა მიიღო და გადაღებების დასრულების შემდეგ, იძულებული იყო, ხანგრძლივი დროის მანძილზე ემკურნალა. დროდადრო ვრცელდებოდა ხმები, რომ დეი-ლუისი ცოლ-შვილთან (მისი ცოლია რეჟისორი რებეკა მილერი, რომელთანაც იმჟამად, ერთი ვაჟიშვილი ჰყავდა) ერთად, იტალიაში გაემგზავრა... რომ იგი მეწაღეობას აპირებდა... რომ სახლების მშენებლობას მიჰყო ხელი... როცა 2000 წელს ცნობილი გახდა, რომ დენიელმა სკორსეხეს ფილმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა, ეს ცნობა ყველამ მორიგ მისტიფიკაციად აღიქვა. მაგრამ სულ მალე, გახმაურდა ფაქტი, რომელმაც ყველა დაარწმუნა ამ ინფორმაციის უტყუარობაში: დეი-ლუისის როლისათვის მზადება დაეწყო და იგი ლონდონის ერთ-ერთ მაღაზიაში ყასაბის თანამშემუდ მუშაობდა. ამ იდეამ არ გაამართლა, რადგან როგორც კი მსახიობის თავგანისმცემობა შეიტყვეს ამის შესახებ, ისინი მაღაზიაში ათენ-აღამებდნენ, ოღონდაც თვალი მოეკრათ თავიანთი კერპისათვის. ამის შემდეგ, დენიელი მაღაზია-

ში აღარ გამოჩენილა, მაგრამ როგორც ჩანს, მან ყასაბის პროფესიის ათვისება სხვაგან, უფრო წყნარ ადგილას განაგრძო, რადგან გადაღებებზე გამოჩენისთანავე, ისე ოსტატურად იქნევა დანებს, პროფესიონალ მკვლელსაც კი შეშურდებოდა. კერძოდ, კოლეგების თქმით, იგი დაახლოებით ათი მეტრის მანძილიდან აუცდენლად ასვედრებდა დანებს მიზანში. გადაღებების შესვენებისას კი, განუწყვეტლო უსმენდა ემინემის სიმღერებს, რათა გმირისათვის აუცილებელი მრისხანება შეენარჩუნებინა. თუმცა, ამ ფილმის გადაღებისას გამოვლენილი მუშაობის მეთოდები, ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რასაც მსახიობი სხვა სურათებში მონაწილეობისას ამჟღავნებდა. პოლიტპატიმრის როლისათვის მზადებისას („მამის სახელით“ — 1993), იგი პოლიციის კარცერში იჯდა. „უკანასკნელ მოპიკანში“ (1992) თამაშისას, ერთი წუთითაც არ უშვებდა ხელს ძველებურ თოფს და როგორც ამბობენ, ლოგინშიც კი მასთან ჩახუტებულს ეძინა. „უმანკოების ეპოქაში“ (1993) არისტოკრატი გმირის როლის შესრულებისას დიდხანს არჩევდა... ოდეკოლონს. „ნიუ-იორკის ბანდებზე“ მუშაობის დამთავრების შემდეგ, მსახიობმა განაცხადა, რომ თავს ისე გრძობდა, „როგორც ძალღებისათვის მიყრილი ძვლების გროვა. სწორედ ძალღებისათვის, რადგან აღამიანებს რომ მსგავსი რამ შესთავაზო, ისინი აუცილებლად იუკადრისებენ მას“. გადაღების დასრულებისთანავე დეი-ლუისი ოჯახთან ერთად, კონკრეტულ მცხოვრებ სიმაძრეთან — დრამატურგ არტურ მილერთან გადაბარდა. 2002 წლის მაისში, მას და რებეკას მეორე ვაჟიშვილიც შეეძინათ (დენიელს კიდევ, იზაბელ აჯანი-სთან ჰყავს II წლის ვაჟი — გაბრიელი, რომელიც მას არასოდეს უნახავს). გამორიცხული არ არის, რომ დეი-ლუისი რამდენიმე წლით კვლავ გაქრეს ასპარეზიდან. ერთ საინტერესო ასპექტსაც უნდა გაეყვას ხაზი: იმ ფილმების რიცხვი, რომელში მონაწილეობაზეც დენიელმა უარი განაცხადა, ბევრად აღემატება მის მიერ ნათამაშებ როლებს. აი, იმ სურათების სია, რომელში გადაღებაც დეი-ლუისმა არ ისურვა: „ბეჭდების მბრძანებელი“, „პარი პოტერი“, „ხელოვნური გონი“, „შეგარებული შექსპირი“, „ფოლადლეფია“, „ინტერვიუ გამპირთან“ და „სოლარისის“ ახალი ვერსია. როცა მას ეკითხებოდა, თუ რატომ ამბობს ასეთ ხელსაყრელ პროექტებზე უარს, იგი პასუხობს: „ჩემი კინომოღვაწეობა პირდაპირპროპორციული უნდა იყოს ჩემი შინაგანი რესურსებისა. სისუფლეთა, უკანასკნელ ნამცეცამდე გასცე ყველაფერი, რადგან შესაძლოა, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდე, როცა შესათავაზებელი აღარაფერი გექნება“.



ვილის ფიგურათა მადამ ტიუსოს ლონდონის მუზეუმის ადმინისტრაცია ყოველი წლის მიწურულს, ყველაზე პოპულარულ ექსპოზიციას სიას აქვეყნებს. დამთვალელებელთათვის 2002 წლის ყველაზე „მიმზიდველ“ ფიგურად ადმინისტრაციამ ამჯერად, კაილი მინოუგის ორეული გამოაცხადა. მოკლე კაბაში გამოწყობილი მინოუგის ფიგურა ოთხზე დგას და როგორც კი რომელიმე დამთვალელებელი მისი „მხედველობის არეში“ მოხვდება, რაღაც უცნაურად იწყებს სუნთქვას. ბუნებრივია, რომ ამ საოცრების სანახავად კაილის ორეულის ირგვლივ, მუდმივად აჟიოტაჟია.

დამთვალელებელთა სიმპათიების გათვალისწინებით მეორე, მესამე ადგილებზე რობი უილიამსი და გარეტ გეიტსი აღმოჩნდნენ. საკმაოდ დიდ ყურადღებას იპყრობდა ჯენიფერ ლოპესიც, რომლის ცვილის ორეულმაც „ყველაზე მომხიბლავი ქალი მანეკენის“ კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. ამ კატეგორიაში მეორე ადგილზე ჰოლი ბერი გავიდა, პირველზე კი, ბუნებრივია, კაილი მინოუგი აღმოჩნდა. შარშანდელთან შე-

მადამ ტიუსოს მუზეუმის 2002 წლის ყველაზე პოპულარული ექსპონატი



დარებით, ნაწილობრივ შეიცვალა „ყველაზე საბუღველი“ სამეულის შემადგენლობა. პირველი და მეორე ადგილი სადამ ჰუსეინმა და ოსამა ბინ ლადენმა არავის დაუთმეს, მესამე – ამერიკელ ტელეწამყვანს, ჯონ ლესლის ზვდაწილად. შარშან ამ კატეგორიის მესამე ადგილის მფლობელი, ლაიმ გალახერი გახლდათ, თუმცა, როგორც ამბობენ, მთელი ამ წლის მანძილზე, Oasis-ის ვოკალისტი ზედმიწევნით კორექტულად იქცეო-

და (თუ არ ჩავთვლით პირველ დეკემბერს, მიუნხენში გამართულ ხელჩართულ ჩხუბს) და პუბლიკის უკმაყოფილებაც არ გამოუწვევია.

კატაკლიზმები

გაფაქტიკაში გადამავალი საფრთხე

ერთხანს, ასტრონომები წლებანდელი წლის პირველ ნახევარში ასტეროიდის დედამიწაზე დაჯახებას წინასწარმეტყველებდნენ. მათი მოძღვენო პროგნოზით, ორკედლომეტრიანი ლოდი NT7 ჩვენს პლანეტას 2019 წლის 1 თებერვალს დაეჯახება. შემდეგ გაირკვა, რომ ციურ სხეულთა გზები სულ ცოტა, 2060 წლამდე არ გადაიკვეთება.

სამაგიეროდ, სულ სხვაა, ე.წ. შავი ხვრელი, რომელსაც, როგორც ამბობენ, ვერ გადავურჩებით. ეს ობიექტი თურმე სრულიად გაუმაძღარია, რადგან მას სინათლის სხივიც კი ვერ დააღწევს თავს. შავი ხვრელები იმ სუპერმასიური ვარსკვლავების ურთიერთშეჯახების შედეგად წარმოიშობა, რომელმაც თავისი არსებობა ამოწურა. ამ დროს, ისეთი მკვრივი ნივთიერება წარმოიქმნება, როგორსაც ადამიანის გონება ვერც კი წარმოიდგენს (თუ მაინც ვცდით, უნდა წარმოვიდგინოთ: საშუალო ზომის ჩვეულებრივი მთა, შავი ხვრელის სიმკვრივის დონემდე რომ დავიყვანოთ, მივიღებთ მიკრონაწილაკს, რომელიც პროტონს უტოლდება). ეს მონსტრი ყველაფერს შთანთქავს, რაც კი გზად შეხვდება – პლანეტებს, ვარსკვლავებს... სუპერტელესკოპ „ჰაბლის“ მიერ აღმოჩენილი შავი ხვრელი ჩვენს გალაქტიკაში –


დრიანკალის თანავარსკვლავედში იმყოფება. მანძილი მას და დედამიწას შორის, 6 ათასი სინათლის წელიწადია.

როგორ გავუმტავდე ბუნებას

უკანასკნელმა წლებმა დაგვანახვა – გამოყენებითი მეცნიერება არა მარტო ტერიორიზმთან ბრძოლას, არამედ სტიქიურ უბედურებებთან გამკლავებას უნდა მოხმარდეს. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია აღიარებს, რომ კატაკლიზმების წინასწარმეტყველება მას არ ძალუძს. თუ წინათ, ანომალიური ბუნებრივი მოვლენები უმეტესად, აფრიკასა და ავსტრალიას ატყდებოდა თავზე, ახლა, მისგან არც ერთი კონტინენტი არ არის დაზღვეული. ევროპაში მომხდარ წლებანდელ წყალდიდობებსა თუ დიდთოვლობას სინოპტიკოსები ვერანაირად ხსნიან. რასაკვირველია, შეიძლება, ყველაფერი გლობალური დათბობით აიხსნას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, იძუ-

ლებულნი ვიქნებით ვოქვათ, რომ გაისად, ახალი სიურპრიზების მოწმენი გავხდებით.

მეცნიერები დედამიწის გლობალურ მონიტორინგს ახორციელებენ. შარშან გაზაფხულზე კოსმოსურ ორბიტაზე, ევროპაში უმსხვილესი ხელოვნური თანამგზავრი – „ვეისატი“ გაიყვანეს, რომლის მთავარი ამოცანაა პლანეტაზე მიმდინარე პროცესების – სათბურის ეფექტის, ცინულების დნობის, ოკეანეების დონის ცვლილებების დაფიქსირება, მაგრამ ეს ყველაფერი მეტისმეტად ზოგადია და კონკრეტულ რეგიონებში მოსალოდნელი უბედურების ამბავს ვერ გვაძინობს.





Mitsubishi Tarmac



Dodge Avenger



Nissan Maxima



Cadillac Sixteen

დეტაილის ავტოსალონის საოცარი „აღმოჩენები“

აშშ-ის საავტომობილო ცენტრის – ქალაქ დეტროიტის ტრადიციულ, გრანდიოზულ ავტოსალონზე, რომელიც წლის დასაწყისში მოეწყო, საუკეთესო მოდელები სპეციალური ჯილდოებით აღინიშნა. დიზაინისთვის მინიჭებული პრიზებიდან, 7 მხოლოდ კორპორაცია General Motors-ის „ქმნილებებს“ ერგო. მართო პიკაპს – Cheyenne-ს 4 პრიზი შეხვდა, 2 ჯილდო სედან – Cadillac Sixteen-ის შემქმნელებს გადაეცა, ერთი კი – GM Hy-wire-ის ავტორებს.

სალონის საუკეთესო ავტომობილად ფიურში 2003 სამოდულო წლის კონცეპტუალური პიკაპი – Chevrolet Cheyenne ცნო. დიზაინის ნომინაციაში მეორე პრიზი GM Hy-wire-ს ერგო. მინივენის საუკეთესო დიზაინის პრიზი Honda-ს მესვეურებს გადაეცათ – მოდელისათვის Element. კუპემ Bentley Continental GT-მ 2 ჯილდო მიიღო: სერიული ვერსიის საუკეთესო დიზაინისა და საუკეთესო გარეგნული დიზაინისათვის. Ford Motor Company-ს გადაეცა პრიზი მოდელისათვის Mercury Messenger, რომელიც დეტროიტის სალონის საუკეთესო კონცეპტად დაასახელეს. რაც შეეხება საუკეთესო სალონს – ამ ნომინაციაში Audi a8-მ გაიმარჯვა.

იმ მოდელებს შორის, რომელმაც დეტროიტის ავტოსალონზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, Ford-ის მიერ წარმოდგენილი Freestyle FX-ია, რომელიც აქტიური დასვენებისთვის განკუთვნილ, მსოფლიოში პირველ სრულამპრავიან ავტომობილ-ტრანსფორმერს წარმოადგენს: სიტყვა „ტრანსფორმერი“ ინგლისურად გარდასახვას ნიშნავს,

„ფრისტაილი“ კი, ყველგანმავლიდან ადვილად გადაიქცევა პიკაპად. ამ მანქანას მოსახერხებელი, თანამედროვე სალონი და ადვილად ხსნადი სახურავი აქვს.

Nissan-მა თავისი ცნობილი მოდელების – Maxima-სა და Quest-ის ახალი ვერსიები წარმოადგინა. „აკვესტი“ მხოლოდ იაპონური და ჩრდილოამერიკული ბაზრებისთვის განკუთვნილი მინივენია, რომელიც 3,5 ლ-იანი, 230 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავითაა აღჭურვილი. საინტერესოა, რომ საბაზო ვერსიაშიც კი, ის დასაბერი ფარდებით იქნება აღჭურვილი, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს ჩრდილოამერიკული ბაზრისათვის.

მინივენის გარეგნული დიზაინი დიდად არ განსხვავდება იმ მოდელებისაგან, რომელიც ამჟამად იყიდება, მაგრამ „ნისანის“ კალიფორნიული სტუდიის დიზაინერებმა მოახერხეს, მაქანისათვის ისეთი დეტალები დაემატებინათ, რომელიც მას სხვა მწარმოებელთა მინივენებისაგან გამოარჩევს. საინტერესოა აგრეთვე, რომ Nissan Quest-ს მისისიპის შტატის ქალაქ კანტონში გამოუშვებენ.

Dodge-მა Pajero Evo-ს კონკურენტი წარმოადგინა. კონცეპტუალური ყველგანმავალი Avanger-ი, დიდი გავლადობითაც გამოირჩევა და სპორტული იერიითაც. როგორც DaimlerChrysler-ის მესვეურები აღნიშნავენ, მას დიდი შანსი აქვს, სოლიდური ადგილი დაიკავოს ე.წ. „ჰროსოვერების“ (სპორტული ყველგანმავლების) სექტორში.

მწარმოებელი ამ ავტომობილის ძარას, კუპებს უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ მას 5 კარი აქვს. მანქანა ძალზედ დინამიკური იერით გამოირჩევა, რაც მართლაც აახლოებს მას სპორტულ ავტომობილებთან: Avanger-ი რაღაცით Nissan Z350-ს მოგაგონებთ, რაღაცით – ამერიკულ კუპებს, მისი წინა ნაწილის დიზაინი კი, Dodge-ის ყველგანმავლების ნიმუშებს წააგავს.

ახალი „დოჯი“ აღჭურვილია 3,5 ლ მოცულობის V6 ძრავით. იგი სრულამძრავიანია.

ამერიკული პროლოგებიდან – რუსი დიასპოლის «თავდასაფარში»

ვინც ჩემს ამერიკულ დღიურებს ადევნებს თვალს (რა თქმა უნდა, დიდი მადლობა ამისათვის), ალბათ ყურადღებას მიაქცევდა, რომ ყოველ ნაბიჯზე მინევს პრობლემებთან ჭიდილი. ზოგჯერ ერთი კი არა, რამდენიმე პრობლემა წამოყოფს თავს და დავაბოტებ შორეულ ამერიკაში თავგადასავლების მაძიებელი რაინდივით (ვფიქრობ, კადნიერებაში არ ჩამომართმევთ ამ შედარებას). თუმცა, კაცმა რომ თქვას, მთლად საინტერესო არც უპრობლემოდ ცხოვრებაა.



იმასაც გეტყვით, რომ ის დაბრკოლებები, თავის დროზე გადაულახავი რომ მეჩვენებოდა, ახლა სასიამოვნო მოგონებადაც კი ქცეულა ჩემთვის... ერთი სიტყვით, ისევ ამერიკული პრობლემების შესახებ...

აკაკი გვგენავა

როგორ ავითვისე მედლის პროფესია

თითქოსდა ჩემს ბრუკლინელ (უფრო სწორად – რუს) კეთილ დიასპოლისთან არანაირ პრობლემა არ უნდა მქონოდა. ვცხოვრობდი მშვენიერ ბინაში, ოთახში ყველაფერი კრიალებდა, არც სითბო მაკლდა და არც სასმელ-საჭმელი. ზოგჯერ საკუთარ სახლშიც წარმოვიდგენდი ხოლმე თავს, დედაჩემის მზრუნველობის ქვეშ მყოფს... მაგრამ დედა სვეტა ძალიან ემოციური ქალი იყო, თანაც მეტიმეტად შემეჩვია და სანამ მე არ დავბრუნდებოდი შინ, დასაძინებლად არ წვებოდა. როგორ არ ვეხვეწე, რა არ ვუთხარი, მაგრამ თავისას არ იშლიდა.

– დედა სვეტა, პატარა ბიჭი ხომ აღარა ვარ?... ზოგჯერ გვიან მოვალ, აბა, რას ვიზამ?! ზოგჯერ შეიძლება სულაც არ მოვიდე შინ და თქვენ არ უნდა დაძინოთ? – ვიწყებდი ხოლმე ბუზღუნს.

– შენ ჩემი სტუმარი ხარ, შვილივით მყავხარ ჩემს სახლში და რამე რომ მოგივიდეს, დედაშენს რა ვუთხრა?! – მიპასუხებდა საყვედურზე და თუ „ურჩობას“ გაავადმძლეობდი გაგულისებული მეტყვოდა: თუ აქ არ მოგწონს, სხვაგან გადადიო. არადა, მშვენივრად იცოდა – არც მე ვიყავი სხვაგან წამსვლელი და ვერც თვითონ შემელოდა.

დედა სვეტას უყვარდა შრომის ბირ-

უაზე „დატრიალებული“ ამბების მოსმენა. აუარებელ კითხვას მისვამდა და გაფაციცებით მისმენდა ხოლმე.

ვუყვებოდი, როგორ ველოდით მუშახელის მაძიებლებს, როგორ ვუთმობდით ერთმანეთს სამუშაოს, როგორ ვეხმარებოდით უმუშევრად (და შესაბამისად, ულუკ-მაპუროდ) დარჩენილ თანამემამულეებს, ზოგჯერ როგორ გვიმართლებდა, ზოგჯერ კი, როგორ გვატყუებდნენ დამქირავებლები... თავიდან, ყველაფერს დაწვრილებით ვუყვებოდი, ისიც მისმენდა... მაგრამ რამდენჯერმე, ისე ინერვიულა, რომ წნევამ აუწია. ერთხელ, ისე ცუდად გახდა, „სასწრაფო დახმარების“ გამოძახებაც კი მომიხდა... ამ შემთხვევამ გვარიანად დამაფრთხო და მერე, უკვე ყველაფერს აღარ ვუყვებოდი. მხოლოდ სახალისო ამბებს ვარჩევდი ან სულაც, ვფანტავიანობდით. ნამდვილად არ მინდოდა, ამ სათნო ქალს ჩემ გამო ინსულტი დამართნოდა და ყოველმხრივ ვცდილობდი, არ ენერვიულა... მაგრამ სამწუხაროდ, დედა სვეტას გული აწუხებდა და ჩვენს სახლთან სშირად იღვა „სასწრაფო დახმარების“ მანქანა. იმდენად სშირად, რომ მოგვიანებით, თავადვე მომიწია პირველი, გადაუღებელი სამედიცინო დახმარების წესების შესწავლა. თუმცა, ამაზე – ქვემოთ...

ამერიკის შერეობულ შტატებში სამედიცინო მომსახურება ძვირი სიამოვნებაა. ჩემი დიასპოლისი, მართალია, დაზღვეული იყო, მაგრამ რაღაც, მკურნალობასთან დაკავშირებული გადასახადები მაინც მოსდიო-

და ხოლმე, თანაც – არცთუ ისე მცირე თანხა. ხშირად, დეიდა სვეტასთან მისი ქალიშვილებიც რჩებოდნენ. ამ დროს, „სასწრაფოს“ აღარ იძახებდნენ, თავად უვლიდნენ დედას – წამლებსაც ასმევდნენ და ნემსებსაც უკეთებდნენ, მაგრამ მისი ქალიშვილები ნიუ-იორკში არ ცხოვრობდნენ, სამსახურის დიდი ხნით დატოვება უჭირდათ და ხშირად ვერ ახერხებდნენ დედის გვერდით ყოფნას, რასაც ძალიან განიცდიდნენ. ერთხელაც, დეიდა სვეტას უფროსმა ქალიშვილმა, ნატამამ დამიმართო ხელა.

– აკაკი, შენთან ერთი დელიკატური თხონვა მაქვს და იმედა, უარს არ მეტყვი... – მუდარა იგრძნობოდა მის ხმაში.

– გისმენ, ნატამა, – ვუპასუხე.

– ხომ იცი, მე და ჩემს დას დედა როგორ გვიყვარს. არ გვინდა, მარტო ცხოვრობდეს, მაგრამ სამსახურის გამო, მასთან მუდმივად ყოფნას ვერ ვახერხებთ. თანაც, არც თვითონ გადმოდის ჩვენთან – აქაურობს ძალიან შეეჩვია. რა ვქნათ, ჩვენ აქ მხოლოდ მცირე ხნით თუ ვახერხებთ ჩამოსვლას, დედა კი ხშირად ხდება ცუდად და ხშირად ვიწვევთ „სასწრაფოს“ გამოძახებას. გამოიძახებთ და რა? – მოვლენ, ერთ ნემსს გაუკეთებენ და უამრავი ფული მიიქვით... არადა, ფული კი არ გვეჩანება დედასთვის, მაგრამ არაფრის გამო, ძალიან ბევრის გადახდა გვიწევს... – ნატამა გაჩერდა და გამომცდელად ჩამაშტერდა. მე მშვიდად ვუსმენდი, თუმცა კი, ვერაფრით გამეგო, რის თქმას აპირებდა ნატამა. და მოულოდნელად, წერტილიც დასვა:

– თუ შეიძლება, კაკო, დედას შენ გაუკეთე ხოლმე ნემსი...

– ნემსი?! მე ხომ შპრიცი არასოდეს მჭერია ხელში!.. – გაოცებით წამოვიძახე.

– ძალიან ადვილია!.. გასწავლი და ნახავ, რა ადვილია!.. – დამამშვიდა ნატამამ.

– ეს ხომ ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა!.. – ვცაღე გაბრძოლება.

– ნუ გეშინია, ახლავე ავიხსნი... – მითხრა და გვერდით ოთახში გამიყვანა, სადაც წინასწარ გაემზადებინა ნემსის გაკეთების სასწავლად საჭირო ატრიბუტიკა – შპრიციებიდან დაწყებული, მოსახერხებელი ბალიშით დამთავრებული...

მოკლედ, მიუხედავად ჩემი უარყოფითი განწყობისა, მაინც მომიწია ნემსის გაკეთების სწავლა, მაგრამ სანამ ჩემი დიასახლისის ქალიშვილები დედასთან იყვნენ, მხოლოდ ბალიშზე ვვარჯიშობდი. მათი წასვლის შემდეგ კი, მეორე თუ მესამე საღამოს, დეიდა სვეტა ცუდად გახდა. ის-

ის იყო, „სასწრაფოს“ გამოძახება დავაპირე, რომ დიასახლისმა „კატეგორიულად“ მოითხვა – ნემსი შენ გამიკეთო. ნეტავ, გენახათ, როგორ მიკანკალებდა ხელი, როცა შპრიცში წამალი შემყავდა... მაგრამ ნემსის გაკეთებისას, უკვე თავი ხელში ავიყვანე და როგორც დეიდა სვეტამ მითხრა – ასე უმტკივნეულოდ მისთვის არავის უჩხვლევია...

ის დღე იყო და, დეიდა სვეტას „პირად ექიმადაც“ ვიქციე. ამან კიდევ უფრო გამიძლიერა პასუხისმგებლობის გრძნობა ჩემი მოხუცი დიასახლისის მიმართ. თავის მხრივ, დეიდა სვეტა გაათმაგებულ ყურადღებას იჩენდა ჩემ მიმართ. უფრო მეტიც – რომ შეძლებოდა, „დედიკოს ბიჭვივით“ კაბის კალთაზე გამომიბამდა. ასე რომ, ზედმეტი ყურადღება სულ უფრო მომაბეზრებელი ხდებოდა...

დიმა ბაზელი ქართველი აღმოჩნდა...

თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ სატვირთო მანქანის მართვის კურსებზე სიარულს მალე მოერჩებოდი. ერთი სული მქონდა, როდის ჩავაბარებდი გამოცდებს და ეს დაძაბული დღეები წარსულს ჩაჰბარებოდა. შრომის ბირჟაზეც გვიან მიწვევდა მისვლა და მუდამ ყველასგან დაწუნებულ სამუშაოს ვასრულებდი. ჩემი მოთმინების ძაფი ბეწვზედა ეკიდა, მაგრამ იმის იმედით, რომ კურსებზე სულ რაღაც ერთი თვე მქონდა დარჩენილი, იხტებარს არ ვიტყვხდი.

... შრომის ბირჟაზე უმეტესად, ყოველდღე ერთი და იგივე ხალხი ტრიალებდა. ერთმანეთს ყველანი ვიცნობდით, ამიტომ ახალი კაცის გამოჩენა შეუმჩნეველი არ რჩებოდა. ხშირად ყოფილა – გამოჩენილა ბირჟაზე ახალი სახე, იტრიალებდა ერთი, ორი, სამი დღე და მერე, უკვალოდ გაქრებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ აქაური სიტუაცია არ მოეწონათ და სხვაგან დაიწყეს სამუშაოს ძებნა... ერთი თავისებურებაც ჰქონდა ჩვენს ბირჟას: ჩვეულებრივ, ახალმოხული კაცი თვითონ თუ არ გამოთქვამდა ჩვენი გაცნობის სურვილს, არავინ უწყებდა ლაპარაკს. ხოლო თუ ახალს ნებისყოფა ეყოფოდა და სიტუაციას ადლოს აულებდა „ბირჟავიკები“ უკვე თავისიანად თვლიდნენ და ეწ. „კოლექტივიში“ იღებდნენ.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ მთელი კვირის განმავლობაში გვიან მიწვევდა ბირჟაზე მისვლა. იქაც დიდხანს არ ვჩერდებოდი. პირველივე დამქირავებელს მივყვებოდი. მიუხედავად ამისა, შეუმჩნეველი არ დამჩენია ერთი ახალგაზრდა

მამაკაცი, რომელიც თავდაპირველად, რუსს მივამსგავსე. მას ყველასგან განსხვავებით, საკმაოდ დახვეწილად ეცვა, თითქოს ოფიციალურ შეხვედრაზე მიეშურებო. ხელშიც მოზრდილი ჩანთა ეჭირა. ასეთი ფორმით, აეროპორტში გასამგზავრებლად გამზადებულს უფრო ჰგავდა, ვიდრე სამუშაოს მაძიებელს.

ბირჟაზე მანქანა გაჩერდა. სამსახური შემომთავაზეს, რომელიც საწყობში. დაეთანხმდი და მანქანაში ჩავჯექი. აღმოჩნდა, რომ მეორე კაციც სჭირდებოდათ და რატომღაც, ის სადღესასწაულოდ გამოწვრილებილი მამაკაცი აირჩიეს. ისიც მოვიდა. გამართული ინგლისურით ლაპარაკობდა, ფასზე მალე შეთანხმდნენ და გვერდით მომიჯდა. ახლა უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ამერიკელი იყო, მაგრამ გაოცებული ვიყავი ისეთი რა გაუჭირდა, რომ ჩვენს უბარუკ შრომის ბირჟაზე დადის-მეთქი? თანაც, თავსატეხი გამიჩნდა, სამუშაოზე ასე გამოწვეპილი რისთვის დადის, აქ თავს ვის აწონებს-მეთქი? ამ ფიქრებში ვარ და...

– ნეტავი, მძიმე სამუშაო არ იყოს!.. – თავისთვის ქართულად ჩაილაპარაკა ჩემ მიერ ამერიკელად შერაცხულმა ჩემმა „კოლეგამ“.

გაოცებულმა გადავხედე.

– ჰო, არ მინდა, ძალიან დავილაღე. გუშინ სიქა გამძვრა მუშაობით... – განაგრძო ახალმოხულმა.

– ქართველი ხართ?! ნამდვილად არ მოველოდი. საიდან ხარ? (მისმა ქართველობამ ისე გამახარა, რომ შენობით მიმართვაზე გადავედი).

– ყველას რუსი ან ამერიკელი ვგონებარ... ამ ამბავს შევეჩვიე. ისე, თბილისელი ვარ, საბურთალოზე ვცხოვრობ... – გამიღიმა მან.

– მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი. აკაკი!.. – ხელი გავუწოდე.

– დიმა ბაზელი! – მითხრა და ბავშვივით გამიღიმა.

ამასობაში, საწყობთანაც მივედი, საქმეს უნდა შევდგომოდით – დიდი ტრიალერიდან საშუალო ზომის ყუთები უნდა გადმოგველო და სპეციალურ სათავსებში შევვებინა. 5-6 საათის საქმე იყო... ეს დრო საკმარისი აღმოჩნდა საიმიხოდ, რომ ერთმანეთი გავგეცნო.

დიმა სამი თვის წინ ჩამოსულა ამერიკაში. თავდაპირველად, ოჰაიოს შტატში დაუწყია სუპერმარკეტში მუშაობა. რატომღაც, ბოსი ფულს არ უხდიდა, სულ ჰპირდებოდა, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა... ბოლოს, იძულებული გახდა, ოჰაიო დაეტოვებინა და ნიუ-იორკში ჩამოსულიყო. ბევრი უხეტიალია სასტუმროდან სასტუმ-



როში და ბოლოს ჩვენთვის ნაცნობ დეიდა თამარას საერთო საცხოვრებელში მოხვედრილა. იქ კიდევ, ამ სასტუმროსთვის დამასწავლებელი ჩვეულებრივი ამბავი მომხდარა — საფუძველზე მოუპარავთ და უკაპიკოდ (უკაცრავად — უცენტოდ) დარჩენილა. უჩხუბია კიდევ, მაგრამ არც საფუძველზე დაუბრუნებია ვინმეს და გაანჩხლებულ სასტუმროს მეპატრონესაც გამოუგდა. ასე დარჩენილა ქუჩაში. მეხუთე დღე იყო, რაც ღამდამობით მეტროში ჩადიოდა. უძილობისგან თვალები ესუჭებოდა და ამიტომ ცდილობდა, მსუბუქი საქმისთვის მიეგნო.

— ეს რამდენი გიწვალა!.. დავიჯერო, ნიუ-იორკში ნაცნობი არავინ გყავს? — გამოსავალს დაუწყვე მენა.

— კი მყავს, მაგრამ ვისაც დაუბრუნებ, ყურმილი არავინ აიღო... — შემომჩვილა დიმა.

— მერე, ბირჟაზე მაინც გეკითხა ვინმესთვის! — რამდენი ქართველი დგას იქ?!

— რა ვიცი, ვერ გავბედე... რაღაც, უნდობლად ვუყურებ ყველას.

— ასე გაგიჭირდება, დიმა! ცოტა მეტი სითამამე საჭირო, თორემ ამერიკა პრობლემების ქვეყანაა, ძმაო... — ვუთხარი დიმას და მუშაობა გავაგრძელე. ყუთები საკმაოდ მტვრიანი იყო და რამდენიმე საათში, ერთიანად ამოვივანგლე, ხელები და ტანსაცმელი სულ გაშავებული მქონდა. დიმას გადავხედე და სახტად დავრჩი: ხომ ჩემსავით მუშაობდა, მაგრამ „ბოლო მოღაზე“ შეკერილ მის შარვალსა და კიტელს არაფერი ეტყობოდა, კაცი იფიქრებდა, ტვირთს კი არ ზიდავს, არამედ პოლიუმზე გამოდისო.

— დიმა, თბილისში რას საქმიანობდი? — დავინტერესდი.

— დიზაინერი ვარ... დროდადრო, სხვა საქმიანობაც ვიყავი დაკავებული...

— ასე სუფთად როგორ ახერხებ მუშაობას? — ნამდვილად ვერ დავფარე ჩემი განცვიფრება.

— ვახერხებ, რა... — იყო პასუხი და დიმა მორიგი ყუთი აიღო.

რაც მართალია, მართალია, ადამიანები ერთად მუშაობისას უახლოვდებიან ერთმანეთს, საერთო ტვირთი, სახიარო პრობლემები აახლოვებს ადამიანებს.

— დიმა, ამბობ — ქართველი ვარო და ეს სადაური გვარი გაქვს — ბაზელი? — შევუთამამდი დიმას და ახლა, მისი გვარის წარმოშობითაც დავინტერესდი.

— შენ პირველი არა ხარ, ვინც ამას მეკითხება. დედა რუსი მყავს, მამა კი — ქართველი. ჩვენ ზუგდიდიდან ვართ, გვარად ჭკადუბები(!). ჩემი დიდი ბაბუა პირველი მსოფლიო ომის დროს, შვეიცარიაში, ქალაქ ბაზელში მოხვედრილა. იქიდან რომ ჩამოსულა, თანასოფლელები შოთა ბაზელს ეძახდნენ თურმე. ჰოდა, იქიდან მოყოლებული, მის შთამომავლობას ბაზელად მოვიხსენიებენ. პასპორტშიც ბაზელი გვიწერია ყველას... — დაწვრილებით ამიხსნა დიმა თავისი გვარის ეტიმოლოგია.

— კიდევ კარგი, ბაბუაშენი ბუდაპეშტში არ მოხვდა თორემ იქნებოდი ახლა შენ გვარად ბუდაპეშტი... — ცვადა ვახუშტურა.

— ისე, რას იტყვი, ბაზელი ხომ ჯობია ბუდაპეშტს?... — თითქოს თავი იმართლა დიმა.

... როგორც იქნა, ყუთები გადმოვტვირთეთ და გასამრჯელოც მივიღეთ. დიმა გულმოდგინედ დათვალია ფული, გულის ჯიბეში ჩადიო და ცივად დამემშვიდობა.

— ბირჟაზე შევხვდებით!.. — დასძინა და მეტროს მიმართულებით გასწია. უცბად, გამოვხიზლდი:

— დიმა, ამაღამ სად უნდა დაიძინო? — მივაძახე კარგა შორ მანძილზე წასულს.

— რამეს მოვიფიქრებ... — უგულოდ მიპასუხა, თანაც ჩემკენ არც გამოუხედავს.

— დიმა, დამელოდე ერთი წუთი!.. ის გაჩერდა და გაკვირვებულმა შე-

მომხედა.

— რა გინდა, აკაკი?

— წამოდი, ეს ღამე ჩემთან გაათენე. თუ მოგეწონება, დარჩი და იცხოვრე...

დიმა გააოგნა ჩემმა მოულოდნელმა წინადადებამ. გოცნებული, ხმას ვერ იღებდა. ერთხანს ვერ გადაეწყვიტა, რა ეთქვა, ბოლოს კი, როგორც იქნა, გაბედა:

— დიდი მადლობა, აკაკი!.. ისე, რამდენი იქნება ბინის ქირა გადასახდელი? — მორიდებულად მკითხა.

— შენ მაგას ნუ დარდობ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე და შენ გავიხსარდება!.. — ხუმრობის ხასიათზე დავდექი, დიმას ხელი გადავხვიე და ლილინ-ლილინით წავედი თ დედა სვეტას სახლისკენ...

— დედა სვეტა, დღეს ერთი კარგი ბიჭი უნდა გაგაცნო!.. — შინ შესვლისთანავე გავძახე ჩემს დიასახლისს.

— თუ შენისთანა კარგი ბიჭია, მაგას რა სჯობს, შვილო? — მოდით, დავილაღე ლოლინით... — გამიღიმა დედა სვეტამ და დიმას ხელი ჩამოართვა.

სასტუმრო ოთახში შევედი. დიმა ერთი შეათვალიერა იქაურობა და ჩუმად მითხრა: ასე მგონია, ძველ რუსულ ოჯახში ვარო. არც ცდებოდა. ძველებური რუსული სამოვარი, სასაცილო „მატრიოშკები“, რუსული ფაიფურის სერვიზები, ცნობილი ფაიფურისევე როჭო... ყველაფერი ეს დედა სვეტას თან წამოიღო რუსეთიდან და აქ, ბრუკლინზე, თითქოს ისევ რუსულ გარემოში გრძნობდა თავს...

— ვახშამი ათ წუთში იქნება! — გამოვძახა დედა სვეტა სამზარეულოდან.

— შენი ნათესავია? — მკითხა დიმა.

— არა, მაგრამ ძალიან კარგი ქალია, დედასავით მევლება თავს. თუ კარგად მოიქცევი, შენც შეგიყვარებს... — ავუსხენი დიმას.

— ბედი გქონია! არ მეგონა, ამერიკაშიც თუ იყვნენ ასეთი ადამიანები. მე სადაც კი ცხვირი შეგყავი, ყველგან პრობლემები შემექმნა... — დანაწებით თქვა დიმა.

— ნუ ნერვიულობ. პრობლემები დაივიწყე. ამერიკაში, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, სერიოზულ სამუშაოს მოკიდო ხელი, — გავამხნევე დიმა. ის მაინც უნდობლად მიყურებდა და არ იცოდა, რა ეთქვა.

ერთი საათის შემდეგ, როცა უკვე გემრიელად ვივასშმეთ, ტელევიზორთან ვისხედით და ფორთოხლის წვეს მივირთმევდით, დიმა კმაყოფილი სახით მომბრუნდა და მითხრა:

— სამი თვეა, რაც ამერიკაში ჩამოვედი და მხოლოდ ახლა ვიგრძენი თავი ადამიანად. დიდი მადლობა, კაკო, ალბათ ფორტუნამ ჩემკენაც გამოიხედა...

უინ მთიპთუემს წლის საუკეთეს ბრძოლს?

ცნობილია, რომ პოლიეუდის ორი სუპერვარსკვლავის – ჯულია რობერტსისა და ნიკოლ კიდმანის ჰონორარები 15 მლნ დოლარს აჭარბებს ხოლმე, აფიშაზე მხოლოდ მათი სახელის გამოჩენა კი, საკმარისია იმისათვის, რომ ფილმმა წარმატება მოიპოვოს და უდიდესი შემოსავალიც მოუტანოს სტუდიას. ამჟამად, წლის საუკეთესო როლის მოსაპოვებლად ამ ორ გიგანტს შორის მიმდინარეობს ბრძოლა. საინტერესოა, რომელი მათგანი



გახდება ღორის ღიუკი?! საქმის არის, რომ პოლიეუდში, ცნობილი მილიონერის – ღორის ღიუკის ბიოგრაფიული ფილმის გადასაღებად ემზადებიან. გოგონას, რომელსაც მამა ბავშვობაში გარდაეცვალა, მემკვიდრეობით სამი მილიარდი დოლარი ერგო და მსოფლიოს

უმიდრესი ადამიანი გახდა. იგი 1993 წელს, 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს პოლიეუდის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური პროექტი გახლავთ, რადგან ღორისის ანდერძში მკაფიოდ იყო მითითებული, რომ მისი ცხოვრების ინტიმური დეტალები, პუბლიკისათვის ხელმისაწვდომი არასოდეს უნდა გამხდარიყო. თუმცა, რობერტსისა და კიდმანის განსაკუთრებულ ყურადღებას, სწორედ მისი ბიოგრაფიის ეს ასპექტი იქცევს. თამბაქოს უდიდესი კომპანიის მფლობელი ქალბატონი ხომ ორჯერ გახლდათ გათხოვილი და მისი ორივე ქორწინება უდიდესი სკანდალით დასრულდა. ამასთან, მას საყვარლების არმიაც ჰყავდა, რომელთა შორის იყვნენ, მსახიობი ეროლ ფლინი და გენერალი ჯორჯ პატონი.

შაკიტამ პიტად მცულთა მთელი აბმია დაიძინა



თქმით, მან მცველთა მთელი არმია დაიქირავა, რათა ბრიტანეთში გასტროლებისას მათ, მისი უსაფრთხოება 24 საათის განმავლობაში უზრუნველყონ.

ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, შაკირამ სიკვდილის მუქარით აღსავსე რამდენიმე წერილი მიიღო. კოლუმბიელმა მსახიობმა, რომელიც ამჟამად მაიაშიში ცხოვრობს, ამ მუქარის შემდეგ, პირადი უსაფრთხოების მიზნით, მცველები აიყვანა. როგორც ამბობენ, შაკირა იმდენად დამფრთხალია, რომ სამშობლოში ჩასვლასაც კი ვეღარ ბედავს. მომღერლის

აგილოტას ოცნაური გემთუნება ბჭღნია

ყველასათვის მოულოდნელად, 22 წლის მომღერალი, კრისტინა აგილერა, მამაკაცთა ჟურნალ MAXIM-ისათვის მიცემულ ინტერვიუში, თავის ცოტა არ იყოს, უცნაურ სექსუალურ გემოვნებაზე აღაპარაკდა. „მე მიყვარს სექსუალური თამაშობები. აი, ხელბორკილები კი ძალიან მახალისებს, – განაცხადა კრისტინამ, – მიყვარს ექსპერიმენტები, სხვაგვარად ჩემთვის ყველაფერი ძალზე მოსაწყენი ხდება“. ზედმეტად გულახდილმა პოპ-საოცრებამ დასძინა, რომ მისი აზრით, ყმაწვილი გონებამახვილობითა და გამოძვინებლობის უნარით უნდა გამოირჩეოდეს, ოღონდაც დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გოგონას ეს მოსწონს. „ზოგჯერ ნახად მოპყრობა და მოფერება მჭირდება, ზოგჯერ კი, ისეთი განწყობა მეუფლება, რომ რაღაც უფრო აგრესიულს მთხოვს სული“.



ღენი მთერტი ჯულიაჯე ოქვიანთმს

ცნობილი ოპერატორი, ღენი მოდერი, რომელმაც მისტერ ჯულია რობერტსის მეტსახელი მასთან დაქორწინების შემდეგ ვეღარ მოიშორა, ფრად უმაყოფილოა სახელგანთქმული მეუღლისა და ჯორჯ კლუნის ახლო მეგობრობით. ბრიტანულ ჟურნალ „კლოუზერში“ გამოქვეყნდა კლუნის მეგობრის ინტერვიუ, სადაც იგი ადასტურებს, რომ ჯულია დროის უმეტეს ნაწილს თავის ქმართან კი არა, სწორედ ჯორჯ კლუნისთან ატარებს; ამის გამო კი, ღენი მოდერი საოცრად უბედურად გრძნობს თურმე თავს. „სახიფათო გონის აღსარებების“ გადაღებისას (ამ ფილმში ჯორჯ კლუნის სარეჟისორო დებიუტი შედგა), ისინი ხშირად განმარტოვდებოდნენ ხოლმე და შემდეგ, კმაყოფილი ღიმილით ბრუნდებოდნენ გადასაღებ მოედანზე. მოდერი იძულებული გახდა, ტორონტოში ჩაფრენილიყო და საკუთარი თვალით ენახა, თუ რა ხდებოდა ჯულიასა და ჯორჯს შორის. როცა ის იქ ჩავიდა, ჯულიამ ყველაფრის ხუმრობაში გატარება სცადა, ქმარს კი გაჩენილი ეჭვების გამო, პარანოიკივით ნუ იქცევით, – გამოუცხადა. მან განაცხადა, რომ დასამალი არაფერი აქვს და ის და ჯორჯი თავს მხოლოდ და მხოლოდ ვიდეოთამაშებით იქცევენ და კიდევ, სასტუმროს მომსახურე პერსონალსაც ურეკავენ ხოლმე.



უაინტნა ტაიტი კლინიკაში მთათაესეს



ახალ წელს მსახიობი ლოს-ანჯელესის კლინიკაში, ექიმების გარემოცვაში შეხვდა. იმის შიშით, რომ უაინტონას თავისთვის არაფერი აეღებოდა, ახლობლებმა იგი სამკურნალოდ კლინიკაში გადაიყვანეს. ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომ ბოლო ხანებში, რაიდერმა რამდენჯერმე თავის მოკვლის სურვილი გამოთქვა. მსახიობს საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგას: ჯერ იყო და შეეყვარებულმა (მეთ დეიმონმა) მამის მიატოვა, როცა ყველა ფიქრობდა, რომ მათ ქორწინებას წინ აღარაფერი ედგა. ამას ქურდობაში ბრალდების გაუთავებელი სასამართლო პროცესები მოჰყვა. რას აღარ წერდნენ მასზე... ამდენმა უბედურებამ რაიდერი მორალურად და ფიზიკურად გატეხა. მას უძილობა დასწამდა, წონაში დაიკლო (45 კგ-ს იწონის) და ისეთი ღრმა დეპრესია დაეუფლა, რომ უახლოეს მეგობრებთან და ნათესავებთან კონტაქტსაც ძლივძლივობით ახერხებდა. ალბათ ექიმები დახმარებას აღმოუჩენენ და ბოლოს და ბოლოს, მისი ცხოვრების ეს უიღბლო მონაკვეთიც წარსულს ჩაჰპარდება.



ბასელ ძმთუ ინაუტომას აბ იმლის

რასელ ქროუმ, თავისი საცოლის, დენიელ სპენსერის რისხვა კვლავ თავს დაიტეხა. რასელი და დენიელი მოკლე ხანში დაქორწინებას აპირებენ, ქროუმ კი თავისუფლებასთან გამოსათხოვარი წვეულების აღნიშვნა, ფრიად ორიგინალურად განიზრახა: მან წვეულებაზე ყველა თავისი ყოფილი შეყვარებული დაპატიჟა. ცნობილი ავსტრალიელი ლოველასის სტუმრებს შორის, ბევრს ხვა ქალბატონთან ერთად მეგ რაიანი, შერონ სტოუნი, პეტა უილსონი და ერიკა ბაქსტერიც მოხვდნენ. ოჯახის მეგობრის თქმით, დენიელი საკმაოდ მშვიდად ხვდება ხოლმე საქმროს ასაკისათვის შეუფერებელ გამოხდომებს, თუმცა ამჯერად, თავი ვეღარ შეუკავებია და ისეთი სკანდალი მოუწვევია, რომ ყვირილის ხმა რანჩოს ფარგლებს გარეთაც კი ისმოდა. მაგრამ თანამედროვე გლადიატორს გადაწყვეტილება მაინც არ შეუცვლია და წვეულება ძალაში დაუტოვებია!



კლუნიმ მიგნესმენის სატცაბი ალთ გამთაულინა

ჯორჯ კლუნიმ The New-York Times-ისათვის მიცემულ ინტერვიუში კინობიზნესის წარმოების საკუთარ პრინციპებზე ისაუბრა. მაგალითად, „ლუშენის 11 მეგობრის“ გადაღებისას, სადაც კლუნინი არა მარტო მთავარი როლის შემსრულებლად მოგვევლინა, არამედ ამ ფილმის პროდიუსერიც გახლდათ, მას და სტივენ სოდერბერგს შემდეგი ტაქტიკა გამოუყენებიათ: კლუნის ნებაყოფლობით განუცხადებია უარი მაღალ ჰონორარზე და ამით მაგალითი მიუცია სხვა ვარსკვლავებისათვის, კერძოდ, ჯულია რობერტსისა და ბრედ პიტისათვის. ამის მეშვეობით დაზოგილი თანხით კი, კლუნის და სოდერბერგს სხვა პროექტები დაუფინანსებიათ. კლუნის აზრით, ბევრად უფრო იოლია 30-მილიონიანი ბიუჯეტისა და სამი ვარსკვლავის მონაწილეობით შექმნილი ფილმის კინობაზარზე წარმატებით გატანა, ვიდრე 40-მილიონიანისა და მთავარ როლში, თუნდაც უპოპულარულესი, მაგრამ ერთი მსახიობის მონაწილეობით გადაღებულია. აღმოჩნდა, რომ კლუნინი არა მარტო ჭეშმარიტი მსახიობის ნიჭით დაჯილდოებული, არამედ შესანიშნავი მენეჯერი და პროდიუსერიც ყოფილა.

ჰატისტონ თუბრმა სელგამლილთმა გამთიჩინა



60 წლის მსახიობმა არა მარტო ჩვეულებრივი საშობაო საჩუქრით გაახარა თავისი რჩეული ქალბატონი, კალისტა ფლოკპარტი, არამედ დამატებით, 1.200 დოლარად ღირებული „გუჩის“ ხელჩანთაც უსახსოვრა, რომელშიც 300-ათასიანი, პლატინის აღმასისთვლიანი ბეჭედი იდო. და მაინც, მისი მთავარი საჩუქარი ფლოკპარტისთვის ის იყო, რომ ფორდმა მას ხელი სთხოვა. „თანახმა ვარ, — უპასუხა ქალმა. — შენს სახელთან დაკავშირებულია საუკეთესო რამ, რაც კი ჩემს ცხოვრებაში მომხდარა მას შემდეგ, რაც ლაიაში ვიშვილე და ახლა, ორივეს გვსურს, შენთან ერთად ვიყოთ“. ამბობენ, რომ ჰარისონ ფორდს უკვე დიდი ხანია, სურდა ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან კალისტა პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა. ქორწილის თარიღს წყვილი უახლოეს მომავალში გამოაცხადებს.

სიარული სასარგებლოა



**რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამასაშვილი**

სირბილისაგან განსხვავებით, სიარული ყველა ასაკის ადამიანისთვისაა სასარგებლო, განსაკუთრებით – მოხუცებისთვის, რომლებსაც მძიმე ფიზიკური დატვირთვა არ შეუძლიათ. დამტკიცებულია,

რომ სიარული დადებითად მოქმედებს გულის მუშაობაზე, სისხლის მიმოქცევაზე, სუნთქვით სისტემაზე, აგრეთვე ამბარებს კუნთებს, კუნთოვან ქსოვილს, აქვს დადებითი ემოციური ზემოქმედება ორგანიზმზე. ასეთი ფიზიკური დატვირთვის დროს, სხეულის კუნთებისა და სახსრების უმრავლესობა მუშაობს, რის შედეგადაც უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა ორგანიზმში და მასთან მუცლის ღრუში, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია კარგი თვითშეგრძნებისათვის. სიარულის დროს, გულმკერდისა და მენჯის მოძრაობისას ხდება ღვიძლის, ელენთვის, კუჭქვეშა ჯირკვლის მასაჟი, აგრეთვე აქტიურდება საჭმლის მონელების პროცესი.

სეირნობა უმჯობესია დილით ან დღისით, მაგრამ არა ნაკამზე. სიარულის ტემპისა და ხანგრძლივობის შერჩევას აუცილებელია, ფიზიკური დატვირთვა თქვენს ორგანიზმის შესაძლებლობებს შეუფარდოთ. ყოველი გასეირნების შემდეგ, სიმწვევესა და ძალების მატებას უნდა გრძნობდეთ. სეირნობა მხოლოდ სიამოვნებას უნდა განიჭებდეთ. თუ იღლებით,

ე.ი. დატვირთვას ჭარბად იღებთ.

სუსტი ფიზიკური მონაცემების მქონე ადამიანებისთვის რეკომენდებულია ვარჯიშის დაწყება ნელი სიარულით – წუთში 60-70 ნაბიჯი. ამასთან, სეირნობის ხანგრძლივობა 30 წუთი უნდა იყოს, მარშრუტის სიგრძე – 2 კმ. ასეთი ტემპი პირველი კვირის განმავლობაში უნდა შეინარჩუნოთ.

მეორე კვირიდან, სიარულის სიჩქარე შეიძლება გაზარდოთ წუთში 90 ნაბიჯამდე, ხოლო დრო – 40-45 წუთამდე. ოპტიმალური შედეგი, რომელსაც შესაძლოა, მე-10 კვირაზე მიღწიოთ, არის 100 ნაბიჯი წუთში, 60 წუთი ხანგრძლივობა და მარშრუტი – 4,5 კმ.

ვარჯიში ყოველდღიურად უნდა შესრულდეს ან კვირაში 4-5-ჯერ მინიმუმ. სისტემატური ვარჯიშის დაწყებიდან 2 თვის შემდეგ, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობთ. გამაჯანსაღებელი სეირნობები გაზრდის თქვენს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს სხვადასხვა დაავადებისადმი და შეანელებს მასში დაბერების პროცესებს.

არ შეუზინდეთ კლიმაქსს!

რა დავუპირისპიროთ დაბერების პროცესს?

კლიმაქსი, როგორც ცნობილია, ემართებათ არა მხოლოდ ქალებს, არამედ მამაკაცებსაც. ამ დროს, ორივეს ორგანიზმი კარდინალურ ცვლილებებს განიცდის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქალებში ე.წ. გარდატეხის პერიოდი გაცილებით შესამჩნევია, ვიდრე მამაკაცებში. უპირველეს ყოვლისა, ეს მენსტრუალურ ციკლს ეხება.

თუ ქალი 45-55 წლის ასაკში გრძნობს უცნაურ „ალებს“, მას დაბეჯითებით შეიძლება ეუბნებოდნენ, რომ არ იღელვოს და მოთმინებით აიტანოს ყველაფერი, რაც მოხდება.

მამაკაცებში ეს პერიოდი უფრო მოგვიანებით – 60-65 წლის ასაკში დგება, მაგრამ იგი გაცილებით უფრო რთულად მიმდინარეობს და ორგანიზმში მნიშვნელოვანი ძვრებიც ხდება. ნევროზულობა და გალიზიანებულობა გაველენას ახდენს ფიზიკურ მდგომარეობაზე. ძლიერი სქესის წარმომადგენლები საერთოდ, ცდილობენ ხოლმე ემოციების შეკავებას, რაც განსაკუთრებით უარყოფითად აისახება კლიმაქსის პერიოდში. ჩნდება დაავადებები, რომელზეც მანამდე, ადამიანს წარმოადგენდა არ ჰქონდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კლიმაქსი ყველა ადამიანზე ინდივიდუალურად აისახება.



ბა. იგი ყველას „სუსტ წერტილში“ ურტყამს. ზოგისთვის ეს თავია, ზოგისთვის – ფეხები, ზოგისთვის – შარდ-სასქესო სისტემა, ზოგისთვის – სასუნთქო გზები.

მაგრამ ასეთი თავდასხმის გამკლავებაც შესაძლებელია. ექიმი შეგირჩევთ მკურნალობის სპეციალურ კურსს, რათა თქვენი ნერვები დაცული იყოს სტრესისაგან.

მეორე პრობლემას წარმოადგენს წონის მკვეთრი მატება ან კლება. პირველი უფრო ხშირია. ქალებისთვის ეს დიდ ტრაგედიას წარმოადგენს. საექიმო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არაადამიანური ძალისხმევით საჭირო იმისათვის, რომ კლი-

მაქსის პერიოდში მინიმალური დანაკარგებით გადავიტანოთ. წონის მატება განსაკუთრებით ცუდად აისახება ჯანმრთელობაზე. მამაკაცებში ყველაზე ხშირი გართულება, რომელსაც შეიძლება ასეთ დროს ველოდოთ, არის მიოკარდიუმის ინფარქტი. თუმცა, გამხდარ მამაკაცებსაც ემართებათ ეს გართულება.

კლიმაქსის პერიოდი კი, ყველასათვის ასეთია: ორგანიზმის დაბერების პროცესი გარდაუვალია და იგი უნდა მივიღოთ და მედრად გადავიტანოთ. როგორც ცნობილია, სხეული და სული ურთიერთკავშირშია. თუ სული არ ბერდება, მაშინ სხეულიც დიდხანს რჩება ლამაზი და ჯანმრთელი.

თუ ყნოსვა დაგიქვეითდათ



სუნების შეგრძნება გარე სამყაროს აღსაქმელად ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა, ყნოსვის დაკარგვისას კი, ადამიანის ცხოვრება უინტერესო, უფერული და „უმარილო“ ხდება... ყნოსვის ფუნქციის დაქვეითებას ჰიპოსმია ეწოდება. იგი ნებისმიერ ადამიანს შეიძლება დაემართოს. ხშირ შემთხვევაში, მას იწვევს ცხვირ-ხახის დაავადებები: გაცივება, ქრონიკული სურდო, ცხვირის წიაღების ქრონიკული ანთება – ჰაიმორიტი, ფრონტიტი, რინოვირუსული ინფექციები, ცხვირში არსებული აღენიღები და პოლიპები, ცხვირის ძვიდის გამრუდება. ზოგჯერ მისი მიზეზი ხდება ბავშვთა ისეთი დაავადებები, როგორცაა: ქუნთრუშა, წითელა და ყბაყურა. ჰიპოსმია შეიძლება იყოს ცალმხრივი

და ორმხრივი, იგი ვრცელდება ყველანაირ ან ზოგიერთ სუნზე.

დაგიქვეითდათ თუ არა ყნოსვა, ამის შემოწმება თავად შეგიძლიათ: უსუნეთ ნებისმიერ საპონს – სუნს შეიგრძნობთ, მაგრამ თუ ვერ გრძნობთ ძმრის ან რომელიმე სპირტის სუნს, ე.ი. ყნოსვა დაქვეითებულია. სასწრაფოდ უნდა მიმართოთ ექიმს, რათა არ გახდეთ საყოფაცხოვრებო საშუალებებით მოწამებული მსხვერპლი.

არსებობს ყნოსვის აღსადგენი ბევრი



საშუალება: თერაპიული, ფიზიოთერაპიული, ქირურგიული. გარდა ამისა, არსებობს ხალხური მედიცინის რეცეპტები, რომლის გამოყენება დამოუკიდებლადაც შეგიძლიათ:

1. აიღეთ სპილენძის მონეტა, წაუსვით თაფლი და ყოველდღე, 30 წუთით დაიმკვრეთ საღებუნის მეშვეობით ცხვირის შუა ხაზზე, ცენტრში. 15-20 პროცედურის შემდეგ, ყნოსვა უნდა დაგიბრუნდეთ.

2. ყოველდღე, 10 წუთის განმავლობაში დაჭიმეთ და მოადუნეთ ცხვირის კუნთები (ნესტოები). კუნთები დაჭიმულ მდგომარეობაში უნდა იყოს 1 წუთი.

3. ყნოსვას გაიუმჯობესებთ, თუ ცხვირით შეისრუტავთ მარილიან წყალს: 1 ჩ/ჭ თბილ, ანადულარ წყალში დანის წვერით ჩაყარეთ მარილი. დაიჭირეთ თითო ცხვირის ერთ ნესტოზე, მეორეთი კი შეისრუტეთ წყალი მანამდე, სანამ ყელში არ გადავა. გადმოაფურთხეთ და იგივე გაიმეორეთ მეორე ნესტოთი. წყალი მთლიანად გამოიყენეთ. ასე ჩაიტარეთ 10 პროცედურა.

4. ალუმინის პატარა ფირფიტა გარეცხეთ, გაამშრალეთ და მიიმკვრეთ ცხვირის ძვიდებზე საღებუნით. სამი პროცედურის შემდეგ, სასურველ შედეგს მიიღებთ.

5. მომინანქრებულ ჭურჭელში ჩაასხით 1 ჩ/ჭ წყალი, აადულეთ, დაამატეთ 10-12 წვეთი ლიმონის წვენი და 1 წვეთი ლავანდის ან პიტნის ზეთი. ორთქლი ისუნთქეთ 3-4 წუთი. მკურნალობის კურსია 10 პროცედურა (ყოველდღე ან დღეგამოშვებით).

ქრონიკული დაღლილობა

სინდრომის კიდევ ერთი მიზეზი

გერმანიის ქალაქ ტრირის უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს ჰორმონული დისბალანსი.

აღნიშნული სინდრომის ნიშნების გაჩენა პირდაპირ კავშირშია გადატანილ სტრესთან და მასთან დაკავშირებულ ჰორმონულ

დარღვევებთან, რომელიც ადამიანის ორგანიზმში ვითარდება. მანამდე კი ითვლებოდა, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომის განვითარებას იწვევს იმუნური სისტემის სტრესთან დაკავშირებული დარღვევები, აგრეთვე ამა თუ იმ ქიმიურ ელემენტთა სიჭარბე ორგანიზმში და მრავალრიცხოვანი ალერგია.

გერმანელ მეცნიერთა აღმოჩენა დამატებით შემოწმებასა და დადასტურებას საჭიროებს.

თუ თქვენს ბავშვს აწუხებს ქრონიკული ჩირქოვანი ტონზილიტი („გლანდები“), თუ გაქვთ ქრონიკული ბრონქიტი, ჰაიმორიტი, ბრონქოექტაზიური დაავადება, მძიმე თანამარ გამაცავშილი გამკურნალებთ მეცნიერული მედიცინისა და თაფლის გამოყენებით.

მის: ქავთარაძის 16 „ლეკომბინატი“ VI სართ, ოთ. 612

მიღება სამშაბათს და ხუთშაბათს 12-დან 14 სთ-მდე

ინვალიდი ბავშვები

ინვალიდ ბავშვთა პრობლემა მრავალ ქვეყანაში სახელმწიფოს ზრუნვის საგანია. ეს მტკივნეული თემა მეტად სათუთო და საფერებელია მთელი საზოგადოებისათვის, რადგან ასეთი ბავშვები არა მარტო ნარკომანებისა და ლოთების ოჯახებში ჩნდებიან. დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებული ბავშვები, მშობლების ცხოვრების წესისა და ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, იბადებიან და შემთხვევათა 80%-ში დიაგნოზს სამშობიარო ტრავმის შედეგად განვითარებული ბავშვთა ცერებრული დამბლა წარმოადგენს.

კიდევ ერთი დიდი პრობლემა ინვალიდ ბავშვთა მშობლების საკითხია. მათთან ცალკეა საჭირო მუშაობა. ისინი იზოლაციაში ამყოფებენ თავიანთ პატარას, იცავენ ვარე სამყაროსთან კონტაქტისაგან. არადა, ასეთ ბავშვებს, ჯანმრთელებთან შედარებით, ისედაც უჭირთ სხვებთან ურთიერთობა და რაც უფრო დიდხანს მოვამორებთ მათ გარემოს, მით მეტად გაუძნელებათ კონტაქტების დამყარება. ბევრმა მშობელმა არც კი იცის, რომ დროულად დაწყებული განმავითარებელი ვარჯიშები აუცილებელია ინვალიდი ბავშვისათვის, რათა მისი განვითარება არ ჩამორჩეს ჯანმრთელი თანატოლის განვითარების დონეს. იყო შემთხვევები, როდესაც ფსიქიატრის მიერ სამი წლის ბავშვს დაესვა დიაგნოზი – „ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა“ და გამოცდილი

ფსიქოლოგ-პედაგოგების მუშაობის შედეგად, შვიდი წლის ასაკში ასეთი ბავშვი ჩვეულებრივ სკოლაში წავიდა.

ამდენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაავადების ადრეულ სტადიაზე შემჩნევას.

როგორ აღმოვაჩინოთ განვითარების შეფერხება

ბავშვს უნდა შეეძლოს:

პირველი თვის ბოლოს – მუცელზე წოლისას ცოტა ხნით თავის აწევა; მხერის ფოკუსირება სახეზე.

მეორე თვის ბოლოს – გაღიძება, თქვენი ღიმილის საპასუხოდ. მის წინ მოძრავ საგანზე თვალის გაყოლება, ხმაურზე რეაგირება, „ააუს“ თქმა.

მესამე თვეზე – მუცელზე წოლისას თავის აწევა 45 გრადუსით.

მეოთხე თვეზე – მუცელზე წოლისას, თავის აწევა 90 გრადუსით, ხმადასის სიცილი, მისი სახიდან 180 გრადუსის დიაპაზონში მოძრავ საგნებზე თვალის გაყოლება.

მეხუთე თვეზე – თავის მყარად დაჭერა ვერტიკალურ მდგომარეობაში, მუცელზე წოლისას ხელზე დაყრდნობა და თავის აწევა, გადაბრუნება, ყურადღების მიქცევა ძალიან პატარა საგნებზე, ალტაცების გამოხატვა, საგნისაკენ გაწევა, სპონტანურად გაცინება, საჩხაკუნოს დაჭერა თითის წვერებით.

მექვსე თვის ბოლოს – თავის დაჭერა ტანის დონეზე, დაჯდომის დროს, თანხმობანი და ხმოვანი ბგერების წარმოქმნა.

მეშვიდე თვის ბოლოს – ჯდომა დაყრდნობის გარეშე.

მერვე თვის ბოლოს – ვერტიკალურ მდგომარეობაში ჭერისას წონის ნაწილის გადატანა ფეხებზე; საგნების გადატანა ერთი ხელიდან მეორეში; პატარა საგნის მუჭში დაჭერა; ხმაურის მხარეს მობრუნება. დავარდნილი საგნის ძებნა.

მეცხრე თვეზე – მისთვის მიუწვდომელ საგან-

თან მიღწევის მცდელობა.

მეათე თვეზე – ღდომა, რაიმე საგანზე ხელის მოკიდებით; მჯდომარე მდგომარეობიდან წამოდგომის მცდელობა; წინააღმდეგობის გაწევა სათამაშოს წართმევისას; სიტყვების („დედა“, „მამა“) გაურკვევლად წარმოთქმა; დამალობანას თამაში.

მეთერთმეტე თვეზე – მუცელზე წოლითი მდგომარეობიდან დამოუკიდებლად დაჯდომა; ზედაპირიდან პატარა საგნების აღება ცერა და საჩვენებელი თითებით; უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს „არ შეიძლება“, მაგრამ ყოველთვის არ დაემორჩილოს.

მეთორმეტე თვეზე – იაროს ავეჯზე ხელის მოკიდებით.

თუ თქვენ გეჩვენებათ, რომ თქვენი პატარა ვერ პასუხობს ასაკობრივ ნორმებს, სჯობს, დროულად მიმართოთ ექიმს. იმედია, ბავშვს ყველაფერი რიგზე ექნება, მაგრამ მანც თავის დაზღვევის მიზნით, უკეთესია პრობლემის ჩანასახშივე გამოვლენა. ნაადრევი მშობიარობის შედეგად დაბადებული ბავშვები შედარებით ნელა ვითარდებიან და ძირითად მარცხებლებსაც უფრო გვიან აღწევენ.

მშობელთა პრობლემა

მთელი პრობლემა ისაა, რომ მშობლები საშინლად უბედურები არიან იმის გამო, რომ მათი შვილი ინვალიდია. როდესაც მათ სულში რაღაც იცვლება, როცა მშობლები იწყებენ ბუნდოვნების შეგრძნებას, ბავშვიც იცვლება. ამიტომ, თუმცა მეტად რთულია ამ ადამიანთა ზვედრი, თავიანთი შვილის მომავლისათვის, მისი ბუნდოვნებისათვის, მათ უნდა შეძლონ ამ პრობლემის სხვაგვარად აღქმა. ღვთის ნება არ უნდა გახდეს ჩვენი ყოველდღიური ტანჯვის საგანი, არამედ მორჩილებითა და სიმშვიდით უნდა მივიღოთ ის, რაც მოგვეცა.

ნუ გამოარჩევთ თქვენს შვილს სხვებისაგან, ნუ დამალავთ მას საზოგადოებისაგან. ჯანმრთელი ბავშვების გვერდით ასეთი პატარები უფრო სწრაფად ვითარდებიან. „ინვალიდის“ იარლიყი კი აფერხებს მათ ცხოვრებას, უსპობს ინდივიდუალობას. ჩათვალეთ ისინი ჩვეულებრივ ადამიანებად, მოიკრიბეთ მოთმინება და თქვენი პატარა აუცილებლად შეძლებს, გახდეს საზოგადოების წევრი.



მოკრით გასივებას უნამლოდ

თაფლის რეცეპტები

გაცივებისა და გრიპის დროს, ნუ იჩქარებთ ანტიბიოტიკების მიღებას. ანთებითი პროცესის შეჩერება ნატურალური თაფლითაც შეიძლება.

● ერთმანეთში კარგად აურიეთ 100 გ თაფლი და ერთი ცალი ლიმონის წვენი. მიიღეთ ძილის წინ, თითო სუფრის კოვზი, ცხელ ჩაისთან ან რძესთან ერთად.

● აიღეთ თანაბარი რაოდენობის თაფლი და ბოლოკის წვენი. მიიღეთ თითო ს/კ 2-3-ჯერ დღეში (ბავშვებს მიეცით თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ).

● კარგად აურიეთ ერთმანეთში 2 ს/კ კარაქი, 1 ჩ/კ ფქვილი, 2 ჩ/კ თაფლი, 2 ახალი კვერცხის გული. მიიღეთ თითო ჩ/კ დღეში რამდენჯერმე.

● აიღეთ თანაბარი რაოდენობის თაფლი და ხახვის წვენი, აურიეთ და მიიღეთ 2 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში.

● გაფცქვნილი და წვრილ სახეზე გახეხილი ნიორი შეურიეთ თანაბარი რაოდენობის თაფლს. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი ძილის წინ. დააყოლეთ ანადუღარი წყალი.

● აიღეთ თითო ს/კ ცაცხვის ყვავილი და მოცხარის ნაყოფი, დაამატეთ 2 ჩ/კ მღულარე წყალი, ადუღეთ 5 წთ, დააყოვნეთ 15 წთ, გაწურეთ და ნახარში გასხენით 2 ს/კ თაფლი. მიიღეთ 1/2 ჩ/კ 3-4-ჯერ დღეში, როგორც სიცხის დამწვევი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება.

● ძლიერი სურდო შეიძლება ფიჭვის ლეჭვით მორჩინოთ. რეკომენდებულია ფიჭვის ლეჭვა ყოველ საათში ერთხელ და ეს პროცესი 15 წუთს უნდა გრძელდებოდეს. მწვავე ანთების დროს, საკმარისია 4-6-საათიანი, ერთი ასეთი კურსი. ცხვირი სუფთავდება, დანამატი წიაღების არეში მტკივნეულობა ქრება. ერთი კვირის განმავლობაში, რეკომენდებულია ფიჭვის ლეჭვა დღეში ერთხელ, მოსალოდნელი რეციდივის (დაავადების განმეორებით გამწვავების) თავიდან ასაცილებლად.

● ბავშვებისათვის რეკომენდებულია ფიჭვის ლეჭვა დღეში ერთხელ და 2 ჩ/კ თაფლის მიღება ყოველდღიურად, ძილის სასწავლო წლის განმავლობაში. ასე სურდოსა და გრიპის განვითარების საშიშროება ძალიან უმნიშვნელო იქნება. ■



იოდის დეფიციტის პრობლემა

იოდის დეფიციტი მსოფლიოს მოსახლეობისთვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სწორედ იგია 43 მილიონი ადამიანის გონებაჩლუნგობის გამომწვევი მიზეზი. ყოველწლიურად, იოდის უკმარისობის გამო, თანდაყოლილი კრეტინიზმით 100 ათასი ბავშვი იბადება.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, იოდის დეფიციტით გამოწვეულ დაავადებებთან ბრძოლა წარმოადგენს.

ორგანიზმში იოდის დეფიციტის სიმპტომები ასეთია:

● ემოციური: დათრგუნვილი გუნება-განწყობილება, ადრენალიზაცია, მოულოდნელ მდგომარეობა, მეხსიერების გაუარესება, ინტელექტის დაქვეითება, ხშირი თავის ტკივილი.

● კარდიოლოგიური: ათეროსკლეროზი, რომელიც დიეტითა და მედიკა-

მენტებით მკურნალობას არ ექვემდებარება; არითმია, რომლის დროსაც წამლებით მკურნალობა არ იძლევა საგრძნობ და ხანგრძლივ ეფექტს; ქვედა ანუ დიასტოლური წნევის მატება სისხლძარღვთა კედლების შემუშების გამო.

● იმუნოდეფიციტური: ხშირი ინფექცია და გაცივებით გამოწვეული დაავადებები, რაც ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებასთანაა დაკავშირებული.

● გინეკოლოგიური: მენსტრუალური ციკლის ხშირი დარღვევა, უშვილობა, მასტოპათია.

სამწუხაროდ, იოდის დეფიციტი მთელ ორგანიზმზე ახდენს გავლენას. იგი ხშირად, ბევრი ავადმყოფობის ფარულ მიზეზს წარმოადგენს. ასეთ დროს, ტრადიციული მეთოდებით ამ დაავადებათა მკურნალობა სათანადო შედეგს

არ იძლევა.

იოდის უკმარისობის მსგავსად, ორგანიზმისათვის იოდის სიჭარბეც საზიანოა. მეცნიერებმა სცადეს, იოდის ოპტიმალური რაოდენობით შეყვანის გზისთვის მიეკვლიათ. შედეგად იოდის დასაღწევად, იოდის დეფიციტისაგან თავის დასაღწევად, იოდის დეფიციტის მარცხი იყენებდნენ, მაგრამ ხშირად, შედეგი ნეგატიური იყო. აღმოჩნდა, რომ იოდის დიდი დოზა ისევე იწვევს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს, როგორც მისი ნაკლებობა.

იოდის დეფიციტის დიაგნოსტიკა შესაძლებელია შარდისა და სისხლის სპეციფიკური ანალიზებით. გირჩევთ, საეჭვო შემთხვევაში ჯერ განსაზღვროთ, გაქვთ თუ არა ორგანიზმში იოდის ნაკლებობა და შემდგომ, ექიმის მეთვალყურეობით, მისი დეფიციტის შესწავლა იზრუნოთ. ■

მკურნალობა მარილით

გრიპი, სურდო და ბრონქიტი თურმე შეიძლება მარილით მოვირიცხოთ. თუ იგრძნობთ, რომ გაცივდით, გაურჟოლებთ, გახველებთ, ცხვირით ვერ სუნთქავთ და სიცხემაც ავიწიათ, გირჩევთ:

● გააცხელეთ მარილი ტაფაზე, ჩაყარეთ ტილოს ტომისკაში და დაიდეთ ტერფებზე, გაიჩერეთ მანამდე, ვიდრე სითბოს მთელ

სხეულში არ შეიგრძნობთ.

● შალის წინდებს კარგად შეახებთ მარილი და ისე ჩაიცვით.

● შეურიეთ ცხელი მარილი მღოვცს (1 კგ მარილი და 3-4 ს/კ მღოვცი), ჩაყარეთ ცხელ წყალში, ჩაიცვით თხელი წინდები და ჩააწყვეთ ფეხები თასში. ■

შემასხები სუპერთანამედროვე მუგადადით იასპატივებს

ევროპის ჟურნალისტთა კავშირის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, 2002 წლის კონტინენტის სპორტსმენად Ferrari-ს გერმანელი სუპერპილოტი, მიხაელ შუმასერი დასახელდა, რომელმაც შარშან, მესუთედ იზეიმა მსოფლიო ჩემპიონობა. „წითელმა ბარონმა“ გამოკითხვაში მიღებული ხმების რაოდენობით უკან ჩამოიტოვა ნორვეგიელი ბიატლონისტი, ოლე-ეინარ ბორნდალენი. შუმასერმა ეს ტიტული მეორედ მოიპოვა. პირველად, ევროპის საუკეთესო სპორტსმენად ის 1994 წელს დაასახელეს.



ევროპის საუკეთესო ქალი სპორტსმენი კი, ხორვატიელი მოთხილამურე, იანცა კოსტელინი გახდა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო სოლტ-ლეიკ სითის ზამთრის ოლიმპიადაზე.

აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, Ferrari-ს სახელოვანი მრბოლელი მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. გერმანიის საუკეთესო სპორტსმენად, ტრამპლინიდან მსტომელი, სვენ ხანველდი დასახელეს, ხოლო მეორე ადგილი – NBA-ში მოთამაშე ღირკ ნოვიცკის ერგო. მიხაელ შუმასერის წარუმატებლობის მიზეზად სამშობლოში, „ფორმულა-1“-ის

რბოლებზე შარშან მომხდარ ფაქტს ასახელებენ: ავსტრიის გრან-პრის გათამაშებისას, ტრასაზე პირველ პოზიციაზე რუბენს ბარიკელო იმყოფებოდა, მაგრამ Ferrari-ს ბრავილიელმა მრბოლელმა ბოქსიდან გამოსვლისას, დაუთმო გზა თავის გერმანელ თანაგუნდელს, რომელსაც იმ რბოლაში გამარჯვება 2002 წლის სეზონის დასრულებამდე მესუთედ მოუტანდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. როგორც ჩანს, არასპორტული საქციელი შუმასერს ევროპელმა ჟურნალისტებმა აპატიეს, მაგრამ ეს ფაქტი მისსავე სამშობლოში ვერ დაივიწყეს.

„ფორმულა-1“-ის მოყვარულებს იმასაც

ვაცნობებთ, რომ მალე, კომპანია Boffins-ი დაამთავრებს მიხაელ შუმასერისთვის განკუთვნილი სპეციალური სარბოლო მუხარადის დამზადებას, რომლითაც გერმანელი პილოტი მომავალ სარბოლო სეზონში იასპარეხებს. ეს სუპერმუხარადი საბრძოლო ვერტმფრენის, პილოტის მუხარადის მსგავსი იქნება – მას აღჭურავენ ხედვის ლაზერული სისტემით, რომლის საშუალებითაც „წითელი ბარონი“ უშუალოდ რბოლის პროცესში მიიღებს დაწვრილებით ინფორმაციას თავისი ბოლიდის, ტრასისა და სხვა მრბოლელთა ავტომობილების პოზიციების შესახებ. ამ მუხარადის მეშვეობით, შუმასერი იმასაც კი დაინახავს, თუ რა ხდება მის ზურგს უკან (ამ ყველაფერს ბოლიდის უკან დაყენებული ორი ვიდეოკამერა უზრუნველყოფს). სიანლეა ისიც, რომ მუხარადში ჩამონტაჟებული იქნება გლობალური სათანამეზავრო სისტემა, რაც Ferrari-ს ავტოპილოტს იმის საშუალებას მისცემს, რომ რამდენიმე სანტიმეტრის სიზუსტით განსაზღვროს თავისი მდებარეობა სარბოლო ტრასაზე. ახალი მუხარადი, ფაქტობრივად, ტყვიაგაუმტარი მასალისაგან მზადდება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მრბოლელის უსაფრთხოების ხარისხს. საინტერესოა, რომ ამ აღჭურვილობის მას სულ 1,1 კგ იქნება (დღემდე, სუთგზის მსოფლიო ჩემპიონი 600 გრამით უფრო მძიმე მუხარადს ატარებდა). ბოლოს დაემთი, რომ საოცარი მუხარადის დამზადება Ferrari-ს 1 მილიონი დოლარი დაუჯდება. ■

მეტა უკრაინის პრემიერ-მინისტრის მძიჯლად დანიშნეს



ცნობილი მძლეოსანი, სერგეი ბუბკა უკრაინის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ იანუკოვიჩის მრჩეველად დანიშნა. უკრაინის მინისტრთა კაბინეტის მიერ ამას წინათ გამოცემული დადგენილებების თანახმად, ფრაქცია „უკრაინის რეგიონების“ წევრი, 39 წლის ბუბკა, საზოგადოებრივ საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი გახდა. სახელგანთქმული სპორტსმენი უკრაინის საკანონმდებლო ორგანოში ბლოკის – „ერთიანი უკრაინისათვის“ სიით შევიდა და ფიზიკური კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომიტეტში მოღვაწეობდა. შეგახსენებთ, რომ სერგეი ბუბკა 1988 წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში. გარდა ამისა, იგი ექვსჯგზის მსოფლიო ჩემპიონია და მსოფლიო რეკორდი 35-ჯერ აქვს დამყარებული. ბუბკა დიდი სპორტიდან ორი წლის წინ წავიდა, თუმცა, მისი რეკორდი – 6 მეტრი და 15 სმ – ჯერაც არავის გაუუმჯობესებია. ■

კთლუმიშიაში მთნფთიას სასელთმის ფტასა გაიხსნა

ბოგოტაში „ფორმულა-1“-ში მონაწილე გუნდის, BMW-Williams-ის ცნობილი პილოტის, ხუნა-პაბლო მონტოიას სახელობის კარტინგისტთა ტრასა გაიხსნა. სამკუთხედის ფორმის ტრასის დიზაინი თავად კოლუმბიელმა მრბოლელმა შეიქმნა. პირველ რბოლაში 200-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. აქვე მკითხველს შეგახსენებთ, რომ ხუნა-პაბლო მონტოია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი კოლუმბიელი ავტოპილოტია. იგი ამერიკული სერია CART-ის ჩემპიონი იყო. „ფორმულა-1“-ის მომავალ სარბოლო სეზონში კი, მონტოია ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევა. ■





მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი. ბილ გეიტსის უმედავ

		გაქვავებუ- ლი ნამარხი ფისი	მხატვრული ნაწარმოების „ჩოჩხი“	ქიმიური ჭურჭელი			ნობელი მიხაილ ქორთულაძე სიმღერაში				ანანიაშ- ვილი	
							ფელინის საფვარე- ლი მსახიობი				ცეცხლის ლვთაება ინდურ რელ-აში	თმის მოსაც- ილებელი ტალახი
		ანჟელიკა - მიშელ ...						იაპონური ფირმა	ჯუჯა ცხენი		სასიმინდე	
... ონასისი		იტალიის საფეხ- ბურთო კლუბი	„...ჭამა დიღად შესარგი“				სამი შემსრულე- ბელი				სიმებანი საკრავი	
									წინასწარი თანხა ბანქოს თამაშისას		ამოსვლა ისრაელში	
	იესოს მოსანა- თლი მდინარე				მს სხელზე ყვლზე მუ- ტი ეკლესია აგებული	ხარებთან მებრძოლი	რენტგენული გამოკვლევის ერთ-ერთი სახე	„კურიჭა- მია“ მოკრივე	მიუნ- ჰაუზენი			
				სხეული								
ტერნერი სასვენი ნიშანი							თმის მცენარეუ- ლი საღებავი					
ლერმონტ- ოვის პოეზ გარეული ცხოველი						ამერიკული სპორტული თვითმფე- რე	იანის ანტი პოლი					
							საძირეზე დასამენო- ბი შტო					
კურორტი თურქე- თში	სასწორის თევზი											
					ინე მსო- ბრე საშუ- ლათა ერ- თობლობა	წყლის დანალექი წმინდა სილა	შეადგინა რამაზ ალანიაშ					

30-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ბ; 3-ა; 4-გ.
41-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.

კვირის (20 - 26 იანვარი) ასტროლოგიური პროგნოზი

თხის რვა - 22/XII-20/I



ოჯახური სიმყუდროვით ტკობის პერიოდი გაქვთ - შინ გაცილებით უკეთ იგრძნობთ თავს, ვიდრე სხვაგან. მაგრამ ორშაბათს სამსახურში წასვლას ნუ დაიზარებთ და ენერგიულადც შეუდექით საქმეს, რადგან ამ დღეს აუცილებლად თქვენთვის რაღაც საგულისხმო მოხდება.

მეჩხელო - 21/I-19/II



ამ კვირაში ადამიანებთან ურთიერთობას, მანქანების, მექანიზმებისა და კომპიუტერების გარემოცვაში ყოფნას ამჯობინებთ. როგორც ჩანს, დაგაღალატ ზედმეტმა ემოციებმა, ამიტომ კარგი იქნება თუ სამშაბათს ერთი-ორ ახალ კომპიუტერულ თამაშს შეიძინებთ და განიტვირთებთ.

თევზები - 20/II-20/III



შესაძლოა, ამ კვირამ გამოცდა მოგიწიოთ ახლობლებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ეცადეთ, მოთმინებით მოუსმინოთ მათ და თუ საჭირო იქნა, მიუტევოთ ან დაამშვიდოთ. ახლა ძველი კავშირების რღვევის დრო არ არის, რადგან ისინი შემდგომშიც გამოგადგებათ.

მარსი - 21/III-20/IV




დინამიკური და წარმატებული კვირა გექნებათ. წინა თვის უსიამოვნებები წარსულს ჩაჰბარდება: სამსახურში თქვენი საქმის საუკეთესო სპეციალისტად გადიარებენ. სასიკეთო ძვრებია მოსალოდნელი პირად საქმეებშიც, განსაკუთრებით დაოჯახებული ვერძებისათვის. გარდა ამისა, შაბათი და კვირა ხელსაყრელი დღეები იქნება მოკლევადიანი მოგზაურობისათვის.

კურო - 21/IV-21/V



პარასკევი არცთუ ისე იღბლიანი დღეა. შავბნელ ფიქრებსა და ნეგატიურ ემოციებში ჩაუფლობით, ეჭვი და ბრაზი გულის დავიღრღნით, მაგრამ ორშაბათიდან ყველაფერი გამოსწორების გზაზე დადგება. ახლო მომავალში სასიამოვნო სიურპრიზები და ფინანსური მდგომარეობის გამოსწორება გელით.

მარსი - 22/V-21/VI



სამსახურში წარმოქმნილი კონფლიქტები და ურთიერთდაპირისპირებები, ორშაბათს თქვენი ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდება. ოღონდ, ამისათვის აუცილებლად დიპლომატიურობა უნდა გამოიჩინოთ. პარასკევიდან - კვირამდე კი, სასიყვარულო ინტრიგებითა და შეგობრებითა დროს ტარებით იქნებით დაკავებული.

პირსი - 22/VI-22/VII



დაიმასხოვრეთ: ნებისმიერ საქმეში, რომელსაც უახლოეს მომავალში თქვენ მახლობლად წამოიწყებენ, უნდა ჩაერთოთ! პროექტი, რომელიც ამ კვირაში სადღაც თქვენ გვერდით იღებს სტარტს, დიდ წარმატებებს გიქადით და მას აუცილებლად უნდა „მიეტმასნოთ“. ამგვარი საქმისთვის ღირს სხვა გეგმების გვერდზე გადაღება.

ლომი - 23/VII-23/VIII



დროა, გულახდილი იყოთ საკუთარ თავთან, დროა, თავ-თავისი ადგილი მიუჩინოთ და ობიექტურად შეაფასოთ საკუთარი ამბიციები და ქმედებები. დაფიქრდით, დიდებისაკენ ლტოლვა ელემენტარულ ადამიანურ ურთიერთობებს ხომ არ გავიწყობთ? გახსოვდეთ, მამების ცოდვებსა და შეცდომებზე შვილები აგებენ პასუხს.

ქალწული - 24/VIII-23/IX



საკმაოდ მშვიდი და ჩვეულებრივი დღეები გელით. სამსახურშიც ყველაფერი ჩვეულ რიტმში მიედინება. აი, კვირის ბოლოს კი, მოულოდნელ დასკვნებს გამოიტანთ და ცხოვრებას სულ სხვაგვარი თვალთ დაუწყებთ ყურებას.

სასწორი - 24/IX-23/X



სასიყვარულო ურთიერთობებში მცირეოდენი სახსრები მოგელით. არ ინერვიულოთ, ვარსკვლავები თქვენს მხარეზე არიან. თქვენი ყოველი სიტყვა და ყოველი მოქმედება, ამ კვირაში მეტად მნიშვნელოვანი და წარმატებული იქნება. წარმატებები გელით სამსახურებრივ ასპარეზზეც. გამოირიცხული არ არის, რომ დაგაწინაურონ და შესაბამისად, ანაზღაურებაც გაგეზარდოთ.

ღრიანბალი - 24/X-22/XI



ორშაბათს სამსახურში კარდინალური ცვლილებებია მოსალოდნელი... მაგრამ ნუ დაფრთხებით, ცვლილებები თქვენთვის სასიკეთო იქნება! კვირის დანარჩენ დღეებში კი ძირითადად ორი რამ - მოთმინება და კეთილგონიერება გმართებთ. კომპრომისებზე წასვლა და შემწყნარებლობა პირად საქმეებშიც წაგადგებათ.

მეშოდონი - 23/XI-21/XII



ამ დღეებში თავბრულამხვევი წარმატებები გელით, როგორც ბიზნესსა და მეგობართა წრეში, ისე მოწინააღმდეგე სქესის წარმომადგენელთა შორისაც. მაგრამ ფრთხილად იყავით, წარმატებამ არ გაგაბრყვით და რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ყურადღების მიღმა არ დავარჩეთ.

ხართ თუ არა საქმიანი ადამიანი?

**ბოლო წლების განმავლობაში, ჩვენში ცხოვრების სტილი ისე შეიცვალა, რომ ქალებიც და მამაკაცებიც საქმიანობას გაც-
ილებით მეტ დროს უთმობენ, ვიდრე პირად თუ ოჯახურ
პრობლემებს. თუმცა, საქმიანი ადამიანის იმიჯის მორგება ყვე-
ლამ ვერ შეძლო და თუ ადამიანს გართობისა და დასვენები-
სკენ უფრო მიუწევს გული, მისი შეცვლა საკმაოდ რთულია. თუ
გსურთ დაადგინოთ, ნამდვილად ხართ თუ არა საქმიანი ადამი-
ანი, შეავსეთ წინამდებარე ტესტი.**



1) წარმოიდგინეთ, რომ როგორც იქნა, მოგეცათ ადრე დაწყებული რთული საქმის ბოლომდე მიყვანის შანსი, ამ დროს კი, საყვარელი ადამიანი გირეკავთ და რომანტიკულ პაემანზე გაპატივებთ. როგორ მოიქცევით?

ა) ეტყვიით — „მოგვიანებით, ძვირფასო“ — და საქმის კეთებას უხალისოდ შეუდგებით — 5;

ბ) ეტყვიით — „მოვფრინავ“, ყველა საქმეს მიატოვებთ და პაემანზე გაეშურებით — 3;

გ) პაემანზე არ წახვალთ, რადგან ფიქრობთ, რომ საქმის დასრულება — უმთავრესია — 10.

2. სამსახურში მნიშვნელოვანი, გადაუდებელი საქმე დაგაგაღეს, არადა, სწორედ იმ დღეს, ახლობლის დაბადების დღეზე აპირებდით წასვლას. როგორ მოიქცევით?

ა) საქმეს მალე დაასრულებთ და წვეულუბაზე ოდნავ მოგვიანებით მიხვალთ — 5;

ბ) სამსახურში გამოაცხადებთ, რომ წვეულუბაზე მიგეჩქარებთ და პრობას დადებთ, რომ საქმეს მეორე დღითვე შეასრულებთ — 3;

გ) მშვიდად დაასრულებთ საქმეს და წვეულუბაზე წასვლა თუ აღარ მოესწრება, არც ამაზე იდარდებთ — 10.

3. როგორ იქცევით, როცა ისეთი საქმის შესრულება გინწევთ, რასაც სხვა, ჩვეულებრივი ადამიანები შეუძლებლად მიიჩნევენ?

ა) ამყობთ, რომ ასეთი საქმე დაგაგაღეს და აუცილებლად მოგვარებთ მას — 10;

ბ) იტყვიით, რომ დაკავებული ხართ და საქმეს თავს აარიდებთ — 3;

გ) თავს ზედმეტად არ დაიტვირთავთ — თუ გამოვა საქმე, ხომ კარგი, თუ არა და, სანერვიულო არაფერია — 5.

4) როგორ გგონიათ — რა როლს ასრულებს თქვენს ცხოვრებაში ტანსაც-
მელი?

ა) ტანსაცმელი თქვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, საზღვარგარეთული, ხარისხიანი ტანსაცმლის გარეშე თავი ვერც კი წარმოვიდგინათ — 3;

ბ) ლამაზად და გემოვნებით ჩაცმა გიყვართ, რადგან ეს თქვენც გსიამოვნებთ და გარშემოყოყნებაც — 5;

გ) ტანსაცმელს მხოლოდ იმ ნიშნით არჩევთ, რომ მუშაობის დროს, მოსახერხებელი იყოს — 10.

5) როგორი დამოკიდებულება გაქვთ მეგობრებთან?

ა) მეგობრების ყოლა აუცილებელია, ისინი ხომ საქმეების დროულად მოგარებაში გეხმარებიან — 10;

ბ) მეგობრები იმისთვის გჭირდებათ, რომ როდესაც მომენტში, გვერდში დაგიდგინონ — 5;

გ) მეგობრები თქვენთვის ცხოვრების არსს წარმოადგენენ. ეხმარებიან, ერთად ისვენებთ, ერთობით და აზრებსაც უზიარებთ მათ — 3.

6) გაიხსენეთ — საქმეების კეთებისას, ხომ არ გავინწყდებთ ოჯახი და საყვარელი ადამიანი? ყოველთვის ახერხებთ თუ არა შინ დარეკვას და ახლობლების გაფრთხილებას, რომ დაგაგვიანდებთ?

ა) არა, როცა საქმეს აკეთებთ ასეთი წვრილმანებისთვის დრო არ გრჩებათ — 10;

ბ) როცა ახერხებთ, რეკავთ, თუმცა მი-

გაჩნიათ, რომ ეს აუცილებელი არ არის — 5;

გ) ცდილობთ, შინ მისვლა არ დაგვიანოთ და თუ მაინც გაგვიანდებთ, აუცილებლად დარეკავთ — 3.

7) რა როლს ანიჭებთ პირად ცხოვრებას?

ა) ოჯახი და ოჯახური გარემო თქვენთვის ბევრს ნიშნავს, სამსახური კი, ოჯახის მატერიალური სიმყარისთვის გჭირდებათ — 3;

ბ) ოჯახი და საღამოს შინ ყოფნა კარგია, მაგრამ გირჩევნიათ, უმეტესად, საქმით იყოთ დაკავებული — 5;

გ) შინ ყოფნა არ გიყვართ — თქვენი მოწოდება, აქტიური საქმიანობაა — 10.

8) შეგიძლიათ თუ არა გამოეთიშოთ საქმეს, დაივიწყოთ სამსახურებრივი პრობლემები და დაისვენოთ?

ა) თუ მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ, დასვენებაზე ფიქრიც კი არ შეგიძლიათ — 5;

ბ) როცა ისვენებთ, სამსახურზე და პრობლემებზე არასოდეს ფიქრობთ — 3;

გ) აღარც კი გახსოვთ, როდის დაისვენებთ ბოლოს, სულ საქმეებში ხართ ჩაფლული — 10.

დააჯამეთ მუღები

60 ქულაზე მეტი: ძალიან ნიჭიერი ადამიანი ხართ. ინდივიდუალური ხედვა გაქვთ და ისეთი გამორჩეული საქმიანი თვისებები, რომელიც ბევრ ადამიანს ნამდვილად არ ახასიათებს. მთელი ცხოვრება, საქმიანობას ანიჭებთ უპირატესობას. დაფიქრდით — ასეთმა ცხოვრებამ შეიძლება ცივ, უსულგულო და ანგარიშიანი ადამიანად გაქციოთ.

35-60 ქულა: ყოველთვის ახერხებთ იმას, რომ საქმიანი ადამიანის და ცხოვრების მოტრფიალის თვისებები ერთმანეთს შეუხამოთ. ყურადღებიანი და მზრუნ-

ველი ხართ, ამასთან ერთად, საქმესაც იდეალურად უძღვებით და თქვენი ყურადღების მიღმა წვრილმანიც კი არ რჩება. მთავარია ეცადოთ, არ შეიცვალოთ და საქმიანობა თვითმიზნად არ გექცეთ.

35 ქულაზე ნაკლები: ქარაფშუტა ადამიანი ხართ. არ შეიძლება, მხოლოდ ერთი დღით ცხოვრობდეთ და საქმე საერთოდ არ გაღელვებდეთ. ყველა აღიარებს, რომ ურთიერთობაში სასიამოვნო ადამიანი ხართ, მაგრამ კარგი იქნება, თუ საქმეებსაც მიხედავთ. ცოტადენი დასერიოზულება ნამდვილად არ განყენდათ.

სიმსუქნე დღეგდობის მტეხია



ადამიანის ჯანმრთელობაზე ჭარბი წონის მკენე ზემოქმედების შესახებ საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ სიმსუქნე შაკანანებისთვის ბერად უფრო სახიფათო ყოფილა – ამან თურმე მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა შესაძლოა, 20 წლითაც კი შეამოკლოს. ბოსტონის ჰოსპიტლის ექიმთა გამოკვლევების საფუძველზე დადგინდა,

რომ სიმსუქნე ადამიანის ჯანმრთელობაზე განსაკუთრებით მკენე ზემოქმედებას 20-30 წლის ასაკში ახდენს. ამავე კლინიკის მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აშშ-ის მთავრობა და ექიმები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ჭარბწონიანობის პრობლემას. ამ სფეროში რატომღაც უფრო დიდი აქცენტი სიგარეტის მოწვევასა და ორგანიზმში ქოლესტერინის ჭარბ შემცველობაზეა გადატანილი. მსუქან ადამიანთა რიცხვი კი, აშშ-ში დღითი დღე იზრდება და ეს ნაციონალურ უბედურებად იქცა, რადგან ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი, სწორედ ჭარბწონიანობისგან იტანჯება.


წყაქვემა მეხი ვენეციაში

გაზეთ La Repubblica-ს ცნობით, ვენეციაში წყალქვემა მეტროს გაყვანას აპირებენ. უკვე შედგენილია პროექტი, რომლის თანახმად, მშენებლობა 250 მლნ ევრო დაჯდება. მეტროს მატარებლის შემადგენლობა სამგაგონიანი იქნება და ერთ რეისზე, საგარაუდოდ, 200-300 მგზავრს მოემსახურება. მატარებელი საათში შვიდ რეისს გააკეთებს, მანძილს კი, 7-8 წუთში დაფარავს. გვირაბს ვენეციის ლაგუნის ფსკერზე გაიყვანენ, ცენტრალური გაჩერება კუნძულ მურანოზე იქნება. პროექტის განხორციელების დაწყებას 2004 წლისთვის ვარაუდობენ, მისი ექსპლუატაციაში შესვლა კი, 2010 წლისთვისაა დაგეგმილი. ვენეციის მერის აზრით, მეტრო ტრანსპორტით ქალაქის უზრუნველყოფას გააუმჯობესებს. თუმცა, პროექტის განხორციელებას ქალაქის საბჭოს არაერთი წევრი ეწინააღმდეგება: შიშობენ, რომ



მშენებლობა ზიანს მიაყენებს გარემოს. მათ შიშს ეკოლოგიებიც იზიარებენ. ისინი აფრთხილებენ ხელისუფლებას, რომ იმ თიხოვანი შრის დარღვევა, რომელზედაც ვენეციაა გაშენებული, შესაძლოა, ძალზე სახიფათო აღმოჩნდეს, ვინაიდან ამ შრის ქვეშ მიწისქვეშა მდინარეები და წყალქვემა ტბები მდებარეობს.

150 ნაძვის ხის მეტობედი ნოხვეგიედი



ნორვეგიელმა დაგლოტვეიტმა საშობაო შვებულემა ოჯახთან ერთად ტაილანდში გაატარა, შინ დაბრუნებულს კი, სახლის გარშემო 150 საახალწლო ნაძვის ხე დახვდა. როგორც გაირკვა, დავისთვის სიურპრიზი მის სამ უფროს ძმას მოუწვია, რომლებსაც უმცროსი ძმისთვის მეორმოცე

დაბადების დღის მილოცვა, ასეთი ორიგინალური საჩუქრით გადაუწვევტიათ. შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებულ ოჯახობას სახლის კარამდე რის ვაივაგლახით მიულწვია, რადგან ნაძვის ხეები თურმე თოკით ყოფილა ერთმანეთზე გადაბმული; კართან მისულებს კი ვეებერთელა პლაკატი დახვედრიათ წარწერით – „გილოცავთ დაბადების დღეს!“ ადგილობრივი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში დამა განაცხდა: „აი, რას ნიშნავს იყო ოთხ ძმას შორის ნაბოლარა!“ შემდეგ კი დასძინა: „ახლა მეცინება, მაგრამ მაშინ, ამის გუნებაზე მართლაც არ გახლდით: როგორია – იფრინო 15 საათი, შემდეგ კი, საზაფხულო ტანსაცმელში გამოწვობილს, სახლის შესასვლელთან უღრანი ტყე დაგხვდეს?!“ დავის ერთ-ერთმა უფროსმა ძმამ – ბარტმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა: „სამივე ჩვენგანს გვსურდა, დაგვეტკიცებინა დავისთვის, თუ რაოდენ ძვირფასია იგი ჩვენთვის“. მერე კი დასძინა, რომ მათ ნაძვის ხეები შობის დღესასწაულის შემდეგ, საკმაოდ დიდი ფასდაკლებით შეუძენიათ.

ტაილანდუხი მასაჟი ავტოგასამართ სადგუხეზე



ბანგკოკის ადგილობრივ ავტოგასამართ სადგურებზე დაღლილ მძღოლებს შესაძლებლობა ექნებათ ახალი, ეგზოტიკური მომსახურებით დატკბნენ. ტაილანდის ჯანმრთელობის სამინისტროს ინიციატივით, დღეაქლაქის ავტოგასამართ სადგურებთან მოეწვობა ტაილანდური მასაჟის კაბინები. ტაილანდის ტრადიციული და არატრადიციული მედიცინის დეპარტამენტის პრესმდივნის თქმით, ეს სიახლე ავტომოყვარულებს ხელს შეუწყობს იმ დამაბულობის მოხსნაში, რაც შორ მანძილზე გადაადგილებას ახლავს თან. 200 ბატის (დაახლოებით 5 დოლარი) საფასურად, მძღოლები მთელი სხეულის მასაჟს გაკეთებენ, 150 ბატად კი, მათ მხოლოდ ფეხის მასაჟს გაუკეთებენ. ამ ტიპის მომსახურება ჯერჯერობით, მხოლოდ ბანგკოკში დაინერგება. თუ ექსპერიმენტი გაამართლებს, მაშინ მასაჟის კაბინებს მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაამონტაჟებენ.

ჟოკოკუნიონები



ახალი ყუბანი პრესის გუმბარებისთვის

ბ 32 / 2

TV-პროგრამა
13.01-19.01 2003 წ.

შეჯიბრი „ლილიუბაბის ტყორცნაში“

ლილიუბაბი

162(15) შახი 60 თ.

50



ნია პეპანიშვილი
და მისი გავნა
ჩვევები

16



რამომ არ ერევა
ნოდარ გუგუშვილი
ღელის საქმეებში

15





41 წლის მუსა კაპანაძე
სტუდენტური უასღაულებით
სარგებლობს



„მე, სატანის
მსახური —
ფორა...“

„გაშინე შველავარს
ვერ აღვიქვამდი...“

ინტერვიუები
თეააზა —
ბედიანარა
თუ...



„დაუშვებელი იყო
ამგვარი ფინალი...“

ყოველ ორშაბათს!